საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№24 (67)
30 ივნისი - 6 ივლისი, 2010
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

6 ქართველი სერჟანტი თავშესაფარს რუსეთის ხელისუფლებას სთხოვს

5

# პიედესტალიდან სახრჩობელამდე ერთი ნაბიჯია

2 ... მიეპარნენ, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვის მედროვენი მავზოლეუმში დასვენებულ სტალინის ცხედარს; მიეპარნენ მაქსიმალურად გასაიდუმლოებულ ვითარებაში — ღამით, გადაკეტეს წითელ მოედანზე მისასვლელი ყველა ქუჩა — ჩახერგეს სამხედრო ტექნიკით და კოლონებად დადგნენ საარმიო ნაწილები კრემლის წინ „სამშობლოს სადარაჯოზე“.

ხალხის რისხვის ეშინოდათ. და — გარეშე თვალის. გადაასვენეს.

მანამდე კი ოქროს ღილები ააჭრეს გარდაცვლილი გენერალისიმუსის კიტელს.

ამათაც ეშინიათ. არ იმჩნევენ და შიშნაჭამებივით კი იქცევიან: უცვლელად გადმოიღეს ნიკიტას ბინძური მეთოდი და გამოცდილება.

ღამით დაიწყეს ოპერაცია „ახალი ბარბაროსა“, პარასკევს ღამით ალყაში მოაქციეს გორის ცენტრი, გადაკეტეს მოედანზე მისასვლელი გზები ლომგულა ბიჭებმა. ისეთმა მამაცმა და გაბედულმა მებრძოლებმა, რომ შემდეგ უმამაცესთაგან ერთ-ერთი მიწაზე დამხობილ ქანდაკებას თავზე შემოუტყაპუნებს ხელს და ამით თავისი შიშის დათრგუნვას შეეცდება...



7 რა უთხრა ნიკოლა სარკოზიმ საქართველოს პრეზიდენტს ნატოში შესვლაზე, კაჩინსკიზე, იუშჩენკოზე და რუსეთთან ურთიერთობაზე?

აგვისტოში თბილისში გეიაღლუმის ჩატარება 10 იგეგმება

ზვიად ყუშიტაშვილი: მოვუწოდებ 11 ქართველ ემიგრანტებს, საქართველოში არ დაბრუნდნენ

15 დასავლეთის სპეცსამსახურების ტერორისტული ორგანიზაციები

პენტაგონი „Ми-17“-ს 20 ირჩევს

წაგებული ომიდან 30 წასვლის ვაჟკაცობა

ქმედუუნარო სახელმწიფოთა ინდექსით საქართველო ჩადს, სუდანს, კონგოს, გვინეას, ავღანეთს, ერაყსა და ზიმბაბვესაც ჩამორჩება 8

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სტალინის ძეგლი გადადგეს, როდის გადადგამენ საქართველოს?

**ალბათ, შეამჩნიეთ, რომ ეს ერთი ხანია, პირველად საქართველოში მზე დასავლეთიდან ამოდის — შავი ზღვიდან; უფრო კონკრეტულად — აჭარიდან, კიდევ უფრო კონკრეტულად — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათიდან. ჩრდილოეთიდან „მისტრალი“ მოდის.**





ნაცნობი ხელწერა, თალიბებისგან საქართველოში გადმონერგილი

მოლივლივე ზღვის ფონზე, მოდერნიზებულ ტრიბუნაზე ამოიწვერება მანათობელი და „საქართველოს სასწაულზე“ გვეტყვის სიტყვას უკრაინის „მთავარი ჟურნალის“ პუბლიკაციიდან გამომდინარე.

„სასწაულზე“ დაგვიწყებს ლაპარაკს, რომელიც თურმე მომხდარი ფაქტია, მაგრამ რომელიც რატომღაც ვერ შეგვიმჩნევია ჩვენ — უბირ და უმადურ ხალხს.

არ ვიცით.

სამაგიეროდ, იცის მან და უკრაინულმა ჟურნალმა, რომელიც არც „შპიგელია“ არც „ფორბსი“ და, საერთოდაც, არ არის მთავარი და ნიშანსვეტი, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა სწორედ ასეთად წარმოგვიდგინა.

გაიხარა მან და გავბედნიერდით ჩვენც, თორემ მსოფლიო პრესაში ისეთი მწარე-მწარეები იწერება სააკაშვილსა და მის მმართველობაზე, რომ, დასავლეთიდან მზის ამოსვლა კი არა, მიწაში ჩადებაზე უარესია.

მასობრივ-საჩვენებელი აგიტაციის დაფაზე „ვინ გვარცხვენს“, „ფერადი რევოლუციების“ სხვა წინამძღოლებთან ერთად, მისი პორტრეტიც გამოაკრეს და მიაწერეს, რომ ეს „ჩვენი ბიჭი“ ძალაუფლების ისეთივე მოყვარე და ხარბი აღმოჩნდა, როგორც მისი კოლეგები უკრაინაში, ყაზახეთსა და ერაყში (**The Hoffington Post**).

ამას და ასეთებს რომ წაიკითხავ, ისეთი უხასიათობა შემოგიტევს, რომ პროსტრაციაში ჩავარდები და რიგით მეორე სასწაულის შემობრძანებას საქართველოში 5-6 წლით გადაწევ: **„იქ, სადაც დღეს არის დუბაი, საქართველო 5-6 წელიწადში იქნება“ (მ. სააკაშვილი, ბობოყვათში გამოსვლიდან).**

მანამდე რა ვქნათ?

მანამდე გავარკვიოთ — საქართველოს გადადგამენ დუბაიში თუ დუბაის გადმოდგამენ საქართველოს დარჩენილ ტერიტორიაზე.

როგორც იმ ძეგლებს, რომლებსაც, როგორც ბოშა ქალები ბავშვებს, აქეთ-იქით დაათრევენ, ან აფეთქებენ: არ არის ძეგლი, არ არის ისტორია, რომელიც 2003 წლიდან იწყება, ნაცბოლების ხელში და მათი ხელდასმით.

ახალი წელთაღრიცხვა — 1967 წლის 21 დეკემბრიდან აითვლება. იცით, რა დღეცაა ეს.

მაგრამ 21 დეკემბერი სტალინის დაბადების დღეცაა, ამიტომ — ჩააჩოჩეთ სტალინი! მოაშორეთ თვალსაწიერიდან!

პარტიამ თქვა: — მიდით!

გორში უპასუხეს: — არის!

პარასკევს, დილით შეიტყო საქართველომ, რომ ეს ტურები ღამის 12 საათზე მიეპარნენ სტალინის ძეგლს, რომელიც ქალაქის ცენტრში იდგა და პირქვე დაამხეს ბრინჯაოს ქანდაკება.

ნახეს რა, გაც და გაიმი!

**მიეპარნენ, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვის მედროვენი მავზოლეუმში დასვენებულ სტალინის ცხედარს; მიეპარნენ მაქსიმალურად გასაიდუმლოებულ ვითარებაში — ღამით, გადაკეტეს წითელ მოედანზე მისასვლელი ყველა ქუჩა — ჩახერგეს სამხედრო ტექნიკით და კოლონებად დადგნენ საარმიო ნაწილები კრემლის წინ „სამშობლოს სადარაჯოზე“.**

**ხალხის რისხვის ეშინოდათ.**

**და — გარეშე თვალის.**

**გადაასვენეს.**

**მანამდე კი ოქროს ღილები ააჭრეს გარდაცვლილი გენერალისიმუსის კიტელს.**

**ამათაც ეშინიათ. არ იმჩნევენ და შიშნაჭამებივით კი იქცევიან: უცვლელად გადმოიღეს ნიკიტას ბინძური მეთოდი და გამოცდილება.**

**ღამით დაიწყეს ოპერაცია „ახალი ბარბაროსა“, პარასკევს ღამით ალყაში მოაქციეს გორის ცენტრი, გადაკეტეს მოედანზე მისასვლელი გზები ლომგულა ბიჭებმა. ისეთმა მამაცმა და გაბედულმა მებრძოლებმა, რომ შემდეგ უმამაცესთაგან ერთ-ერთი მიწაზე დამხობილ ქანდაკებას თავზე შემოუტყაპუნებს ხელს და ამით თავისი შიშის დათრგუნვას შეეცდება.**



ვანდალების ნამუსრევი

ხატმებრძოლების გიჟური როკვა ქართულ ეკლესიათა ნანგრევებზე!

იმათი გენები გადაუნერგეს ამათ, ეტყობა.

ნასყიდმა ტელეარხებმა ისიც კი გვაჩვენეს, როგორ უკრავდნენ ტაშს ვეფხვებთან მებრძოლებად გამოზრდილი შვილები, რამდენიმე კაცი, ვანდალურ აქტს და ამით ერთგულებას უმტკიცებდნენ „მი-შა! მი-შა! მი-შას!..“ ხალხის მასების სახელით.

ეროვნული მოძრაობის აღზევების პერიოდში, როცა ხალხმა ლენინისა და ორჯონიკიძის ძეგლები ლამის შიშველი ხელებით ჩამოაგდო, არავინ პოზიორობდა, ექსტაზში შესული არავინ იკლაკნებოდა ტელეკამერების წინ.

ის, რაც პარასკევს დილით გვაჩვენეს, ნაცნობი ხელწერა იყო, უნიჭოდ გამეორებული.

დაახლოებით ისეთი, როგორიც ზაზა ბეგაშვილის წინამძღოლობით 2007 წლის 8 ნოემბერს, დილით რუსთაველზე ჩავლილი ზონდერ-ბრიგადების ნაკრების საზეიმო მსვლელობა — „მი-შა! მი-შა! მი-შა!“

პლაგიატობა.

თორემ ორიგინალი ხომ შედევრია...

ადგილობრივ ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტმა ლადო ბიჭაშვილმა საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ მოუთხრო, როგორ დაესხნენ თავს მას და ოპერატორ იმედა გოგოლაძეს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, სპეციალურად ამ საქმისთვის გაწვრთნილი პოლიციელები, თავგამეტებით სცემეს იმიტომ, რომ ამ ბიჭებმა გაბედეს და გადაიღეს აღშფოთებული გორელი მოქალაქეები, რომლებიც არ ჩაეწერნენ ხელისუფლების დადგმულ სცენარში.

და თქვენ კიდევ იტყვით, რომ საქართველოში არ არის პრესის თავისუფლება და ირღვევა დემოკრატიზმის ფუძემდებლური პრინციპები?

ახლა გორში ისეთი სიჩუმეა, როგორიც — სასაფლაოზე.

სასაფლაოზე, სადაც დაიმარხა ჩვენი სინდისი და თავმოყვარეობა.

ხომ მივეცით ხმა ხელისუფლებას, რომელიც ნახირად მიგვიჩნევს, ნახირად, რომელსაც, რაც უფრო მაგრად დაჰკრავ სახრეს, უფრო დაგმორჩილდება, და თავს საითაც მიუქცევ, იქით წავა.

ხმაც მივეცით, ამათ ხოშზეც ვცხოვრობთ და ხმის ამომღებიც არავინაა.

რაც გინდოდა, ხალხო, ის მიიღე და ახლა ელოდე, ეს სპეკულანტები რანაირ ძეგლს დაგვიდგამენ გორის ცენტრში — პლასტმასის რანაირ უსახობას, თუ რაღაც უარესს. ხოლო როცა აღმართავენ, ყვითელი ავტობუსებით წაგიყვანენ და ტაშსაც დაგაკვრევინებენ.

მე შენ გეტყვი, გაუჭირდებათ იმ ავტობუსებით მგზავრობის მსურველების პოვნა.

ან — გაბითურებულების, რომლებსაც ეს-ესაა დასამშვიდებელი აბი გადაუგდეს — სტალინის ძეგლს სტალინის მუზეუმის ტერიტორიაზე გადავიტანთო.

გადაიტანენ?

**მიხეილ სააკაშვილმა გორის გმირული ეპოპეა გაამართლა იმით, რომ თურმე არ შეიძლება ქვეყანაში ერთდროულად არსებობდეს ოკუპაციის მუზეუმი და იმ პიროვნების ძეგლი, ვისი ინიციატივითაც განხორციელდა ეს ოკუპაცია.**

**გვითხრეს ხომ, რომ სტალინის ძეგლს გორის ცენტრიდან სტალინის მუზეუმის ტერიტორიაზე გადავიტანთო?**

**გვითხრეს.**

**გამაგებინეთ, ადამიანებო, „სტალინის მუზეუმის ტერიტორია“ სხვა ქვეყანაშია?**

**არა, არ არის.**

**აბა, მიხეილ სააკაშვილმა რომ ბრძანა, არ შეიძლება ერთ ქვეყანაში ერთდროულად არსებობდეს ესეც და ისიცო?**

**ბრძანა.**

**მაშასადამე, გვატყუებენ და ნუ გადმოგიცვივდებათ გაოცებისგან თვალები, რადგან ასეთია სიცრუის ლოგიკა, რაიც ყველას კარგად მოეხსენება.**

**პირველია თუ უკანასკნელი?!**

ეტყობა, მართალია ის, ვინც ამტკიცებს, რომ „ხალხს უტყუილოდ სიმართლისაც არ სჯერა“. რომ სიმართლესა და სიცრუეს შორის სიცარიელე კი არ არის, არამედ სხვა ბევრი რამაა ჩამდგარი რიგში — ნახევრად სიმართლე, ნახევრად ტყუილი, სიბრიყვე, მატრაბაზობა, ან, თუნდაც, დეპუტატი მინაშვილი, რომელიც „მაესტროს“ ეთერში პროგრამის წამყვანს ნინო ჟიჟილაშვილს ჟურნალისტიკის ანაბანას ასწავლიდა (!) და გორში „თრიალეთის“ ტელეკომპანიის თანამშრომლების ცემას პოლიციელების მიერ კანონის (!) დაცვის აუცილებლობით ამართლებდა.

და არ წითლდებოდა სირცხვილისგან, რადგან ეს გრძნობა სიმართლესა და სიცრუეს შორის არ დგას. ამათ ხელში საერთოდ დაიკარგა.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. აშკარად ცუდადაა ამ ხელისუფლების საქმე, თუ სტალინის ძეგლის გადატანის გასამართლებლად იმავე ტელეეთერში, როგორც თავისი იდეოლოგიური ფრონტის დამრტყმელ ძალასა და საიდუმლო იარაღს ფუთელ კმარელ ქალს, ე.წ. თეა თუთბერიძეს მიავლენს.**

# სტალინის ძეგლი და

**ახლახან, ადგილობრივი არჩევნების შედეგებს ტელეეთერში რომ აჯამებდა, მიხეილ სააკაშვილმა ამაყად განაცხადა, რომ ქართველი ახალგაზრდობის 80 პროცენტი მხარს უჭერს მის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. ქვემოთ გთავაზობთ 19 წლის გოგონას წერილს, რომელიც დალიელას სახელით აქვეყნებს წერილებს თავის ბლოგზე — daliela.wordpress.com წაიკითხეთ, საინტერესოა.**



როგორც გავიგე, გუშლამ სტალინის ძეგლის დემონტაჟი მოუხდენიათ და ხალხი ერთმანეთს ულოცავს, არიქა, გველირსაო....

**როგორ შეიძლება, არ აღშფოთდე? მარაზმი, მარაზმი და კიდევ ერთხელ მარაზი. ერის სიშტერე და სიბრიყვე პიკს აღწევს.**

**სადღაც 5-6 წლის წინათ ეს თავშიც არავის მოუვიდოდა, სად ეცალა მაშინ სტალინის ძეგლისთვის ხალხს?**

ნახევარი საუკუნის წინათ, მეოცე ყრილობაზე ხრუშოვის „ბრძნული“ გამოსვლის შემდეგ მთელი ქართველი ერი ისე აღშფოთდა თავისი შვილის სახელის შებღალვის გამო, რომ ერთი წამითაც არ დაეჭვებულა, თუ რაიმეს არასწორად აკეთებდა....

მაშინ, ეტყობა, არ გვრცხვენოდა...

ახლა, როგორც ჩანს, ყველა პრობლემა უკვე მოგვარებულია და ცოცხალი „საზოგადოებისათვის მავნებელი ელემენტების“ „დაჩმორებისა“ და ხმარების შემდეგ მკვდრებზე უნდათ გადასვლა.

რითი არიან ახლა ესენი სტალინზე უკეთესები, თუ უარესები არა?

საქართველოსთვის არაფერი კარგი არ გაუკეთებიაო. დიახ, გენაცვალე, რაც ჰქმნა ბიძია ჯომ, არაფერი იყო იქ საამაყო, მაგრამ დღეს რომ რიგითი ქართველი ასფალტზე დააბიჯებს და გამოშტერებული გერმანელის მონა არაა, იქნებ, ეგეც ჩვენი მთავრობის დამსახურებაა?

**თუ აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცები გმირები არიან, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ხალხი ვინაა? უაზრო იდეოლოგიას შეწირული თაობა? მაშინ აგვისტოს ომი რა იყო? ისტორიულად და პოლიტიკურად გამართლებული კონფლიქტი?**

თუ სტალინი უვარგისი პოლიტიკოსი იყო, მე მქონდა მსოფლიოს მეორე სუპერსახელმწიფოსთან 40-წლიანი „ცივი ომი“ და მე გავუძელი გორბაჩოვამდე?

ხრუშოვი მოიგებდა ნეტა ფაშისტების წინა- ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ტვინგაქეცლილები

## გმირთა მოედანზე ამას წინათ დადგმული პენისი რამე ფუნქციას ასრულებს პირადად თქვენთვის?

**რომელ თვისებას გამოარჩევდი დღევანდელი ხელისუფლების მენტალიტეტიდანო, ვინმემ რომ მკითხოს, უტიფრობის შემდეგ, პირველ რიგში, არასრულფასოვნების კომპლექსს დავასახელებდი. „თქვენ არავინ არ ხართ, მე ვარ, რაც ვარ, საქართველო 2003 წლამდე საერთოდ არ არსებობდაო“, — ამის მტკიცებას, არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილის გარდა, არავინ დაიწყებდა. აქედან გაჩნდა „ჩარეცხილების“ თემაც – „ჩარეცხილები“ თუ „ჩასარეცხები“ საზოგადოების თვალში რაღაცას მაინც წარმოადგენდნენ და, სავარაუდოდ, დღესაც წარმოადგენენ, მიუხედავად ინტელიგენციის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გამსახურდიას ხელისუფლების მიერ დაწყებული აღვირახსნილი კამპანიისა. ამ ინტელიგენციის დიდი ნაწილი, თავისი უზნეობიდან გამომდინარე, მართლაც ჭაობში ცხოვრებას რომ იმსახურებს, ამაზე არ ვდაობ, მაგრამ, ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა რომ არ შეიძლება, ესეც აქსიომაა.**





ავტორიტეტების წინააღმდეგ აგრესია ზუსტად ერთსა და იმავე დონეზე გამოუვლინდათ გამსახურდიას ხელისუფლებასა და „ნაციონალებს“. არც არის გასაკვირი – უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, ეს ორივე ძალა არსაიდან მოსული ადამიანებით იყო და არის დაკომპლექტებული; ადამიანებით, რომლებიც მანამდე სად იყვნენ, ღმერთმა იცის. რამე რომ დაგჭირდეს, მათთან ვერც საერთო ნაცნობს აღმოაჩენ, ვერც ნათესავს და ვერც თანამშრომელს. ისევ განმეორდა მყარი ტენდენცია – ადამიანები, რომლებიც არასდროს არაფერს წარმოადგენდნენ, ყველასა და ყველაფერზე დაბოლმილები იყვნენ და საკუთარი ამბიციების რეალიზაციაზე ვერც კი ოცნებობდნენ, უეცრად ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ. ისინი, ვინც 80-90-იანი წლების მიჯნაზე ნებისმიერ საქმესა თუ პროფესიაში სრული არარაობა იყვნენ, ეროვნულ მოძრაობაში შეძვრნენ და ცოტა ხანში ხელისუფლებაშიც აღმოჩნდნენ.

**იგივე განმეორდა 2002-2003 წლებში, როცა, თუ ვინმე დაბოლმილი, არარეალიზებული და განაწყენებული დაიარებოდა ამ ქვეყანაზე, ნაცმოძრაობაში შექანდა და მცირე ხანში, ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად, დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი აგრესიის გამოვლინებისა და კომპლექსების დაძლევის საშუალება დაინახა.**

ისინი მალევე მიხვდნენ, რომ მათი პიროვნული რეალიზაციისთვის მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლა საკმარისი არ იყო. კარგი, ბატონო, მოხვედი ხელისუფლებაში, მაგრამ როგორ უნდა ისახელო თავი, ორი წიგნი რომ არ გაქვს წაკითხული, დოკუმენტზე რეზოლუციის დადებისას, „რეზოლუციას“ რომ აწერ ზემოდან და ესკალატორს ექსკავატორისგან რომ ვერ არჩევ? პარალელურად კი უყურებ და გესმის, რომ ვიღაც გამოჩენილი მსახიობია, ვიღაც – საზოგადო მოღვაწე, ვიღაცას მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობა აქვს შექმნილი და მათ ხალხი პატივს სცემს... როგორ, მე ხელისუფლებაში მოვედი და ხალხი პატივს სხვას სცემს?!

**სააკაშვილის მიერ დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცის დადება სწორედ ამ ყველაფერთან ბრძოლის ნიშანი იყო. ეს არ იყო მხოლოდ პიარის გამო გამართული სანახაობა. ბუნებრივია, სააკაშვილი ვერასდროს გაბედავდა აღმაშენებლის დონის ავტორიტეტთან ბრძოლას, ამდენს კარგად ხვდებოდა, მაგრამ პირველივე საჯარო ღონისძიებით აღმაშენებელთან გატოლება რომ სცადა და საზოგადოებას მესიჯი გაუგზავნა – მე ნაკლებს არ ვაპირებო, იმთავითვე ნათელი იყო.**

რა მივიღეთ ამისგან და **დავით აღმაშენებლის** ნაცვლად **მიხეილ აღმაშფოთებელი** რომ შეგვრჩა ხელში, ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ავტორიტეტებთან ბრძოლის ერთ-ერთი პირველი ამაზრზენი მაგალითი ძალიან მალე პარლამენტში ვიხილეთ, როცა ვიღაც კირკიტაძე გმირად გამოგვიცხადეს – პარლამენტში დაცვის თანამშრომელი სცემა და შემდეგ ბოდიში მოუხადაო, განაცხადა სააკაშვილმა. ვაი, შენს პატრონს...

**საკმაოდ მალე გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება ებრძოდა ყველას და ყველაფერს, ვისაც აზრი ეკითხებოდა და ვის სიტყვასაც ხალხისთვის რამე ფასი ჰქონდა. ბუნებრივიცაა – შენს სიტყვას თუ ხალხი უჯერებს და შენ ჩემთან არ ხარ, ესე იგი, ჩემი მტერი ხარ. მტერს კი, თუ არ ანადგურებენ, ებრძვიან მაინც.**

ეს იყო იმის მიზეზიც, რომ სამსახურებიდან მასობრივად გაუშვეს 35-40 წელს გადაცილებული ადამიანები. როცა ორგანიზაციას 20-25 წლის ლაწირაკებით აკომპლექტებ, რომელთაც წიგნი მაღაზიის ვიტრინაშიც კი არ უნახავთ, განათლება კი „პატრიოტთა“ ბანაკებში აქვთ მიღებული, ხომ გასაგებია, რომ ისინი არ მოითმენენ თავისზე ჭკვიან და გამოცდილ თანამშრომლებს?

ჩვენ ამით საბჭოური მენტალიტეტის ადამიანებისგან ვთავისუფლდებით, რადგან ისინი კორუფციასთან არიან შეზრდილებიო, — გამოაცხადეს „ნაცებმა“.

ჯერ ერთი, როცა ამა თუ იმ მენტალიტეტს ებრძვი, საერთო წარმოდგენა უნდა გქონდეს, რა გავლენას ახდენს ესა თუ ის სისტემა მენტალიტეტზე და, თუ შეცვლა გინდა, სისტემა უნდა შეცვალო და არა კონკრეტული პიროვნებები. მეორეც, მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის, მაგრამ ჯერ შენ ვინ გდიხარ, რომ სხვას უწუნებ მენტალიტეტს? **სხვებს რომ თავი დავანებოთ, ხელისუფლების სახეები – ფოთის პორტის, თუ არ ვცდები, ყოფილი უფროსი ჯემალ ინაიშვილი და ცნობილი საქმოსნის, ტახირ არველაძის შვილი — გიორგი არველაძე არიან არაკორუმპირებული მენტალიტეტის ადამიანები, არა?**

და რაც შეეხება კომუნისტურ თუ საბჭოურ მენტალიტეტს — სულ რამდენიმე დღის წინათ თქვენ არ შექმენით ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო? თუ თქვენ გგონიათ, რომ კომკავშირი სხვა რამე იყო?

**კიდევ ერთი მიმართულება, რომელშიც ხელისუფლების არასრულფასოვნების კომპლექსი და ავტორიტეტებთან ბრძოლის პათოლოგიური სურვილი გამოჩნდა, ძეგლებთან ბრძოლის სახით ვიხილეთ.**

კარგი, ბატონო, დავუშვათ, თემურ წიკლაურის ძეგლი მართლაც არ უნდა მდგარიყო დედაქალაქის შუაგულში, მაგრამ, რადგან მას ზრდილობის გულისთვის დავით აღმაშენებლის ძეგლი ერქვა, ასეთივე ზრდილობა მაინც გამოგეჩინათ და იგი ავტორთან შეთანხმებით მაინც გადაგეტანათ? ან რა მანია გჭირთ უმნიშვნელოვანესი ძეგლების ისეთ ადგილას დადგმისა, რომელსაც ისე ვერ მიეკარები, თუ მანქანას არ შეუვარდი ბორბლებში?

გმირთა მოედანზე ამას წინათ დადგმული პენისი (თქვენ რომ მემორიალს უწოდებთ რატომღაც) რამე ფუნქციას ასრულებს პირადად თქვენთვის? თუ, თქვენი მოკლე ჭკუით, მემორიალია ის, რასაც ახლოს ვერ მიეკარები, ყვავილებით ვერ შეამკობ, ზედ ამოტვიფრულ სახელებსა და გვარებს ვერ წაიკითხავ კი არა, ვერც კი დაინახავ? ეს არის დაღუპული ადამიანების თქვენეული პატივისცემა? თუ გმირთა მოედანზე მშენებლობების დაწყება გინდოდათ და რომელიღაც ჭკვიანს თქვენ შორის მოაფიქრდა — ჭიაბერაშვილი ხომ აღარ არის საქართველოში, ქართვლის დედას აღარავინ ერჩის და მოდი აქ რამე მართლა პენისისმაგვარი დავაკოსოთო?

**მაგრამ ის, რაც ხელისუფლებამ საბჭოური პერიოდის ძეგლებთან დაკავშირებით იკადრა, ხშირ შემთხვევაში, უკვე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს ატარებს.**

ქუთაისში თავისთვის იდგა მემორიალი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნის პატივსაცემად იყო აღმართული. დავანებოთ თავი იმ ჭეშმარიტად მარაზმატულ „ნაციონალურ“ იდეას პარლამენტის ქუთაისში გადატანის თაობაზე (მსოფლიოს რომელ ქვეყანაში უნახავთ, ნეტავ, პარლამენტი დედაქალაქის გარეთ?); ისეთი გაშმაგებითა და სისწრაფით ააფეთქეს, უდანაშაულო დედა-შვილი საიქიოს გაისტუმრეს და ხომ არ გგონიათ, შერცხვათ, — მეორე დღესვე ტრაგედიის ადგილზე ბანერი გამოაკრეს — აქ აღიმართება პარლამენტის შენობაო. თქვენი და თქვენი აღმართულისაც...

**სტალინის ავტორიტეტი „ნაციონალებს“ ჯერ კიდევ მაშინ უქცევდათ ტვინში სისხლს, როცა ოქრუაშვილთან ერთად გორში საქეიფოდ ჩადიოდნენ ხოლმე. რამდენიმე მცდელობა ძეგლის აღებისა ჩაუფლავდათ (მათ შორის, რუსებისთვის ფულის გადახდის გზით), მაგრამ შემდეგ მაინც მიაღწიეს მიზანს ჩვეული ფლიდობითა და ჩუმად მიპარვით – ღამის სამ თუ ოთხ საათზე, გორის ცენტრის გადაკეტვით, პოლიციითა და აქტივისტებით.**

ჩემი მიზანი ნამდვილად არ არის სტალინის ადვოკატობა. მე არ ვთვლი თავს იმდენად კომპეტენტურად, რომ ობიექტურად და ყოვლისმომცველად შევაფასო, რამდენად კარგი ან ცუდი იყო სტალინი საქართველოსთვის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ უაღრესად წინააღმდეგობრივ ფიგურაში ლამის თანაბრად იყო შერწყმული დადებითი და უარყოფითი. ყოველ შემთხვევაში, როცა საქმე გაქვს პიროვნებასთან, რომელსაც მთელი მსოფლიო სცემს პატივს, თვით რუსების ჩათვლით, ხომ შეიძლება, სხვანაირად მოიქცე? სხვა საქმე არ გაქვს?

90-იან წლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას, ერთი ამერიკელი გავიცანი, ასე, 50-55 წლისა. რომ გაიგო, სტალინის სამშობლოდან ვიყავი, ამხელა კაცი ლამის თინეიჯერს ფეხზე წამომიდგა, ხელი ჩამომართვა და — ვამაყობ რომ სტალინის თანამემამულე გავიცანიო, — მითხრა. რას ვიფიქრებდი, თუ რამდენიმე წლის შემდეგ ეს კაცი შეიტყობდა (იმედია, ცოცხალია და კარგადაა), სტალინის ძეგლი მის სამშობლოში ღამით, ჩუმად მოხსნესო.

**რომში, ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილას დგას იმპერატორ ნერონის ძეგლი. სწორედ იმ ნერონისა, რომელმაც, გართობის მიზნით, თამაშ-თამაშით მთელი რომი გადაწვა. ის ხალხი თავის ისტორიას სცემს პატივს და არა მაინც და მაინც კონკრეტულ პიროვნებებს. გახსოვდეთ ეს, პიროვნებების ნაცვლად მათ ძეგლებთან მებრძოლო უდღეურებო!**

**არჩილ ჩხარტიშვილი**

# «ბედნიერი» ერი



◀ აღმდეგ ომს თუ მიშას ბაბუის ბაბუა?

დესპოტი და ტირანი იყო ნაპოლეონიც, მაგრამ ფრანგები მაინც მის სახელს იფიცებენ და იფიცებდნენ (მე არ ვამბობ, სტალინზე ვილოცოთ-მეთქი).

ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ჰუმანურ, კეთილ აშშ-ის პრეზიდენტ ბუშს (მაგან, მგონი, ერაყში ადამიანების უფლებები დაიცვა) და აზერბაიჯანის ყოფილ პრეზიდენტ ალიევს უფრო მეტი დამსახურება მიუძღვით კაცობრიობის წინაშე, რადგან მათი სახელობის ქუჩები და ძეგლები თუ ბიუსტები მოიძებნება ჩვენთან ...მსოფლიო პოლიტიკაშიც მათ უფრო დიდი კვალი დატოვეს, დაბოლოს, წარმოშობით, მგონი, ქართველებიც იყვნენ...

სტალინის ძეგლის ადგილზე აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების მემორიალი დაიდგმებაო;...მეტი ადგილი ვერ მონახეს საქართველოში. მანანა გამსახურდიასი არ იყოს, კიდევ ათი წელი გარდაცვლილებით მანიპულირება და საკუთარი უკანალის მოთბობა ჩვევად ექცათ. ამით ხალხიც თავს დაიმშვიდებს.

ნეტა რომელიმე გამო... ბულმა ნაციონალმა თუ გაუშვა თავისი, ფულით გატენილი ბიჭიკო ომში, სადაც ბიჭები იხოცებოდნენ?

**იაშა ჯუღაშვილი, ალბათ, სტალინის გერი იყო. და ფრაზაც — „ჯარისკაცს გენერალში არ ვცვლი“ — მიშას ეკუთვნის.**

მე არ ვარ ოპოზიციონერი, ერთი სასირეთიდან მეორეში გადასვლა ჩემი სტილი არაა. არც კომუნისტი ვარ და არც დამყაყებული კონსერვატორი. მე ჩემი აზრი მაქვს და ვილაცის ფულების, გავლენისა და კარგი მდგომარეობისათვის საკუთარ აზრს არ გავთელავ, რადგან 1000 ჩემნაირი ასე აკეთებს. მთავარი ხალხია, ქართველი ხალხი, ამაყი, ქედუხრელი, მტკიცე ქართველობა.

რასაც ჩასძახებ, იმას რომ ამოგძახებს მაშინვე. საკმარისია, რომელიმე გამოსირებულმა, დასავლეთში განათლებამიღებულმა „პეროიანმა“ რამდენიმე ხანი ტელევიზორიდან გიმტკიცოს, პედარასტი ხარო, და ყველაზე დიდი ქართველი ჯიგიტიც კალგოტკებს ჩაიცვამს, ალბათ.

**ჩვენ ხომ ისტორიის დამფასებელი ხალხი ვართ. ჩვენ პუტინს ვეჯიბრებით და მოვერევიიით!**

**ჩვენ მემორიალებს ვაფეთქებთ და ხალხსაც ვაყოლებთ ზედ.**

**ჩვენ მალე მიშას ძეგლს დავიდგამთ და სანთელს დავუნთებთ.**

გილოცავთ! ჩვენი გამოსირების ხარისხმა უკვე უსასრულობას მიაღწია... ...

გისურვებთ „კოსმოსამდე“ დასირებას!

**P.S. ავტორი მკითხველებს ორ ფოტოსურათს სთავაზობს და ასეთ შეკითხვას სვამს: რომელია ამათ შორის ინტელექტუალი?**

29 ივნისი — 6 ივლისი, 2010 წელი. №24 (67)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net





საავტორო სვეტი

# ძია ჯო და აშშ დოლარი

**ვარაუდების ყველაზე ცუდი თვისება ის არის, რომ ისინი მართლდება.**
**„განვითარებული მოვლენების ლოგიკიდან თუ გამოვალთ, ხელისუფლების მომდევნო სამიზნე შეიძლება გახდეს სტალინის ძეგლი გორში“, — ეს ფრაზა 6 თვის წინათ, ქუთაისის მემორიალის აფეთქების შემდეგ, დავწერე („საქართველო და მსოფლიო“ 24.12.09.), იმიტომ კი არა, რომ განსაკუთრებით შორსმჭვრეტელი ვარ (სინამდვილეში ახლომხედველი), უბრალოდ, უკვე მაშინ ცხადი იყო, თუ საით მიდიოდა საქმე.**

როდესაც სტალინის ძეგლის დემონტაჟი მიდიოდა, ვებ-კამერას გორის ცენტრალურ მოედანზე ჩვარი თუ ცელოფანის პარკი ჩამოაფარეს. როგორც ჩანს, ოპერაციის მონაწილეთა კოლექტიური ინტელექტი არასაკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ის, უბრალოდ, გაეთიშათ. ასე რომ, ნებისმიერ მსურველს შეეძლო მოესმინა უკმაყოფილო შეძახილები, რომლებსაც ტექნიკის ხმაურიც კი ვერ ფარავდა. **ოპერაცია ღამით განხორციელდა. დღისით ამის გაკეთების შნო რომ ჰქონოდათ, კიდევ შესაძლებელი იქნებოდა მსჯელობა „სიმბოლურ გამარჯვებაზე“, თუმცა ვაჟკაცობის ცნობილი დეფიციტი აქაც გამოვლინდა.**

სტალინს ჩემი ადვოკატობა არ სჭირდება, თანაც დამოკიდებულება მის მიმართ არაერთგვაროვანია და, ალბათ, უფლება არ მაქვს, რომელიმე პოზიცია გავამყარო; სჯობს, ერთად გავერკვეთ იმაში, თუ ვის და რატომ სძულს სტალინი. დავიწყოთ მისი ყველაზე წონადი მოწინააღმდეგეებით, რადგან შედარებით მომცრო ოპონენტები, ასე თუ ისე, მათ კმაყოფაზე იმყოფებიან. თემას, რომელსაც განვიხილავთ, იშვიათად ეხებიან, რადგან ის დღემდე აქტუალურია.

არის ასეთი მწვანე ქაღალდი, რომელსაც აშშ დოლარი ჰქვია და არის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც ხსენებულ დოლარს ბეჭდავს. დოლარს ეფუძნება საერთაშორისო ვაჭრობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი პრაქტიკულად არაფრით არაა უზრუნველყოფილი. იმაზე, თუ როგორ მუშაობს დოლარის პირამიდა და რა როლი შეასრულა მან გლობალურ კრიზისის წარმოქმნაში, წაკითხვა ბევრგან შეიძლება, მთავარი გარემოება კი შემდეგია: **ვიდრე ემისიის გლობალურ ცენტრს ადამიანთა ერთი ჯგუფი, ვიწრო წრე აკონტროლებს, ეს მათ ხელში პრაქტიკულად უკონტროლო, შეუზღუდავი (და უპასუხისმგებლო) ძალაუფლების კონცენტრაციას ნიშნავს; ამ, მაშინ ჯან-ღონით სავსე, სისტემის წინააღმდეგ წავიდა სტალინი 1950-იან წლებში.**

**ნაბიჯი პირველი:** 1950 წლის მარტში სსრკ-მა დაიწყო რუბლის კურსის განსაზღვრა საბჭოთა ფულის ოქროს შემცველობასა და ოქროზე ფასთან მიმართებაში;

**ნაბიჯი მეორე:** სსრკ-მა მეზობლებთან ვაჭრობა „ოქროს მანეთზე“ გადაიყვანა;

**ნაბიჯი მესამე** (ალბათ, ყველაზე საგულისხმო): 1952 წლის აპრილში მოსკოვში ჩატარდა კონფერენცია, რომელსაც აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებთან ერთად, ასევე, დაესწრნენ შვედეთის, ფინეთის, ირლანდიის, ისლანდიის, ავსტრიის, შვეიცარიისა და იუგოსლავიის დელეგაციები. **საბჭოთა დელეგაციის წინადადება იყო, ვაჭრობის გადაყვანა შვეიცარიულ ფრანკსა და ოქროს რუბლზე, პერსპექტივაში კი — საერთაშორისო ვაჭრობისთვის ახალი ვალუტის შემოღება ოქროს აუცილებელი შემცველობით. მოწოდება გაერთიანებისკენ დოლარისგან თავისუფალ ზონაში გაკეთდა როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ;**

**ნაბიჯი მეოთხე:** არ დასცალდა, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა ამ პოლიტიკის შემდგომი გაგრძელება ვერ მოახერხეს. ფაქტი ერთია — არავის, არასოდეს არ შეუქმნია დოლარისთვის და ბანკირებისთვის ფედერალური სარეზერვო სისტემიდან ასეთი მასშტაბის საფრთხე. შარლ დე გოლის გვიანდელი ამბოხი მათ წინააღმდეგ ამასთან შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდია. **ყოფილმა სემინარისტმა გლობალური ალტერნატიული პროექტი „დადო“ და მისი სწრაფი ხორცშესხმა დაიწყო. ადამიანები, რომელთა ძლიერება დოლარს ეფუძნება, ამას, ალბათ, არასდროს აპატიებენ; სტალინმა ისინი რეალურად შეაშინა.**

მწვანე ქაღალდისგან გათავისუფლების დღევანდელი მცდელობები, 60 წლისწინანდელი პროექტების ფერმკრთალი ანარეკლია. გამორიცხული არაა, ამ პროექტებმა მომავალში ხორცი შეისხას; დოლარი ხომ თვალსა და ხელს შუა გვეცლება. ამ მხრივ, სტალინის საქმე, ძველად რომ იტყოდნენ, ცოცხალია.

**ისე, ძია ჯოზე უამრავი საინტერესო ისტორია არსებობს, თუმცა ეს, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.**

**დიმიტრი მონიავა**

# ვერას ფახლავა, ანუ სექტემბერს ცრემლების არ სჯერა

**„ვნანობ, რომ 5 წლის არ ვარ, რომ შაშკინის წესების მიხედვით შევიდე ამ სკოლაში“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 25 ივნისს „კავკასიის ფრანგული სკოლის“ გახსნაზე. გამორიცხული არაა, რომ მილიონობით სხვა ადამიანი, მთელი პროგრესული კაცობრიობაც კი, ასევე მწარედ ნანობს, რომ მიხეილ სააკაშვილი 5 წლის არაა. თუმცა, ფართოდ გავრცელებული თეორიის თანახმად, ადამიანს ორი ასაკი აქვს — საპასპორტო და ფსიქოლოგიური: პენსიონერი შეიძლება სულით მხნე და, შესაბამისად, ახალგაზრდა იყოს; ხოლო სტუდენტი — ცხოვრებისგან გადაღლილი და მარაზმში ჩავარდნილი. თუ ამ თეორიის ფარგლებში დავრჩებით, გასული კვირის მოვლენებმა შეიძლება მყარი ეჭვი გაგვიჩინოს იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი მისთვის ესოდენ სანატრელ სკოლამდელ ასაკს განუხრელად უახლოვდება.**



ვერამ „გადაწყვიტა, რაიმე მოემოქმედებინა“

## სწავლის ძირი ძვირი არის

**„ეს სკოლა არის მაგალითი იმისა, თუ რა უნდა გავაკეთოთ მომავალში. ეს არის პირველი მაღალი დონის სკოლა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ასეთი 300-400 სკოლა რომ გვექნება, მაშინ ვიტყვით, რომ ევროპული დონის განათლებაზე გადავედით. მაგრამ მთავარია, დავიწყოთ“** („ინტერპრესნიუსი“), — ფრიად პათეტიკურად საუბრობდა მიხეილ სააკაშვილი და ამით გვიღვივებდა სურვილს, გავრკვეულიყავით, თუ რას აკეთებს ასეთს.

იმ სკოლაში, რომელსაც რეკლამას უწევდა, **„სწავლის საფასური წელიწადში 4200 ევრო იქნება“** („მედიანიუსი“). ცხადია, ამ მოცულობის ხარჯის გაწევა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეეძლება. **300-400 „ასეთი სკოლის“ შექმნის იდეა, ალბათ, ლოგიკას ეწინააღმდეგება, თუმცა, თუ ყურადღებას კიდევ ერთ ახალ ამბავს მივაქცევთ, ყოველივე ამის მიღმა შეიძლება საკმაოდ მწყობრი, თანაც ცინიკური, ლოგიკა დავინახოთ.**

საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების თანახმად, უმაღლესი სასწავლებლების შემოსავლები დამატებითი ღირებულების გადასახადით დაიბეგრება. **„მთავრობა წავიდა ამ ნაბიჯზე შემოსავლების გაზრდის მიზნით. სწავლაზე ხელმისაწვდომობა გარკვეულწილად, ცხადია, შემცირდება. გაიზრდება სწავლის ღირებულება, რომელსაც დაემატება დამატებითი ღირებულების გადასახადი“,** — განაცხადა კახა ბენდუქიძემ („ინტერპრესნიუსი“) და დასძინა, რომ, მისი ინფორმაციით, დღგ-თი დაიბეგრებიან მუსიკალური და სპორტული სკოლებიც. **უმაღლესში სწავლის საფასური აქამდეც დიდი იყო და ბევრ ოჯახს მისი გადახდა ძალიან უჭირდა, ახლა კი უამრავი ადამიანი, ალბათ, იძულებული გახდება, უმაღლეს განათლებაზე საერთოდ უარი თქვას.**

ძვირი სკოლა, ძვირი უნივერსიტეტი, „განათლება მდიდრებისთვის“ საზოგადოების შეცვლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია. რა არის ეს — მთავრობის ტაქტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ზოგიერთი მინისტრის თავივით ცარიელი ხაზინის შევსებას ემსახურება თუ მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გადაქცევას დაბალი კვალიფიკაციის მქონე, მცირე ანაზღაურებაზე თანახმა მუშა-მოსამსახურეებად, უფრო მოკრძალებული პრეტენზიებით, ვიდრე ფარაონების მონებს ჰქონდათ?

**უნდა აღინიშნოს, რომ დედამიწის ზურგზე, ალბათ, არ არსებობს საზოგადოება, რომელიც უმაღლესი განათლების მიღების უფლების წართმევას თუ არა, მნიშვნელოვან შეზღუდვას ასეთი ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდებოდა. სააკაშვილის ხელისუფლება ხომ მხოლოდ იმას აკეთებს, რის უფლებასაც მას საზოგადოება აძლევს; თუ იგი დარწმუნებული იქნება, რომ მის ინიციატივას სწავლის გაძვირების მიმართულებით წინააღმდეგობა შეხვდებოდა, ამ ნაბიჯს, ალბათ, არც გადადგამდა.**

განათლების გარეშე დარჩენილი აბიტურიენტების პრობლემებით, როგორც ჩანს, ახლადშექმნილი ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო დაკავდება, რომელსაც შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლადო ვარძელაშვილი უხელმძღვანელებს. თან ახალგაზრდაა და თან მის სპორტულ მონაცემებზე ლეგენდები დადის, კერძოდ იმ სისწრაფეზე, რომლითაც აგვისტოს ომის დროს გორიდან გაუჩინარდა. ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის თქმით, **„გუბერნატორსა და მის მოადგილეს დიდი ხანი ვერ პოულობდნენ ცენტრალურ ხელისუფლებაში, ამიტომ შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებლად ალექსანდრე მაისურაძე დანიშნეს. მაისურაძის დანიშვნის შემდეგ გუბერნატორი ვარძელაშვილი და მისი მოადგილეები იძულებული გახდნენ, გამოჩენილიყვნენ“** ). აგვისტოს ომის მონაწილის, პოლკოვნიკ ანდრეი კრასოვის ცნობით, რუსეთის 76-ე სადესანტო-მოიერიშე დივიზიის მეთაურმა ვარძელაშვილის კაბინეტის კედელზე საქართველოს ისტორიისთვის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო წარწერა დატოვა: **Губернатор, вернись к своему народу, трус! (გუბერნატორო, დაბრუნდი საკუთარ ხალხთან, შე ლაჩარო!)** (Zaotechestvo.ru). იმედია, ახლადდანიშნული მინისტრი გაუზიარებს ახალგაზრდებსა და სპორტსმენებს თავისი მდიდარი საბრძოლო ბიოგრაფიის დეტალებს; გაფანტავს ეჭვებს, რომლებიც შეიძლება ყოველივე ამის წაკითხვის შემდეგ გაუჩნდეთ და უპასუხებს იმ მრავალრიცხოვან კითხვებს, რომელიც შიდა ქართლში მის მოღვაწეობას უკავშირდება. ჩვენ კი, თავის მხრივ, ასევე კეთილგანწყობილად აზრადაც არ გავივლებთ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ახლადშექმნილი სამინისტროს საფარქვეშ (თითქოსდა) ახალგაზრდებისგან და სპორტსმენებისგან ზონდერ-ბრიგადების შექმნა იგეგმება.

თუმცა საინფორმაციო სივრცეში ვარძელაშვილის დაწინაურება, სრულად დაჩრდილა ეკონომიკისა და მდგრადი (?) განვითარების (?) მინისტრის პოსტზე ვერა ქობალიას (?) წარდგენამ.




ГУБЕРНАТОР, ВЕРНИСЬ К СВОЕМУ НАРОДУ, ТРУС!

## ვერა და ფახლავა

**ვერა, ვერა... ვინ იცის, იქნებ მისი მოკრძალებული ღიმილის მიღმა მომავალი ინდირა განდი ან სულაც სირიმავო ბანდარანაიკე იმალება, თუმცა მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი აშკარად დაზუსტებას საჭიროებს.** გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **„ქობალია მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციებზე კანადის ბიზნეს-კომპანიებსა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში. მას აქვს კანადაში ქართული პურის ბიზნესი“.** დავიწყოთ იმით, რომ ის ისეთივე ქართული პურის ბიზნესია, როგორც რუსულის ან უკრაინულის; კომპანია „European Breads Bakery“-ის პროდუქტების ასორტიმენტში რუსული პურის (ისევე, როგორც უკრაინულის) ორი სახეობაა „R“ და „R“, ხოლო ქართულის მხოლოდ ერთი — „G“.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ასორტიმენტში ფახლავაც არის. ფახლავა გამოიყურება კარგად! (წყარო: კომპანიის საიტი Europeanbreads.com).

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ასე რომ 2:2, შევთანხმდეთ იმაზე, რომ სლავებს არ დავუთმეთ და იმაზეც, რომ ეს არ არის „ქართული პურის ბიზნესი“, არამედ ევროპული პურის ბიზნესია, რასაც კომპანიის სახელწოდება ცხადყოფს (ღმერთო ჩემო, ნეტავ, რა კავშირშია ყოველივე ეს მრავალტანჯულ ეკონომიკის სამინისტროსთან და ჩვენ სადისტურად ნაწამებ ეკონომიკასთან?).

განვაგრძოთ: **ვერას მთავარ მიღწევად ოთარ ქობალიას მიერ 2001 წელს დაფუძნებულ კომპანიაში სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს პურის შეფუთვა ეკოლოგიურად უსაფრთხო პაკეტებში, რაზეც ენთუზიაზმით წერდა კანადელი ხაბაზების გამოცემა „Bakers Journal“. ეს იდეა მას შემდეგ მოუვიდა, რაც ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის — ელ გორის ლექცია მოისმინა, როცა ამ ღირსმა ჯენტლმენმა გამოთქვა აზრი იმის თაობაზე, რომ პლასტიკური პაკეტები დედამიწის ეკოლოგიას უდიდეს საფრთხეს უქმნის. ვერამ „გადაწყვიტა, რაიმე მოემოქმედებინა“, — კითხულობ ხაბაზთა გამოცემა „Bakers Journal“-ის ამ დრამატულ სტრიქონებს და თვალზე გულწრფელი ცრემლი გადგება: ერთის მხრივ, პლასტიკური პაკეტების ალვირახსნილი ბიზნესით გამდიდრებული მონსტრი კორპორაციები და მათი საზიზღარი დამქაშები, მეორეს მხრივ კი — ვერა, მხოლოდ ვერა...**

ემოციების ასეთი მოზღვავების დროს რამის შეჭმა, უბრალოდ, აუცილებელია. საიტი Europeanbreads.com გვამცნობს, რომ პურ-პროდუქტების შესაძენად, უნდა მივწეროთ მისამართზე Vera@europeanbreads.com. თქვენი არ ვიცი, პირადად მე ფახლავა მირჩევნია. ვზივარ ახლა, წერილს ვწერ კომპანიას და შესაბამისად — ვერას: ფახლავა 20 კგ. ფუნთუშა 250 ც. რულეტი ქიშმიშით...

რაც შეეხება „სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციებს კანადის ბიზნესკომპანიებში“, ჯერჯერობით ის აღმოვაჩინე, რომ **ვერა ქობალია მუშაობდა ჰარუნ ტასკის თანაშემწედ, რომელიც თავის მხრივ „Venus DSH“-ში მარკეტინგის დირექტორის პოზიციას იკავებდა; შესაბამისად, ძრავების და ლითონის ათასი სხვა ნაკეთობის გასაღებაზე დაუღალავად ზრუნავდა.**

როდესაც ხუთი თვის წინათ ბრიტანულ კოლუმბიაში საქესთან ჯდომის დროს ტელეფონის გამოყენებისთვის ჯარიმა დააწესეს, „ვერა ქობალიამ თქვა, რომ ამ ახალი წესებისთვის მადლობელია. „ჩემი და მძღოლია, იგი ტელეფონს მუდამ იყენებს. როგორც მგზავრი მის მანქანაში თავს ყოველთვის საფრთხეში ვგრძნობ“ („Metro Vancouver“). იმის შესახებ, დააჯარიმეს თუ არა ვერას და, მართვის მოწმობა ჩამოართვეს თუ კანადის პოლიციამ, უბრალოდ, ჩაინიშნა საშიში მძღოლის ვინაობა, მატიანე დუმს.

**ცნობები 28 წლის ვერა ქობალიას განათლების თაობაზე ჯერჯერობით ბუნდოვანია, თუმცა ძიება გრძელდება. ძალიან მომთხოვნებიც ნუ ვიქნებით, ბოლოს და ბოლოს, ეკონომიკას თუ ვერაფერს უშველის, პურს მაინც გამოაცხობს, სამინისტროს შენობა ამისთვის საკმაოდ გამოსადეგი ჩანს.**

ახლა კი რამდენიმე სერიოზული შტრიხი იმ ირონიული განწყობისთვის, რომელიც მთავრობაში საკადრო ცვლილებებს თან სდევდა: 1) იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის გადახალისებას სააკაშვილი, როგორც წესი, ორ ეტაპად ახდენს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „კარუსელი“ კიდევ ერთხელ დატრიალდება. ზოგიერთი ვარაუდით, დაფაზე შეიძლება წინ წაწიონ დიმიტრი შაშკინის ფიგურა; შესაძლოა, გადაადგილება სახელმწიფო მინისტრებსაც შეეხოს. 2) სააკაშვილის ადმინისტრაციის გაძლიერებაზე მიმართული ძალისხმევა ერთ კონტექსტში სხვა ახალ დანიშვნებთან, გარკვეული თვალთახედვით, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ვანო მერაბიშვილის გავლენის შესუსტებაზე ორიენტირებული მოქმედება, თუმცა საბოლოო დასკვნის გაკეთება მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, როცა გამოიკვეთება, თუ რა ფუნქციები მიენიჭება ახალ პოზიციებზე მოყვანილ პირებს და მათ სტრუქტურებს.



EUROPEANBREADS.COM — ეს არ არის „ქართული პურის ბიზნესი“, არამედ ევროპული პურის ბიზნესია, რასაც კომპანიის სახელწოდება ცხადყოფს

## სექტემბერს ცრემლების არ სჯერა

**პარასკევს „ეროვნულმა ფორუმმა“ კონფერენცია გამართა. სიმართლე რომ ვთქვათ, ადრინდელ განცხადებებში ივნისში ყრილობის გამართვით იმუქრებოდნენ, თუმცა კონფერენციაც საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა, ხოლო უფრო მასშტაბური (იდეაში) — ყრილობა, ისევე, როგორც აქციები, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით, სექტემბრისთვის გადაიდო.**

„ეროვნულ ფორუმს“ ოპოზიციურ სპექტრში, ალბათ, ის გამოარჩევს, რომ აქამდე ფატალური სტრატეგიული შეცდომები არ დაუშვია, თორემ ტაქტიკური — საკმაოდ ბევრი, თავზესაყრელი და იმავე თავში სახლელიც. თუმცა 25 ივნისის გამოცდა მათ ჩააბარეს: კონფერენციის დარბაზი გადაჭედილი ჩანდა, კოლონამ რუსთაველზე კარგად ჩაიარა. მთლად მარიუსის ლეგიონებს არ მოაგონებდნენ, თუმცა იმ ფონზე, როდესაც სხვა ოპოზიციურ პარტიებს ქუჩაში ათასამდე ადამიანის გამოყვანა უჭირთ, ეს მნიშვნელოვან წარმატებად წარმოჩინდა. რაც მთავარია, გაისმა მკაფიო განცხადებები სექტემბრის აქციებთან დაკავშირებით და ბრძოლის გამწვავების დაპირებები, რომლებიც, თუნდაც ნაწილობრივი რეალიზების შემთხვევაში, შემოდგომაზე მწვავე პოლიტიკურ დაპირისპირებამდე მიგვიყვანენ. ისე, რამდენიმე მომენტი დაზუსტებას მოითხოვს.

**მოქმედების წინასწარი გეგმისა და ვადების წინასწარი ანონსი ქართული ოპოზიციის ისტორიაში ყოველთვის ცუდად სრულდებოდა. ხელისუფლებას ეძლევა დრო მომზადებისთვის. მან მართული ოპოზიციური ჯგუფების მეშვეობით შეიძლება შეეცადოს გაღიზიანებული ხალხი სხვა, ერთი შეხედვით უფრო რადიკალური, სინამდვილეში კი ჩიხური მიმართულებით წაიყვანოს. აქ ორი ვარიანტია: ან „ფორუმი“ სექტემბერში ტაქტიკურ სიურპრიზებს შემოგვთავაზებს, ან კიდევ მის მიერ აგორებული ტალღა დაცხრება.**

რამდენად სერიოზული ბერკეტები გააჩნია ხელისუფლებას იმისთვის, რომ „ფორუმის“ მიერ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაზე იმოქმედოს. ამ შემთხვევაში შეფასებები განსხვავდება: ზოგი ამ გავლენას აბსოლუტურად მიიჩნევს, ზოგიც — ნულოვნად; ინდიკატორის როლის შესრულება, ამ შემთხვევაში, სამ ფაქტორს შეეძლება: ა) „ფორუმის“ მოქმედებების ლოგიკური თანმიმდევრულობა; ბ) ხელისუფლების რეაქცია; გ) სხვა ოპოზიციური პარტიების დამოკიდებულება „ფორუმის“ მიმართ (იქნება ეს მწვავე კრიტიკა, საბოტაჟი თუ მისთვის სექტემბერში ინიციატივის წართმევის მცდელობა).

ქუჩაში ხალხის კრიტიკული მასის გამოყვანა ხუმრობა საქმე სულაც არ არის. შესაძლოა, სექტემბერში, „პირველად საქართველოს ისტორიაში“, ჩვენ ვნახავთ სიტუაციას, როდესაც საპროტესტო გამოსვლებს არა რამდენიმე, არამედ მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალა წარმართავს. ამ შემთხვევაში ყბადაღებულ „პასუხისმგებლობას მომდევნო პროცესებზე“ ძალიან კონკრეტული ადრესატი ეყოლება, რაც „ფორუმისთვის“ საკუთარი ბედის სასწორზე შეგდებას ნიშნავს. ჩააბარებს თუ არა ის ამ გამოცდას, სულ რაღაც ორ თვეში ვნახავთ.

**დიმიტრი მონიავა**

# პიედესტალიდან სახრჩობელამდე ერთი ნაბიჯია



**გორში სუფრასთან „დიდი სტალინის“ სადღეგრძელოს შესმა ისეთივე სავალდებულო რიტუალად ითვლებოდა, როგორც ეკლესიაში შესვლისას — პირჯვრის გადაწერა. მკრეხელობაა ასეთი შედარება? გეთანხმებით, მაგრამ იყო ასეთი დრო. ის დროც ახსოვთ გორელებს, როცა „პატარა სტალინის“ — ოქრუაშვილის სადღეგრძელოს თვით უავგუსტესი მიხეილ სააკაშვილის ხოტბა-დიდებაზე უწინ ამბობდნენ. ახლა კი დრო შეიცვალა, სხვა სიომ დაქროლა...**

საქართველოში არასოდეს ყოფილა ერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოჩენილი ადამიანების მიმართ. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ გიორგი სააკაძე და იოსებ სტალინი. ამ ისტორიული პიროვნებებით მოხიბლული ადამიანებისთვის თვით ის ფაქტი, რომ ორივემ სამშობლოს შესწირა შვილი, უკვე ერთმნიშვნელოვნად მათ სიდიადეზე მიანიშნებდა.

**სხვათაშორის, გიორგი სააკაძისგან განსხვავებით, რომელსაც სანუკვარი ოცნების — საქართველოს გაერთიანების — ასრულებისთვის შესაფერისი დრო და გარემოება არ უწყობდა ხელს, იოსებ სტალინმა შეძლო მთელი ეპოქა შეექმნა, რასაც სტალინიზმს უწოდებენ.**

აქვე მინდა მკითხველს ერთი ფაქტი შევახსენო, რომელსაც თვითმხილველები გაოცებულები იგონებდნენ: თავისი ვაჟის — ვასილის საქციელით თავმობეზრებულმა ბელადმა ნაბოლარა კაბინეტში დაიბარა, კრემლის ფანჯრიდან გაახედა, მოპირდაპირედ მდგარ შენობაზე გაკრულ უზარმაზარ პლაკატზე მიუთითა და უთხრა: მე არა ვარ სტალინი და, მით უმეტეს, შენ არ ხარ სტალინი, თავს რამდენის უფლებას აძლევ! სტალინი, აი, ის არის! ანუ იოსებ სტალინს კარგად ესმოდა, რომ სისტემა, რომლის შექმნისთვის ძალისხმევას არ იშურებდა და, კაცმა რომ თქვას, უშუალოდ თვითონ შექმნა, მისგანაც მოითხოვდა მსხვერპლს.

რატომ გამახსენდა ეს ისტორია ახლა, როცა სტალინის ძეგლი მის მშობლიურ გორში აიღეს და, როგორც შევიტყვეთ, გორის სატანკო ბატალიონის ყოფილ ტერიტორიაზე გადაიტანეს? იმიტომ ნამდვილად არა, რომ ეს ტერიტორია ახლა სამხარეო პოლიციას ეკუთვნის და სპეცრაზმიც იქ არის განთავსებული; არც იმის იმედი მაქვს, რომ სამართალდამცავები განსაკუთრებით მოუფრთხილდებიან ბრინჯაოს უზარმაზარ ქანდაკებას. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების იდეოლოგების მიზანმიმართული ქმედებები — ერთხელ და სამუდამოდ ამოშანთონ ხალხის მეხსიერებიდან ისტორიული მემკვიდრეობა, ერთხელ და სამუდამოდ წაშალონ საქართველოს ისტორიიდან მთელი ეპოქა — სწორედ ამ დღეებში გამოვლინდა მთელი ცინიზმით.

სადაც უნდა აელოთ სტალინის ძეგლი (და აიღეს კიდეც ტყიბულში), ნაცხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან წარმატებად არ აღიქმებოდა. მთავარი იყო გორის ცენტრიდან გაეტანათ ისტორია. დიახ, ისტორია, თორემ სტალინისთვის, რომელსაც კარგად ესმოდა თავისი როლი ისტორიაში, სულ ერთი იყო, ძეგლს გორის ცენტრში დაუდგამდნენ თუ მუზეუმის ეზოში. ალბათ, ბევრს აღარც ახსოვს, რომ თავის დროზე, სანამ ცხინვალს სტალინირს დაარქმევდნენ, მანამდე ამ სახელის მინიჭება გორისთვის სურდათ და ამ თხოვნით კრემლში სტალინსაც მიმართეს. იქიდან რა პასუხი მიიღეს დღევანდელი გორელების წინაპრებმა, აქ არ ვიტყვი, მაგრამ მხოლოდ მიგანიშნებთ — პასუხი ის იყო, რასაც ახლა თვითონ გორელები ზოგიერთ გორელზე ფიქრობენ და როგორც მოიხსენიებენ.

**სტალინის ძეგლის აღების ფორმა უკვე ნათლად ადასტურებს დღევანდელი ხელისუფლების მიზანს — ბრძოლა ავტორიტეტებთან გრძელდება და თან ისეთი ფორმებით, რომ დემოკრატებად წარმოჩინდნენ. ვითომ პიროვნების კულტს ებრძვიან, სინამდვილეში კი სწორედ ამ კულტის დამკვიდრებას ესწრაფიან. რევოლუციური ხელისუფლება ენერგიულად ცდილობს სიცრუის, ძალადობისა და შიშის დამკვიდრებას. სტალინის ძეგლის აღება, დატოვება ან გადატანა ნაკლებად მნიშვნელოვანია „ცინიკური ძალადობის კულტის“ იმგვარად აღორძინებასთან შედარებით, რასაც დემოკრატიად გვისაღებენ.**

ხელისუფლება კარგად ხვდება, რომ ხალხის მასობრივი „დაბოლება“ აღარ გამოსდის და ცდილობს, ვითარება არ გაამწვავოს — ძველი თარიღით აფორმებენ საკრებულოს გადაწყვეტილებას, საჯარო მოხელეებს, პედაგოგებს იბარებენ და აიძულებენ, ხელი მოაწერონ მოთხოვნას ძეგლის გადატანის შესახებ.

**ხალხი დაიზაფრა, შინაგანი პროტესტი გაუჩნდა, განსაკუთრებით უფროს თაობას, მაგრამ ძალით მოხნული აღმართის ამბავი ხომ იცით... გაჩუმდა.**

ერთი ვეტერანი ტიროდა კიდეც, ახალგაზრდები კი დარჩენილ პიედესტალს არც თუ კარგ პერსპექტივას უწინასწარმეტყველებენ. მაგალითად, ასეთ კომპოზიციას: **კურტაკით, ჰალსტუხით, „ბრონეჟილეტით“, კურდღლებიანი „როლექსით“, მწვანე „რეიტუზით“, „პომოჩებითა“ და წყალბურთელის „ჩეფჩიკით“... ერთი ხელიდან შადრევანი ამოჩუხჩუხებს, მეორე ხელში დასაგდებად გამზადებული მწვანე კომპიუტერი უკავია! უკან თხილამურებია აყუდებული, წინ — ტრიბუნა საქართველოს გერბით.**

მიხვდით, ალბათ, ვისაც გულისხმობენ. რა, გასაკვირი იქნება? დადგამს სტალინის ძეგლის კვარცხლბეკზე თავის ძეგლს და გვეტყვის: დასავლეთმა „დემოკრატიის შუქურად“ მაღიარა და ძეგლი დამიდგესო. მე თქვენ გეტყვით, მონა-სპა არ დაუჯერებს, თუ რა?!

არ დაუჯერებთ? გაექანება და პიედესტალზე თვითონ შეხტება. ჭკუა დაუშლის თუ?!

**ახლა სხვა ძეგლების დროც დადგება. ზემოთ შემთხვევით არ მიხსენებია გიორგი სააკაძე. მალე მის ძეგლსაც მიადგებიან... ალბათ, ცხენს ხელს არ ახლებენ, დასჭირდებათ: შესვამენ ზედ ჯორჯ ბუშს კოვბოის მათრახით და გაგვაჭენებს დემოკრატიის უკიდეგანო ველებზე... გზას „შუქურა“ გაგვინათებს...**

ასეა, დრო იცვლება, იცვლებიან ადამიანები და, ღირებულებათა საყოველთაო გადაფასებასთან ერთად, ისტორიისა და ისტორიულ პიროვნებათა ღვაწლის გადაფასებასაც არ ერიდებიან.

ძეგლებს იღებენ, მაგრამ პიედესტალები რჩება და პატრონებს იცვლის, ხელისუფალთ კი ავიწყდებათ, რომ პიედესტალიდან სახრჩობელამდე ერთი ნაბიჯია.

**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ქართველი სერჟანტი თავშესაფარს რუსეთის ხელისუფლებას სთხოვს

**გასულ კვირას, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანმა დავით დავითაშვილმა რუსეთის ხელისუფლებას წერილით მიმართა და თავშესაფარი სთხოვა. გვარდიის დეპარტამენტის სერჟანტ დავით დავითაშვილს ბინიდან, რომელშიც 1999 წლიდან მეუღლესთან და სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს, დღეს (30 ივნისს) გამოასახლებენ, სამსახურიდან კი იგი უკვე დაითხოვეს. როგორც თვითონ აცხადებს, მისი ოჯახი საქართველოს ხელისუფლებამ მარტო სახლ-კარის კი არა, ლუკმაპურის გარეშეც დატოვა. რატომ გახდა იძულებული 2008 წლის ომის მონაწილე, ეს გადაწყვეტილება მიეღო და რატომ აპირებს იგი სამი მცირეწლოვანი შვილითა და მეუღლით ქვეყნის დატოვებას, ამის გასარკვევად დავით დავითაშვილს ვესაუბრეთ.**

## რატომ აიძულა ხელისუფლებამ რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე, ქვეყნიდან გაქცეულიყო

— ვარ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი. ყველა ომში ვმონაწილეობდი. მათ შორის, 2008 წლის ომშიც. 1999 წლიდან ვცხოვრობ მუხიანში, ბინაში, რომელიც ოფიციალურად 2006 წელს გადაეცა სამხედრო უწყებას — თავდაცვის სამინისტროს. დღეს იქიდან მასახლებენ, სამსახურიდანაც გამათავისუფლეს იმ პრინციპით, რომ „არ არის კაცი, არ არის პრობლემა". ამის გამო მივედი ამ უკიდურეს მდგომარეობამდე.

**— რატომ გამოგასახლეს ამ ბინიდან?**

— ჩემი გამოსახლება უკანონოდ მოხდა. მიზეზი ჩემთვის არავის განუმარტავს. ალბათ, იმიტომ, რომ ეს ბინა უკანონოდ გადასცეს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელს, ყალბ საბუთებზე დაყრდნობით, თითქოს ის იყო ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, მისი მეუღლე კი იყო ომში დაღუპული.

მე დავუმტკიცე, რომ ეს სიყალბე იყო, რადგან ეს ქალბატონი 1997 წლიდან მუშაობს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტში მდივან-მემანქანედ და არც მისი მეუღლე დაღუპულა ომში. ეს საბუთები მოვიძიე და წარვუდგინე სასამართლოს, მაგრამ თავდაცვის სამინისტრო ჩაერთო დავაში და ეს ბინა გადაეცა თავდაცვის სამინისტროს განსაკარგავად. სამინისტრომ კი გადაწყვიტა ჩემი გამოსახლება. შვიდი წელი მიმდინარეობდა სასამართლო, მაგრამ სამართალი ვერსად ვიპოვე.

**— თუნდაც ეს ქალბატონი ყოფილიყო შეიარაღებული ძალების ვეტერანი და მისი მეუღლე კი ომში დაღუპული, თქვენც ხომ გეკუთვნოდათ ბინა, რატომ არ დაგაკმაყოფილეს?**

— 2007 წელს თავდაცვის სამინისტროში შედგა საბინაო კომისია, რომელმაც დაადგინა, რომ ამ ბინიდან არ გამომასახლებდნენ, სანამ არ მოხდებოდა ჩემი სათანადო ფართით დაკმაყოფილება. 2009 წელს ისევ განაახლეს ეს საქმე, დადგა ჩემი გამოსახლების საკითხი, საბინაო კრების ოქმი კი გადამალეს.

**— აღმასრულებელს აქვს გადაცემული ეს საქმე?**

— დიახ, დღეს უნდა მოსულიყვნენ გამოსახლებაზე, მაგრამ დამირეკეს, რომ 30-ში აღსრულდება გამოსახლება.

**— ამის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას თუ შეატყობინეთ?**

— მივწერე პრეზიდენტს, თავდაცვის მინისტრს, გვარდიის დეპარტამენტის უფროსსაც. 10 დღის შემდეგ დამიბარა აპარატის უფროსმა პაატა გიორგაძემ და მითხრა, რომ პატაკი უნდა დამეწერა შეიარაღებული ძალებიდან წასვლაზე. ვთხოვე, ამას ვერ დავწერ, ოჯახი მყავს, დიდი ღვაწლი მაქვს სამშობლოს წინაშე, სხვა სამსახურში გადასვლაზე დავწერ პატაკს-მეთქი. მართლაც, დავწერე: გთხოვთ, გამათავისუფლოთ ეროვნული გვარდიის დეპარტამენტიდან სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით-მეთქი. მეორე დღესვე მომცეს გადასვლის ნებართვა, მაგრამ ამ ყველაფერს თავისი ვადა აქვს. ჯერ ჩემი საბუთები უნდა გაიგზავნოს, განიხილონ... მაგრამ გადაყვანის ნაცვლად მათ მაინც გამათავისუფლეს. რომ ვიკითხე, რატომ გააკეთეს ეს, მიპასუხეს, გვარდიის სამმართველოდან დაგვავალეს, რომ შეიარაღებული ძალებიდან გაგათავისუფლოთო. ბოლოს ისევ მივწერე თავდაცვის მინისტრს, გთხოვთ, შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და განიხილოთ ეს საკითხი-მეთქი. მან ისევ დაავალა იურიდიულ და ლოჯისტიკის დეპარტამენტებს, მაგრამ იქიდან პასუხიც კი არ მიმიღია. რადგან ჩემი ხელისუფლება ყურადღებას არ მაქცევს, გადავწყვიტე, ეს ნაბიჯი გადამედგა.

**— თქვენ 2008 წლის ომშიც მონაწილეობდით?**

— დიახ, 2008 წლის ომში მეოთხე ქვეითი ბრიგადის შემადგენლობაში ვიმყოფებოდი. 1991 წლიდან ვარ შეიარაღებულ ძალებში, სადაც ცხელი წერტილი იყო, ყოველთვის იქ ვიყავი. ამასთან ერთად, 2006 წელს ერაყშიც გახლდით, სამშვიდობო მისიით. მაქვს „აიპაპის", ასევე, „სამშვიდობოსა" და „მაშველთა" სერთიფიკატები; ქუვეითში გავიარე ანტიტერორისტული სწავლება.

**— ანუ საკმაოდ მომზადებული და პროფესიონალი კადრი დაკარგა სამინისტრომ თქვენი სახით, რად ულირდათ მათ ეს, ბინებს ხომ უპრობლემოდ აძლევენ ომის მონაწილეებს?**

— არ ვიცი, რად ულირდა. ალბათ, პრინციპის საკითხია მათთვის, რადგან, როცა სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა, თავდაცვის სამინისტროს ყველა დოკუმენტი წარვუდგინე და დავუმტკიცე, რომ მათი საბუთები ყალბი იყო. ჩემი აზრით, არსებობს რაღაც დაინტერსება, ქრთამი რომ არ იყოს აღებული ამ საქმეში, ერთი ბინის გამო ასეთი რამ არ მოხდებოდა.



დავით დავითაშვილი:

### გუანტანამოს პატიმრებს, რომლებიც აქ ჩამოიყვანეს, უკეთეს პირობებში ამყოფებენ, ვიდრე ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებს



დავით დავითაშვილი ერაყში, 2006 წ.

**— რა ფორმით მიმართეთ რუსეთის ხელისუფლებას და რა პასუხი მიიღეთ მისგან?**

— წერილი მივწერე, რომ ჩვენი ხელისუფლება მავიწროებს, სახლიდან მაგდებს და გთხოვთ, თავშესაფარი მომცეთ-მეთქი. მივიღე პასუხი, რომ ამ დღეებში განიხილავენ საკითხს და მაცნობებენ.

**— საქართველომ მიიღო რამდენიმე რუსი ჯარისკაცი, ისინი, ვინც რუსულ-ქართულ ომში მონაწილეობდა; გგონიათ, რომ რუსეთიც გამოიჩენს კეთილგანწყობას იმ ადამიანის მიმართ, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობდა, მოგცემთ თავშესაფარს და იქ კარგ პირობებს შეგიქმნით?**

— მაგის გარანტია არ მაქვს, მაგრამ არ ვიცი, სხვა გზა არ დამრჩენია. ვეტერანს, რომელსაც ჩემი ქვეყნის წინაშე დიდი ღვაწლი მაქვს, უმუშევარს მტოვებენ, სამი მცირეწლოვანი შვილით ქუჩაში მაგდებენ. დღეს ჩემს შვილებს რა ვაჭამო, არ ვიცი, როდემდე დამეხმარებიან ახლობლები? გუანტანამოს პატიმრებს, რომლებიც აქ ჩამოიყვანეს, უკეთეს პირობებში ამყოფებენ, ვიდრე ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებს. ასეთ მდგომარეობაში მარტო მე კი არ ვარ, — სამხედროების 90-95 პროცენტი.

**— თქვენ ისეთი პროფესია გაქვთ, რომ, თუ რუსეთში წახვალთ, შეიარაღებულ ძალებში უნდა იმსახუროთ. რუსულ ჯარში აპირებთ შესვლას?**

— ამის სურვილი არ მაქვს. მე დაველოდები ხელისუფლების შეცვლას საქართველოში და შემდეგ დავბრუნდები. ჩემს შვილებს სამშობლოს არ დავუკარგავ, მითუმეტეს, სისხლი მაქვს გაღებული ჩემი სამშობლოს დასაცავად. ოთხჯერ მაქვს მიღებული მძიმე კანტუზია. ჩვენ ვიბრძოდით იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი ყოფილიყო და ქართველებს ღირსეულად ეცხოვრათ, ძმები მყავს, ახლობლები მყავს დაღუპული აქ. მე სამშობლოს დაკარგვას არ ვაპირებ!

**— საკმაოდ სერიოზული პიარი მიმდინარეობს, თითქოს აგვისტოს ომის გმირებს ხელისუფლება ეხმარება.**

— ეს მხოლოდ პიარია. ჯერ რა წესია დაყოფა აგვისტოს ომში დაღუპულებად, აფხაზეთის ომში დაღუპულებად და სამამულო ომში დაღუპულებად?! ეს ხალხი ყველა სამშობლოსთვის ბრძოლაში დაიღუპა. არავითარი დახმარება არ არსებობს ხელისუფლების მხრიდან. ფაქტი სახეზეა, იძულებულს მხდიან, სამშობლოდან წავიდე. აგვისტოს ომში იარაღი დაგვაყრევინეს, სახლებში გაგვიშვეს, მერე კი ის ადამიანები, რომლებიც დასავლეთში წავიდნენ და ვერ ჩამოვიდნენ, დეზერტირებად გამოაცხადეს.

**— იარაღის დაყრას რაც შეეხება, ზოგადად, ეს ფაქტი შეფასდა როგორც კეთილგონივრული გადაწყვეტილება, ვინაიდან უთანასწორო ბრძოლა იყო და თავიდან აიცილეს უფრო დიდი მსხვერპლი; თქვენ სწორ გადაწყვეტილებად არ თვლით, რომ ამ დროს ტერიტორია უნდა დაგეტოვებინათ?**

— არა, ჩვენ ბოლომდე უნდა გვებრძოლა და მოსახლეობა, რომელიც იქ დარჩა, საჯიჯგნად არ უნდა დაგვეტოვებინა. ჩვენ, სამხედრო პირები, ვალდებული ვართ, მოსახლეობა დავიცვათ. მოსახლეობის ევაკუაციის მიზნით სამხედროებმა ხელმძღვანელობას შესთავაზა, შემდგარიყო ჯგუფები, რომლებიც ზურგში იმუშავებდნენ, მაგრამ უარი მივიღეთ.

**— ე. ი. გამარჯვების შანსი არ იყო, მაგრამ მაინც მზად იყავით, დარჩენილიყავით მოსახლეობის გადასარჩენად?**

— ჩვენი ვალია, რომ ხალხისა და სამშობლოსთვის თავი გავწიროთ და არა იმისთვის, რომ ბანკომატიდან ყოველი თვის ბოლოს ფული ავიღოთ.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

### აგვისტოს ომში იარაღი დაგვაყრევინეს, სახლებში გაგვიშვეს, მერე კი ის ადამიანები, რომლებიც დასავლეთში წავიდნენ და ვერ ჩამოვიდნენ, დეზერტირებად გამოაცხადეს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა უთხრა ნიკოლა სარკოზიმ საქართველოს პრეზიდენტს ნატოში შესვლაზე, კაჩინსკიზე, იუშჩენკოზე, «მისტრალსა» და რუსეთთან ურთიერთობაზე?

**21 ივნისს ქართულ ინტერნეტსივრცეში, კერძოდ კი ინტერნეტფორუმზე Planeta.ge გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილისა და ნიკოლა სარკოზის 2010 წლის 8 ივნისს, 11 საათზე ელისეის სასახლეში შემდგარი შეხვედრის ანგარიში, რომელიც ამ საუბრის სტენოგრაფიულ ჩანაწერს უფრო ჰგავს. მოგვიანებით ეს ტექსტი Forum.ge-ზეც დაიდო, საიდანაც მალე უგზო-უკვლოდ გაქრა. საუბრის შინაარსი, მინიშნებები, ღია მესიჯები, რასაც საფრანგეთის პრეზიდენტი ქართველი კოლეგის მიმართ არ იშურებს, უმნიშვნელოვანესი და აქტუალურია. საკითხის მნიშვნელობიდან და ვიზიტის შესახებ ოფიციალური თბილისის მიერ გავრცელებული ინფორმაციის წინააღმდეგობრიობიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, ფორუმებზე დადებული ეს ტექსტი ბევრმა ბოროტ ხუმრობად მიიჩნია, თუმცა ფაქტია, რომ მისი უარყოფა, ისევე როგორც დადასტურება, არც ფრანგულ და არც ქართულ ოფიციოზს ჯერჯერობით არ უცდია. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მკითხველს ვთავაზობთ ზემოხსენებულ ტექსტს მცირედი შემოკლებით. რაც შეეხება მის აუთენტურობას, იმედს ვიტოვებთ, რომ, თუკი სარკოზისა და სააკაშვილს შორის მსგავსი საუბარი არ შემდგარა, ოფიციოზი ამას ოფიციალურად უარყოფს.**



## ვისი «ზენოლით მოემზადა» სააკაშვილი «რუსეთთან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებისთვის»?

**საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულება მიხეილ სააკაშვილის საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან, მის აღმატებულება ნიკოლა სარკოზისთან შეხვედრის ანგარიში**

**2010 წლის 8 ივნისი**
**ელისეის სასახლე, 11.00.**

**ნიკოლა სარკოზი**:

— მოგესალმები, ბატონო პრეზიდენტო და ძვირფასო მეგობარო, მიხარია, რომ კვლავ ვხვდებით. როგორც ხედავ, კარლას მონაწილეობა ჩვენს შეხვედრაში უკვე მიუთითებს იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც ჩვენ შენს ვიზიტს ვანიჭებთ. ვიდრე მეუღლეები ცალკე ისაუბრებენ, მე ყურადღებით მოგისმენ. გთავაზობ, ვიდრე ჩემს სათქმელს გეტყოდე, შენ თავად გადმოგვცე შენი სათქმელი. ჩვენ მეგობრები ვართ და ერთმანეთისთვის დასამალი არაფერი გვაქვს.

**მიხეილ სააკაშვილი**:

— ... ამჯერადაც მინდა დაგიდასტუროთ, რომ ჩვენი მიზანია რეგიონში სტაბილურობის მიღწევა და განმტკიცება; ქვეყნის ეტაპობრივი წინსვლა ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე; ქვეყანაში გავაგრძელოთ ის პოზიტიური დინამიკა, რომელიც ამჟამად არსებობს. საქართველომ უნდა შეასრულოს ის მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული როლი, რომელიც მას თავისი მდებარეობიდან გამომდინარე აკისრია. ქვეყანაში იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც დადებითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე.

მსურს, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩვენი მადლიერება თქვენი პირადი როლისა და წვლილისათვის ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში, სწორედ საფრანგეთის წყალობით ვიმედოვნებთ, რომ დღეს არსებული პრობლემები, ქვეყნის ნაწილობრივი ოკუპაცია და აგვისტოს ომის შედეგად დარჩენილი პრობლემებიც, მოგვარდება... **საფრანგეთის თანადგომის პირობებში საქართველო სანიმუშო დემოკრატიული ლაბორატორია შეიძლება გახდეს პოსტსაბჭოურ სივრცეში.**

**ნიკოლა სარკოზი**:

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ხელი შევუწყოთ საქართველოს დაახლოებას ევროკავშირთან. მხარს დაგიჭერთ იმ მოლაპარაკებებში, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს ევროკავშირში, აღმოსავლეთთან პარტნიორობის პოლიტიკის ფარგლებში.

რუსეთთან დამოკიდებულებაში ევროპაში პრობლემატური დებატები იყო. არაფერია დასამალი და ევროპა ორ ბანაკად გაიყო: 1. აგრესიულად განწყობილი ნაწილი: პოლონეთი უკრაინა, ლიტვა; 2. გახსნილი პოლიტიკის მომხრე. ჩვენ, მოგეხსენებათ, მეორე ბანაკს წარმოვადგენთ. **ხომ ხედავთ, რა დღეში ჩავარდნენ პირველი ბანაკის წარმომადგენლები? პოლონეთის პრეზიდენტი, ღმერთმა აცხონოს მისი სული, დაიღუპა, მაგრამ მისი რეიტინგი ქვეყანაში 15%-ს არ აღემატებოდა. უკრაინის პრეზიდენტი რა სამარცხვინო შედეგითაც წავიდა პოლიტიკიდან, ესეც კარგად იცით; ნახეთ, ასევე, რა ხდება ლიტვაში. ამ პოლიტიკურ კონტექსტში, ჩვენ, აბა, სხვა პოლიტიკური სტრატეგია როგორ უნდა გვქონდეს რუსეთთან მიმართებაში? შეიძლება ვცდებით კიდეც, მაგრამ ჩვენი პოზიციაა, საბოლოოდ დავასრულოთ ცივი ომის პერიოდი...** ყველაფერი შეიძლება დამაბრალონ, მაგრამ ლაჩრობა და შიშისგან დამალვა ნამდვილად არაა ჩემი სტილი. რუსეთთან ჩვენი დამოკიდებულება ნამდვილად არაა შიშით ნაკარნახევი... ესაა უზარმაზარი ქვეყანა, უზარმაზარი პოტენციალით, რესურსითა და ასევე უზარმაზარი ამბიციებით... **რუსეთში დიდი ფული ტრიალებს და ერთი სული აქვთ, ევროპულ ბაზარზე მოიკიდონ ფეხი. ჩვენ გვინდა, მათ ფული ჩვენთან დავახარჯვინოთ, რატომაც არა. გვინდა, ჩვენი კონტინენტი ერთიანი უსაფრთხოების სივრცეში გავაერთიანოთ.**

ჩვენ შეგვიძლია რუსეთთან საუბარი. **ხომ კარგად გახსოვთ აგვისტოს მოვლენების დროს ბუშის გამოგზავნილმა გემებმა კი არა (ბუში მე ძალიან მიყვარს, კარგი, მხიარული ადამიანია), ჩვენ შევაჩერეთ რუსები...**

ჟენევის პროცესი, რომელიც ჩვენ იმდროინდელი შეთანხმების ნაწილია, უნდა გაგრძელდეს და აფხაზებმა და ოსებმა უნდა ირწმუნონ, რომ საქართველო უფრო მიმზიდველი და მათთვის საინტერესო ქვეყანაა, ვიდრე რუსეთი. საფრანგეთს დაახლოებით იგივე ვითარება ჰქონდა 150 წლის წინათ სავუას პროვინციაში, რომელიც მაშინ იტალიას ეკუთვნოდა. ნაპოლეონმა რეფერენდუმი ჩაატარა და მოსახლეობამ იტალიას საფრანგეთი არჩია. ილუზიას არ ვიქმნი, რომ ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატში ყველა პრობლემა მოგვარდება, მაგრამ ეს შრომატევადი და დელიკატური პროცესია. როცა კბილი გვაქვს გასიებული, ექიმი ჯერ აბსეს მკურნალობს ანტიბიოტიკებით და მხოლოდ მერე გადადის კბილის მკურნალობაზე. ასეა ამ შემთხვევაშიც. მთავარია, შეიქმნას სტაბილურობის განცდა. ხალხი თავად დაიწყებს ერთმანეთისკენ სავალი გზების ძიებას.

**ბერნარ კუშნერი**:

— რამდენადაც ვიცით, აფხაზები უკვე ჩამოდიან თბილისში სამკურნალოდ.

**მიხეილ სააკაშვილი:**

— გეთანხმებით. ჩვენც სწორედ ასეთი სტრატეგია გვაქვს შემუშავებული. მთელ შავიზღვისპირა ზოლში ვცდილობთ, ინფრასტრუქტურა, პლაჟები განვავითაროთ. მართლაც, ბევრი რამ კეთდება ამ მიმართულებით.

**ნიკოლა სარკოზი:**

— ... „მისტრალის“ ტიპის გემთან დაკავშირებით, მე თვითონ გეტყვი: რუსები ეშმაკურად მოიქცნენ და ერთგვარი მახე დაგვიგეს. იმ დროს, როცა ჩვენ მათ ირანის საკითხში თანამშრომლობას ვთხოვდით, გვითხრეს, რომ ჩვენგან გემის შეძენა სურდათ. უხერხული იყო, გვეთქვა, რომ თქვენ ირანთან მიმართებაში კი გვჭირდებით, მაგრამ გემს ვერ მოგყიდითო. ჭკვიანურად შეარჩიეს ამისთვის შესაფერისი მომენტი.

**შენ ჩემი მეგობარი ხარ და იცი, რომ არ მოგატყუებ. ამ შემთხვევაში დიდი როლი ითამაშა რუსეთისადმი ნდობის დემონსტრირების მნიშვნელობამ და ამასთან, კონკურენციამაც. რადგან, ჩვენ თუ არ დავთანხმდებოდით, მეზობლები ამ შეთავაზებას ხელიდან არ გაუშვებდნენ. ამ ყველაფერთან ერთად, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს „მისტრალი“ არსებულ ძალთა ბალანსს ვერ შეცვლის... თქვენი ამოცანაა, მოახერხოთ აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნება რეფერენდუმის გზით. ალტერნატიულ გზას ვერ ვხედავ. მგონი, მათი აზრის გათვალისწინება მოგიწევთ.**

... ცხონებული კაჩინსკი რუსებს ებუტებოდა, ხმას არ სცემდა და ის როგორ გიშუამდგომლებდათ?! უკრაინის პრეზიდენტს კი ისედაც არაფერი ეთქმოდა. ჩვენ მეტის თქმაც შეგვიძლია და მეტის მოთხოვნაც. ჩვენი ურთიერთობა გულახდილობის ფორმატში მიმდინარეობს.

**მიხეილ სააკაშვილი:**

— დიდი მადლობა, მე ვაფასებ თქვენს გულწრფელობას. კარგად მახსოვს თქვენი გაბედული პოზიციები კონფლიქტის დროს. ამჟამად 6.000 ზე მეტი რუსი ჯარისკაცი იმყოფება ოჯახებით კონფლიქტის ზონაში, საიდანაც 120.000 ქართველი გამოიდევნა საკუთარი სოფლებიდან. **ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ რუსეთთან ომით ვერაფერს გავხდებით და გულუბრყვილობაა, ვინმემ დაიჯეროს ის, თითქოს ჩვენ ვაპირებთ რუსეთს დავესხათ თავს...**

**ნიკოლა სარკოზი:**

**— ...** რაც შეეხება ნატოში თქვენს ინტეგრაციას. ჩვენ მხარს გიჭერთ (ასე არაა? დაიმოწმა მრჩევლებიც). თქვენ კარგად გესმით, რომ ჯერ კონსენსუსი არაა წევრ სახელმწიფოთა შორის და ინტეგრაციამდე კიდევ რამდენიმე ეტაპია გასავლელი. სხვათაშორის, უნდა გულწრფელად გითხრათ: **თქვენს იმ ამერიკელ მრჩევლებს ვკითხე, რომლებიც მაშინ ფუჭ და არარეალისტურ დაპირებებს გაძლევდნენ, რამდენი პროცენტი იყო საქართველოსა და უკრაინის შანსი ალიანსში გასაწევრებლად და მათ მე მიპასუხეს, რომ ეს შანსი იყო 0%. აი, ეს მინდა იცოდეთ. მე, ყველამ იცის, რომ პროამერიკელი პრეზიდენტი ვარ, ბუშიც მიყვარს და ამერიკაც, მაგრამ მინდა, თქვენ რეალურად დაინახოთ, ვინ უფრო მეგობარია თქვენი. მე კიდევ ერთხელ გირჩევთ, ჯერ რეგიონი დაამშვიდოთ. სტაბილური კავკასია ყველას ინტერესებშია, ჩვენ კი გავაგრძელებთ თქვენს დახმარებას...**

**მიხეილ სააკაშვილი**:

— ... თუ საქართველო დაეცემა, მაშინ ევროპა არა მარტო ენერგეტიკულ კორიდორს დაკარგავს, არამედ კიდევ უფრო სუსტი აღმოჩნდება გაძლიერებული რუსეთის წინაშე... ასევე მნიშვნელოვანია, ნატოსთან ეტაპობრივი დაახლოება, სავიზო რეჟიმის გამარტივება, ევროკავშირთან მათი თანამშრომლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში უთანასწორო ვითარებაში აღმოვჩნდებით. ლისაბონის სამიტზე ბევრია დამოკიდებული. ჩვენ ველოდებით, რომ საქართველოს მიმართ იქნეს პოზიტიური დამოკიდებულება შენარჩუნებული.

**ნიკოლა სარკოზი**:

— გპირდებით, რომ გვერდით დაგიდგებით. თქვენს შეტყობინებებსაც, რომლებიც ყურადღებით მოვისმინე და ჩავინიშნე, გადავცემ პუტინსაც და მედვედევსაც. იგივე გავაკეთეთ ჩვენ სირიასთან და მივაღწიეთ სერიოზულ პროგრესს... არ გვინდა ანტირუსული რიტორიკა. ეს დახურულობისკენ გვიბიძგებს...

**p.s. იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ტექსტი, მეტყველებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 29 ივნისს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაკეთებული განცხადებაც, რომელშიც, სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, სააკაშვილი ამბობს: „ვადასტურებ ჩვენს მზადყოფნას, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, რუსეთთან ფართომასშტაბიანი მოლაპარაკება ვაწარმოოთ ნორმალიზაციაზე... მათთან ყველანაირი მოლაპარაკების წარმოება გვინდა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო აღიარებული იქნება როგორც სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელსაც სურს, იყოს რუსეთის პარტნიორი“.**

**როგორც ჩანს, დასავლეთი მართლა ცდილობს, დაარწმუნოს სააკაშვილი, რომ ნატოში საქართველოს გაწევრება უტოპიაა, რომ სოხუმთან და ცხინვალთან იარაღის ჟღარუნი, ისევე, როგორც ანტირუსული რიტორიკა, კარგს არაფერს მოგვიტანს და რომ ჩვენთვისვე სჯობს, რაც შეიძლება დროზე დავიწყოთ რუსეთთან მოლაპარაკება... ფაქტია, სააკაშვილი იძულებულია, დაეთანხმოს ან დაემორჩილოს სარკოზის „მესიჯს“, არცთუ უმნიშვნელო პარალელებს კაჩინსკისა და იუშჩენკოს ანტირუსული პოლიტის კრახზე... ერთი სიტყვით, მიშა სარკოზის უჯერებს, მაგრამ...... თუ გავითვალისწინებთ რუსეთის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დამოკიდებულებას სააკაშვილისა და მისი რეჟიმის მიმართ, აგრეთვე, საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებით მათ ოფიციალურ განცხადებებს, საეჭვოა, მოსკოვში რომელიმე სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან საუბარს დასთანხმდეს.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## რამაზ კლიმიაშვილი:

# საქართველოს ნატოში გაწევრება დღის წესრიგიდან მოიხსნა

**ამ წელიწად-ნახევარში, რაც ობამამ ამერიკის მართვა ჩაიბარა, პრეზიდენტების — ობამასა და მედვედევის ეს უკვე მეშვიდე შეხვედრაა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მედვედევი ბევრს პუტინის შირმად მიაჩნია, დასავლეთში ამას ცოტა სხვანაირად უყურებენ; ყოველ შემთხვევაში, უნდათ, რომ ეს ასე არ იყოს და ამიტომ მის ამერიკაში ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს. ის პატივისცემა, რითაც ამერიკა მედვედევს შეხვდა, განსაკუთრებულია. გავიხსენოთ ხრუშჩოვის პირველი ვიზიტი ამერიკაში, როდესაც მან ტურისტივით მთელი ამერიკა მატარებლით გადაკვეთა, ხოლო ჰოლივუდში მერლინ მონროს კოცნასაც ელირსა (მაგრამ მეეჭვება, რომ დააფასა). მაშინ ხრუშჩოვს ლამის უცხოპლანეტელ საშიშ მონსტრად აღიქვამდნენ და არც თუ ტყუილად. ამჟამად კი მედვედევი ისე მიიღეს, როგორც მეორე სუპერსახელმწიფოს მეთაური და სტრატეგიული პარტნიორი.**



ამერიკული პრესა მედვედევის ვიზიტის წინა დღეს წერდა, რომ რუსეთს ამერიკის შეერთებული შტატები უფრო სჭირდება, ვიდრე ირანი, რომელთანაც მას სერიოზული ეკონომიკური ინტერესები აქვს. და ეს გამოწვეულია იმ რეალობით, რომლითაც **„ობამას ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს რუსეთის პოსტსაბჭოთა მეზობლებს“** (ჰაფინგტონ პოსტ). ეს კი ამერიკას საშუალებას აძლევს, კონცენტრაცია გააკეთოს მისთვის მტკივნეულ ირანის ბირთვულ პრობლემაზე.

ყველასათვის მოულოდნელად, მედვედევი ვაშინგტონში ჩასვლამდე კალიფორნიაში გაემგზავრა და გუბერნატორ არნოლდ შვარცენეგერს სტუმრობდა. მას სილიკონის ხეობა აინტერესებდა, რომელიც სან-ფრანცისკოდან სან-ხოსემდე ვრცელდება და სადაც თავის დროზე ატომური ბომბი შეიქმნა. მაშინ რუსეთის ლიდერს იქ ვინ შეუშვებდა, ახლა კი იქ, მსოფლიოს მაღალი ტექნოლოგიების უმაღლესი დონის ლაბორატორიებში მრავალი რუსი სპეციალისტი მუშაობს, რომლებთანაც მედვედევმა ფოტოები გადაიღო.

სენსაციური გამოხმაურება მოჰყვა მის ვიზიტს მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილ კომპიუტერულ ფირმა „აპლე“-ში, სადაც ფირმის ხელმძღვანელმა, ლეგენდარულმა სტივ ჯობსმა მას მეოთხე თაობის აიფონი აჩუქა, რომელიც გაყიდვაში მხოლოდ მეორე დღეს გავიდა. წარმომიდგენია, ამ ჟესტმა რა რეკლამა გაუკეთა მსოფლიოს ყველაზე განთქმულ სმარტფონს.

მაგრამ სენსაციების სერია ამით არ დამთავრებულა — **„ლოს-ანჯელეს ტაიმსში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ განთქმული წითელი ტელეფონი, რომელიც ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტებს აკავშირებდა, ალბათ, წარსულს ჩაბარდება. მედვედევმა ფეისბუკის კონკურენტ სოციალურ ქსელ Twitter-ში ყველას თანდასწრებით თავისი მიკრობლოგი გახსნა, იქ, სადაც ბარაკ ობამას უკვე აქვს აკაუნტი**.

მედვედევმა ორი აკაუნტი გახსნა, ერთი ინგლისურად და ერთი რუსულად; რამდენიმე საათში იქ უკვე 10 ათასზე მეტი აბონენტი შევიდა, თუმცა მედვედევის აკაუნტი ამ მომენტისათვის ღიაა მხოლოდ ობამასა და თეთრი სახლისთვის. იქ ყველას შეუძლია ნახოს მხოლოდ მედვედევის ფოტოები სტივ ჯობსთან და სილიკონის ხეობაში რუს სპეციალისტებთან. **იქვე მედვედევმა შენიშნა, რომ რამდენიმე დღის წინათ ის და ობამა ტელეფონით საათი და ორმოცი წუთის განმავლობაში ლაპარაკობდნენ და ყური გამიშეშდაო! ამჯერად კი მათ თანამედროვე სტანდარტებით შეუძლიათ მუდმივ კომუნიკაციაში ყოფნა. ობამამ ისიც კი აღნიშნა, რომ მედვედევს „პერსონალური ვნება“ აქვს მაღალი ტექნოლოგიებისადმი.**

**ვაშინგტონში პრეზიდენტთა პირველი პირისპირ შეხვედრა დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა. ამის შემდეგ მათ შეუერთდნენ ჰილარი კლინტონი, ჯო ბაიდენი და გენერალი ჯეიმს ჯონსი, რომელიც ამერიკის ეროვნული უშიშროების საკითხების მრჩეველია.** ერთ-ერთი გავლენიანი ამერიკული გამოცემა წერს: **„ვინაიდან უკრაინის ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ ის ნატოში შესვლით აღარ არის დაინტერესებული, ხოლო ევროპის ბევრი ქვეყანა ამ ალიანსში საქართველოს გაწევრების წინააღმდეგია, ეს ყველაზე სადავო საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა“.**

ამის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა. ობამამ ამაყად განაცხადა, რომ **„ჩვენ შევძელით გადაგვეტვირთა ჩვენი ურთიერთობები, რაც წაადგება როგორც რეგიონალურ, ისე მსოფლიო უსაფრთხოებას!“** აღიარა რა, რომ რუსეთის ლიდერთან მისი დისკუსიები „შესანიშნავი“ იყო, მან იქვე დაამატა, რომ წლინახევრის წინათ ეს შეუძლებელი იყო (სააკაშვილის ავანტიურის შემდეგ — რ.კ.). **„ჩვენი ორი ქვეყანა უფრო უსაფრთხოა და მსოფლიო უფრო დაცულია, როდესაც შეერთებული შტატები და რუსეთი ერთად არიან“** („ვაშინგტონ ტაიმსი“).

**ამავე დროს, მიუხედავად ყველა საკითხზე შეთანხმებისა, ორმა ლიდერმა აღიარა, რომ არსებობს ერთი საკითხი, რომელზეც ისინი ვერ თანხმდებიან,** და მიუხედავად ამისა, პირდაპირ არ უთქვამთ, ეს არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ (ამაზე ქვემოთ).

**ობამა და მედვედევი შეთანხმდნენ, რომ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ახალი შეთანხმება რაც შეიძლება მალე უნდა იყოს რატიფიცირებული ორივე ქვეყნის მიერ. ამასთან, მედვედევი დაჰპირდა, რომ ყველაფერი სექტემბრისათვის მზად იქნება. ასევე, განიხილეს გაეროს ბოლო რეზოლუცია ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შესახებ, კორეის ნახევარკუნძულის პრობლემები და სიტუაცია ყირგიზეთში და, რასაკვირველია, კონტრტერორიზმთან დაკავშირებული ურთიერთობა. ამის შემდეგ ისინი ეკონომიკის საკითხებზე გადაერთვნენ.**

„ვაშინგტონ ტაიმსი“ 25 ივნისის ნომერში აღნიშნავს, რომ ღიად ჩანდა, თუ როგორი თბილი ურთიერთობა აქვს ამ ორ ლიდერს. ობამამ მედვედევი ლანჩზე არლინგტონის ტიპური ამერიკული სწრაფი კვების ობიექტში — **„ჯოჯოხეთის ბურგერში“** დაპატიჟა. მედვედევმა შემდეგ განაცხადა, რომ **„ჰამბურგერები ჯანმრთელობისთვის**

▶

# ქმედუუნარო სახელმწიფოთა ინდექსით საქართველო ჩადს, სუდანს, კონგოს, გვინეას, ავღანეთს, ერაყსა და ზიმბაბვესაც ჩამორჩება

**ამბობენ, რომ ადამიანი ზანტად მოაზროვნე ცხოველია, იშვიათად მოაზროვნეო. მით უფრო ისეთ სიცხეში, როგორიც გუშინ იყო თბილისში. სიცოცხლე მოგბეზრდებოდა ადამიანს. მაგრამ ისიც კი მიხვდა, რომ ჩვენს თავს ცუდი რამ ტრიალებს. მიხვდა და გრძნობს მთელი სხეულით, რომ ის სტერეოტიპული აზროვნება, რომლითაც ქვეყნის ხელისუფლება გამოირჩევა, ტრაგიკომიზმის უშრეტი წყაროა.**

ამათი კომიკურობა, ქართულად — მასხარაობა, ჩვენს ტრაგიკულ არსებობას შობს.

ხომ გვეუბნებიან, რომ საქართველოს ბადალი ქვეყანა, ბიზნესის ხელშეწყობის მხრივ, არა მარტო რეგიონში, ევროპაშიც არ არის?

გვეუბნებიან კი არა, თავზე გვირგვინად იდგამენ, ნახეთ, რას მივაღწიეთ ახალი წელთაღრიცხვის მეშვიდე წელსო. ამ დროს კი ბიზნესმენებს ისე წაუჭირეს ყელში სახელმწიფო რეკეტის წითელი ჰალსტუხი, რომ, მგონი, ისღა დაუტოვეს სალეჭად და „დასაგემოვნებლად“. და მივიღეთ შავი ტრაგიკომედია წითელ ბალახზე.

რა შავი და რა წითელი? მოგახსენებთ. შავი, შავ დღეში რომ ვართ, ისაა.

წითელი კი ზონაა, რომელშიც ჩვენი რეიტინგული და ხუთვარსკვლავიანი „შერატონი“ აღმოჩნდა, რომელსაც საქართველოს ადგილზე აშენებს მიხეილ სააკაშვილი.

სხვისი ფულით და სხვებისთვის.

ამერიკულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ **„მშვიდობის ფონდი“,** რომელიც შეისწავლის ომების გამომწვევ მიზეზებსა და პირობებს და მათ აღსაკვეთად მიმართულ ძალისხმევას, მასთან ერთად ჟურნალმა Foreing Policy-მა გამოაქვეყნეს **ახალი გლობალური ინდექსი ქმედუუნარო სახელმწიფოების.**

მკვლევარები უმთავრეს ფასეულობად მიიჩნევენ დემოკრატიის განვითარების დონეს და ადამიანის უფლებათა უპირობო დაცვას.

მთავარი ესაა, სხვა კრიტერიუმებზე ქვემოთ ვთქვათ.

ამ რეიტინგის პრინციპით უკანანი წინ არიან მოქცეულნი და წინანი — უკან.

თითქმის ბიბლიურად...

რაც ნიშნავს, რომ უარესნი პირველობენ ქმედუუნარობაში და ის სახელმწიფოები, რომლებმაც დაძლიეს უუნარობა, ანუ ჭეშმარიტი სახელმწიფოებია, ბოლო ადგილებს იკავებენ.

აი, ამ რეიტინგში საპატიო პირველ ადგილზე არის საყოველთაოდ ცნობილი **სომალი,** თავისი უკიდურესი სილატაკით, უუფლებობითა და მეკობრეობით.

ამერიკის შეერთებული შტატები 158-ე ადგილს იკავებს.

საქართველო 37-ეზეა, ანუ 121 ადგილით უსწრებს ამერიკას! ხომ არ გაამდიდრებთ, პატივცემულო მიხეილ, თქვენს ურიცხვ ტელეგამოსვლებს ამ შესანიშნავი მაგალითით?

სახელმწიფოთა ამგვარ გრადაციაში საპატიო პირველი ხუთეული კი არ არის, არც პირველი ათეული: **პირველობის პალმის შტო პირველ 37 სახელმწიფოს ეკუთვნის.**

კი არის პალმის შტო მწვანე, მაგრამ ეს ზონაა მიჩნეული წითელ ზონად, ანუ რისკის კრიტიკული დონის მქონე, ყველაზე დამბლადაცემული, ქმედუნარობამოშლილი სახელმწიფოების ავანგარდად.

მოვახერხეთ და ჩვენ დავხურეთ ეს საპატიო ოცდაჩვიდმეტეული.

ფეხი რომ დაგვცდენოდა, 38-ზე აღმოვჩნდებოდით და — მშვიდობით, წითელო ზონა!

ტრაგიკომედიაც ესაა — სასაცილოც და სატირალიც.

საქართველოს უსწრებს ისეთი ქმედუუნარო ქვეყნები, როგორიცაა **ჩადი, სუდანი, ზიმბაბვე, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, გვინეა, პაკისტანი, ავღანეთი, ერაყი...**

ესენია ჩვენი გუნდის წევრები, ანუ პირიქით — მათ, აფრიკა-აზიის გუნდშია შესული საქართველო, რომელსაც ევროპისკენ აქვს გეზი აღებული.

ევროპული ქვეყნები სადღაა?

იქ, უკან, შორს, ბუზისტოლად რომ მოჩანს — **ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი (შესაბამისად, 175-დან 177-ე ადგილები). ისლანდიაც** კი, რომელიც კრიზისმა გატეხა, 165-**ე ადგილზეა; ლატვია — 135-ე, საბერძნეთი — 147-ე** ადგილზე. ამ უკანასკნელს ორი დღის წინათ გაფიცვების ახალმა ტალღამ გადაუარა. და ასე შემდეგ.

ორიოდ სიტყვა ამ კრიტერიუმებსა და მეთოდოლოგიაზე.

სახელმწიფოების ქმედუნარიანობა ყალიბდება მონაცემთა ფართო ბაზის მიხედვით — დემოგრაფიული დინამიკითა და ლტოლვილთა გადაადგილებით დაწყებული, ქვეყნის შიგნით ეკონომიკური უთანასწორობით დამთავრებული. ამასთან, მნიშვნელოვანია კრიმინალური სიტუაცია და სახელმწიფო ძალაუფლების დელიგიტიმიზაცია, უშიშროების სტრუქტურების გავლენა და ა.შ.

ინდექსი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შევაფასოთ ხელისუფლების უნარი, აკონტროლოს სიტუაცია, როგორც ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით, ისე პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული სტაბილურობის კუთხითაც.

სახელმწიფო არ არის ქმედუნარიანი, თუ არ ძალუძს განახორციელოს ფიზიკური კონტროლი თავისი ტერიტორიის, თუ ვერ ახერხებს უზრუნველყოს კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, შეუქმნას მოქალაქეებს არსებობის ელემენტარული პირობები და (მიაქციეთ ყურადღება!) **როცა ხელისუფლებას არ შეუძლია სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობა როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრს.**

ნაცნობი პრობლემებია. განსაკუთრებით, ეს ბოლო — ჩვენმა ამბიციურობამ გაუცხოების ნაპირზე რომ გაგვრიყა. იმ მდინარის ნაპირზე, რომელმაც იცვალა კალაპოტი და მშრალზე დაგვტოვა.

ამ ყველაფერს ისევ ტრაგიკომედია ხომ არ ჯობია? როცა სატირლად გვაქვს საქმე და მაინც გვეცინება?

**არმაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **ცუდია, მაგრამ მაინც ძალიან გემრიელი იყო“.**

ამის შემდეგ, მიუხედავად 38 გრადუსი სიცხისა, მათ ჩაიცვეს პიჯაკები და თეთრი სახლიდან ფეხით გაემართნენ ლაფაეტ პარკში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატაა განთავსებული. იქ ისინი ამერიკა-რუსეთის ბიზნეს ფორუმს დაესწრნენ.

„ნიუ იორკ ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ALCOA-ს ბორდის თავმჯდომარე კლაუს კლინფელდი აღნიშნავს, რომ **„ეს ორი ლიდერი ნამდვილად შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს; პოლიტიკურ ფრონტზე უამრავი პროგრესია, ამას კი აუცილებლად მოჰყვება ბიზნესი“.**

სავაჭრო პალატაში ობამამ განაცხადა, რომ **„რუსეთი ეკუთვნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას — ეს კი კარგია რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის“** (ამ საკითხთან დაკავშირებით სააკაშვილის პოზიციაზე ქვემოთ).

რუსეთი დასთანხმდა, იყიდოს ორმოცდაათი „ბოინგ-737“, დაახლოებით ოთხი მილიარდი დოლარის ფასად, რაც, ობამას თქმით, 44.000 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის ამერიკაში. ამას გარდა, მათ იმსჯელეს იმ ქვეყნების დისციპლინაზე, რომლებიც ფინასურ დახმარებას იღებენ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

ამით დამთავრდა მედვედევის ძალიან პროდუქტიული ვიზიტი ამერიკაში და ობამასთან ერთად იგი კანადას გაემგზავრა „დიდი რვიანისა“ და შემდეგ „დიდი ოცეულის“ სამიტებში მონაწილეობის მისაღებად. ეს მედვედევისთვის „დიდი რვიანის“ მესამე სამიტია, სადაც იგი, როგორც პრეზიდენტი, მონაწილეობს. 2008 წელს იგი მონაწილეობდა სამიტში ტოკიოში, ხოლო შარშან — იტალიაში. **ვინაიდან განვითარებადი ქვეყნები უარყოფითად უყურებენ მსოფლიოს რვა უძლიერესი ქვეყნის მეთაურთა შეხვედრებს და მათ იგნორირებას, ამიტომ ურჩევნიათ, რომ ოცი ქვეყანა შეიკრიბოს.** ამასთან დაკავშირებით, რუსეთის პოზიციაა, რომ დიდ რვიანს თავისი თავი არ ამოუწურია და თან კანადაში თუ „რვიანის“ შეხვედრა ერთ დღეს გაგრძელდა, ამჯერად მას იქვე ტორონტოში მოჰყვა „ოციანის“ ორდღიანი შეხვედრა.

**დიდი რვიანის შეხვედრაზე მთავარი თემები იყო ახლო აღმოსავლეთი, ავღანეთი და კორეის ნახევარკუნძული. ხოლო ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხების განხილვისას ისინი კვლავ დაუბრუნდნენ ირანისა და კომუნისტური ჩრდილოკორეის საკითხებს.**

სულ ახალი საკითხი კი, რომელიც ამ სამიტზე განიხილეს, ეს იყო სპეციალური რეგიონალური ტრიბუნალის შექმნა საზღვაო პირატების გასასამართლებლად. ამავე დროს, კანადის წინადადებით, განიხილეს იმ 56 ვალდებულების შესრულების მდგომარეობა, რაც ადრე მიიღო „რვიანმა“. რუსეთმა ასევე დააყენა საკითხი მსოფლიო სავალუტო ფონდის რეფორმირების თაობაზე.

თუ შევაჯამებთ, ამ სამიტებზე საქართველოსთვის იმედის მომცემი არაფერი ყოფილა. ობამა-მედვედევის შეხვედრაზე ამერიკის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაახმიანა, რომ „რუსეთის ადგილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაშია“. ეს სჭირდება ამერიკას და ეს სჭირდება მთელ მსოფლიოს, მაშინ, როდესაც რუსეთში არიან წრეები, რომელთაც ეს არ აწყობთ და სააკაშვილი სწორედ მათ თამაშს თამაშობს. საქმე ისაა, რომ **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია აწესებს ამ სფეროში ცივილიზებული თამაშის წესებს. რუსეთის ამ ორგანიზაციაში გაწევრებით ხარისხიან ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას რუსეთის ბაზრებზე გზა გაეხსნებოდა, მაგრამ სააკაშვილს ეს ყველაზე ნაკლებად აინტერესებს. მაგალითად, მიუხედავად მისი ჩვეული ბაქიბუქისა, რაც კიდევ ერთხელ ამ დღეებში მელვინეთა კონგრესზე მოვისმინეთ, სინამდვილეში რუსეთის მიერ ქართულ ღვინოზე დაწესებული ემბარგოს შემდეგ საქართველოში ღვინის წარმოება ზუსტად ათჯერ შემცირდა. ასევე, შიდა ქართლში ვაშლი და სხვა ხილი, დასავლეთ საქართველოში კი ციტრუსები ულპებათ.**




# რუსეთის ამ ორგანიზაციაში გაწევრებით ხარისხიან ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას რუსეთის ბაზრებზე გზა გაეხსნებოდა, მაგრამ სააკაშვილს ეს ყველაზე ნაკლებად აინტერესებს.

თვითონ სააკაშვილმა პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრჯერ შეიცვალა. რამდენიმე წლის წინათ ბრიტანეთში მისი ერთ-ერთი დაუპატიჟებელი ჩასვლისას, საწყალი სახით განაცხადა მან **ბი-ბი-სი-**ზე: **„ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და, რასაც გვიბრძანებენ** (ალბათ, ბუშს გულისხმობდა — რ. კ.), **იმას გავაკეთებთ“.** მაგრამ აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ მან კიდევ ერთხელ შეიცვალა პოზიცია და რუსეთის წინააღმდეგ ლეხ კაჩინსკისა და ვიქტორ იუშჩენკოს მხარდაჭერა მიიღო. მაგრამ ეს უკვე ისტორიაა, ახლა კი საინტერესოა, გაბედავს ობამას წინააღმდეგ წასვლას?

ვინაიდან ამ სამიტზე სათავისოდ საპროპაგანდო ვერაფერი ნახეს, სატელევიზიო არხებმა დიდი ზარზეიმით გვამცნეს თავიანთი „აღმოჩენა“ — თითქოს სამიტის მასალებში ოფიციალურადაა დადასტურებული „ოკუპაციის“ ფაქტი, ოღონდ არავინ არ დააზუსტა, კონკრეტულად ეს სად დაფიქსირდა. უფრო მეტიც, თვითონ სააკაშვილიც არ მოერიდა მორიგ ტყუილს და იქამდე მივიდა, რომ თქვა, ობამამ რუსეთს საჯაროდ უწოდა „ოკუპანტიო“ და „ეს ჩვენი მიღწევააო!“

**სინამდვილეში მე თეთრი სახლის ვებგვერდზე გავეცანი ამ სამიტის ყველა მასალას. იქ მოცემულია 11 საკითხი, რომლებზეც მხარეები შეთანხმდნენ და არსად საქართველო ან მისი ტერიტორიები არ არის ნახსენები. შემდეგ მივაგენი საპროპაგანდო დანამატს „ფაქტების ფურცლის“ (fact sheet) სახელწოდებით, რომელიც ეხება ყველა იმ წარმატებას, რომლებიც გამოიკვეთა ამერიკელების ინიციატივით დაწყებული „გადატვირთვის“ შემდეგ. სხვადასხვა სფეროში მიღწეული სხვადასხვა მიღწევების ჩამოთვლის შემდეგ საქართველოსთან დაკავშირებით სულ სამი პატარა პარაგრაფია. აქ ნამდვილად არის ნახსენები აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და ნახმარია ინგლისური სიტყვა occupied, რაც ყველა ლექსიკონში თარგმნილია როგორც „დაკავებული“, ანუ ეს ტერიტორიები რუსეთის მიერაა დაკავებული, რაც, სხვათაშორის, ამერიკელებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს არაერთხელ დაუფიქსირებიათ და რა არის ამაში საზეიმო, გაუგებარია. უფრო მეტიც, აქ ისიც არის ნათქვამი, რომ რუსეთის მხრიდან პროგრესი შეიმჩნევა.**

სააკაშვილისთვის ეს ყველაფერი ცნობილი უნდა იყოს, ვინაიდან თავის პრეზიდენტობას ის ინგლისურის სრულყოფილ ცოდნას უნდა უმადლოდეს, სხვა ცოდნა ხომ მას პრაქტიკულად არ აქვს. უფრო მეტიც, მან ბუში და ნეოკონსერვატორები თავისი კარგად დაყენებული ამერიკული აქცენტით მოხიბლა, რაც მას გელა ჩარკვიანმა ასწავლა. გელასგან განსხვავებით, იმ დროს ინგლისურს ყველა სხვა მასწავლებლები კლასიკური ოქსფორდული აქცენტით ასწავლიდნენ. ასე რომ, ჩარკვიანის პროამერიკულობამ განსაზღვრა საქართველოს დღევანდელი ტრაგიკული ბედი (აკაკი წერეთლის „გამზრდელთან“ ყოველგვარი ასოციაცია აქ ნამდვილად უადგილოა. — რ.კ.). **არადა, სააკაშვილი რომ პრეზიდენტად არ დაესვათ ამერიკელებს, ის ახლა უცხო ენების მასწავლებელი იქნებოდა და ეს საქართველოსთვის ნამდვილად კარგი იქნებოდა, ხოლო პირადად მისთვისაც უკეთესი, რადგან მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადრეულ ფინალზე ალარავინ ისპეკულირებდა.**

ბოლოთქმად დავაფიქსიროთ, რომ სააკაშვილი თუ ამერიკასთან და ევროპასთან კვლავ კარგ ურთიერთობაზე ოცნებობს (რაზეც უკვე სერიოზული ეჭვები არსებობს. — რ.კ.), მას უკვე მერამდენედ გასაგებად აუხსნეს, რომ ეს მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

# «იმედი» მოკვდა, გაუმარჯოს იმედს!

**სამი რალაცით შევიდა ბადრი პატარკაციშვილი საქართველოს უახლეს ისტორიაში — მთაწმინდის პარკით, ხელისუფლების წინააღმდეგ საკმაოდ უხეირო ბრძოლით, რაც მისი ერთობ საეჭვო გარდაცვალებით დასრულდა, და ტელეკომპანია „იმედით“. მოროდიორმა ხელისუფლებამ პარკი ჯერ კიდევ ცოცხალ პატარკაციშვილს „აახია“, პოლიტიკურ ბრძოლაში წესების გარეშე ბადრი პირწმინდად დაამარცხა (ან როგორ არ დაამარცხებდა, როცა ამ უკანასკნელს მთავარ დასაყრდენად ჰალსტუხიანი ხვლიკი — გიორგი თარგამაძე და ვალერი გელბახიანი ჰყავდა, ხოლო მოკავშირეებად — გრეჩიხები და სხვა ვითომ ოპოზიციონერები), „ტელეიმედთან“ დაკავშირებული ბატალიების მომსწრე კი მთელი ქვეყანა გახდა.**

ისე, სად გაქრა და აორთქლდა ვინმე ჯოზეფ ქეი, ა?

პატარკაციშვილის მკვლელობისა და ხელისუფლების მიერ ტელეკომპანიის ხელში ჩაგდების შემდეგ ყველა ფიქრობდა, რომ „იმედი“ სააკაშვილის ისეთივე რუპორი გახდებოდა, როგორიც ყველა დანარჩენი „რუსთავი“ იყო.

და ყველა მწარედ შეცდა.

**„იმედი“ არა მხოლოდ გაუთანაბრდა რუპორობაში „რუსთავებს“, არამედ ისე ჩამოიტოვა ისინი უკან, რომ ყველა სახტად დარჩა და რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, უთქვამთ, — ამას ხომ „რუსთავი 2“-ც კი არ იკადრებდაო.**

ქრონოლოგიურად რომ მოვყვეთ, ჯერ „იმედის“ შეფად გიორგი ტახიროვიჩ არველაძე დაინიშნა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია, რადიოსტუდიაში მივიდეს გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად, შუა გადაცემაში წამყვანი ქალბატონის თანდასწრებით ფეხები მაგიდაზე შემოაწყოს... მასვე უთქვამს „იმედში“: „მერე რა მოხდა, დიდი ამბავი, თუ ჩვენმა რომელიღაც კორესპონდენტმა რბილი „ლ“ თქვა, ნახევარი ქალაქი ეგრე ლაპარაკობსო“.

რა მოხდა, ჩემო ბატონო გიორგი, და ის მოხდა, რომ, როცა შენნაირები იბარებენ ტელევიზიას, იქ რატომ ნახევარი კი არა, მთელი ქალაქი არ ურახუნებს რბილ „ლ“-ს... არა იმიტომ, რომ შენც რბილი „ლ“ გაქვს, უბრალოდ, „გკიდია“ გემოვნებაც, ინტელექტიცა და საზოგადოებაც...

მცირე ხნით „ტელეიმედის“ საინფორმაციო სამსახურის შეფინია „რუსთავი 2“-ის ყოფილი სახე და თავდაცვის სამინისტროს ასევე ყოფილი პიარი ნანა ინწკირველი გახდა. ოზურგეთელი ნანა, რომელსაც რევოლუციის გამარჯვებისა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისეთი გამომეტყველება დაედო სახეზე, კაცი იფიქრებდი, ნეტავ, რამდენი მაქვს ამის ვალიო... და ძალიან მალე აღნიშნული ნანა კივილით გავარდა „იმედის“ საინფორმაციოს უფროსობიდან – ვინც ჩემს შრომას არ აფასებს, სულ კარგად იყოსო. ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ხელქვეითი მისით კმაყოფილი და მადლიერი იყო, კარგად სცოდნია თანამშრომლებთან თუნდაც ადამიანური ურთიერთობის აწყობა. მაგრამ, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობამ ისეთი რაღაცების კეთება დაავალა თუ მოსთხოვა, რასაც ეროსი კიწმარიშვილის სკოლაგამოვლილი ჟურნალისტიც კი ვერ იკადრებდა. აი, აქ გამოჩნდა, რომ „იმედის“ საქმე უკვე ძალიან ცუდად იყო.

და დაიწყო... ჟურნალისტიკისა და ზნეობისგან ერთნაირად შორს მყოფი შალვა რამიშვილი და „ვითომ სიმართლის დრო“, სადაც, თუ სტუმარი უნდა მოიყვანო, აუცილებლად დამახინჯებული სექსუალური ორიენტაციის პატრონი ან სრულიად ჩვეულებრივი ბოზი უნდა იყოს... უბედური ნანკა კალატოზიშვილი, რა შარში აქვს თავი გაყოფილი?!

**თუ პატარკაციშვილის ხელში „იმედი“ ქვეყანაში არსებულ საინფორმაციო ვაკუუმს ავსებდა და საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიდა ხელისუფლების მავნებლობის შესახებ, არველაძის ხელში „ტელეიმედი“ სრული უზნეობისა და ნაძირლობის სიმბოლო გახდა.**

ერთი პერიოდი ყველაფრის მკადრებელმა თავი ვახო სანაიამ გამოიჩინა, რომლის მთელი დამსახურება ქართულ ჟურნალისტიკაში ის იყო, რომ გიორგი სანაიას ძმა იყო. სანაია მალევე მოაშთეს. ამასობაში მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება „ტელეიმედში“ ეკა წამალაშვილს ჩააბარეს, რომელიც, გაგეცინებათ და, გივი თარგამაძის ახლო ნათესავია. ჰოდა, ნუღარ იკითხავს ნურავინ, ამ გოგოს, ცხოვრებაში არაფრით რომ არ გამოუჩენია თავი, ამხელა „ტელეკომპანია“ როგორ ჩააბარესო. გივის ჰკითხეთ, როგორ...

ეკამ თავისი დაქალოჩკა ნათია კობერიძე მიათრია „იმედში“, კარგად იმუშავებსო. და იშვა კიდეც „მოდელირებული ქრონიკა“. იშვა, მაგრამ რა იშვა... არა, ამ გადაცემის იდეა, გასაგებია, რომ მხოლოდ ზოგიერთის ავადმყოფურ ტვინში შეიძლება დაბადებულიყო და **კობერიძეები, წამალაშვილები, არველაძეები თუ ხარაზიშვილები მხოლოდ შემსრულებლები არიან, მაგრამ... თუმცა რაღა მაგრამ, როცა საზოგადოება მხოლოდ აღშფოთდა გაეროსავით და ჩუმად გადაყლაპა განავლის მორიგი პარტია.**

**გასაგებია, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად აპიარებს ბოზებს, პიდარასტებს (და არა „კომერციულ სექს მუშაკებსა“ და „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს“), ტრანსვესტიტ-ტრანსსექსუალებსა და თეა თუთბერიძეებს. არაკდემამოსილ ქალს ამ ქვეყანაში ყოველთვის ბოზს ეძახდნენ, მამაკაცთან ლოგინში ჩამწოლ მამაკაცს — პიდარასტს, თეა თუთბერიძე კი ყოველთვის თეა თუთბერიძედ დარჩება, როგორც არ უნდა „გააკეთილშობილონ“ მათი „საქმიანობის“ სახელწოდებები არველაძეებმა.**

აპიარებენ მათ და ცდილობენ, შექმნან აზრი, რომ აი ეს არის ხალხი, ვინც ტელევიზიაში უნდა მოიყვანო და ამა თუ იმ საკითხზე აზრი ჰკითხო. მათზე ჭკვიანი ხალხი ჩვენში არ არსებობს.

**მიზანი? საზოგადოების საბოლოო გადაგვარება-გადაჯიშება, მართლმადიდებლობის დასუსტება, სრული აპათიის განმტკიცება და მონურად მორჩილი ადამიანისმაგვარი არსებებით დასახლებული ტერიტორიის მიღება.** აბა, სხვა შემთხვევაში თავმოყვარე ადამიანს რატომ უნდა მოგინდეს ერთი მეტრის რადიუსში შორენა ბეგაშვილთან, ვიღაცა ბესო თუ კესოსთან თუ გამსახურდიების ყოფილ რძალთან დაჯდომა?

**ხშირად მიფიქრია, რომ ახია ამ საზოგადოებაზე ის, რასაც მას უშვებიან. ვინც ამის ღირსი არ არის და თავმოყვარეობა გააჩნია, ის ამას არც ითმენს და მხოლოდ „აღშფოთება-შეშფოთების“ გამოხატვით არ შემოიფარგლება, ისიც მხოლოდ საკუთარ სამზარეულოში.**




**არჩილ ჩხარტიშვილი**

29 ივნისი — 6 ივლისი, 2010 წელი. №24 (67)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აგვისტოში თბილისში გეიაღლუმის ჩატარება იგეგმება

**ამ ბოლო დროს საქართველოში სულ უფრო მწვავედ დგას ჰომოსექსუალიზმის პრობლემა. ჰომოსექსუალებს იმდენი უფლებები და პრივილეგიები გაუჩნდათ, უამრავი ადამიანი, უბრალოდ, „ეწერება“ პედერასტად, რათა აღნიშნული პრივილეგიებით ისარგებლოს. ჰომოსექსუალები გახდნენ ერთგვარი სოციალური კლასი. მალე მათ სხვა ტიპის პრივილეგიები მოუნდებათ. შესაძლოა, ტერიტორიული ავტონომიებიც მოითხოვონ ან თავისუფალი ქცევის ზონები. საქართველოში ხელისუფალთა მხარდაჭერის მიუხედავად, აქამდე ვერ მოხერხდა გარყვნილ უმცირესობათა მსვლელობის მოწყობა. აქამდე ქართული საზოგადოება წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ მომავალში რა მოხდება, არავინ იცის. ცნობილი გახდა, რომ აგვისტოს შუა რიცხვებში გეიაღლუმის ჩატარება იგეგმება. არჩევნებამდე 2 კვირით ადრე ირეპეტიციეს კიდეც. ალბათ, ხალხის რეაქცია შეამოწმეს. როგორც ჩანს, ჯერჯერობით მაინც ვერ გაარკვიეს, იოლად გადარჩებიან თუ არა, რადგან აღლუმის ჩატარების იდეა ისევ ძალაშია. ამ აღლუმის ჩატარებასთან დაკავშირებით, ყველაზე აქტიურ ანტიპროპაგანდას პარტია „თავისუფლების“ ახალგაზრდა წევრი ლადო სადღობელაშვილი ეწევა. რამდენჯერმე ამის გამო პროვოკაციების მსხვერპლიც კი გახდა, თუმცა დანებებას მაინც არ აპირებს და შეუძლებლად მიაჩნია გეიაღლუმის ღონისძიებამ დარბევისა და პროტესტის გარეშე ჩაიაროს.**



**— საიდან გაიგე, რომ აღლუმის ჩატარება იგეგმებოდა?**

— ეს ინფორმაცია არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გავიგე. „რუსთავი 2“-ის სამსაათიან „კურიერში“ იყო სიუჟეტი, სასტუმრო „რადისონ ბლუში“ პომადებიანი და წითელკაბიანი უცხოელი მამაკაცები რაღაც წვეულებაზე ერთობოდნენ. მათთან ერთად ქართველებიც იყვნენ. ქალები მამაკაცურად იყვნენ გამოწყობილნი, კაცები — პირიქით, ქალურად. მოსინჯეს, რა რეაქცია ექნებოდა საზოგადოებას. სხვათაშორის, ეს მარტო „კურიერმა“ გააშუქა და ისიც 3-საათიან გამოშვებაში. ძალიან მცირე დრო დაუთმეს. არ უნდოდათ, ალბათ, წინასწარ აჟიოტაჟის ატეხვა.

**სიუჟეტის ნახვის შემდეგ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას დავუკავშირდი. ერთ-ერთი იყო ბრიტანული ორგანიზაცია. მათგან გავიგე, რომ აგვისტოს შუა რიცხვებში მსგავსი ღონისძიების ჩატარება იგეგმება, მაგრამ, როგორ განხორციელდება, არ ვიცითო. აგვისტოს თვე, ალბათ, იმიტომ აარჩიეს, რომ ხალხის ნაკლებობა იქნება თბილისში და ფიქრობენ, რომ პარადსაც ზედმეტი ხმაურის გარეშე ჩაატარებენ.**

ქართველი ვარ, მართლმადიდებელი და ჩემს ქვეყანაში რომ ასეთი ამაზრზენი რამ ხდება, რა თქმა უნდა, მაინტერესებს.

**— დაახლოებით რამდენი ადამიანი იყო „რადისონში“ შეკრებილი და იქ მყოფი ქართველებიდან ვინმეს თუ იცნობ?**

— როგორც შემდეგ გავიგე, „რადისონში“ დახლოებით 50-მდე ადამიანი იყო შეკრებილი და მათ შორის 30-მდე უცხოელი. ამ ეგრეთ წოდებულ ფართიში მონაწილეობდა ორგანიზაცია „ინკლუზივი“. მასში თავმოყრილნი არიან ისინი, ვინც კი საქართველოში ოფიციალურადაა პედერასტი. მათი ხელმძღვანელი პაატა საბელაშვილია.

ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის ყველაზე რეიტინგული იყო რწმენა. მორწმუნე ხალხი ვიყავით. ჰომოსექსუალიზმი კი ანგრევს რწმენას. სატანის მიზანია, შეწყდეს ადამიანის სიცოცხლე დედამიწაზე და ამის საუკეთესო საშუალება ერთი და იგივე სქესის ქორწინებები და ამის ლეგალიზებაა.

**— ცნობილია, რომ შენმა განცხადებებმა აგრესია გამოიწვია გეებში.**

— არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე „facebook“-ში ვაქვეყნებდი ბიბლიიდან ამონარიდებს და უარყოფით ტექსტებს გეების წინააღმდეგ. ჩემ მიმართ აგრესია, დიდი ხანია, გაუჩნდათ გეების უფლებათა დამცველებს. თავიდან არ ჰქონდათ რეაქცია, მაგრამ, როცა გაიგეს, რომ არჩევნებში ვაპირებდი მონაწილეობას და, შესაძლოა, ამ გზით საკრებულოში მოვსულიყავი, საფრთხე იგრძნეს. ხომ შეიძლება საკრებულოში მოსვლით ასეთი ორგანიზაციებისათვის საფრთხე შემექმნა? ალბათ, ამის შეეშინდათ და დაიწყეს პროვოკაციები. ინტერნეტში საშინელი გვერდები შემიქმნეს. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში პაატა საბელაშვილი და მისი ორგანიზაციაა გარეული.

ჰომოსექსუალები საქართველოში ეგრეთ წოდებული „თავისუფლების ინსტიტუტისგან“ ფინანსდებიან, ანუ ფონდი „ღია საზოგადოებისგან“. მათი მიზანი კი ყველაფერი ქართულის წაშლაა.

**— შენ ანტილიბერალურ დამოკიდებულებაში გადანაშაულებენ...**

— დღესდღეობით, არა მარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოში მიღებულია ლიბერალური განწყობა. მათი გაგებით, ლიბერალიზმი ნიშნავს იმას, რომ შენ ხარ მთავარი და მერეა ეკლესია და სახელმწიფო. დღეს მოდაშია ასეთი ლიბერალიზმი. ამას წინათ, კონცერტი რომ იყო იპოდრომზე, „Tbilissi open air“-ზე ბიჭები „ზასაობდნენ“. გადავირიე (ერთ-ერთის ძმა მთაწმინდაზე ყველაზე ძველ ბიჭად ითვლება). მეორე დღეს კი ტელევიზორში აჩვენეს და მთელი აჟიოტაჟი ატეხეს, რა მაგრები არიანო. აი, მომავალი ვარსკვლავებიო.

**საზოგადოებაში ბევრნი არიან ჰომოსექსუალების წინააღმდეგი, მაგრამ რატომღაც თავს არიდებენ ამ თემას. 5-10 წლის წინათ ასეთი ადამიანები გარშემომყოფთა ზიზღსა და მწვავე რეაქციას იწვევდა, ახლა კი ასეთ ტიპებთან მეგობრობენ და დაქალობენ. ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს?**

**— საზოგადოებაში მაინც არ დგას ეს საკითხი მწავედ. გეიაღლუმის ჩატარებაც, ალბათ, არც ისე მწვავე რეაქციას გამოიწვევს. რა რეაქცია ექნება, თქვენი აზრით, ხელისუფლებას ამაზე?**

— ჩვენი ხელისუფლება ამას ხელს არ შეუშლის. ჯერ ერთი, ჩვენი მერის — გიგი უგულავას ჟურნალები „ლიბერალი“ და „ტაბუ“ გარყვნილებას ქადაგებს. უგულავს ხელს აძლევს ასეთი გეიპარადები; უნდა, რომ რუსთაველზე მეძავები იდგნენ. მაგრამ ვიცი ეკლესიის და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ პოზიცია, რომელსაც ეს ლიბერალები დასცინიან. ძალიან კარგი ხალხია და ამბობენ, თავს დავდებთ, სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებთ, თავს შევაკლავთ და არ ჩავატარებინებთო. მათთან ერთად ძალიან ბევრი ადამიანი დადგება, მათ შორის — მეც!

ჩემზე გავლენას ვერ იქონიებს მსგავსი პარადები. ჩამოყალიბებული ადამიანი ვარ, მაგრამ პატარა ბავშვები რომ ნახავენ რუსთაველზე კაბიან და მაკიაჟიან კაცებს, არ იმოქმედებს მათ ფსიქიკაზე? წესით, ასეთი ადამიანები პატრულმა უნდა დაიჭიროს. მაგრამ ვიცი, არ დაიჭერს და იტყვიან დემოკრატები ვართ, ჩაატარონ, რაც უნდათო.

ბელორუსშიც მოხდა მსგავსი ფაქტი. ჰომოსექსუალებმა მაისში პარადის ჩატარება მოინდომეს. დაწყებისთანავე მივარდა პოლიცია და ჩაშალა; ყველა დაიჭირეს. ლიტვაში კანონი შემოიღეს, რომ, თუ ადამიანი არაჯანსაღი ორიენტაციის პროპაგანდას ეწევა, უნდა დააპატიმრონ. ხარ და აკეთებ ასეთ ამაზრზენ საქმეს? — წადი შენს სახლში და შენს ოთახში გააკეთე!

ტელევიზიებში თითქმის ყველა გადაცემა მსგავს თემებს ეხება. ველოდები, ერთი სადამდე მივა „იმედის“ თავზეხელაღებულობა და გარყვნილება. ჯერ იყო და „ჩლიქებიანი“ თეა თუთბერიძე მოიყვანეს, მერე ავადმყოფი დეისაძე, კაცი, რომელიც საკუთარმა მამამ გააგდო სახლიდან. ორი ტრანსსექსუალი დასვეს ეთერში და ერთმანეთი ალანძღვინეს. ხედავთ, რა შემოტევაა ტელევიზიებიდან? რა თემებზე აკეთებენ აქცენტს? გარყვნილების პროპაგანდაა, სხვა რა დავარქვა ამას? ამოვიდა ყელში. არანაირი მექანიზმი არ არსებობს კანონიერი გზით ამის შესაჩერებლად.



**გადავწყვიტეთ, ქართული საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლებისაგან გაგვეგო, რა დამოკიდებულება აქვთ მოსალოდნელი გეიპარადის ჩატარებასთან დაკავშირებით.**

**კახა ბაკურაძე, „მოძრაობის თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:**



— ჰეტეროსექსუალი ვარ და მსგავსი ღონისძიებები ჩემთვის მიუღებელია. არა მგონია, ამ ფაქტს კარგი გამოხმაურება მოჰყვეს. ღონისძიებაში შეიძლება ისეთმა ადამიანებმა მიიღონ მონაწილეობა, დარწმუნებული რომ არაა საზოგადოება, ნამდვილად გეია თუ არა. არა მგონია, რომ ქართული საზოგადოება მზად იყოს ასეთი პარადებისთვის. ყველა შემთხვევაში სკანდალს და უარყოფით დამოკიდებულებას გამოიწვევს.

**დათო ტურაშვილი, მწერალი:**



— ჩემთვის წარმოუდგენელია თბილისში გეიპარადის ჩატარება. არა მგონია, ეს გაბედონ. ისედაც იმდენი სანერვიულო გვაქვს, ესღა გვაკლდა. ამას ქართული საზოგადოება არ დაუშვებს.

**გიორგი გურგულია, მსახიობი:**



— ჩემთვის ყოვლად მიუღებელია საქართველოში გეიპარადის ჩატარება. მიუხედავად იმისა, როგორც ცივილიზებული ადამიანი, გეების წინააღმდეგი არ ვარ, ქრისტიანისთვის ჰომოსექსუალიზმი უდიდესი ცოდვაა და ყოვლად მიუღებელი. საქართველო არაა ის ქვეყანა, რომელსაც გეიპარადის ჩატარება სჭირდება. აქ იმდენი პარადია ჩასატარებელი, არაა აუცილებელი მაინცდამაინც გეებმაც ჩაატარონ. თვითონ თუ თავს ნორმალურ ადმიანებად თვლიან, პარადი რაღად სჭირდებათ?! ეს ყველაფერი ვითომ დემოკრატიისთვის კეთდება, სინამდვილეში კი მართლმადიდებლობის წინააღმდეგაა მიმართული. რისთვის ტარდება, ჰომოსექსუალიზმს რომ პროპაგანდა გაუწიონ? რუსეთში არ ჩატარდა პარადი და საქართველოში რატომ უნდა ჩატარდეს?!

არაა საჭირო ხალხის გაღიზიანება და იმის ჩვენება, რომ თითქოს გეები განსაკუთრებული ადამიანები არიან. ფაშისტი არ ვარ. მათი დახოცვაც არავის უნდა, მაგრამ საქართველოში გეიაღლუმს ნუ ჩაატარებენ. ვისაც რა უნდა, ის აკეთოს, მაგრამ საკუთარ სახლში. დარწმუნებული ვარ, გეიპარადის ჩატარებას ქართული საზოგადოებიდან ძალიან ცუდი რეაქცია მოჰყვება.

**ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ფონდ „ინკლუზივის“ ხელმძღვანელს — პაატა საბელაშვილს, რომელიც, ერთ-ერთი მოსაზრებით, გეიპარადის შესაძლო ორგანიზატორია.**



— გეი პარადის შესახებ არაფერი ვიცით. ესაა მოგონილი ინფორმაცია. მსგავსი ტყუილი ერთხელ უკვე იკადრა გაზეთმა „ალიამ“ 2007 წელს. ჯერ დაწერეს ფოთში იგეგმებაო, მერე აღარო, და მერე სულ სხვა ღონისძიებას დააბრალეს პარადობა. ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ გამოიყენეს, რომ ხალხი დაეზაფრათ. ისინი არიან ნამუსგარეცხილი პოლიტიკოსები. უფრო სწორად, ჰგონიათ, რომ პოლიტიკოსები არიან.

ისინი კი ამბობენ, რომ ჩუმად ჩაივლისო. რა აზრი აქვს ჩუმად ჩატარებას, იმას კი აღარ ამბობენ. „რადისონში“ იყვნენ ჩამოსულებიო. ესაა ტყუილი. ყველას უნამუსოდ ატყუებენ და ამ თემით სპეკულირებენ. ერთი კია, ჟურნალისტების ყურადღება მაინც მიიქციეს.

**ესაუბრა თეო ტაბატაძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზვიად ყუშიტაშვილი:

# მოვუწოდებ ქართველ ემიგრანტებს, საქართველოში არ დაბრუნდნენ

**ახალდაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების" წარმომადგენლები, თითქმის ერთი თვეა, პარლამენტის წინ ხმაურიან აქციებს მართავენ და, მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ხელისუფლებას პოლიტიკურად „ცხელი ზაფხულით" ემუქრებიან... კონკრეტულად თუ რა მიზეზით გამოვიდნენ ისინი ქუჩაში და რა გეგმები აქვთ სამომავლოდ, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს" აღნიშნული ორგანიზაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე ზვიად ყუშიტაშვილი ესაუბრა, რომელიც, როგორც თვითონ აცხადებს, მზადაა, ხელისუფლების წინააღმდეგ „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე" იბრძოლოს.**



**— ბატონო ზვიად, დიდი ხანია, პარლამენტის შენობასთან ალიაქოთი გაქვთ ატეხილი. რაშია საქმე, რას მოითხოვთ ხელისუფლებისგან?**

— უპირველესად, ვიტყვი იმას, რომ ჩვენ ვართ დაბრუნებული ემიგრანტები და მოთხოვნები, რომლებიც ხელისუფლების მიმართ გაგვაჩნია, უსაფუძვლო და, ასე ვთქვათ, არარეალური ნამდვილად არ არის.

დაახლოებით ერთი წლის წინათ, როცა სააკაშვილი, ოფიციალური თუ არაოფიციალური ვიზიტით, ესპანეთში იმყოფებოდა, მოგვიწოდა, დავბრუნებულიყავით საქართველოში და დაგვპირდა, რომ აქ ნორმალურად ცხოვრებისათვის ყველა პირობას შეგვიქმნიდა. ის კი არა, მაშინ ევროპის ლიდერების წინაშე ერთგვარი სიამაყითაც კი განაცხადა: დღეს ჩვენს ქვეყანაში ისეთი ინტენსიური აღმშენებლობის პროცესი მიდის, რომ მუშახელი არ გვყოფნის და მივმართავ თითოეულ ქართველ ემიგრანტს, სასწრაფოდ დაბრუნდეს სამშობლოშიო.

**ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲘᲨᲝᲠᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲛᲬᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲑᲐᲜᲓᲐᲡ!**

ეს განცხადება რომ მოვისმინე, ვიფიქრე, მართლაც, უკეთესობისკენ შეცვლილა ქვეყანა-მეთქი, დავუკავშირდი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს; გადავწყვიტეთ, დავბრუნებულიყავით.

**ჩამოვედით და რა ვნახეთ — აღმშენებლობა კი არა, ქვეყანა თავზე გვემხობა, ხალხი დაუსაქმებელა, არ აქვს სამსახური, უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და შიმშილით კვდება. მე პირადად ექვსი წელი ემიგრაციაში ვიყავი; ჩამოსვლისთანავე ერთადერთი, რაც დავინახე, სწორედ ეს იყო, ვინაიდან არაფერი ისე მკაფიო და თვალშისაცემი დღეს საქართველოში არ არის, როგორც სიდუხჭირე და სიღატაკე.**

უკვე შვიდი თვეა, აქ ვარ და მეც (ისევე, როგორც სხვა ემიგრანტები) უკიდურეს მდგომარეობაში ვიმყოფები. არ გაგვაჩნია არანაირი საარსებო პირობები და არც არავინ გვაქცევს ყურადღებას.

**— სცადეთ თუ არა სამსახურის შოვნა?**

— რა თქმა უნდა, მე ყოფილი ორგანოს თანამშრომელი ვარ და, რაც ჩამოვედი, სულ იმას ვცდილობ, სადმე დავსაქმდე, მაგრამ, სადაც მივედი, პირდაპირ გამომიცხადეს: წლოვანება ხელს არ გიწყობსო. ჯერ ერთი, ოცდათორმეტი წელი ის ასაკი არაა, ამის გამო ადამიანი სამსახურში რომ არ მიიღო; და კიდევ, — ყოფილი თანამშრომლები არ გვჭირდებაო.

**სამჯერ დავწერე განცხადება პრეზიდენტის სახელზე, მივმართე თხოვნით, შესაძლებლობის ფარგლებში დაგვხმარებოდნენ, მაგრამ არანაირი გამოხმაურება არც მისი და არც რომელიმე შესაბამისი უწყების მხრიდან ამას არ მოჰყოლია.**

ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, დაგვეფუძნებინა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტები" და გვებრძოლა იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომელსაც ამ ხელისუფლების წყალობით ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით.

**— რამდენი ხანია, რაც თქვენი ორგანიზაცია არსებობს და ვინ გაფინანსებთ?**

— დაახლოებით სამი თვის წინათ, როცა გადავწყვიტე, ეს ორგანიზაცია შემექმნა, დავუკავშირდი ჩემს მეგობრებს, ევროპაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს და ვთხოვე, რომ შეძლებისდაგვარად ფინანსურად დაგვხმარებოდნენ. მათაც უარი არ გვითხრეს და, ვისაც როგორ შეეძლო, გვერდში ამოგვიდგა... სხვათაშორის, მთელი ეს დღეები, რაც ჩვენ პარლამენტის შენობასთან ვიკრიბებით, ესპანეთში, კერძოდ, კატალონიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებიც სოლიდარობის ნიშნად იქ საპროტესტო აქციებს მართავენ. ამით ისინი არა მხოლოდ ჩვენ მიმართ მხარდაჭერას გამოხატავენ, არამედ ცდილობენ, მთელ მსოფლიოს თუ არა, ევროპის გარკვეულ ნაწილს მაინც გააგებინონ, რომ დღეს საქართველოში ხალხი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და აქ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენი პრეზიდენტი ხატავს.

**— თქვენი მთავარი მოთხოვნა დასაქმებაა და, იქნებ, გიგი უგულავასთვის მიგემართათ დახმარებისთვის, მისი პრიორიტეტიც ხომ სწორედ ეს არის?**

— როგორც გითხარით, უკვე შვიდი თვეა, საქართველოში ვარ და მთელი ამ ხნის განმავლობაში უწყება თუ თანამდებობის პირი არ დარჩენილა, მე რომ განცხადებით არ მიმემართოს, მაგრამ რას მივაღწიე? მაპატიეთ და, ფეხებზე დაგვიკიდა ყველამ...

**მართალია, პირადად გიგი უგულავასთვის არ მიგვიმართავს, მაგრამ რომც მიგვემართა, რას შეცვლიდა?! განა ყველამ არ ვიცით, რომ მისი ლოზუნგი: „ჩემი პრიორიტეტია დასაქმება" და გნებავთ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია" მხოლოდ და მხოლოდ წინასაარჩევნო პიარზე გათვლილი ფუჭი სიტყვები იყო და მეტი არაფერი?!**

**— ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში თქვენ თქვით, რომ იბრძოლებთ მანამ, სანამ დასახულ მიზანს არ მიაღწევთ. კონკრეტულად როგორ და რა გზებით აპირებთ ამის გაკეთებას?**

— ამჟამად ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ იმაზე, რომ ჩვენი ორგანიზაცია მაქსიმალურად გაფართოვდეს და მომავალში უფრო და უფრო ფართომასშტაბიანი აქციები მოვაწყოთ. ჩვენ დათმობაზე წასვლასა და გაჩუმებას არ ვაპირებთ, ვიბრძოლებთ ბოლომდე და, თუ საჭირო გახდება, თავსაც შევაკლავთ ხელისუფლებას.

**— ნანობთ თუ არა სამშობლოში დაბრუნებას?**

— ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ვნანობ. არ მეგონა, აქ მთლად ასეთი საშინელი მდგომარეობა თუ იყო, თორემ დაბრუნებაზე, ალბათ, არც ვიფიქრებდი... დღეს უკვე, სამწუხაროდ, უკან დასახევი გზა არ მაქვს, უნდა ვიბრძოლოთ ბოლომდე, სანამ ეს ხელისუფლება ხალხისადმი დამოკიდებულებას არ შეცვლის, რისი იმედიც ნაკლებად მაქვს, ან სანამ საერთოდ არ მოვიშორებთ ამ სისხლისმწოველთა ბანდას.

**— რას ურჩევთ იმ ემიგრანტებს, რომლებიც ჯერ არ დაბრუნებულან საქართველოში?**

— სანამ ქვეყანაში ასეთი სიდუხჭირეა, სანამ მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა და გვყავს ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ეს საერთოდ არ ადარდებს, მე ყველას მოვუწოდებ, საქართველოში არ დაბრუნდნენ. ბევრმა ეს შეიძლება ისე გაიგოს, რომ თითქოს მე ვილაცას მოვუწოდებ, სამშობლო ფეხებზე დაიკიდოს, მაგრამ ასე არ არის, უბრალოდ, ვამბობ იმას, რაც ფაქტია — დღეს საქართველო სიღატაკის ზღვარზეა და ის ასეულ ათასობით ემიგრანტი, რომლებიც მიმობნეულნი არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, აქ რომ ჩამოვიდნენ, მერწმუნეთ, ჩვენს ერს შიმშილით ამოწყვეტა არ ასცდება. არაფერს ვამბობ იმ პოლიტიკურ კატასტროფაზე, რომლის წინაშეც, დიდი ხანია, ჩვენი ქვეყანა დგას.

**— თქვენ და თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთობ მწვავე განცხადებებს აკეთებთ ხოლმე; ხელისუფლების მხრიდან რამე ზეწოლა თუ გიგრძნიათ ამის გამო?**

— თავიდან, როცა ჩვენი ორგანიზაცია შეიქმნა, „ეროვნული საბჭოს" ერთ-ერთ ყრილობას დავესწარით და პირველად იქ დავარიგეთ ჩვენი თეზისები. ამის შემდეგ, ზუსტად მესამე დღეს, ღამის თორმეტ საათზე, გზაში დამხვდა ოთხი ნიღბიანი და ისე მცემეს, რომ გრძნობა დავკარგე. ამაზე პოლიციამ საქმეც აღძრა, მაგრამ არაფერი...

გარდა ამისა, როცა პარლამენტის წინ აქციები დავიწყეთ, რამდენჯერმე დამირეკეს „დაფარული ნომრით" და გამაფრთხილეს, თუ ხალხს ქუჩაში გამოიყვან, შავ დღეს დაგაყრითო.

ერთი სიტყვით, ყველანაირად ცდილობენ, გაგვაჩუმონ, შეგვაშინონ და დაგვატერორონ, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ვაცხადებ, რომ არ მეშინია. ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მალე საქართველოს არ ჰყავდეს ეს დამაქცევარი ხელისუფლება.

**ჰო მართლა, ახლახან მოვამზადეთ წერილი, რომელსაც მალე გავუგზავნით ევროსაბჭოს, რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტებს. ამ წერილში დეტალურადაა მოცემული ჩვენი ხედვები, მოთხოვნები და დამოკიდებულება იმ ყველაფრისადმი, რაც დღეს აქ ხდება. ვფიქრობ, ეს ბევრ რამეს შეცვლის და დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდ წვლილს შეიტანს ჩვენს ბრძოლაში ამ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც აუცილებლად ხალხის გამარჯვებით დასრულდება.**

**— თქვენ ამბობთ, რომ საქართველოში ყველაფერი ცუდი და ხალხისთვის საზიანო ხდება. ექვსი წელია, აქ არ ყოფილხართ და, რომ ჩამოხვედით, ნუთუ უკეთესობისკენ შეცვლილი საერთოდ ვერაფერი დაინახეთ?**

— რაც დავინახე, უკვე გითხარით, — ნგრევა, საკუთრების ხელყოფა, ადამიანების ხოცვა, ეკლესიებში შევარდნა და ა.შ. თუმცა ესეც არ გვაკმარა და ბოლოს ჩვენმა პრეზიდენტმა აგვისტოს ომიც გვიჩვენა, რაზეც ჩვენზე — ემიგრანტებზე, უკეთ არავინ იცის, რას ლაპარაკობს მთელი ევროპა.

**სხვათაშორის, ამ რამდენიმე ხნის წინათ, ერთ-ერთ ესპანურ არხზე გადაცემა იყო პრეზიდენტებზე, აჩვენეს თითქმის ყველა ქვეყნის პირველი პირები და თითოეული მათგანი დაახასიათეს, როგორც დინჯი და გაწონასწორებული პოლიტიკოსი. ერთადერთი, ვისაც საპირისპირო შეფასება მისცეს, იყო მიხეილ სააკაშვილი; პირდაპირ თქვეს, რომ ეს არის აბსოლუტურად უდისციპლინო, უტაქტო და არასერიოზული პრეზიდენტი. თან აჩვენეს კადრები, თუ როგორ ფორთხავს იგი გორში მიწაზე და როგორ ღეჭავს ჰალსტუხს. ერთი სიტყვით, ეს იყო სასაცილოზე სასაცილო სიუჟეტი, თუმცა მე, როგორც ქართველს, ამას რომ ვუყურებდი, ნამდვილად შემრცხვა.**

**— ოპოზიციურ პარტიებთან რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— დავიწყეთ თუ არა საპროტესტო აქციები, აბსოლუტურად ყველა პარტიას მივმართეთ, ჩვენთვის მხარი დაეჭირა; წერილი გავუგზავნეთ ნინო ბურჯანაძეს, ზურაბ ნოღაიდელს, მაგრამ არც ერთმა და არც მეორემ ყურიც არ შეიბერტყა. ასევე მოიქცნენ სხვა ოპოზიციური პარტიებიც, თუმცა ზოგიერთმა წინასაარჩევნო პერიოდში ერთი-ორი განცხადება გააჟღერეს ჩვენი მოთხოვნების თაობაზე და ამით ისევ და ისევ თვითონ გაიკეთეს პიარი. სხვა არანაირი დაინტერესება ჩვენი პრობლემებისა და საქმიანობის მიმართ არც ერთი პოლიტიკოსის მხრიდან არ ყოფილა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ოპოზიციასაც, მაპატიეთ და, ისევე ჰკიდია ფეხზე ხალხის გასაჭირი, როგორც ხელისუფლებას. ამიტომ ვამბობთ, რომ დღეს ჩვენი ერთადერთი გამოსავალი ბრძოლაა და, რაც უფრო ადრე დავიწყებთ ამას, მით მალე მივაღწევთ სასურველ შედეგს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პირადად მე არაფრის მეშინია, სისხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, დასახულ მიზანს მივაღწევ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბრძოლა უშედეგოდ არ ჩაივლის, ხელისუფლებას ძალიან ბევრი ცოდვა დაუგროვდა და, ადრე თუ გვიან, მას ყველაფერზე მოუწევს პასუხისგება.

**ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲘᲦᲐᲢᲐᲙᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲐᲡᲔᲣᲚ-ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲛᲝᲑᲜᲔᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ, ᲐᲥ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲔᲠᲡ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲗ ᲐᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲐᲠ ᲐᲡᲪᲓᲔᲑᲐ**

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# როგორ იხეირა ხელისუფლებამ დევნილების ფულით

**ხელისუფლების ხმამაღალი რიტორიკა, რომ დევნილების დაკმაყოფილებისა და საცხოვრებელი სახლების უზრუნველყოფისთვის მაქსიმუმი გაკეთდა, ეჭვქვეშ დგება იმ მონიტორინგის შედეგები, რომელსაც მრავალთვიანი კვლევის შემდეგ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქვეყნებს. ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებული ხელშეკრულებები, დახურული ტენდერები, რამდენიმე კომპანიისთვის შექმნილი სასათბურე პირობები და შედეგად რამდენიმე თვეში მწყობრიდან გამოსული სახლები, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ იზრუნა სახელმწიფომ დევნილებზე.**




## გაზულუქებულმა მაღალჩინოსნებმა გაუბედურებულ ხალხს არათუ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა, საერთაშორისო საზოგადოების ნაწყალობევი 4 მილიარდი დოლარიც წაართვეს

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებამ 22 ოქტომბერს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოსთვის 455 მილიონი დოლარის დახმარება გამოყო. აღნიშნული თანხის ხარჯვის მონიტორინგს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აწარმოებდა. მონიტორინგი მიზნად ისახავდა, გამოერკვია, თუ რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და პროცედურის დაცვით ხდებოდა დევნილთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესყიდვა სახელმწიფოს მხრიდან. ანგარიში საკმაოდ მწვავე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის პროცესში საია საჯარო დოკუმენტაციას ითხოვდა, სახელმწიფო სტრუქტურები მას შესაბამისი ინფორმაციით არ უზრუნველყოფდნენ.

როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, ყველაზე დახურული უწყება ამ მხრივ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო იყო.

**როგორც ჩანს, სუბელიანს, რომლის რეპუტაციაც, დიდი ხანია, ეჭვქვეშ დადგა, არ სურს საკუთარი დარღვევები საჯარო განხილვის საგანი გახადოს. სხვა სახელმწიფოების გარდა, საქართველოს მთავრობამაც გამოყო გარკვეული თანხები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის დევნილების საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიზნით.**

ანგარიშში ნათქვამია, რომ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, თითქმის ყველა შემთხვევაში, უგულებელყოფილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და მომზადების წესები და ნორმები.

**დაახლოებით 60 ერთეული ტენდერის დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ უმრავლესობაში არ არის დაცული ტენდერის შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი ზუსტად განსაზღვრავს იმ ინფორმაციას და მოთხოვნებს, რომლებიც დაწვრილებით უნდა იქნას წარმოდგენილი. 17 შემთხვევაში, ტენდერის შესახებ განცხადებაში მხოლოდ ნაწილობრივ არის მითითებული ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შემდგომ სატენდერო დოკუმენტაციის საბაზისო მონაცემთა ნუსხაში გვხვდება, რაც ტენდერის ჩატარების პროცედურის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.**

საია ხაზგასმით აღნიშნავს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში განხორციელებულ ხშირ ცვლილებებს, ღირებულების შეუსაბამოდ ზრდას, მოცულობების ცვლას, სამუშაოს სახეობებისა და ობიექტების ცვლილებებს. ხშირად ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში შედის ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე. შესაბამისად, შესყიდვის მასალებში იშვიათად თუ მოიპოვება აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **უმრავლეს შემთხვევაში, სახეზეა ერთსა და იმავე სამშენებლო ობიექტზე, ერთსა და იმავე სამუშაო სახეობაში ჯერ სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოცულობის შეუსაბამოდ ზრდა და შემდგომში, ასევე, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შემცირება.**

ანგარიშში ამის უამრავი მაგალითია: ფოთში, დანელიას ქ. №4-ში, „ემუს" ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე ბაღში და მალთაყვის ტურბაზის №№1,2,3 კორპუსებში, კემპინგში განთავსებული დევნილების საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაციისთვის გამართულ ტენდერში გამარჯვებულ ფირმასთან ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დასრულებამდე კონტრაქტში 4-ჯერ შედის ცვლილება.

**სამუშაოს ღირებულება იზრდება დაახლოებით 70%-ით, ანუ სახელშეკრულებო ღირებულება 881 199 ლარიდან იზრდება 1 206 322 ლარამდე!**

დაუსაბუთებელ ცვლილებებს ადასტურებს შემდეგიც: ქალაქ ფოთში, დანელიას ქუჩა №4-ში მდებარე მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში, სამუშაოს სახეობის (იატაკზე ლამინირებული პარკეტის დაგება) მოცულობა სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა 2124 კვ.მ-ით. შემდგომში, 2009 წლის 14 აგვისტოს, ცვლილება-დამატების შედეგად აღნიშნული მოცულობა გაიზარდა 200 კვ.მ-ით და შეადგინა 2324 კვ.მ. ამას ასევე ადასტურებს მგფ-ის მიერ დამატებით, ბოლოს მოწოდებული გაურკვეველი წარმოშობისა და თარიღის დეფექტური აქტი, რომელსაც ხელს აწერს შპს „არქიტექტურის ოფისის" მთავარი ინჟინერი.

**2009 წლის 1 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, აღნიშნულ შენობაში ზუსტად იმავე სამუშაო სახეობაში სამუშაოს მოცულობა მცირდება 360,2 კვ.მ-ით და შეადგენს 1963,8 კვ.მ-ს, ანუ, ფაქტობრივად, აღნიშნულ შენობაში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულზე მცირე იყო.** შესაბამისად, გაზრდა და გაზრდის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები (გაურკვეველი დეფექტური აქტები) სრულიად უსაფუძვლოა.

ამ მცირე მაგალითიდან და მოწოდებული დოკუმენტებიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ უმეტესწილად ცვლილებები არ იყო დასაბუთებული. ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა უზრუნველყოფილია ისეთი სამუშაოების დამატებითა და შესაბამისი განფასებებით, როგორიცაა ძველი, არსებული კარების, ფანჯრების, იატაკისა და მსგავსი სახეობის სამუშაოების დემონტაჟი. დემონტაჟის სამუშაოების ცალკე სახეობად გამოყოფა და შესაბამისი ფინანსური რესურსის დამატებით განკარგვა არამიზანშეწონილია. აღსანიშნავია, რომ დემონტაჟის სამუშაოები არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ცვლილების საფუძველს.

**„მიგვაჩნია, რომ მოგვიანებით ხელშეკრულების ღირებულების გაზრდის საფუძვლად დემონტაჟის სამუშაოების მითითება ხელოვნურია და არ შეიძლება ის ობიექტურ საფუძვლად ჩაითვალოს. არის, ასევე, შემთხვევები, როდესაც პრეტენდენტი წარმოადგენს ძალიან დაბალ ფასს, მოიპოვებს უპირატესობას და სამუშაოების მიმდინარეობისას ხორციელდება მის მიერ შემოთავაზებული ღირებულების შეუსაბამოდ გაზრდა",** — ნათქვამია ანგარიშში.

ამის მაგალითად კი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას **შპს „ბლოკ-ჯორჯიას"** ფაქტი მოჰყავს. ▶





## რატომ არ აჯარიმებდა მუნიციპალური განვითარების ფონდი კონტრაქტორებს — შპს «ბლოკ ჯორჯიას» და შპს «ნიუ-ენერჯის» ვადის გადაცილების შემთხვევებში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**სახელშეკრულებო ღირებულებით გათვალისწინებული იყო 1 117 246 ლარი. სამუშაოს სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 3 507 428 ლარს. მნიშვნელოვანია, რომ გამარჯვებული წინადადება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 30%-ს შეადგენს, ანუ პრეტენდენტმა 70%-ით დაბალი ფასი წარმოადგინა, ვიდრე შესყიდვის სავარაუდო ღირებულება იყო.** და აქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ პრეტენდენტმა 70%-ით სამუშაოს მიახლოებითი ღირებულება უპირატესობის მოპოვების მიზნით შეამცირა, მოგების შემდეგ კი მან სატენდერო წინადადების 44%-ით გაზრდა მოითხოვა.

**ამ ხელშეკრულების ღირებულებები საბოლოოდ 18 000 000 ლარით გაიზარდა. ჯამში ხელშეკრულებების ღირებულებებმა სამუშაოების სრულ დასრულებამდე სახელმწიფო შესყიდვის საერთო ღირებულება 85 500 000 ლარამდე გაზარდა, რაც არც თუ მცირე გარღვევას წარმოადგენს.**

სახელმწიფო შესყიდვაში 101 სამშენებლო და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპანია მონაწილეობდა; აქედან სახელმწიფო დაკვეთა 26 კომპანიამ მიიღო; 85-მა სახელმწიფო შესყიდვის პოზიციაზე თითქმის ნახევარ — 34 პოზიციაზე უპირატესობა მოიპოვა; 37 400 000 ლარის სახელმწიფო შეკვეთა მიიღო ორმა კომპანიამ: შპს „ბლოკ ჯორჯიამ“ და შპს „ნიუ-ენერჯიმ“. 294%-ით გაიზარდა ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება, რაც, შეუძლებელია, ეჭვს არ იწვევდეს.

მნიშვნელოვანია, რომ ამ კომპანიებსა და მათ მიერ ათვისებულ ფინანსურ მოცულობაზე (37 400 000 ლარზე) მოდის განკარგული სახელმწიფო ფინანსური ასიგნების თითქმის ნახევარი. შესაბამისად, მუნიციპალური განვითარების ფონდი ვალდებული იყო, ვადის გადაცილების შემთხვევებში, კონტრაქტორები დაეჯარიმებინა და მათთვის გადასახდელი თანხის ოდენობიდან ჯარიმის თანხა გამოექვითა. ამის ნაცვლად, მგფ თანხმდებოდა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე და კონტრაქტორებს უგრძელებდა სამუშაოების შესრულებისთვის დადგენილ ვადას.

ეს შეფასებულია საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის ანგარიშშიც: **„დამკვეთების მიერ არ ხდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენება დამრღვევების მიმართ და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავდა მნიშვნელოვანი ოდენობის თანხებს“**, — ნათქვამია მასში.

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით დადებული ხელშეკრულებების დიდი ნაწილი შეეხება დევნილებისთვის ახალი სახლების მშენებლობას შიდა ქართლში (გორის, კასპის, ქარელის მუნიციპალიტეტები). აღნიშნული ხელშეკრულებები ჯამურად 1263 ობიექტის მშენებლობას ითვალისწინებდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები მონიტორინგის ფარგლებში სტუმრობდნენ გორის, კასპისა და ქარელის რაიონის ცხრა სოფელს (ბერბუკი, შავშვები, ხურვალეთი, კარალეთი, სკრა, მოხისი, ახალსოფელი, თელიანი, მეჯვრისხევი).

**ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება, რაც გამოიკვეთა, დაკავშირებულია ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებულ სამუშაოთა ნაწილის შეუსრულებლობასთან ან მის უხარისხოდ და არაჯეროვნად შესრულებასთან.**

მაგალითად, ბერბუკში, ხურვალეთში, სკრასა და შავშვებში სულ 536 სახლი აშენდა. თითოეულ სახლთან მიმართებაში ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა საქონლის სადგომის მშენებლობას, რაც არც ერთ შემთხვევაში არ განხორციელებულა. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ობიექტი ხარჯთაღრიცხვაში განფასებულია 640 ლარად. 536 ობიექტის ჯამში კი აღნიშნული თანხა 343 040 ლარს შეადგენს. მიუხედავად ამისა, კონტრაქტორებს მთლიანად აუნაზღაურდათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები. რაიმე ცვლილებას საქონლის სადგომებთან მიმართებით ხელშეკრულება არ დაქვემდებარებია.

**გამოდის, რომ სახელმწიფომ 342 040 ლარი აჩუქა კონტრაქტორ ფირმებს. მგფ-ს მიერ მოწოდებულ მასალებში არ მოიძებნება რაიმე დოკუმენტი, რომელიც ახსნიდა აღნიშნულ რეალობას.**

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესყიდვის კიდევ ერთი ფორმა — ერთ პირთან მოლაპარაკება, რომელიც წარმოადგენს შესყიდვის გამონაკლის შემთხვევებში გამოსაყენებელ საშუალებას. იმ შემთხვევაში, თუ მას მიეცემა რეგულარული ხასიათი, მაშინ ის წარმოადგენს ე.წ. კანონიერი კორუფციის ერთ-ერთ საუკეთესო შესაძლებლობას.

**ლტოლვილთა სახლების მშენებლობასა და მათ უზრუნველყოფაზეც ბევრი ფული გაკეთდა. ხელშეკრულებების დიდი ნაწილი სწორედ ამ ფორმით არის განხორციელებული. თუ ოპოზიციას იმ განცხადებებს დავესესხებით, რომ საქართველოში ტენდერებს მხოლოდ ერთი და იგივე კომპანიები იგებენ, რომლებსაც ან ხელისუფლების მაღალჩინოსნების ოჯახის წევრები ფლობენ, ან ამ კომპანიებს წილებში უზიან, და ის ფაქტი, რომ მათი მხრიდან უამრავ დარღვევაზე სახელმწიფოს რეაგირება არ მოუხდენია, ამ ეჭვს კიდევ უფრო ამძაფრებს.**

ყველაზე სავალალო ის არის, რომ იმ ადამიანების ხარჯზე, რომლებმაც საკუთარი სახლები ხელისუფლების მრავალგვარი შეცდომების გამო დაკარგეს, კვლავ ხელისუფლების გაზულუქებულმა მაღალჩინოსნებმა იხეირეს და მათ არათუ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა, საერთაშორისო საზოგადოების ნაწყალობევი 4 მილიარდი დოლარიც წაართვეს.

# არშემდგარ სახელმწიფო გადატრიალებათა ქრონიკა

მას შემდეგ, რაც სააკაშვილის გუნდმა ხელისუფლებაში მოიკალათა, მუდმივად არსებობს საქართველოს ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამხობის საფრთხე. ახლახან ქართულმა მედიამ კვლავ აიტაცა ეს საკითხი. რადგან გერმანულმა გაზეთმა „ფრანკფურტერ რუნდშაუმ“ ავსტრიის პოლიციის ანგარიშზე დაყრდნობით გამოაქვეყნა მასალა, რომ თურმე 2009 წლის აპრილში, საპროტესტო აქციების დროს, ავსტრიაში მცხოვრები გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტები, მათ შორის კანონიერი ქურდი ლაშა შუშანაშვილი და უშიშროების ექსმინისტრი იგორ გიორგაძე, შს სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის დახმარებით, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ; ამ მაღალჩინოსანს სამინისტროში ძალოვანები დღემდე ეძებენ. ქართული მაფია თუ გადატრიალებას გეგმავდა, აქამდე ქართული საზოგადოებისთვის უცნობი იყო, რადგან შს სამინისტრომ 2009 წლის მაისში სხვა გადატრიალების შესახებ გვაცნობა.






2009 წლის 5 მაისს, დილით, ტელევიზიით გავრცელებული ოპერატიული ვიდეომასალით გვაცნობეს, რომ მუხროვანის ბატალიონმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. ბატალიონი საბრძოლო მზადყოფნაში იყო, პარალელურად ვრცელდებოდა ვიდეომასალა, რომელშიც თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის ყოფილი უფროსი გია ღვალაძე დიდი მონდომებით ამტკიცებდა, რომ შვიდმა გენერალმა მცხეთაში შეიმუშავა შეიარაღებული გადატრიალების გეგმა.

**ჯარში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, მუხროვანის ბაზა სპეცდანიშნულების რაზმმა ალყაში მოაქცია. სიტუაციის განმუხტვაში მაშინდელი თავდაცვის მინისტრი სიხარულიძე და შს მინისტრი მერაბიშვილიც ჩაერთნენ. პრეზიდენტმა კი აჯანყებულებს ტელევიზიით მიმართა და იარაღის დასაყრელად ერთსაათიანი ვადა მისცა. მოგვიანებით სააკაშვილი სამხედრო ბაზაზე მივიდა და მორალი უკითხა ჯარისკაცებს.**

იმ დღეს სააკაშვილმა ბევრი ისაუბრა რუსეთის კვალზე, რომ ბოლო პერიოდში რუსეთმა გაასამმაგა საქართველოს ტერიტორიაზე თავისი სამხედრო ძალების რაოდენობა და პრაქტიკულად მთელი შავი ზღვის ფლოტი საქართველოს აკვატორიაში განალაგა; რომ გათვლა იყო, საქართველოს დედაქალაქის შუაგულში მასობრივი არეულობების დაწყებაზე ან რაიმე სახის ძალადობა განხორციელდებოდა და შემდეგ განვითარდებოდა მოვლენები საქართველოს სუვერენიტეტის, თავისუფლების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის წინააღმდეგ; რომ ამბოხების მიზანი სახელმწიფო გადატრიალება და საქართველოში დაგეგმილი ნატოს წვრთნების ჩაშლა იყო.

„კობალაძე მისახედი იყო ბევრად უფრო ადრე. ამ ხალხს ბოროტების გარდა საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებია. ესენი არიან ჩამოყალიბებული თავისი მენტალიტით და აქვთ აბსოლუტურად კრიმინალური გადახრა; ეს ყველამ ვიცოდით, ამ ხალხს არ უნდა ებოგინა თავისუფლად ამდენი ხანი საქართველოში“, — ეს სააკაშვილის განცხადებიდან ამონარიდია, რომლის შემდეგაც მოკლე ხანში გვარდიის ყოფილი სარდალი კობა კობალაძე, მუხროვანის ბატალიონის მეთაური გოგიაშვილი და კობა ოთანაძე დააკავეს.

**აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მოგვიანებით სხვადასხვა ბრალდებით კიდევ 19 სამხედრო თუ სამოქალაქო პირი გაასამართლეს. დაკავების სპეცოპერაციის შედეგად კი დაიჭრა ორი ეჭვმიტანილი — კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე, გია კრიალაშვილი კი მოკლეს. პრეზიდენტის ბრალდებებიდან რვა თვის შემდეგ „გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი“ კობალაძე სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ რუსეთთან ამბოხების კავშირზე ბრალდებულის საქმეში არაფერი იყო ნათქვამი.**

მაშინ ქვეყანაში საპროტესტო აქციების ბუმი იყო და სწორედ ამ დღეს, როდესაც ხელისუფლებამ დიდი გადატრიალება ჩაახშო, ოპოზიციას სერიოზული აქციები ჰქონდა დაგეგმილი, რაც, ცხადია, აღნიშნულმა მოვლენებმა ჩაშალა.

მაშინაც ვრცელდებოდა ინფორმაცია, **ოპოზიციის აქციებს სამხედრო ძალები უნდა შეერთებოდნენ და ხელისუფლება დაემხოთ. ჰოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლოსდაბოლოს გაუგებარია, საქართველოში 2009 წლის გაზაფხულზე ერთდროულად ორი სხვადასხვა ჯგუფი აწყობდა გადატრიალებას?**

თუ ასეა, გასაგებია, რომ მუხროვანის ამბოხი ცნობილი გახდა ძალოვანი სტრუქტურისთვის და ის „ჩაშალეს“, რატომ ვერ განახორციელეს „მაფიოზურმა“ დაჯგუფებებმა ის გადატრიალება, რომელიც ავსტრიის სამართალდამცავების გამოძიების საგანი გახდა?

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო გადატრიალება ხელისუფლებისთვის ერთგვარი საფრთხობელაა. **მარტო ორი გადატრიალების მცდელობა არ ყოფილა „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე, სააკაშვილის შვიდწლიან მმართველობაში. 2009 წლამდე გადატრიალების მცდელობა იყო 2007 წლის ნოემბერში.** ამის მტკიცებულებად გენერალურმა პროკურატურამ აწ განსვენებულ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილისა და სოდის მაშინდელი უფროსის — ირაკლი კოდუას ლონდონში შემდგარი საუბრის ფარული აუდიო ჩანაწერი გამოაქვეყნა. საგანგებოდ მომზადებულ დოკუმენტურ ფილმში გენერალური პროკურორის მაშინდელი მოადგილე ნიკა გვარამია აცხადებდა, რომ პატარკაციშვილი კოდუას 100 მილიონ დოლარს სთავაზობდა ხელისუფლების დასამხობად დახმარებაში.

**ნიკა გვარამია: „კოდუას დაკითხვიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა გზა იყო დაშვებული ვანო მერაბიშვილის გასანეიტრალებლად; საუბარი იყო იმასთან დაკავშირებითაც, რომ კოდუას ექნებოდა როგორც ფინანსური, ასევე პოლიტიკური გარანტიები. ფინანსური თვალსაზრისით, მას გადაუხდიდნენ 100 მილიონ დოლარს, პოლიტიკური თვალსაზრისით, იგი მიიღებდა საზოგადოების აღიარებას, იგი იქნებოდა გამოცხადებული გმირად. ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებდა „ტელეიმედი“, კერძოდ, გიორგი თარგამაძეს უკვე დაწყებული ჰქონდა სიუჟეტის მომზადება, რომელშიც კოდუა იქნებოდა ასახული, როგორც გმირი“.**

სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე სამი წელი დარჩა. ვინ იცის, კიდევ რამდენი „გადატრიალება“ ჩაიშლება და რამდენი ადამიანის სიცოცხლე თუ თავისუფლება შეეწირება ხელისუფლების ზმანებას. ახლა გიორგი თარგამაძე პარლამენტში მოღვაწეობს, თორემ, იქნებ, კიდევ არაერთი არშემდგარი „გმირის“ რეპორტაჟის შემოქმედიც გამხდარიყო.

გვერდები მოამზადა სოფო ბელაშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «მათე» და «თეგეტა მოტორსმა» ჯერ ყველა მცირე კომპანია გადაყლაპეს, მერე ერთმანეთი შემოეჭამათ

## «მათე მოტორსის» ხელმძღვანელი იმ საგადასახადო კოდექსმა შეიწირა, რომელსაც ერთი თვის წინ ქებას ასხამდა

**თვითმმართველობის არჩევნებისთვის თბილისის ცენტრალურ გზატკეცილზე, მარშალ გელოვანის გამზირზე გამოსახული უშველებელი „ხუთიანის“ ავტორი დაკავებულია. საავტომობილი ცენტრ „მატე მოტორსის“ გენერალური დირექტორი გელა ბარკალაია გასულ კვირას სამართალდამცავებმა დააპატიმრეს, სასამართლომ 200-ათასიანი გირაოს სანაცვლოდ მის გათავისუფლებაზე უარი თქვა და საგადასახადო სამსახურის თანამშრომლისთვის ქრთამის მიცემაში ბრალდებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ბარკალაია ცოტა ხნის წინათ ქება-დიდებას ასხამდა ახალ საგადასახადო კოდექსს. თუმცა, თუკი ასეთი კარგი და ბიზნესმენებისათვის მისაღები იყო ეს კოდექსი, ძნელი გამოსაცნობია, რაში დასჭირდა მას საგადასახადოს თანამშრომლის მოქრთამვა.**

### განცხადება

**შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ინფორმაცია თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2010 წელს შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:**

**სხვადასხვა სახის სამეურნეო და მცირეფასიანი ელექტრო საქონელი: (დაფინასების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი)** ი.მ. „გიორგი გურწიშვილი“ ლოტი 1, 2, 6, 7, 14, 15, 19, 22, 23 და 49-ში; შპს „ახალი ნათება“ ლოტი 42 და 47-ში; შპს ახალი მთვარე“ ლოტი 44, 45 და 50-ში.

**სხვადასხვა სახის ჰიგიენური საშუალებები: (დაფინასების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი)** შპს „მაკალე“ ლოტი 1, 2, 3, 6, 8, 9, 10 და 18-ში, შპს „ლიზი 21“ ლოტი 12, 14, 15 და 16-ში; ი.მ. „ონისე აბაიაძე“ ლოტი 20-ში; ი.მ. „გია ბარბაქაძე“ ლოტი 5, 11, 13, 17 და 21-ში.

**მშრალი კვება: (დაფინასების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი)** შპს „მეგაგარანტი“ ლოტი 1-ში.

**ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექმომსახურების (სერვისი - სათადარიგო ნაწილებით): (დაფინასების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი)** ი.მ. „ვახტანგ ცხადაია“ ლოტი 1 და 2-ში; შპს „ირბათ ფ-6“ ლოტი 3 და 4-ში; შპს „თეგეტა მოტორსი“ ლოტი 7-ში; ი.მ. „ავთანდილ აბაშიძე ი.ს. ავთო“ ლოტი 5 და 6-ში; შპს „მათე მოტორსი“ ლოტი 12-ში.

**მყარი საწვავი (შეშა): (დაფინასების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი)** ი.მ. „თეიმურაზ კვირიკაშვილი“ ლოტი 1, 4, 5 და 7-ში; ი.მ. „ლელა ჟუჟუნაშვილი“ ლოტი 2-ში; შპს ლალკომადი“ ლოტი 3-ში; შპს „ა. ენდ. ნ. კომპანი“ ლოტი 6-ში.

### განცხადება

**შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ინფორმაცია თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2010 წელს შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:**

**სხვადასხვა სახის კვების პროდუქტები:** შპს „ლაპეტუსი“ ლოტი 1-ში; შპს „დავითი 100“ ლოტი 2, 36, 39, 40, 47, 48 და 73-ში; შპს „ნილი“ ლოტი 3, 4, 7, 9 და 10-ში; შპს „ლალკომადი“ ლოტი 8, 24, 32, 34, 74, 75 და 78-ში; შპს „სანდო პროდუქტი“ ლოტი 11 და 76-ში; შპს „ნამდვილი პროდუქტები“ ლოტი 12 და 15-ში; შპს „ნაქორუ“ ლოტი 16, 17, 18 და 49-ში; შპს „ნატურალ ნობათი“ ლოტი 19, 57, 59 და 60-ში; ი.მ. „ლერი მოსაშვილი - ლემორა“ ლოტი 23, 26, 56 და 58-ში; შპს „სოლო 24“ ლოტი 27-ში; ი.მ. „ვალერიან გოგოლაძე“ ლოტი 31-ში; ი.მ. „გია ბარბაქაძე“ ლოტი 35, 37, 38, 41, 51, 53 და 54-ში; შპს „ჩაილდ სმაილი“ ლოტი 42 და 43-ში; შპს „მითანა“ ლოტი 44-ში; შპს „ახალი პროდუქტი“ ლოტი 45 და 46-ში; შპს „კვირაცხოველი“ ლოტი 55-ში; შპს „გრუზვინპრომი“ ლოტი 61-ში; შპს „ნატურალ პროდუქტი+“ ლოტი 64, 65, 66, 67, 69, 70, 71 და 72-ში; ი.მ. „შალვა ლეონიძე“ ლოტი 68-ში; ი.მ. „ნინო კანდელაკი“ ლოტი 80-ში; შპს „კომპანია ორბიტა“ ლოტი 81-ში; შპს „სასურსათო კომბინატი ბაზი“ ლოტი 82-ში.

**ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექ-მომსახურება (სერვისი - სათადარიგო ნაწილებით):** შპს „ცენტრ ჰაუსი“ ლოტი 1, 4, 11, 31, 37, 38, 40, 44 და48-ში; შპს „სანდო ავტო“ ლოტი 2, 3, 32 და 33-ში; შპს „ივერია მოტორსი“ ლოტი 5, 6, 8, 10 და 34-ში; შპს „მათე მოტორსი“ ლოტი 7, 13, 17, 22, 25, 27, 29, 35, 41 და 47-ში; შპს „იბერია სერვისი“ ლოტი 9, 15 და 18-ში; შპს „ავტო სტილი“ ლოტი 23 და 45-ში; შპს „დი ენდ ელი“ ლოტი 36, 42 და 43-ში.

**საბურავები და აკუმიატორები:** შპს „ჯორჯია სკან“ ლოტი 1, 2, 5, 7, 8, 13, 19, 20, 21 და 29-ში; შპს „თეგეტა მოტორსი“ ლოტი 9, 10, 14, 15, 17, 18, 22, 23, 25, 26, 27, 28, 30, 32, 33, 34, 35, 36 და37-ში; შპს „ივერია მოტორსი“ ლოტი 31-ში.

**მშრალი კვება:** შპს „უნიტრეიდინგი“ ლოტი 3-ში; შპს „კომპანია ორბიტა“ ლოტი 5 და 11-ში; ი.მ. „გია ბარბაქაძე“ ლოტი 7, 12, 15 და 16-ში; ი.მ. „ლერი მოსაშვილი - ლემორა“ ლოტი 8 და 9-ში; შპს „მანგლისი 2007“ ლოტი 4-ში.

როდის და რატომ გახდა გელა ბარკალაიას საზოგადოებისგან იზოლაცია საჭირო, ბურუსითაა მოცული, თუმცა ერთი რამ ფაქტია, რომ „მათე მოტორსის“ ხელმძღვანელი, ჯერ კიდევ მაისში ხელისუფლების კარზე საკმაოდ მისაღები ბიზნესმენი გახლდათ. მაშინ, როცა „ალიანსი საქართველოსათვის“ ლიდერებმა მისი კომპანიის წინ გამოჭიმული „ხუთიანი“ გააპროტესტეს და გიგი უგულავა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაში დაადანაშაულეს, ბარკალაიამ განაცხადა, მე მხარს ვუჭერ „ნაციონალურ მოძრაობასო“, ეს „ხუთიანიც“ საკუთარი ნებით გამოვჭიმე თბილისის ცენტრალურ გზატკეცილზეო. ამ ფაქტიდან ერთი თვეც არ გასულა, რომ ბარკალაია გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

ჩვენს ქვეყანაში როგორც პოლიტიკოსები, ისე ბიზნესმენებიც გავლენის სფეროების ან თანხის გადანაწილებას ეწირებიან. არჩევნების შემდეგ მისი დაკავებაც ან ერთს უნდა უკავშირდებოდეს, ან მეორეს. ეჭვს არჩევნებზე არასაკმარისი თანხების დახარჯვის შესახებ მისი დაკავების დრო ბადებს, თუმცა არსებობს მეორე მოსაზრებაც.

**„მათე მოტორსი“ და „თეგეტა მოტორსი“ ერთმანეთს სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ. ეს სახელმწიფო უწყებებში მოგებული ტენდერებითაც კარგად ჩანს. თუ მისი ხელი არ ურევია, იმის თქმა მაინც გადაჭრით შეიძლება, რომ „თეგეტა მოტორსს“ ახლა ბურთი და მოედანი დარჩა.**

აქამდე მაღალი გამავლობის ავტომობილებით (პიკაპის ტიპის) თუ ძვირადღირებული ჯიპების გასაღებაში „მათე მოტორსს“ თავდაცვისა და შს სამინისტროები ეხმარებოდნენ. „მიცუბიშ ლ 200“-ებს, „ტოიოტა ჰილუხისა“ და „ტოიოტას“ პიკაპების იმპორტს „მათე მოტორსი“ აწარმოებდა. სწორედ ამ ტიპისა და ამ კომპანიის ავტომობილებით გადაადგილდებიან ჩვენი მაღალჩინოსნები. „მათე მოტორსი“ არამარტო მანქანებით ამარაგებდა სახელმწიფო სტრუქტურებს, არამედ სათადარიგო ნაწილებითაც. **ჩვენ მოვიპოვეთ შს სამინისტროს სატენდერო დოკუმენტაცია, რომელშიც გარკვევით წერია, რომ ბარკალაიას ფირმამ ორი ტენდერი მოიგო სათადარიგო ნაწილებით შს სამინისტროს მომარაგებაზე.**

სამართალდამცავი ორგანოები ბარკალაიას დაკავებასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ, ასევე კომენტარს არ აკეთებს სასამართლოც და აცხადებს, რომ იგი მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შერჩევით შემოიფარგლა და, რატომ ვერ გაიმეტა 200 ათასის სანაცვლოდ გასათავისუფლებლად ბარკალაია, უცნობია.

**ბარკალაიას პარტნიორები ემირატებშიც ჰყავდა. მან არაბი შეიხი ერთ-ერთი ობიექტის გახსნაზეც ჩამოიყვანა, თუმცა ბარკალაიას არა თუ უცხოელმა გავლენიანმა პარტნიორებმა, ხელისუფლებაში მოკალათებულმა ჩინოსნებმაც ვერ თუ არ უშველეს. არადა, მისგან მთელი პოლიტელიტა დავალებული იყო.**

ბარკალაიამ შიდა განვადებები გააკეთა და ბანკის გვერდის ავლით შეიძლებოდა მასთან ავტომობილის შეძენა. ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ „მათე მოტორსს“ ისეთი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა, რომ შეეძლო ძვირადღირებული მანქანები ბანკის დაკრედიტების გარეშე მიეყიდა „ვი აი პი“ კლიენტებისთვის.

ბარკალაიამ თავისი კარიერა შევარდნაძის დაცვის სმენის უფროსობით დაიწყო, შემდეგ მანქანების ჩამოყვანა წამოიწყო საზღვარგარეთიდან და კომპანიას „მათე“ — უმცროსი ვაჟის სახელი დაარქვა.

**საქართველოში ბიზნესები ისე ვერ ხარობს, თუ ხელისუფლებიდან ვინმე არ „კრიშავს“, ალბათ, სწორედ ამის შედეგი იყო, რომ „მათე“ და „თეგეტა“ მოტორსებმა ჯერ ყველა მცირე კომპანია გადაყლაპეს, მერე ერთმანეთი შემოეჭამათ.**

# პატიმარი ირაკლი კერესელიძე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება

**საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროსასამართლოში გაგზავნილი 4 050 საჩივრიდან, გადაწყვეტილებას ერთ-ერთი განმცხადებელი — ირაკლი კერესელიძეც ელოდება. მისი ადვოკატი მერი ჯაფარიძე დარწმუნებულია, კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ საქმეს მოიგებს, ვინაიდან ქართულმა სასამართლომ სასწაული მოახდინა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებოდა, სააპელაციო სასამართლოს შეაცვლევინა და ბრალდებულს სასჯელი 4 წლით დაუმძიმა, თანაც ისე, რომ მსჯავრდებულმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.**

კერესელიძეს 1995 წელს ბრალი დაედო ქრთამის მიცემის წაქეზებაში, ფულის გამოძალვაში, ორი პირის განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში. 1996 წლის 24 მაისის განაჩენით, მას სიკვდილით დასჯა შეეფარდა, მაგრამ, ვინაიდან სიკვდილით დასჯა გაუქმდა, სასჯელი 20 წლით თავისუფლების აღკვეთით შეეცვალა. შემდგომ მისი ბრალი ბადრაგირებისას გაქცევის მცდელობით დამძიმდა. კერესელიძემ სასამართლოს გადაწყვეტილება რამდენჯერმე გაასაჩივრა. ბოლოს უზენაესმა სასამართლომ 2008 წლის 20 თებერვლის განჩინებით დაადგინა:

**„თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენით, მსჯავრდებულ ირაკლი კერესელიძისათვის მისჯილ 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატოს ამ განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ირაკლი კერესელიძეს საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 6 თვით, რომლის მოხდა დაეწყოს 2002 წლის 29 მარტიდან“.**

აღნიშნულ განჩინებაში მითითებულია, რომ **„განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება“.** შესაბამისად, საბოლოო იყო გადაწყვეტილება სასჯელის ათვლის წერტილთან დაკავშირებითაც და აღარ უნდა მომხდარიყო ამ საკითხის ხელახლა გადასინჯვა და გადაწყვეტა. თუმცა ქართულ მართლმსაჯულებაში სასწაულებიც ხდება, სააპელაციო და შემდეგ საკასაციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ცვლილება შეიტანა.

**მერი ჯაფარიძე, ადვოკატი**: „სააპელაციო სასამართლომ, მაშინ, როდესაც საქმე უკვე გადაგზავნილი იყო უზენაეს სასამართლოში, თავისი ინიციატივით, მხარეთათვის შეუტყობინებლად მიიღო განჩინება, განაჩენში უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ, რის პროცესუალურ შესაძლებლობასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მაგრამ ეს უზუსტობა უნდა იყოს ტექნიკური ხასიათის და განაჩენს არსობრივად არ უნდა ცვლიდეს (ანუ არც სასჯელს, არც დანაშაულის კვალიფიკაციას და არც სხვა ძირითად პირობებს, რაც განაჩენით არის გათვალისწინებული). ამ განჩინებით კი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ მიიღო, არსობრივად შეიცვალა განაჩენი, იმიტომ, რომ სასჯელის მოხდის ათვლის წერტილი 2002 წლის მაგივრად, რომელიც აქამდე იყო დადგენილი ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ და ასევე უზენაესი სასამართლოს მიერაც, რომლის განჩინებაც უკვე საბოლოო იყო და არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას, შეიცვალა 2006 წლით. რითაც კერესელიძეს სასჯელი მოუმატეს 4 წლით და, 2009 წლის 29 მარტის ნაცვლად, მისი გათავისუფლება გადაიდო 2013 წლის 12 აპრილამდე. ამის შესახებ კერესელიძემ განჩინების ჩაბარებით გაიგო და მას დავის საშუალებაც კი აღარ მიეცა. მან მიმართა სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებს, თუმცა არც ერთმა ინსტანციამ დასაბუთებული პასუხი არ გასცა, თუ რატომ შეიცვალა მისი სასჯელის ათვლის თარიღი 2002 წელი 2006 წლით.

**— როგორ ფიქრობთ, მოხდება თუ არა სარჩელის დასაშვებად ცნობა ევროპულ სასამართლოში?**

— აუცილებლად მოხდება და დადგინდება, რომ დაუსაბუთებელი იყო მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებები. ასევე დადგინდება, რომ დაირღვა საჯაროობის პრინციპი — კერესელიძეს არ მიეცა საშუალება, დასწრებოდა პროცესს, რომლითაც მისი სასჯელი გაიზარდა 4 წლით, რაც არსებითად ცვლიდა და აუარესებდა მის მდგომარეობას და სასამართლოსთვის მიმართვისა და გასაჩივრების უფლებაც კი არ მიეცა.

**— კონკრეტულად რას ითხოვთ ევროსასამართლოში?**

— არასამართლიანი სასამართლოს ცნობას — ეს არის მეექვსე მუხლი სხვადასხვა ასპექტებში, გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის, საჯაროობის პრინციპის დარღვევის, სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევის ცნობას, ანუ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდება კონკრეტული გარემოება, ის აღარ უნდა ექვემდებარებოდეს თვითნებურად შეცვლას. სააპელაციოს მიერ იმ განჩინების გამოტანა სწორედ რომ თვითნებობად მიგვაჩნია. ასევე, გარდა მეექვსე მუხლისა, ვასაჩივრებთ მეცამეტე მუხლს — სამართლებრივი დაცვის საშუალების არარსებობას შიდა დონეზე და მეშვიდე, დამატებითი ოქმის მეორე მუხლს, რომელიც ეხება სასჯელის გასაჩივრების უფლებას თუნდაც ერთი ინსტანციით“.

**ევროსასამართლოში კერესელიძის საჩივარი 2009 წლის ბოლოს შევიდა, განმცხადებელი ჩივის, რომ საქართველოს სახელმწიფომ მის მიმართ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6.1 და მე-13 მუხლები და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.**

ითხოვს, დარღვევის დადგენის შემთხვევაში, დაევალოს საქართველოს მთავრობას, შესაბამისი სასამართლო ინსტანციების მეშვეობით, კანონით დადგენილი ნორმებისა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ყველა გარანტიის დაცვით განიხილოს განმცხადებლის საჩივრები და მოახდინოს მისი პატიმრობიდან გათავისუფლება, იმის გათვალისწინებით, რომ ევროსასამართლოში პროცესის დაწყება ზოგჯერ წლების მანძილზე იწელება. **კერესელიძე ითხოვს, მის საქმეს პრიორიტეტი მიანიჭოს და განიხილოს დაჩქარებულ ვადებში, ვინაიდან იგი საქმის დროულად განხილვითაა დაინტერესებული, რადგან უკანონო პატიმრობაში იმყოფება, რაც მას ძლიერ სულიერ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს და სასწორზე მისი პირადი თავისუფლება და ხელშეუხებლობა დევს.**

გვერდი მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დასავლეთის სპეცსამსახურების ტერორისტული ორგანიზაციები და ტერაქტებით მართვის მსოფლიო პრაქტიკა

**მრავალი ექსპერტი იზიარებს აზრს, რომ თანამედროვე საომარი კონფლიქტები ავადსახსენებელი „მსოფლიო ხელისუფლების“ მიერაა ინსპირირებული. იმ ფაქტის გაცნობიერებამ, რომ იარაღის ჯარებისა და ხალხების წინააღმდეგ შემდგომმა გამოყენებამ, შესაძლოა, გლობალური კატასტროფები, ცივილიზაციებისა და საარსებო გარემოს განადგურება გამოიწვიოს და რომ კაცობრიობა ველარ გადაიტანს კიდევ ერთ მსოფლიო ომს, მით უფრო, თუ მასში ბირთვული იარაღიც იქნება გამოყენებული, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ აიძულა, ისეთი ინსტრუმენტებისათვის მიემართათ, როგორიცაა აქტიური საინფორმაციო ოპერაციებით ნასაზრდოები „დაბალი ინტენსივობის კონფლიქტები“ და ტერორიზმი.**



მსოფლიოს ამჟამინდელი წყობა აბსოლუტურად ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფოებისთვისაც ზრდის საერთაშორისო ტერორიზმის, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის როლს. თანამედროვე ისტორია გაჯერებულია მაგალითებით, როდესაც საერთაშორისო ტერორიზმი პირდაპირ „შეკვეთით“ გამოჩნდება ხოლმე იქ, სადაც არსებული სტრუქტურების, სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა ბალანსების განადგურება, ინტერესების ხელახალი გადანაწილება, გავლენის სფეროების მოპოვებაა საჭირო. არსებულის მოსპობის შემდეგ კი სცენარის ავტორი სახელმწიფოები თავად ავსებენ ამა თუ იმ რეგიონალურ სტრუქტურებში გაჩენილ სიცარიელეს და მართვადი კონფლიქტის მარეგულირებელი ძალების სახით სამშვიდობო მისიების როლებს ირგებენ.

შედეგად, ხშირად ყალიბდება აბსოლუტურად არათავსებად ძალთა, მაგალითად, ისლამელი ექსტრემისტებისა და დასავლელი დემოკრატების სიმბიოზი, რომლის ყველა შემადგენელ ნაწილს თავისი მიზნები აქვს, მაგრამ მკაცრად კოორდინირებულ პროცესში საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში პატიოსნად ინაწილებენ ფუნქციებსა და მოვალეობებს. თუმცა, განსხვავებული სტრატეგიული მიზნების გამო, სავსებით დასაშვებია, რომ ამ რადიკალურად განსხვავებულ პარტნიორულ ძალებს შორის ადრე თუ გვიან სერიოზული უთანხმოება და კონფლიქტი წარმოიშვას. **დღეს ძალიან ბევრს არ სურს, გაიგოს, რომ საერთაშორისო ტერორიზმით გართობა და მისი პირადი ინტერესებისათვის გამოყენება ცეცხლთან თამაში და პერსპექტივაში სერიოზული პრობლემების საფუძველია.**

**ეთნიკური შეიარაღებული კონფლიქტები ან ოფიციალურ ხელისუფლებებსა და ტერორისტული არსის შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის გაჩაღებული ომები მსოფლიოს არაერთ რეგიონში მდგომარეობის დესტაბილიზაციის ეფექტური საშუალება იყო და მას აქტიურად იყენებდნენ კიდევაც. ამ თვალსაზრისით, ტერორიზმი დასავლეთის მიერ დამყარებული ეგრეთ წოდებული ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში ნეოგლობალისტური პოლიტიკის მძლავრი იარაღი იყო; ეჭვგარეშეა, რომ აშშ-ის 11 სექტემბრის ტრაგედია ამავე კატეგორიას განეკუთვნებოდა.**

გამორიცხულია, შემთხვევითი იყოს მასშტაბური ტერაქტებისა და აშშ-ის ეკონომიკის მნიშვნელოვანი რღვევის თანხვედრა. შტატების ვალები და ჩინეთის ეკონომიკა ერთნაირი განუხრელი ვექტორით იზრდება, ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაცია ჯერ არ დასრულებულა და აშშ უკვე აცხადებს, რომ ქვეყნის სამხრეთ რაიონებში ჩინური ბალისტიკური რაკეტების მოსაგერიებლად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტები უნდა განათავსოს.

ჯერ კიდევ ბუშის ადმინისტრაციისას ცნობილ ტერაქტამდე რამდენიმე თვით ადრე ამერიკის საფონდო ბაზარზე ფინანსური პირამიდების პრინციპით აგებული მაღალტექნოლოგიური კორპორაციების რღვევა დაიწყო. ამან თავის მხრივ მოსახლეობაში სამომხმარებლო მოთხოვნის დაქვეითება და შედეგად ამერიკული მრწველობის ჩაძირვა გამოიწვია. დოლარმა მსოფლიო სავალუტო ბაზრებზე განუხრელი ვარდნა დაიწყო, ჩინეთმა ჯერ კიდევ 2000 წელს მთელი თავისი სავალუტო შემოსავლები დოლარიდან ევროში გადაიტანა.

**ამ ყველაფერმა ამერიკის საინვესტიციო მიმზიდველობა დააზარალა და ქვეყნიდან კაპიტალის გადინება განაპირობა. ბუშის ადმინისტრაციისთვის ერთადერთ გამოსავლად მსოფლიო დომინირების ეკონომიკური მეთოდებიდან ძალოვან მეთოდებზე გადასვლა რჩებოდა. სწორედ ამიტომ დაიწყო ამერიკის პრეზიდენტმა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროგრამა დაჩქარებული ტემპით.**

სექტემბრის დასაწყისში, ტერაქტამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, აშშ-ის სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტმა რაკეტსაწინააღმდეგო პროგრამების დაფინანსების 1,3 ტრილიონით შემცირებას დაუჭირა მხარი.

ერაყში, ავღანეთში, სუდანში, იუგოსლავიაში მხეცური დაბომბვები მსოფლიოში ამერიკის მიმართ სიძულვილს აღვივებდა. ბალკანეთის კონფლიქტმა ასე თუ ისე დარეგულირებისაკენ აიღო კურსი და ძველებური დივიდენდების მომტანად ვეღარ გამოდგებოდა. აღმოსავლეთისკენ ნატოს ექსპანსიამ ზღვარს მიაღწია, „თავდაცვის კავშირის“ შემდგომი გაფართოება „მეორე ტალღის“ ქვეყნების ხარჯზე მისთვის უკვე ზიანის მომტანი იქნებოდა.

მცდელობა, ძლიერი ტრადიციული კულტურების მქონე ქვეყნებისათვის საკუთარი „ღირებულებები“ მოეხვია თავს, სულ უფრო და უფრო მტკიცე წინააღმდეგობას აწყდებოდა.

**საერთაშორისო ფინანსური კაპიტალისთვის, რომლის ინსტრუმენტიცაა აშშ, ფაქტიურად ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა. საჭირო იყო ომი სხვა კონტინენტზე, რაც კრიზისიდანაც სარგებლით გამოიყვანდა და აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსშიც მასიური კაპიტალდაბანდების წყალობით რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასაც განავითარებდა (სხვათა შორის, პირველი და მეორე მსოფლიო ომები ამერიკის მონაწილეობის გარეშე არ დაწყებულა და მისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის გარეშე არ დასრულებულა).**

გარდა ამისა, მოვლენები ვითარდებოდა დურბანის კონფერენციაზე აშშ-ისა და ისრაელის იზოლაციის, არაბულ სამყაროში ინტეგრაციული პროცესების გამწვავების, ერაყის, ირანის, სირიისა და საუდის არაბეთის პოზიციების დაახლოების, მსოფლიო ბირჟების ბაზარზე მნიშვნელოვანი დეფორმაციისა და საგარეო პოლიტიკურ არენაზე მთელი რიგი ცვლილებების ფონზე.

**სამხედრო ექსპერტები, მათ შორის აშშ-შიც პროგნოზირებდნენ, რომ ამგვარი განლაგების პირობებში აშშ მსოფლიოში თავის ლიდერობას უკვე 2015 წლისათვის უნდა გამომშვიდობებოდა და მისი ადგილი აქტიურად განვითარებად ჩინეთს უნდა დაეკავებინა.**

**მსოფლიოში აშშ-ის მბრძანებლობის განსამტკიცებლად ისტორიაში უდიდესი სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე დაიწყო საინფორმაციო ოპერაციები, რაც აბსოლუტურად ბუნებრივად ჯდებოდა აშშ-ისა და ნატოს სამხედრო სტრატეგიაში.** აგვისტოს დასასრულისთვის CNN-მა წამყვანი სამხედრო ექსპერტის თანამდებობაზე, თავისი რადიკალური შეხედულებებით, ცნობილი გენერალი უ. კლარკი მიიწვია. ეს უკვე შეიძლება შეფასებულიყო უახლოეს მომავალში დასაწყები მასშტაბური საომარი მოქმედებების გაშუქებისათვის მზადებად. 6 სექტემბერს ფედერალური გამოძიების ბიუროს ანტიტერორისტულმა რაზმმა კომპანია InfoCom-ის შენობაში განკითხვის დღე მოაწყო. შედეგად გაითიშა რამდენიმე ასეული არაბული საიტი და არაბულენოვანი მოსახლეობისთვის ინფორმაციის მთავარი წყარო — ტელეარხი „ალ-ჯაზირა“.

**9 სექტემბერს თავს დაესხნენ ჩრდილოალიანსის ლიდერს — ახმადშახ მასუდს და უსამა ბენ ლადენის სახელიც სწორედ ამ დროს ამოტივტივდა. მას კენიასა და ტანზანიაში აშშ-ის საელჩოების აფეთქება გაუხსენეს.**

**გრანდიოზული ავანტიურის ავტორებმა თავიანთი მასმედიის ქმედებები გაამჟღავნეს — ვერსიებსა და დასკვნებში ისე გადაამლაშეს, რომ ამით პირდაპირ მოაწერეს ხელი შეთქმულებაში მათ მონაწილეობას. მასმედია პირველივე წუთიდან ცდილობდა, საზოგადოების მრისხანება და სიძულვილი მუსლიმანური სამყაროსაკენ მიემართა.** იმთავითვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ბოსტონში იპოვეს ავტომანქანა, რომელშიც ყურანი და ბოინგის მართვის არაბულენოვანი ინსტრუქცია აღმოაჩინეს. ლამის მყისიერად CNN–მა მგლოვიარე ამერიკელების პარალელურად გახარებული პალესტინელების კადრების ჩვენება დაიწყო. რამდენიმე საათის განმავლობაში პარალელურ რეჟიმში გადაიცემოდა მსოფლიო სავაჭრო ცენტრისა და ავტომატიანი უსამა ბენ ლადენის კადრები.

**ტერაქტის მომენტში ცნობიერების კორექტირებისათვის გამოსადეგი აშშ-ის მასმედია მოსახლეობის, პირდაპირი გაგებით, შოკში ჩაგდებას ცდილობდა და დაახლოებით 50 000 ადამიანის დაღუპვის შესახებ იტყობინებოდა. ტერაქტიდან პირველი ორი საათის განმავლობაში ტელეეთერით ლამის განუწყვეტლივ გადიოდა 10-წამიანი ვიდეორგოლი, რომელზეც ჩანდა, როგორ ეჯახებოდა თვითმფრინავი შენობას. კომენტარებში ყველაზე ხშირად სიტყვა აპოკალიფსი ისმოდა. ტელევიზიის ისტორიაში პირველად პირდაპირ ეთერში გადიცემოდა იმ ადამიანთა თვითმკვლელობა, რომლებიც დაზიანებული შენობის ფანჯრებიდან ხტებოდნენ.**

ტერაქტის მომდევნო ორი კვირის მანძილზე გაშუქებისას ახალი ინფორმაცია საერთო ჯამში მხოლოდ 40 წუთის განმავლობაში გადაიცა. დანარჩენი დრო ისევ ვერსიებსა და ზემოხსენებულ ტენდენციებს დაეთმო. **საუბარი იყო მინიმუმ 10 000 გარდაცვლილზე, საბოლოოდ კი შენობის ნანგრევებში ბევრად უფრო ნაკლები — 300 გარდაცვლილი აღმოჩნდა.**

პირველი თვითმფრინავის შენობასთან შეჯახება რამდენიმე რაკურსით აღმოჩნდა გადაღებული და, ცხადია, ყველა ვერსია განუწყვეტლივ ტრიალებდა ტელეეთერში. **ეს იყო ცნობიერებით მანიპულირების მცდელობა, რომლის მიზანს ამერიკის მოსახლეობის შოკში ჩაგდება წარმოადგენდა. შემდეგ საფეხურზე ამ მოსახლეობას ძვალსა და რბილში უნდა გასჯდომოდა, რომ „ტერორისტების“ წინააღმდეგ ყველაზე მკაცრი სასჯელია აუცილებელი. შოკი საჭირო იყო იმისათვისაც, რომ ამერიკელებს ყოველგვარი განსჯის გარეშე დაეჯერებინათ, მტერი ისაა, ვისზეც ხელისუფლება მიანიშნებდა. ხელისუფლებამაც ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე ბენ ლადენისკენ გაიშვირა ხელი და თალიბების წინააღმდეგ ომისათვის მზადება დაიწყო. იმ თალიბანის, რომელიც აშშ-ის სპეცსამსახურების უშუალო მონაწილეობით შეიქმნა და შეიარაღდა.**

ავღანეთიც არაა შემთხვევითი არჩევანი. ამ ქვეყანას, დასავლური მასმედიის წყალობით, ისედაც ტერორიზმის ბუდის იმიჯი ჰქონდა. გარდა ამისა, მოსახლეობის სიმცირე და ყველანაირი ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით საინფორმაციო საშუალებების ჩანასახოვანი მდგომარეობა, შტატებისთვის ნამდვილად ხელსაყრელი იყო. მის სტრატეგებს საშუალება ექნებოდათ, კონცენტრაცია სწორედ საინფორმაციო ომზე მოეხდინათ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ ომს მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციების საშუალებით ადევნებდა თვალყურს. „ალ-ჯაზირა“ და სხვა „სარისკო“ არხების ტრანსლაცია აშშ-სა და ნატოს ტერიტორიაზე აკრძალულია. **ასე ამოქმედდა ცნობიერებით მანიპულირების კიდევ ერთი მეთოდი „რეალური ვირტუალობა“, როდესაც მოვლენის ინფორმაციული აღწერილობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად მოვლენა. ავღანეთში სამხედრო ოპერაციას CNN-ი აწარმოებს, ამერიკელი ჯარისკაცები კი მის მიერ გადაღებული ფილმის გმირები არიან.**

სამწუხაროდ, ამერიკელთა მენტალიტეტი ძალადობას ხანგრძლივად ვერ ეგუება და, თუ პროცესი დროში გრძელდება, პროტესტის გრძნობა ჩნდება. ამიტომ, მსგავსი შემთხვევებისათვის დამატებითი მექანიზმების ჩართვაა საჭირო და ირთვება კიდეც. მაგალითად, **ცნობიერების სასურველი მდგომარეობის შესანარჩუნებლად ვრცელდება ინფორმაცია ტერორისტების მხრიდან ბაქტერიოლოგიური შეტევის თაობაზე.**

ტერაქტის შემდეგ დარჩა უამრავი კითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემა არავის უცდია. რატომ ვერ შეძლეს აშშ-ის ტრადიციულად ძლიერმა სპეცსამსახურებმა მოსალოდნელი ტერაქტის გამოვლენა? როგორ შეძლო კამიკაძის თვითმფრინავმა, 200 მილზე მეტი ისე ეფრინა საჰაერო დერეფნის მიღმა, რომ ქვეყნის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვას ვერ დაეფიქსირებინა? რატომ არ გადადგა ამერიკის ადმინისტრაციის არც ერთი წარმომადგენელი უამრავ სფეროში სერიოზული ჩავარდნისათვის?

**ჰენრი კისინჯერმა ჯერ კიდევ 11 სექტემბერს აღნიშნა, რომ ტერორისტული აქტის მომზადებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი იქნებოდა მრავალმილიონიანი დაფინანსება და სანდო ადამიანები აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურებში. ეს კი მსოფლიოში არც ერთ მარტო მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციას არ ხელეწიფება.**

**ყველაფერი ცხადყოფს, რომ ტერაქტები ახალი მართვადი გლობალური კრიზისის პროვოცირებისთვის მოხდა.**

დარტყმა მიაყენეს მსოფლიოს ლიდერ ქვეყანას, რამაც შეერთებული შტატების სისუსტე გამოავლინა და მისი პრესტიჟი გაანადგურა. ლოზუნგით „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი წინააღმდეგია“ ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა გახდა საჭირო.

**ცხადია, აშშ შეეცდება ტერორისტებისათვის სამაგიეროს გადახდის პროცესიდან გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და, სამხედრო თვალსაზრისით, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს. ის არ დაჯერდება მხოლოდ ანტიტერორისტულ ქმედებებს და საერთაშორისო მხარდაჭერის გამოყენებით შეეცდება, კარდინალურად შეცვალოს მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ და შუა აზიაში, გაუსწორდეს მისთვის მიუღებელ რეჟიმებს, განიმტკიცოს მათ ტერიტორიებზე გავლენა და სხვა ქვეყნების ინტერესების სრული იგნორირებით თავისი სამხედრო ბაზები განათავსოს.**

ბუშის მიერ აშშ-ის კონგრესისადმი ახლა უკვე ცნობილ მიმართვაში გაჟღერდა ფრაზა: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი წინააღმდეგია“.

**დამთავრდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამყარებული მსოფლიო წესრიგი დაიბზარა. „საერთაშორისო ტერორისტის“ იარლიყი ახლა უკვე სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ დიდი ხნით ჩამოიშორო გზიდან სახელმწიფო, რომელიც თვალში არ მოგდის. სამართლის ათასწლოვანი ისტორია დასრულდა.**

**არსებობს საფრთხე, რომ ეგრეთ წოდებული ანტიტერორისტული კამპანიისას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მდგომარეობის დესტაბილიზაციის მიზნით, დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ტერორისტული ორგანიზაციები არა მხოლოდ არ განადგურდებიან, არამედ მნიშვნელოვან მხარდაჭერასაც მიიღებენ.**

imperia.by

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ანატოლიის ვეფხვი

## როგორ კარგავს დასავლეთი თურქეთს

**პოლიტოლოგი ბერნარდ ზანდი გერმანულ ჟურნალ „შპიგელში“ გამოწვლილვით განიხილავს ჩვენი სამხრეთელი მეზობლის პანთურქულ მისწრაფებას, რომელიც, როგორც „საქართველო და მსოფლიო“ წერდა, აშკარად შებრუნდა აღმოსავლეთისკენ. იცვალა კურსი. ხოლო ჩვენი ხელისუფლება თურქეთთან ურთიერთობაში ისეთ არაადეკვატურ ნაბიჯებს დგამს, რომ ან აშკარად დაბნეულია, ან თავდაჯერებულია და მიაჩნია, რომ, „რასაც აკეთებს, კარგად აკეთებს“.**



მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ის, რაც ამ სიტუაციაში ჩვენი მხრიდან ხორციელდება, საგარეო პოლიტიკა კი არ არის, არამედ კარგი ბიჭის სახელის მოპოვების მცდელობას ჰგავს — თურქეთის პრემიერის ქებათა-ქება, ოქროს საწმისის ორდენით დაჯილდოება, თურქული ბიზნესისთვის უპირატესობის მინიჭება და ა.შ.

სანამ ბერნარდ ზანდის მიმოხილვაზე გადავალთ, უპრიანია, ორიოდ სიტყვა ჟურნალ **„შპიგელზე“** ვთქვათ.

**ეს გამოცემა „დერ შპიგელი“ (სარკე) ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ლიონ ფეიხტვანგერმა დააარსა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. 1947 წლის 4 ნოემბერს, შაბათს განაახლა ფუნქციონირება და თანდათან მოიხვეჭა ავტორიტეტი და გავლენა.**

**2005 წელს გერმანელ ჟურნალისტთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, წამყვან გამოცემად სწორედ „შპიგელი“ (33,8 პროცენტი) დასახელდა.**

პუბლიკაციაში პრობლემა კატეგორიულადაა დასმული: ის, რაც დღეს თურქეთის პრიორიტეტად იქცა, ნიშნავს თუ არა ათათურქის მემკვიდრეობის დასასრულს?

რატომ აქცია ზურგი თურქეთმა ევროპას?

უპირველეს ყოვლისა, **იმედგაცრუების გამო**, რადგან მისმა 15-წლიანმა მცდელობამ, გაწევრებულიყო ევროკავშირში, ცივი უარის კედელი ვერ გადალახა. 2002 წლის დეკემბერში კოპენჰაგენის სამიტზე გერმანიის მაშინდელმა კანცლერმა გერჰარდ შროიდერმა და საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ერდოღანს უთხრეს, რომ ევროკავშირი მოლაპარაკების დასაწყებად ჯერ მზად არ არის და თურქეთი მოთმინებით უნდა ალიჭურვოსო.

ეს, ფაქტობრივად, უარის თქმას ნიშნავდა, რაც განვლილმა წლებმა დაამტკიცა კიდეც. ამჟამად **ანგელა მერკელი** და **ნიკოლა სარკოზი**, „ეს ორი ლიდერი თანხმდება, რომ **„მათ არ სურთ ევროკავშირში თურქეთის სრულუფლებიან წევრად მიღება“.**

ევროპა თითქოს ვერ ხედავდა ერდოღანის რეფორმებს, რომლებიც „მან ისეთი ტემპით განახორციელა, როგორიც ვერც ერთმა თურქმა პრემიერმა ვერ მოახერხა“, შეარბილა ქურთებთან ურთიერთობა. მას, როგორც „შპიგელის“ პუბლიკაციაშია ხაზგასმული, **მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, „ისტორიაში შესულიყო როგორც თურქი, რომელმაც საკუთარი ქვეყანა „ქრისტიანულ კლუბში“ გააწევრა“.**

მიუხედავად ამ ყველაფრისა, — უარი.

**აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ერდოღანმა თავის მოღვაწეობის პრიორიტეტები თურქეთის გაძლიერებასა და მისი გავლენის სფეროების გაფართოებაზე გადაიტანა, რეალისტური პოლიტიკისკენ მიმართა ხელისუფლების ძალისხმევა.**

**შედეგად, როგორც ზანდი წერს, ერდოღანმა შეაბრუნა თურქეთი და „თავისი ქვეყანა, რომელიც ერთ დროს მხოლოდ გადატრიალებებითა და კრიზისებით იყო ცნობილი, ანატოლიის ვეფხვად აქცია“.**

მეზობელი საბერძნეთის საერთოეროვნული ფინანსური კრიზისის ფონზე, წლეულს თურქეთში 5-პროცენტიან ზრდას ელიან.

განსაკუთრებით თვალშისაცემია, რომ **ამ ქვეყანამ შეიძინა ისეთი მნიშვნელობა, რომელიც მას არასოდეს ჰქონია — იგი „რეგიონულ ზესახელმწიფოდ ყალიბდება“.**

შემაშფოთებელია, რომ პარალელურად მან უარი თქვა ტრადიციული საგარეო პოლიტიკის პრინციპებზე, ქემალ ათათურქის მიერ განსაზღვრულ ევროპულ მიმართულებაზე და „აღმოსავლეთისკენ ბრუნდება“, რაც ყველაზე აშკარად ისრაელთან დაპირისპირებაში გამოიხატა.

1940-იან წლებში თურქეთი ფაშისტების მიერ დევნილ ებრაელებს იფარავდა, 1949 წელს პირველი მუსლიმანური ქვეყანა იყო, რომელმაც ებრაული სახელმწიფო აღიარა. მას შემდეგ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა უხინჯოდ ვითარდებოდა.

მაგრამ არაფერია მუდმივი ამ მზისქვეშეთში.

**„მათ ურთიერთობას, — წერს „შპიგელი“, — ორი კვირის წინათ სერიოზული ნაპრალი გაუჩნდა: „რამდენიმეთვიანი ურთიერთპროვოკაციებისა და ისრაელის სანაპიროს გასწვრივ მიმავალი გემების ფლოტილიის სისხლიანი ინციდენტის შემდეგ ერდოღანმა ისრაელი სახელმწიფო ტერორიზმში დაადანაშაულა, ქვეყნიდან ელჩი გამოიწვია და ისე შორსაც კი წავიდა, რომ დაიწყო მტკიცება, თითქოს მსოფლიო დღეს „სვასტიკასა და დავითის ვარსკვლავს ერთნაირად აღიქვამს“.**

„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველმა ჩვენი პუბლიკაციებიდან იცის, როგორ განვითარდა მოვლენები ამ ბოლო დროს ისრაელსა და თურქეთს შორის. გამეორებისგან თავი შევიკავოთ და ვნახოთ, დღეს რა ვითარებაა ამ ორ სახელმწიფოში.

**ორივეგან აგორდა ნაციონალიზმის ტალღა და ამ ტალღამ გადაფარა ოპოზიციური ბანაკები.**

**მსგავსი რამ ხომ არ ხდება ჩვენთანაც, საქართველოში, სადაც ოპოზიცია, როგორც ჩანს, ხელისუფლების ფორმალურ დანამატად ტრანსფორმირდა?**

**იქნებ, იმთავითვე ასეთი იყო? დანამატი.**

„თურქეთში კიდევ არსებობს ოპოზიციის ახალი ლიდერი **ქემალ კილიჩდაროღლუ**, რომელიც მთავრობას აკრიტიკებს. — შენიშნავს ბერნარდ ზანდი, — ისრაელში ჯერჯერობით კრიტიკა ინტელექტუალებისგან ისმის, ისეთებისგან, როგორებიც არიან **დავით გროსმანი** და **ალუფ ბენი**... ბენის თქმით, ისრაელისა და თურქეთის მთავრობები საქმიანად ანგრევენ თავიანთი დამფუძნებლების — დავით ბენ-გურიონისა და ქემალ ათათურქის მემკვიდრეობას“.

დავუმატოთ: მსგავსად იმისა, რაც საქართველოში ხდება.

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჩვენთან დასანგრევი აღარაფერია.

**„შპიგელი“**

# საითაც გავიქეცით, იქით წავიქეცით, ანუ ნატოს თავისი გასჭირვებია

**„ქრისჩიან საინს მონიტორის“ სარედაქციო წერილის პათოსი ჩრდილოატლანტიკური ბლოკის პრობლემებია, რომელთა მოგვარებასა და „საკუთარი მიზნების კარდინალურ გადახედვას ნატო წლობით აგვიანებს“. ამ პრობლემების მოკლე ჩამონათვალი ასეთია: ავღანეთის ომმა „ბნელ ფაზაში შეაბიჯა“, „მარჯაში შეტევითი ოპერაცია ისე წარმატებულად არ ვითარდება, როგორც ვიმედოვნებდით, ყანდაგარის ოპერაცია ჭიანურდება, ზაფხულის დადგომასთან ერთად დანაკარგები იზრდება.**

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა ავღანური არმიის გაწვრთნისთვის ნატოს 450 ინსტრუქტორი ვერა და ვერ იპოვა. გენერალი სტენლი მაკკრისტალი კვლავ იმაზე ფიქრობს, ვისით ჩაანაცვლოს კანადური და ჰოლანდიური სამხედრო ფორმირებები, რომლებმაც ავღანეთი ამ ზაფხულში დატოვეს.**

**პასუხისმგებლობის ზონის მიღმა სამშვიდობო ოპერაციების წარმოება ძვირი ჯდება...“**

ზემოთ თქმული, ასე ვთქვათ, მიმდინარე პრობლემებია, რომლებიც გარემოებათა გამო წარმოიქმნა.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ **ნატოს სერიოზული რეფორმირებისთვის შესამცირებელია მისი ასობით კომიტეტი და გაბერილი აპარატი, „სადაც ფუნქციები დუბლირებულია“.**

ეს ერთი.

მეორე. **„პოლიტიკური კინკლაობა ბლოკის შიგნით და მის წევრ ქვეყნებს შორის ფართოვდება, რასაც ეკონომიკური კრიზისი აძლიერებს.**

გაზეთი დეტალურად განმარტავს, რა დაპირისპირებასა და კინკლაობაზეა ლაპარაკი: „ევროპაში ბოლოდროინდელი (ბოლო ათი წელიწადი) განხეთქილება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის (ახალი დემოკრატიები ძველების წინააღმდეგ) ღრმავდება განხეთქილებით ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის (მდიდარი დემოკრატიები ღარიბების, ვალებში ჩაფლულების წინააღმდეგ). ირყევა ფრანგულ-გერმანული ღერძი, რომელიც ევროპული პოლიტიკისთვის მიმართულების მიმცემია. გერმანიის კოალიციური მთავრობა ბიუჯეტის შეკვეცაზე საერთო აზრამდე ვერ მივიდა. პატარა ბელგიას ენობრივი და ეკონომიკური სხვაობები ტანჯავს“.

წაიკითხავ ამას და გაქრება წარმოდგენა იმ ედემის ბაღზე, როგორადაც გვეხატება თანამედროვე ევროპა თავისი გაერთიანებებით.

შესვლის სურვილიც განელდება და მისწრაფების ხარისხიც.

დროსთან შეფარდებული ნატოს რეფორმები გამოაქვეყნა ახლახან ალიანსის ექსპერტთა ჯგუფმა, რომელსაც მადლენ ოლბრაიტი, აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი ხელმძღვანელობს. დეტალების განსჯა ბევრს არაფერს მოგვცემს და მთავარ დასკვნას მივაქციოთ ყურადღება:

**„ნატოს ერთბაშად ყველაფერთან გამკლავება არ შეუძლია“. მისი ძირითადი მიზანი „ბლოკის დემოკრატიული წევრი სახელმწიფოების კოლექტიური უსაფრთხოების გარანტირებაა“. მან უნდა შეზღუდოს თავისი ვალდებულებები, აღიაროს, რომ „ნატო მხოლოდ რეგიონული ბლოკია და მსოფლიოში ყველა პრობლემის გადაწყვეტა არ შეუძლია“.**

ვინ დაიჩემებს, რომ ნატოს ვალდებულებათა ასეთი შეზღუდვა არ შეეხება საქართველოს თავისი კონფლიქტურ რეგიონებით?

„ნატოს მისიისა და ვალდებულებების გადაფასების დრო სწორედ ახლა დადგა“, — ნათქვამია „ქრისჩიან საინს მონიტორის“ სარედაქციო წერილში. მაგრამ დრო არ არის საამისოდ მაინც და მაინც შესაფერისი, რადგან **„ისეთ დროში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ქვეყნები საკუთარი საშინაო პრობლემებით არიან დაკავებული“.**

თავიანთი დარდი აწუხებთ.

ჩვენთვის ვინ გადადებს თავს?

მსოფლიოს, როგორც ექსპერტთა რეკომენდაციებშია აღნიშნული, ემუქრება „უამრავი არაპროგნოზირებადი და განუსაზღვრელი საფრთხე: ტერორიზმი, კიბერშეტევები, შეფერხებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსებით (როგორც საზღვაო მარშრუტებით, ასევე მილსადენებით) მომარაგებაში და — ირანი, რომელიც ბირთვულ იარაღს ფლობს“.

ვერ ჯდება ამ საფრთხეებში ვერც რეგიონებში არსებული კონფლიქტები, ვერც სახელმწიფოთა შორის დაპირისპირების მოგვარებისკენ მისწრაფება.

და კიდევ ერთი საფრთხე თუ არა მიზეზი, რომელიც ნატოს მესვეურთა შეშფოთებას იწვევს: **„ათწლეულების წარმატება, — ასკვნის „ქრისჩიან საინს მონიტორი“, — თავდაჯერებულობას აჩენს. ეკონომიკური კრიზისი შეშფოთებას ნიშნავს. ავღანეთი, რომელშიც ნატო უიმედოდ გაება, ალიანსს საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე ტოვებს“.**

**ნატოს წევრ სახელმწიფოთა შორის დაპირისპირება, პერსპექტივა იმისა, რომ თვით ამ სახელმწიფოთა საშინაო საფრთხეები შეიძლება ნებისმიერ საგარეო საფრთხეზე საშიში აღმოჩნდეს, ალიანსის პრინციპული რეფორმირების აუცილებლობა, თავი რომ დავანებოთ საქართველოს შიდა პრობლემებს, რომელთა მოგვარება ნატოში მიღების აუცილებელი პირობაა, საკმარისად ხანგრძლივი დროით გვაშორებს ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში ჩვენი გაწევრების თარიღს.** ნატოს თავისი გასჭირვებია.

**„ქრისჩიან საინს მონიტორი“**

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თავს უშველეთ, შიმშილი გვიახლოვდება!

**დიდი ხანია, კეთდება პროგნოზები იმის თაობაზე, რომ საქართველოში სოციალურად მძიმე ფონს მალე სასურსათო კრიზისიც დაემატება, თუმცა მსგავს განცხადებებს ყურადღებასაც კი არავინ აქცევს. გაეროც კი გვიწინასწარმეტყველებს სასურსათო კრიზისს აფრიკის 8 ულარიბეს ქვეყანასთან, ტაჯიკეთთან, მონღოლეთთან და სომხეთთან ერთად და ახლა უკვე ქართველი ექსპერტებიც საუბრობენ მოსალოდნელ კრიზისზე. ექსპერტების ინფორმაციით, მალე სურსათზე ფასების 40%-ით ზრდაა მოსალოდნელი. თუმცა რაღა მოსალოდნელია, ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე ბოლო ხანს ფასების ზრდა აშკარა და თვალშისაცემია.**



ამას წინათ ორგანიზაციამ „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 25% იმყოფება. პრობლემის მოგვარების გზას „ქეა“ საზოგადოების გადამზადებასა და ბიზნესუნარჩვევების გამომუშავებაში ხედავს. მაგრამ რატომღაც ეს პროგნოზი სერიოზულად არავის აღუქვამს.

**საქართველო რომ იმ ცამეტ ქვეყანათა შორისაა, რომლებსაც სასურსათო კრიზისი ემუქრება, ცნობილია. თანაც სურსათის გაძვირების ტენდენცია უკვე აღინიშნება.**

მსოფლიო ბანკის გათვლებით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 50 % ღარიბია, 17 % კი — ღატაკი. მოსალოდნელი შედეგების მიხედვით, პირველი მაჩვენებელი 60%-ს მიაღწევს, ხოლო ღატაკების რაოდენობა 25%-მდე გაიზრდება. სამაგიეროდ, ამ ფონზე გვაქვს ახალი კონსტრუქციები, ხიდები. რამდენად მოსალოდნელია სასურსათო კრიზისი და რა ღონისძიებებს მიმართოს მოსახლეობამ ამის თავიდან ასაცილებლად, **ეკონომიკის ექსპერტს — ლევან კალანდაძეს** ვესაუბრეთ.

**— ლარის კურსის დაცემამ საყოფაცხოვრებო და ყოველდღიური მოხმარების საგნებზე საგრძნობლად გაზარდა ფასები... ვრცელდება ინფორმაცია, რომ წლის ბოლოსთვის იგი დაახლოებით 30-40 % გახდება. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია და რამ გამოიწვია ეს?**

— ფასების ზრდა დამოკიდებულია ლარის მსყიდველობით უნარზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მყარი და სტაბილური იქნება ლარის კურსი. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არსებული დღევანდელი მდგომარეობა არასახარბიელოა და პერსპექტივაშიც ნაკლებად საიმედო. მნიშვნელოვანია ის მონეტარული პოლიტიკა და სავალუტო ინტერვენციული პოლიტიკა, რასაც ეროვნული ბანკი ატარებს და რაც უნდა გახდეს ქვეყანაში ლარისა და ფასების სტაბილიზაციის დონის უზრუნველმყოფელი. გარდა ამისა, ლარის მსყიდველობით უნარსა და, შესაბამისად, ფასების დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს მკვეთრად უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი 80%-ს შეადგენს და მხოლოდ 20%-ია იმპორტი, ანუ ქვეყანაში მკვეთრად გამოხატული მაღალი მოთხოვნაა დოლარზე, რადგან მოსახლეობის რეალური მოხმარების უდიდესი ნაწილი სწორედ დოლარზე დაფუძნებულ სავაჭრო გარიგებებზე მოდის. შესაბამისად, როცა ასეთი მკვეთრი დისბალანსის პირობებში ძალიან მაღალია დოლარზე მოთხოვნა, იგი მკვეთრად უარყოფითად აისახება ლარის მსყიდველობით უნარზე. ამას ემატება ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების საგრძნობი ტენდენცია, ანუ სავალუტო შიმშილის კიდევ უფრო გაღრმავება. ამ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არ იქნა მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული, არ არის გამორიცხული, ფასების მატების ტემპი, მათ შორის პირველადი მოხმარების პროდუქტებზეც კი, კიდევ უფრო გაიზარდოს და სახიფათო ნიშნულს მიაღწიოს.

**— გაერო აფრიკის ულარიბეს 8 ქვეყანას, მათთან ერთად საქართველოს, ტაჯიკეთს, მონღოლეთსა და სომხეთს სურსათის მოსალოდნელ კრიზისსაც უწინასწარმეტყველებს (ხელისუფლების აზრით, საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ეკონომიკის განვითარების მხრივ. მაშინ რატომ აღმოჩნდა ის ასეთი ღარიბი ქვეყნების გვერდით?). უფრო დეტალურად განგვიმარტეთ, რას ნიშნავს სურსათის დეფიციტი?**

— სურსათის დეფიციტურობა თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელია და ყოველთვის ასე იყო, ანუ მსოფლის მოსახლეობის საკვები პროდუქტების, ძირითადად, პირველადი მოხმარების კვების პროდუქტების მოხმარება ჭარბობდა მიწოდებას. საგანგაშო ის არის, რომ ამ ტენდენციამ ბოლო წლებში მკვეთრად აღმავალი ხასიათი მიიღო. ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში სურსათის დეფიციტი შეიქმნება, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ პირველადი მოხმარების კვების პროდუქტებზე (ხორბალი, ცხიმი, ბურღულეული, ხორცის პროდუქტები და სხვ.) სრულიად შესაძლებელია ფასების მატებამ შესამჩნევი სახე მიიღოს. მსოფლიო სასურსათო დეფიციტის გამოვლინება სწორედ ფასების გაზრდაა და, შესაბამისად, პირველადი სასურსათო პროდუქციის მოხმარების შემცირებაც, რაც, ბუნებრივია, ნეგატიურად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და განვითარების დონეზე. ვფიქრობ, საჭიროა კონკრეტული სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომელიც მოიცავს იმ გადაუდებელი და პრიორიტეტული ნაბიჯებისა და ქმედებების ერთობლიობას, რაც სახელმწიფომ უნდა გაატაროს სოფლის მეურნეობასა და მოსახლეობის სურსათით ეფექტურად უზრუნველყოფის საქმეში.

**— ზოგიერთი ექსპერტი მოსახლეობას აფრთხილებს კიდეც, რომ, ვისაც შესაძლებლობა აქვს, მოიმარაგოს სურსათი ზამთრისთვის, რადგან ძალიან მძიმე წელი გველისო. თქვენი აზრით, სიტუაცია მართლაც ასეთი საგანგაშოა?**

— სურსათის მომარაგება ცოტა ზედმეტად პანიკური და არარაციონალური ნაბიჯი მგონია. თუმცა, ვისაც სურვილი და შესაძლებლობა აქვს, შეუძლია ასეც მოიქცეს, მაგრამ რამდენი შეიძლება მოიმარაგო?! ნაკლებად შემოსავლიანი ოჯახებისთვის უფრო პრაქტიკული, ვფიქრობ, ფინანსური დანაზოგებისა და ფულადი რეზერვების გაკეთება იქნება.

**— საქართველოს მოსახლეობის 17% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, თუმცა სპეციალისტები ამ ციფრის 60 %-ით გაზრდას პროგნოზირებენ. როგორ უნდა გაიტანოს თავი მოსახლეობამ, თუ ასეთი მძიმე წელი გველის... არსებობს თუ არა რაიმე საშუალება მოსალოდნელი კრიზისი თავიდან ასაცილებლად?**

— რთული კითხვაა. კონკრეტული რეცეპტი ამ სიტუაციისთვის არ მოიძებნება. ერთი კია, კრიზისის დაძლევა და ეკონომიკური ჩიხიდან ქვეყნისა და საზოგადოების გამოყვანა ხელისუფლების საქმეა და არა რიგითი მოქალაქეების. საზოგადოება სწორედ იმისთვის „ქირაობს“ მთავრობას, რომ ამ უკანასკნელმა პრობლემები გადაჭრას და მოაგვაროს.

**— მკვეთრად გაიზარდა ფასები სამომხმარებლო პროდუქტებზეც. გადასახადების მატებაც იგეგმება. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ ისედაც სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ საქართველოს მოსახლეობას რაიმე შეღავათი გაუკეთოს, არაფერს აკეთებს პრობლემის მოსაგვარებლად. რეალურად გადადგმული ნაბიჯები ამ მიმართულებით არ ჩანს...**

— სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ არაერთგზის დეკლარირებული ლიბერალური კურსის მიუხედავად, მთავრობის ეკონომიკური გუნდი ისევ გადასახადების მატებისა და ბიზნესისათვის საგადასახადო ტვირთის გაზრდის პოლიტიკას ატარებს. იმის ნაცვლად, რომ საგადასახადო ტვირთი შეუმციროს მოქალაქეებს, ახალი საგადასახადო კოდექსი, დღეს არსებული მოდელისაგან განსხვავებით, 2011 წლიდან მაგალითად საშემოსავლო გადასახადის ნაწილში ზრდას ითვალისწინებს. სოციალური პრიორიტეტები კი ერთ დონეზეა „გაყინული“. რეალურად, არსებული სოციალური პოლიტიკა, მათ შორის საბიუჯეტო პოლიტიკაც შედეგზე ნაკლებადაა ორიენტირებული.

**— რა რჩევებს მისცემთ მოსახლეობას, ცოტათი მაინც რომ გაუადვილდეთ ამ კრიზისიული პერიოდის გადატანა?**

— ძალიან ძნელია რაიმე უნივერსალური რჩევის შეთავაზება საზოგადოებისათვის. ყველაზე რაციონალური დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის მაინც უახლოესი წლების განმავლობაში ხარჯების ეკონომიურად გაწევისა და ფინანსების დაზოგვის პოლიტიკის განხორციელება იქნება.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

**P.S.** **თქვენ წარმოიდგინეთ, არა მარტო საქართველოს, ევროპასაც ემუქრება შიმშილი და ამიტომ თადარიგის დაჭერაა აუცილებელი. ალბათ, დროა, ნელ-ნელა მოვიმარაგოთ ყველაფერი, ვინიცობაა და რამე მოხდეს, ვინაა მერე ჩვენი პატრონი? ამიტომ, სანამ დროა, მოვემზადოთ! შიმშილი მოდის!**

# ვის «გაშავებას» ეხვეწებიან კაზინოს ხელმძღვანელებს



**მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის კომპანიამ „ეი სი თი“ ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისში, კაზინოში სტუმრობა საკმაოდ აქტუალურია. ხუთიდან სამი მომხმარებელი (59%) თვეში რამდენჯერმე მაინც სტუმრობს კაზინოს. მომხმარებელთა 20% კი განსაკუთრებით აქტიურია. ისინი თითქმის ყოველდღე დადიან კაზინოში.**

**მოთამაშეთა აქტივობა დასვენების დღეებში პიკს აღწევს. განსაკუთრებული ხალხმრავლობა კი ზაფხულობით შეინიშნება, მით უფრო ბოლო პერიოდის ტოტალიზატორ-სლოტ-პოკერ კლუბების ბუმის პირობებში; აზარტული დამოკიდებულება საკმაოდ სავალალოდ სრულდება და მომავალში, ალბათ, მსგავსი შედეგების მომკა კიდევ მოგვიწევს!**

დაიწყო მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი და მასთან ერთად სატოტალიზატორო თავის ტკივილიც. ფეხბურთი დღეს მარტო სპორტი კი არა, ტოტალიზატორებით „გამდიდრების“ საშუალებაცაა. თუმცა, რატომღაც ავიწყდებათ, რომ ტოტალიზატორები ხალხის კი არა, მათი მეპატრონეების გამდიდრებისათვისაა შექმნილი და ათასობით ადამიანი ტოტალიზატორებში ამაოდ ათენ-აღამებს გამდიდრების სურვილით ხდება, მაგრამ პირიქით — ზოგიერთი მათგანი დიდ თანხასაც კი აგებს.

მიუხედავად იმისა, რომ აზარტული თამაშების გამო ბოლო დროს უამრავი დანაშაული ხდება, თბილისში კაზინოების, სათამაშო კლუბებისა და ტოტალიზატორების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. ყველა ქვეყანა ცდილობს, გარკვეული ცენზურა დააწესოს კაზინოსთან მიმართებაში. **ზოგ ქვეყანაში სათამაშო ბიზნესი აკრძალეს კიდეც, მაგალითად, აზერბაიჯანსა და თურქეთში. კაზინოები ისეთ მეგაპოლისშიც კი დაიკეტა, როგორიც მოსკოვია. მარტო ჩვენ აღმოვჩნდით „ჭკვიანები“. თბილისსა და ბათუმში ერთიმეორის მიყოლებით იხსნება კაზინოები, სპეციალისტები ეჭვობენ, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით შავი ფული ტრიალებს, რომლის გათეთრებაც სწორედ კაზინოების მეშვეობით ხორციელდება.**

ხელისუფლება თავს იმით იმართლებს, რომ კაზინოებისა და სათამაშო ბიზნესის ხელშეწყობა ინვესტორების მოზიდვის კარგი საშუალებაა. თუმცა ეს არ ამართლებს ხელისუფალთ იმ ფონზე, როცა **კაზინომ და თამაშმა უამრავ ადამიანს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია.** გვჭირდება კი ასეთი გზით მოზიდული ფული?!

**კაზინოში ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი დადის; მათ შორის — ქალები, ფეხმძიმეც კი, მოხუცები. როგორც გამოცდილი მოთამაშეები ამბობენ, კაზინოში შესვლის წინ უნდა გახსოვდეს, რომ ყოველთვის აგებს ის, ვინც მოსაგებად შედის, და იგებს ის, ვისთვისაც თამაში მხოლოდ გართობაა. მაგრამ მარტო ამის დამახსოვრება და გათვალისწინება, ცხადია, მოგებას ვერ მოიტანს.**

სამწუხაროდ, ბევრს სახლკარის გაყიდვა უწევს, ზოგჯერ საქმე იქამდეც მიდის, რომ, თავიანთი ქონების განიავების შემდეგ, ახლობლებისა და მეგობრების ქონებაზე გადადიან. და, მიუხედავად ამის, თამაშს მაინც აგრძელებენ და ვალებში ჩავარდნილები დანაშაულის გზაზე დგებიან. **დღეს ბევრი მსჯავრდებულია ისეთი, რომლებიც სასჯელს ნასესხები ფულის კაზინოში წაგებისათვის, ვალის გადაუხდელობისათვის ჩადენილი დანაშაულის გამო იხდის.**

როცა პირველად თამაშობ, თითქმის ყოველთვის გიმართლებს და იგებ, სწორედ ესაა სატყუარა. იმის იმედით, რადგან ერთხელ მოვიგე, ესე იგი, იღბლიანი ვყოფილვარო, იწყებ თამაშს, რომელიც აღარ მთავრდება, სანამ ყველაფერს არ დაკარგავ. სანამ ოჯახსა და ახლობლებს არ დაღუპავ. შენ კი მაინც ფიქრობ, რომ რადგან ერთხელ მოიგე, კიდევ გაგიმართლებს, ის კი აღარ გახსოვს, რომ უკვე ასჯერ წააგე.

**კაზინო იმდენად ითრევს ადამიანს, სრულიად ეკარგება დროის შეგრძნება. არის შემთხვევები, როცა კლიენტი რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში არ გადის კაზინოდან. ისინი ან თამაშობენ, ან გაყინული თვალებით აქეთ-იქით იცქირებიან და ფიქრობენ, ხანდახან საკუთარ თავსაც ელაპარაკებიან, ძირითადად, იმაზე, სად იშოვონ ფული, რომ ისევ მაგიდას მიუსხდნენ.**

სათამაშო ბიზნესის წესია, მოთამაშეს დროის შეგრძნება დაკარგული ჰქონდეს, ამიტომ კაზინოში მზის შუქი არსაიდან შედის, ვერსად ნახავთ საათსაც. არაერთი შემთხვევა გამიგია, სახლი გაუყიდიათ თამაშში წაგებული ფულის გამო და საქმე სისხლიან გარჩევამდეც მისულა. მგონი, ეს ჩვევა ნარკოტიკზე უარესია.

**ღამით კაზინოების შესასვლელთან ხშირად დაინახავთ გამწარებულ დედებს, მეუღლეებს, რომლებიც კაზინოს ხელმძღვანელებს ეხვეწებიან, „გააშავონ“ მათი შვილები თუ მეუღლეები. მათი მუდარა მაცდურად გაკაშკაშებული ფასადების მიღმა არავის ესმის, რადგან ასეთია ცხოვრება კაზინოში!**

**თეო ტაბატაძე**

29 ივნისი — 6 ივლისი, 2010 წელი. №24 (67)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხელისუფლება ემიგრანტებს

**ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის" მიერ ფრანგული ორგანიზაცია „ჟურნალისტები — ჟურნალისტებისათვის" ხელშეწყობით ბრიუსელში ნაჩვენები ფილმები, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის" გამოცემული კრებული „უუფლებობის ზონა" და ფოტოგამოფენა სრულფასოვნად ასახავდა საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის აღმაშფოთებელ ფაქტებს. ამიტომაც, როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში (იხ. „საქართველო და მსოფლიო" №20-21) ვიუწყებოდით, ხელისუფლების დიპლომატიურ სამსახურებს კრუნჩხვები დაემართა და წმინდა ჟურნალისტური ღონისძიება, რომელშიც ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის", ახალგაზრდული მოძრაობების — „7 ნოემბერი" და „რატომ?" ხელმძღვანელები, რუსეთის საელჩოს ორგანიზებულ და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ აქციად მონათლეს. ამის თაობაზე ჩვენთანაც ბევრი დაიწერა და რადიო „მონტე კარლოს" ეთერშიც არაერთი გადაცემა მიეძღვნა ამ ვიზიტსა და მის თანმდევ მოვლენებს. ამდენად, ახლა ვრცლად აღარ შევჩერდები დეტალებზე და დაპირებისამებრ გთავაზობთ ბრიუსელის ღონისძიების მონაწილეთა მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ როგორ ესახებათ ქართული ემიგრაციის გააქტიურება საქართველოში მდგომარეობის გამოსასწორებლად.**

**მარინე ბარბაქაძე, „ქართველთა კავშირი ბელგიაში":** — ყველა ქვეყანაში, სადაც ქართული დიასპორა არსებობს, უნდა შეიქმნას ერთსულოვანი, მტკიცე, ობიექტური ორგანიზაციები, რომლებიც მოემსახურება ინფორმაციის გავრცელებას საქართველოში არსებული სავალალო მდგომარეობის შესახებ, და არა მარტო...

**ნუ დავემორჩილებით არსებული ხელისუფლების ჩინოვნიკების მცდარ, ანტიქართულ მითითებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააკაშვილის ხელისუფლებას საშუალება მიეცემა, უფრო ღრმად გაიდგას ფესვები და გაიმყაროს რეპუტაცია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.**

**ათასობით ადამიანი უსახლკაროდ რჩება სააკაშვილის მიერ შექმნილი ეკონომიკური სისტემისა და საბანკო მაქინაციების გამო; ათასობით ახალგაზრდა უმიზეზოდ კვდება პოლიციის ხელით; მძვინვარებს ნარკომანია და არ არსებობს მისი აღმკვეთი არავითარი სამსახური; არ არსებობს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაზღვევა; გადასახადების გაზრდის გამო კოტრდებიან წვრილი მეწარმეები; ვკარგავთ ტერიტორიებს და იღვრება სისხლი; დარჩენილი მოსახლეობა გაუსაძლისი პირობების გამო ქვეყნიდან გარბის.**

**სწორედ ჩვენი მოვალეობაა, ამ ყველაფრის დამადასტურებელი ფაქტები ვაჩვენოთ მსოფლიოს, ვამხილოთ, რომ XXI საუკუნეში კიდევ არსებობს დიქტატურა, საკუთარი ხალხის გენოციდი.** ჩვენი ორგანიზაცია „ქართველთა კავშირი ბელგიაში" სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ გაავრცელოს სინამდვილე საქართველოს შესახებ; დაეხმაროს პოლიტპატიმრებს განთავისუფლებაში; დაეხმაროს ქართულ მედიასაშუალებებს, ხმა მიაწვდინოს საერთაშორისო ორგანიზაციებს. ჩვენ გვაქვს ყველა ამ პირობის შესრულების საშუალება.

**გიორგი ლაფანაშვილი, „ქართველთა კავშირი ბელგიაში":** — უპირველესად, საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ უნდა გაითვალისწინონ ემიგრაციის ინტერესები. გვაქვს განცდა, რომ ჩვენ სადღაც ცასა და მიწას შორის ვართ გამოკიდებულნი. ქართველების უდიდესი ნაწილი სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობს, მაგრამ არა ამ ხელისუფლების პირობებში, რადგან მათ ეშინიათ, რომ შვილებს დაუხოცავენ, აქ დაგროვილ ქონებასა და სარჩოსაბადებელს წაართმევენ. არადა, ასეთი უამრავი შემთხვევა მოხდა. ჩვენ — ემიგრანტები, რაც უფრო შორს ვართ, მით უფრო „ახლოს ვაკვირდებით" ჩვენს სამშობლოს, მით უფრო „ახლოს შევიგრძნობთ" მას. ამით იმის თქმა მინდა, რომ **ჩვენზე უფრო მგრძნობიარედ აისახება საქართველოში მიმდინარე ნებისმიერი მოვლენა, პოლიტიკური თუ სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული, რომ აღარ ვისაუბროთ ხელისუფლების მიერ ინსპირირებულ ომზე, შეგნებულად დაკარგულ (თუ გაყიდულ) ტერიტორიებსა და უამრავ დევნილზე, რომლებიც დღეს „კიბუცებში" იტანჯებიან და უნებლიე პატიმრები არიან.**

**ჩვენ არ ვენდობით ბოლო ხანს გააქტიურებულ დიასპორების სამინისტროს, რადგან ის თანხების შეკრებითაა დაკავებული და ეს ფული სად მიდის, ღმერთმა უწყის. ხელისუფლება ცდილობს, აქაც „წილში" ჩაუჯდეს ემიგრაციას. ეს წარმოუდგენლად ამაზრზენია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ასე მოხდება ემიგრაციის სტიმულირება, ძალიან ცდება!**

არ შეიძლება არ ვთქვა ეგრეთ წოდებული განბაჟების პროცედურებზეც, რომლებიც ყაჩაღობაა და მეტი არაფერი. ამ პირობებში არც ერთი ქართველი ემიგრანტი თავის სამშობლოსკენ არ მობრუნდება; იქნებ ეს შეგნებულადაც კეთდება, რომ არც ერთი ქართველი აღარ დაბრუნდეს სამშობლოში და საქართველო დარჩეს თურქების, სპარსელების, სხვა ურჯულო გადამთიელების ანაბარა. იქნებ ამისთვის ივსება უცხოეთში სახელისუფლო ინკოგნიტო ანგარიშები, რომ გაყიდული ქართველებითა და ქართული მიწებით, შემდეგ ხელისუფლების გვამ-სახეებმა და მათმა ჩამომავლობამ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში უდარდელად იცხოვრონ საკუთარი ხალხის ტანჯვის ფასად!



ნინო ცხოიძე ევროკომისიაში აკრედიტებულ კოლეგასთან ერთად

## ნინო ცხოიძე:
## ქართველებს არც სამშობლოში დამაგრების საშუალება აქვთ და ლუკმა-პურის საშოვარზე წასულებს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი უკან ერეკება

**ქართველი ემიგრანტების ამ ემოციური მოსაზრებების გაცნობის შემდეგ ჟურნალ „ემიგრანტების" მთავარ რედაქტორს — ნინო ცხოიძეს ვთხოვე, „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველისთვის გაეზიარებინა თვალსაზრისი, თუ ვინ პატრონობს და ვინ აპირისპირებს ერთმანეთთან უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს. ნინო, რამდენიმე წელიწადია, ემიგრაციის პრობლემებზე მუშაობს და პარიზსა და ბრიუსელში ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში ყოფნისას არაერთხელ გამოავლინა ამ საკითხების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.**

— ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, როცა გერმანიაში საქართველოს ელჩი კონსტანტინე გაბაშვილი გახლდათ, ევროპაში პირველივე ვიზიტისას დავინტერესდი უცხოეთში მცხოვრები ქართველების ბედით, მათი ყოფითა და შრომის პირობებით. შემზარავმა ფაქტებმა, რაც მაშინ ბერლინში ჩვენი საელჩოს წარმომადგენლებისგან შევიტყვე, გადამაწყვეტინა, ამ თემაზე სერიოზულად მემუშავა. დროთა განმავლობაში რამდენჯერმე მოვახერხე, ვწვეოდი ევროპის სხვადასხვა ქვეყანას და გავცნობოდი სათვისტომოებს, დიასპორების სახელით მოქმედ ორგანიზაციებს, ქართულ ეკლესიებს და შემესწავლა ის ვითარება, რომელშიც ჩვეულებრივი „არალეგალები" და „აზულიანტები" (ანუ თავშესაფრის მაძიებლები ლტოლვილთა ბანაკებში) იმყოფებიან. ასევე გავეცანი უკვე დამკვიდრებულ ქართველთა და უცხოეთის მოქალაქეობამიღებულთა განწყობასაც და განსხვავებული პოზიციებიც აღმოვაჩინე.

**— ბუნებრივია, შენთვის ცნობილია სხვადასხვა კატეგორიის ემიგრანტთა მდგომარეობა და მათი დამოკიდებულებაც სამშობლოში მიმდინარე პროცესებისადმი...**

— ქართველობა, როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, არაერთგვაროვანია. მაგრამ უცხოეთში გადახვეწილთა დაახლოებით 60-70 პროცენტი მაინც უკან დაბრუნებას აპირებს. ამდენად, მათ საქართველოში არსებული მოვლენებისადმი ინტერესი არ დაუკარგავთ. სამწუხაროდ, მრავლად არიან ისეთებიც, ვინც ნოსტალგიის დაძლევის შემდეგ (დაახლოებით 4-5 წლის ემიგრანტული ცხოვრების შემდეგ), საქართველოდან ოჯახის წევრებიც წაიყვანა და უკან დაბრუნებაზე სულ უფრო ნაკლებად ფიქრობს. მინახავს ისეთებიც, აქეთ გამოხედვა რომ არ უნდათ და ქართულად თითქმის აღარც საუბრობენ.

გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, საბერძნეთსა და ესპანეთში ხანმოკლე მოგზაურობებისას, ასევე, ამერიკასთან და იტალიასთან ინტერნეტ-კავშირების დამყარებით შევიტყვე, რომ ქართველები, სადაც არ უნდა ვიყოთ, მაინც ქართველებად ვრჩებით. თუმცა ადგილობრივ კანონებზე მორგებასაც ვახერხებთ.

**ერთიანობის შენარჩუნება კი ყველაზე მეტად გერმანიაში, ბილეფელდის ქართულ სათვისტომოში შევნიშნე. თუმცა მას შემდეგ, რაც დიასპორების სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა და უფრო ადრე, ეს სფერო სააკაშვილის დედის გავლენის ქვეშ მოექცა, ვითარება შეიცვალა და გერმანიაში გამომავალი გაზეთი „ახალი ივერია" დაიხურა.**

**— დროთა განმავლობაში, ალბათ, სამშობლოსგან გაუცხოების ფაქტებიც სულ უფრო გახშირდებოდა, მითუმეტეს, თუკი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ყურადღებას ვერ გრძნობენ...**

— სამწუხაროდ, ქართველებიც და არაქართველებიც, ოჯახებით მიდიან და აქ ბინების გაყიდვით უკან დასაბრუნებელ გზასაც იჭრიან. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო ბრიუსელში ჩვენი ვიზიტისას შექმნილი ხელოვნური ინციდენტიც, რომლის მონაწილეებიც აშკარად კარგად შეეთვისნენ იქაურ ცხოვრებას და თავიანთ როლს საქართველოსთან მიმართებაში მხოლოდ რუსეთის საწინააღმდეგოდ გამართულ საპროტესტო აქციებში ხედავენ. მე მათ არაერთხელ შევხვედრივარ ბოლო 5 წლის განმავლობაში. 2008 წელს ბრიუსელსა და ჰოლანდიაში ყოფნისას მათი აქციების მონაწილეც ვიყავი და პატივს ვცემდი მათ გულწრფელობას. თუმცა იმათიც მესმოდა, ვინც ამ ადამიანებს ხელისუფლების მიმართ, რბილად რომ ვთქვა, ლოიალურ დამოკიდებულებაზე მიუთითებდნენ.

**— მაგრამ, ალბათ, დამეთანხმები, იმავე ადამიანების მხრიდან ჩვენი ჯგუფის რუსეთის ინტერესების დამცველებად მოხსენიება უფრო ხელისუფლების დაკვეთას ჰგავდა...**

— დიახ, მეც ასე აღვიქვი და ესეც გულღიად გამოვხატე. ჩემს შეკითხვაზე: ფიქრობენ თუ არა ისინი, რომ მე მათ მიტინგებზეც და ახლაც რუსეთის დაფინანსებით ჩამოვედი ბელგიაში, მერაბ სურვილაძემ უარით მიპასუხა. მისი საუბრიდან საგულისხმო იყო ის, რომ ვითარებაში გარკვევის შემდეგ არაერთხელ განაცხადა, ვცდებოდით, რადგან არასწორი ინფორმაცია გვქონდაო. მაგრამ დოკუმენტური ფილმის ნახვის შემდეგ, მან და მისმა თანმხლებმა პირებმა სატელეფონო ზარების საპასუხოდ დატოვეს სასტუმროს ფოიეც კი და არც დაუმალავთ, — „არ გვცალია, დაგვირეკეს და უნდა წავიდეთო".

**სამწუხაროდ, ეს ის შემთხვევაა, როცა საქართველოს ხელისუფლებას დაქვემდებარებული სათვისტომოები თუ „დიასპორები" (ამ შემთხვევაში ამ სიტყვას ორგანიზაციის მნიშვნელობით ვიყენებ და არა ქართველთა კრებითობის სიმბოლოდ), არ ინტერესდებიან ქვეყანაში არსებული რეალური ვითარების გაცნობით.**

სწორედ ამიტომ გაიმართა „ქროუნ პლაზაში" ხანგრძლივი კამათი იმ უბრალო ჭეშმარიტებაზე, „ქართველთა კავშირი ბელგიაში" მოქმედებდა თუ არა ქართული დიასპორის სახელით, რომლის უფლება ბელგიაში მხოლოდ ერთადერთ ორგანიზაციას ჰქონია და მას „თამარ მეფის ეკლესიასთან არსებული სათვისტომო" წარმოადგენს. მათ არც იმაზე გამცეს კონკრეტული პასუხი, იცნობენ თუ არა „ბელგიაში ქართველთა კავშირის" მიერ ბრიუსელში ჩატარებულ აქციებს და აღიარებენ თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობას.

**— ნინო, თავიდანვე ნათელი იყო, რომ მათ ფილმების ჩვენების ჩაშლა სურდათ, რაკი კრებული „უუფლებობის ზონა" ევროკომისიაში უკვე გავრცელებული გვქონდა და ვერც სასტუმროს დარბაზის კედლებზე გამოფენილ ფოტოსურათებს ჩამოხსნიდნენ...**

— ცხადი იყო, რომ ისინი 26 მაისს პრეზენტაციაზე სწორედ ჩაშლის მიზნით მოვიდნენ და საყვედურებს გამოთქვამდნენ, რატომ არ მოგვიწვიეთო. ამასთან, თურმე დღემდე იმეორებენ, რომ ამ ღონისძიებაზე სტუმრები დიასპორის სახელით იყვნენ მიპატიჟებულნიო. თუმცა ამას დოკუმენტურად ვერ ადასტურებენ. **ბელგიელი ქართველების თქმით, ახალგაზრდა კონსული მაია ბართაია, რომელიც ელჩის სახელით გავრცელებულ მობილურ შეტყობინებებში ქართველებს მოუწოდებდა, მონაწილეობა არ მიეღოთ „რუსეთის საელჩოს მიერ დაფინანსებულ ღონისძიებაში"... თურმე ქართველ ემიგრანტებს არანაირად არ სწყალობს და ქვეყნიდან მათი გამოძევების შანსს ხელიდან არ უშვებს.**

**დასანანია, რომ, ქართველთა შეკავშირების ნაცვლად, უცხოეთში არსებული ჩვენი წარმომადგენლები საკუთარი ხელისუფლების დაცვით არიან დაკავებულნი და მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავენ.** ქართველებს არც სამშობლოში დამაგრების საშუალება აქვთ და ლუკმა-პურის საშოვარზე წასულებს ჩვენი წარმომადგენელი უკან ერეკება. მათ უცხო ქვეყნის ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე საკუთარი. ჩვენი მთავრობისა და ხელისუფლებისგან ისინი დაუცველები არიან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის" მიერ ორგანიზებულ ბრიუსელის ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი უფლებადამცველები. არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელის, ნანა კაკაბაძის მოღვაწეობას არამარტო საქართველოში იცნობენ, მის მიმართ მსოფლიოს ავტორიტეტული უფლებადამცველებიც განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავენ. ახალგაზრდული მოძრაობის „7 ნოემბერი" ლიდერი ჯაბა ჯიშკარიანი და ჟურნალისტი ირაკლი კორძაია კი არაერთხელ გამხდარან საქართველოს „დემოკრატიული" ხელისუფლების სამიზნე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ აქტიურად აპროტესტებენ ძალადობას, რომელიც „ნაცრეალობამ" ლამის ცხოვრების წესად აქცია.**

**„საქართველო და მსოფლიომ" ბრიუსელის პროტესტის აქტიურ მონაწილეებს სთხოვა, ჩვენი მკითხველისთვის გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილებები.**

**ნანა კაკაბაძე:** — ჩვენს ვიზიტს ჰქონდა ერთადერთი მიზანი, რომ გვეჩვენებინა ის რეალობა, რაც საქართველოშია ადამიანის უფლებათა დარღვევების მიმართულებით. ჩვენ შევხვდით საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სათვისტომოებს. ვაჩვენეთ ის ფილმები, რომელიც საქართველოში ცნობილია და მის შინაარსს მტკიცება არ სჭირდება. ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ერთმანეთთან აპირისპირებს

**ჯაბა ჯიშკარიანი:** — ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივს“ ამ პროექტის ორგანიზებისა და მომზადებისთვის. საზოგადოებამ მინდა იცოდეს, რომ „ობიექტივის“ ამ ხუთკაციანმა ჯგუფმა მრავალწლიანი საინფორმაციო ჩაკეტილი ველის ერთხელ და სამუდამოდ გარღვევა შეძლო.

**სააკაშვილს ჰგონია, რომ თვითონ არის საქართველო, მაგრამ ამ ფილმებით უცხოელებმა დაინახეს, თუ როგორი დემოკრატიის განმახორციელებელია სააკაშვილი, რომ ის არ არის „დემოკრატიის ბიჭუნა“. საინფორმაციო ვაკუუმი გაიხსნა და ბოლოს და ბოლოს სააკაშვილის მითი დაირღვა, ვინაიდან ჩვენმა სტუმრებმა კარგად ნახეს და მოისმინეს, თუნდაც სვანეთში აფრასიძეების მკვლელობის შესახებ.**

ჩვენ ეს ყველაფერი საერთაშორისო ორგანიზაციების, უფლებათა დამცველების, ევროკომისიის ყურამდე მივიტანეთ. უფრო მეტიც, დიალოგის გარდა მათ სერიოზული მტკიცებულებები გადავეცით, კონკრეტულად — „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ გამოცემული წიგნი „უუფლებობის ზონა“, რომლის ყდაზეც გამოსახულია სააკაშვილი. მისი სახე გაყოფილია ორად, ერთ ნახევარზე გამოსახულია ბანდიტი, მეორე ნახევარზე — გულწრფელი ადამიანის სახე. ამ წიგნში ასახულია ყველა ის უკანონობა, რაც სააკაშვილის რეჟიმმა საკუთარი საზოგადოების მიმართ განხორციელდა.

**ირაკლი კორძაია:** — ის სინამდვილე და რეალობა, რაც ჩვენს ქვეყანაში სუფევს, ჩვენთვის უკვე კარგა ხანია ცნობილია, მე ვგულისხმობ საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეებს, ხოლო ჩვენი ემიგრაციისთვის უცნობია სინამდვილე. მათ ფრაგმენტულად იციან, თუ რა ხდება ამ ქვეყანაში, მაგრამ რეალური სურათი მათთვის პრაქტიკულად უცნობია. ამიტომაც, ჩვენი ჩასვლა სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ მიგვეტანა ჩვენს ქვეყანაში არსებული რეალობა და სინამდვილე ჩვენს მოქალაქეებამდე, რომლებიც სიდუხჭირის გამო გადახვეწილები არიან საზღვარგარეთ.

გამომდინარე საკონსულოს რეაქციიდან, ჩვენი იქ ჩასვლა საკმაოდ რეზონანსული აღმოჩნდა.

**ნანა კაკაბაძე:** — ხელისუფლებამ საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველებიც დაყო რამდენიმე ნაწილად. ადრეც იყო ასეთი პრეცენდენტები, მაგრამ ახლა, ჩვენი იქ ყოფნისას, განსაკუთრებით მძაფრად გამოჩნდა. საკონსულომ არა მარტო შეტყობინებები, არამედ ადამიანებიც გამოგზავნა, რომლებიც პირდაპირ იყვნენ მომართულნი, რომ ჩასული იყო მტრული ძალა ქვეყნის წინააღმდეგ, თუმცა ისინი გულისხმობდნენ ხელისუფლებისკენ მტრულად მიმართულ ძალას. არ შეიძლება ცნებების — ხელისუფლება და სამშობლო — აღრევა. ესე იგი, მიშა სააკაშვილი არის სამშობლო და საქართველო? თუკი მიგაქვს ფილმები ან რაიმე ინფორმაცია, რომელიც ხელისუფლების უკანონობას ამხელს, ეს ყოფილა სამშობლოს ღალატი. ასეთი შემთხვევები ვიცით ჩვენ საბჭოთა პერიოდიდან. ეს იარლიყები კი არ გვიკვირს, მე დღეს მიკვირს ის, რომ ელჩად მუშაობს სალომე სამადაშვილი, რომელიც პირადად მე კარგად მიცნობს და ისიც იცის, რამდენად შეიძლება მე ვიყო რომელიმე ქვეყნის აგენტი. ადამიანები ისე გათიშეს, რომ მეგობრებიც მტრებად აქციეს პოლიტიკურ ნიადაგზე. სალომემ არც დამირეკა და არც არაფერი მკითხა. ხომ შეიძლება, მართლა ვინმემ უთხრა?! ეს გასაგებია, ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ინფორმაცია გადაემოწმებინა და ეთქვა, რატომ გავრცელდა ასეთი ხმა.

**ირაკლი კორძაია:** — საქართველოს საკონსულოს მიერ ქართული ემიგრაციისთვის გაგზავნილ სმს-ში ეწერა, რომ ჩვენი ვიზიტი არის ანტიქართული, რაც თავისთავად სასაცილოა. ეს მეთოდი და სტილი იმდენად დაძველდა, რომ აღარავიზე მოქმედებს. კარგია ეს რომ გააკეთეს, ამავდროულად მათ ეს აღიარეს — ქალბატონმა მაია ბართაიამ, ძალზე ახალგაზრდა კონსულმა აღიარა, რომ ეს იყო პირდაპირი დავალება თბილისიდან. ჩვენ ამის ვიდეომასალა გვაქვს გადაღებული, სადაც ის ამას ამბობს.

**მე არ მესმის, რა არის ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქტი, — ის, რომ ჩვენ ვახო კომახიძის, ნინო ზურიაშვილის ფილმები ჩავიტანეთ? ის, რომ ჩვენ იქაურ საზოგადოებას ზურაბ ჟვანიას მკვლელობაზე მოვუყევით? მოვუყევით 6 მაისსა და ათას უბედურებაზე, რაც ჩვენს ქვეყანაში ტრიალებს? მე ვფიქრობ, ეს რეაქცია, ცილისწამება და რეპლიკაც სწორედ იმის მანიშნებელია, რომ მათ ძალიან ეტკინათ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ბრიუსელში, ევროპის დედაქალაქში, ჩადის ოთხი ჟურნალისტი, ორი უფლებადამცველი და უკვე უშუალო ურთიერთობის მეთოდით ავრცელებს ამ ინფორმაციას.**

**ჯაბა ჯიშკარიანი:** — ხელისუფლება, თუ შეგატყობს, რომ ეწინააღმდეგები, მაშინვე აგენტის იარლიყს გაკრავს. მინდა გავიხსენო, ნოემბრის აქციებზე როგორ გამოაცხადეს რუსეთის აგენტებად ბადრი პატარკაციშვილი, ძმები ბერძენიშვილები... ამ იარლიყის მიწებების მცდელობა აპრილის აქციების დროსაც ჰქონდათ. ახლა ჩავედით თუ არა ბრიუსელში და მიხვდნენ თუ არა, რომ ევროპა სიმართლეს გაიგებდა, მაშინვე სატელეფონო შეტყობინებები დაუგზავნეს არა მარტო ქართული დიასპორის წარმომადგენლებს, არამედ იქ აკრედიტებულ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას. ვითომ ჩვენ მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება იყო დაგეგმილი. კონსული მაია ბართაია დიდი თხოვნით მიმართავს, ნუ მიიღებენ მონაწილეობას რუსეთის საელჩოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში. ეს არის ძალიან დიდი შეურაცხყოფა. რუსეთის კი არა, არავის აგენტი არ ვიქნები. აგენტები არიან მიშა და ვანო, თანაც ერთმანეთის, რადგან კომპრომატებით არიან გადაბმულნი და ცდილობენ, ძალაუფლება არ დაკარგონ.



ნანა კაკაბაძე და ირაკლი კორძაია სასტუმრო „ქროუნ პლაზასთან“ პრეზენტაციის წინ

## ნანა კაკაბაძე:

## არ შეიძლება ცნებების — ხელისუფლება და სამშობლო — აღრევა

რაც უნდა აგენტები გვეძახონ, ჩვენ საქმეს მაინც ბოლომდე მივიყვანთ და სააკაშვილისა და მერაბიშვილის ავანტიურისტულ, ძალადობრივ რეჟიმს აუცილებლად ბოლოს მოვუღებთ.

**ნანა კაკაბაძე:** — რადგან ეს ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციაა, ამიტომაა ქვეყნის ღალატი? იქ ერთ-ერთმა, აგრესიულად განწყობილმა ადამიანმა თქვა, — მე ვარ წარმომადგენელი თამარ მეფის საზოგადოებიდანო. მე მივუგე, — თქვენ ის გაინტერესებთ, რა შინაარსის არის ეს ფილმები, რა ტკივილს ასახავს ის თქვენი ქვეყნისას, რომლიდანაც 10 წელზე მეტია წამოსული ხართ თუ საკონსულოს მოწოდებული ინფორმაცია, რომ ჩვენ ქვეყნის მტრები ვართ-მეთქი? იქნებ ჯერ ეს ფილმები გვენახა, გვემსჯელა და მერე გვეფიქრა, ვინ არის მტერი. იქნებ ამაზე გვემსჯელა?!

ამ ადამიანებს ცოტა არგუმენტი ჰქონდათ. მხოლოდ ამას გვპასუხობდნენ, — „ჩვენ ეს ინფორმაცია გვქონდა“. ძალიან ცუდია, რომ ხელისუფლება მასზე დამოკიდებულ ადამიანებს, რომლებსაც სხვა გზა არა აქვთ, ასეთ მდგომარეობაში აყენებს.

ეს არჩევნების დროსაც ვნახეთ, კორპუსის ხელმძღვანელების მაგალითზე. საზოგადოებამ ეს ადამიანები გაკიცხა იმის გამო, რომ ხელისუფლება მათი სიდუხჭირით სარგებლობს და იყენებს ასეთი ცუდი საქმეებისთვის. ზუსტად ასე ექცევა ის ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ქართველებსაც.

**ჩვენსა და იმ ქართველებს შორის, რომლებმაც ვერ გაუძლეს აქ შექმნილ სიტუაციას და ქვეყანას გაეცალნენ და დროებით თავშესაფარი ნახეს, ის განსხვავებაა, რომ ისინი მეტ-ნაკლებად დამოკიდებულნი არიან საელჩოების კეთილგანწყობაზე.**

## ირაკლი კორძაია:

## ჩვენ გვინდოდა დღევანდელი რეჟიმის რეალური სახის ჩვენება და შევძელით

რა თქმა უნდა, ჩვენ ისეთ იარლიყებს მათ არ მივაწებებთ, როგორიც მათ მიმართ გაისმის, ვისაც ხელისუფლება არჩევნებში იყენებდა, თუმცა სამწუხარო ის არის, რომ ხელისუფლებამ საზოგადოება ერთმანეთს დაუპირისპირა.

**ირაკლი კორძაია:** — შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილს და ვანო მერაბიშვილს საკუთარი თავი იდენტიფიცირებული აქვთ საქართველოსთან, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ გვინდოდა დღევანდელი რეჟიმის რეალური სახის ჩვენება და ჩვენ ეს შევძელით. მიუხედავად იმისა, რომ საკონსულომ ყველა ღონე იხმარა, რათა ქართველები არ მოსულიყვნენ, დარბაზი იყო სავსე არა მარტო ქართველებით, არამედ ჩვენი უცხოელი კოლეგებით სხვადასხვა მედიიდან, რომლებიც არიან აკრედიტებულნი ევროკავშირში, ნატოში.

**ჩვენი მასპინძელი იყო გიორგი ფოფხაძის ორგანიზაცია. ეს არის ჩვენი თანამემამულე, საფრანგეთის საზოგადოებრივი რადიოს ჟურნალისტი ბრიუსელში. ის აშუქებს ბრიუსელიდან, ევროსტრუქტურებიდან ყველანაირ სიახლეს საფრანგეთის საზოგადოებრივი რადიოსთვის. იგი ასევე არის ფრანგული არასამთავრობო ორგანიზაციის „ჟურნალისტები ჟურნალისტებისთვის“ დამფუძნებელი. გიორგი გულწრფელად შეწუხდა იმის გამო, რომ მას ჩვენთან ერთად დაბრალდა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებაში მონაწილეობა.**

მათგან შეურაცხყოფას ჩვენ, სამწუხაროდ, მიჩვეულნი ვართ და ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოს. მე იქ შემაშფოთა სხვა ფაქტმა. მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში მოახერხა საზოგადოების პოლარიზება, იგი ამას აკეთებს საქართველოს საზღვრებს გარეთაც. ქართველები იქაც არიან ერთმანეთთან დაპირისპირებულნი, რაც ძალიან მძიმე საყურებელია და ამ ყველაფრის ავტორი და დამგეგმავი ჩვენი ხელისუფლებაა.

**ჯაბა ჯიშკარიანი:** — პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ არ ვეწევით მიზანმიმართულ კამპანიას საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენი მიზანია სიმართლე გავავრცელოთ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ყველამ იცოდეს, რომ დემოკრატად მონათლული პრეზიდენტი სააკაშვილი არ არის დემოკრატი. ის არის დიქტატორი, პირსისხლიანი რეჟიმის წარმომადგენელი, რომელმაც არაერთი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს და რომლის გამოც ჩვენი მეგობრები დღეს ციხეში არიან გამომწყვდეულნი — ლევან გოგიჩაიშვილი, გიორგი ალხაზიშვილი, შალვა გოგინაშვილი, მელორ ვაჩნაძე და სხვები.

**სააკაშვილმა კარგად იცოდა, რად დაუჯდებოდა ჩვენი იქ ჩასვლა და ამ ღონისძიების ჩატარება. ევროკავშირმა და ყველამ საზღვარგარეთ ერთხელ და სამუდამოდ ნახეს და იქაურმა პრესამაც გააავრცელა, რომ საქართველოში დღეს არის დიქტატურა, საქართველოს მართავს კრიმინალი და ბანდიტი სააკაშვილი მისივე კრიმინალური გარემოცვით.**

**ნანა კაკაბაძე:** — სამწუხაროა, რომ სამშობლოს ცნება დაყვანილია ვიღაცამდე. დღეს ეს არის სააკაშვილი, გუშინ იყო შევარდნაძე და ხვალ იქნება მეჯღანუაშვილი. სამშობლოს რეალური განცდა და მისი ტკივილი, რომლისთვისაც ყველანი უნდა ვიხარჯებოდეთ, უკვე მეორე და მესამე ადგილზე გადადის.



ფილმების ჩვენებამდე: ჯაბა ჯიშკარიანი და მერაბ ბლადაძე — „ბელგიის ქართველთა კავშირის“ ხელმძღვანელი

## ჯაბა ჯიშკარიანი:

## საქართველოში დღეს არის დიქტატურა, საქართველოს მართავს კრიმინალი და ბანდიტი სააკაშვილი მისივე კრიმინალური გარემოცვით

**მართლაც, სამწუხარო რეალობას წავაწყდით ბრიუსელში. ქვეყნის უბედურებაა, რომ საქართველო „პარტიული დიპლომატიის“ ეპოქიდან ვერ გამოვიდა. მოდის პრეზიდენტი და ნიშნავს თავის ელჩებს და არა — საქართველოს ელჩებს; იცვლება პრეზიდენტი და იცვლებიან ელჩებიც. ეს შემაშფოთებელი ტენდენციაა ემიგრანტი ქართველებისთვისაც.**

**ბრიუსელში, სასტუმრო „ქროუნ პლაზაში“ გაოგნებულები დარჩნენ უცხოელი ჟურნალისტები და სხვა ქვეყნების დიასპორების წარმომადგენლები. მათ იმდენად არ აოცებდათ აღმაშფოთებელი კადრები ამ ფილმებიდან, რამდენადაც საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების დამოკიდებულება. ყველას გაუჩნდა კითხვა: თუკი ეს ფილმები რუსეთის დაკვეთით მომზადდა, რა გამოდის — პრემიერ-მინისტრი რუსეთის დაკვეთით მოკლეს? რობაქიძე რუსეთის დაკვეთით დახვრიტეს? გირგვლიანი რუსეთის დაკვეთით აწამეს? ვაზაგაშვილი რუსეთის დაკვეთით ჩაცხრილეს? რუსეთის დაკვეთით გამოყარეს ჟურნალისტები გამომცემლობა „სამშობლოდან“?**

**საქართველოს ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში კარგად ჰყავს მობილიზებული დიპლომატიური კორპუსი. თუმცა ერთი წამითაც არ ვფიქრობ, რომ, თუკი სააკაშვილის ელჩი სამადაშვილი საქართველოს მტრად გამომაცხადებს, თავის მართლება უნდა დავიწყო. ხელისუფლებას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ამგვარი ქმედებებით, ქართულ ემიგრაციაში დაპირისპირების ინსპირირებითა და გაღვივებით, უპირველესად, ქართულ საქმეს ვნებს. ესმის კიდეც, მაგრამ მიზანმიმართულად ანგრევს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ავტორიტეტს, რადგან მათთვის საქართველო სამშობლო არ არის, მათთვის საქართველო, უბრალოდ, ტერიტორიაა...**

**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ვნახოთ, რა გამოვა



**სარეზერვო სამსახური 40 წლამდე მამაკაცებისთვის კვლავ სავალდებულო იქნება, 18-დღიანი ვადა კი 45 დღემდე გაიზრდება.** აღნიშნულს „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტის ბიუროს 25 ივნისის სხდომაზე განიხილეს. როგორც მისი ერთ-ერთი ავტორი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სამსონ ქუთათელაძე განმარტავს, თავდაპირველად სარეზერვო სამხედრო სამსახური სავალდებულო იყო, თუმცა შემდგომში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით რეზერვის გავლა სავალდებულო აღარ იყო, ახლა კი ეს ვალდებულება უკან ბრუნდება. (სააგენტო „პირველი").

## პენტაგონი «Ми-17»-ს ირჩევს



**ამერიკელმა გენერალმა მაიკლ ბოერამ პასუხი გასცა სენატორებს, რომლებიც პენტაგონს რუსულ ვერტმფრენ „Ми-17"-ის მსხვილი პარტიების შეძენის გამო აკრიტიკებენ:** „უნდა ჩამოვიდნენ ავღანეთში, გაფრინდნენ „Ми-17"-ით და მაშინ მიხვდებიან, რატომ არის ეს ვერტმფრენი ასეთი მნიშვნელოვანი ავღანეთის მომავლისათვის. ნუ ჩავაცივდებით იმ ფაქტს, რომ ის რუსულია. ის ავღანეთში კარგად მუშაობს". სულ პენტაგონმა ავღანეთის არმიისთვის 31 „Ми-17" შეიძინა, პაკისტანისთვის — 8, ერაყისთვის — 16. იგეგმება კიდევ რამდენიმე ათეული „Ми-17"-ის შეძენა.

## «БТР»-4 ერაყში მიდის



**უკრაინა ერაყისთვის „БТР-4"-ის მიწოდებას ამა წლის ოქტომბერში დაიწყებს.** სულ 500-მილიონდოლარიანი კონტრაქტის ფარგლებში 420 ჯავშანტრანსპორტიორის გადაცემა იგეგმება; მათ შორის 80 სამეთაურო იქნება, 30 — საშტაბო, 30 — სამედიცინო და 10 — სარემონტო-საევაკუაციო. რაც შეეხება დანარჩენ 270-ს, ჯერაც უცნობია, რამდენი მათგანი დაკომპლექტდება საბრძოლო მოდულით „**Гром** " (1x7.62 მმ. ტყვიამფრქვევი, 1x30 მმ. ყუმბარმტყორცნი, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი **9П135М „Конкурс**" ან „**Барьер**") და რამდენი მოდულით „**БАУ**"-23 (2ხ 23 მმ. ავტომატური ქვემეხი). დესანტის რაოდენობა (7 ან 9 მებრძოლი) სწორედ იმაზეა დამოკიდებული, რა საბრძოლო მოდულითაა აღჭურვილი „**БТР**-4".

## „БРДМ-2"-ს მეორე სუნთქვა გაეხსნა



**ისრაელის კომპანიამ „Elbit Systems"-მა „БРДМ-2"-ის მოდერნიზებული ვერსია შექმნა ყაზახეთის შეირაღებული ძალებისთვის.** იგი აღჭურვილია ახალი ციფრული რადიოსადგურით, შიდა კავშირის ციფრული სისტემით, ღამის ხედვის მოწყობილობით, შეიარაღების მართვის სისტემით „WINBMS", რომელთანაც სრულად ინტეგრირებულია დაკვირვების სისტემა. საშუალო საბრძოლო მოდული სტაბილიზებულია ორ სიბრტყეში და შეიარაღებულია 12,5 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევით. მოდერნიზებული „**БРДМ**-2", აგრეთვე, აღჭურვილია ამავე კომპანიის მიერ შექმნილი GPS/ინერციული სისტემით „Comet IMU".

# ვინ გაწირა გენერალი მაკკრისტალი?

**პრეზიდენტმა ობამამ თანამდებობიდან გაათავისუფლა ავღანეთში საერთაშორისო ძალების სარდალი, გენერალი სტენლი მაკკრისტალი. ფართოდ გავრცელებული ვერსიის თანახმად, ამის მიზეზი გენერლის სკანდალური განცხადებები გახდა, რომლებიც ჟურნალმა „Rolling Stone"-მა გამოაქვეყნა. თუმცა ამ ისტორიაში საკმაოდ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დარჩა, რომლებიც სერიოზულ დაკვირვებას მოითხოვს.**



ცხადია, როდესაც (დამამცირებელი ქვეტექსტით) აცხადებ, რომ არ იცი, ვინ არის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი, ხოლო შენი გარემოცვის წარმომადგენელი დასძენს, რომ ბარაკ ობამას თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ოთხვარსკვლავიანი გენერალი ჯეიმს ჯონსი „1985-ში ჩარჩენილი ჯამბაზია", მოსალოდნელ შედეგებს, ალბათ, უნდა აცნობიერებდე. სენსაციური პუბლიკაციის ვრცელი ციტირება ძალიან შორს წაგვიყვანს, უბრალოდ, აღვნიშნოთ, რომ წერილში უარყოფით კონტექსტში მოხსენიებულნი არიან ვაშინგტონის სპეცწარმომადგენელი რიჩარდ ჰოლბრუკი, აშშ-ის ელჩი ავღანეთში კარლ აიკენბერი;

**გარკვეული პასაჟები ტოვებენ შთაბეჭდილებას, რომ გენერლის გარემოცვაში თავად პრეზიდენტ ობამას არაკომპეტენტურობაზე საკმაოდ ხშირად საუბრობენ, და საერთოდ, „დახურულ კარს მიღმა მაკკრისტალის გუნდს მოსწონს საზიზღრობის ლაპარაკი ობამას ხალხზე, რომელიც დიპლომატიურ თანამდებობებს იკავებს".**

**ერთი შეხედვით, მაკკრისტალი და მისი ბიჭები იქცეოდნენ როგორც კლინიკური იდიოტები, თუმცა ყველამ, ვინც გენერლის კარიერას თვალყურს ადევნებს, იცის, რომ იგი საკმაოდ გონიერი ადამიანია, რომელსაც აქამდე, პოლიტიკური ალღო და წინდახედულება ახასიათებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ საპასუხისმგებლო პოსტს იგი, უბრალოდ, ვერ დაიკავებდა.**

მართალია, ზოგიერთი მისი სამხედრო გადაწყვეტილება შეიძლება საკამათო ჩანდეს, თუმცა საყოველთაო აღიარებით, იგი შრომისმოყვარე და მამაცი პიროვნებაა, რომელიც, გამუდმებით მუშაობს და ხშირად წინა ხაზზე იმყოფება. უცებ, ეს ადამიანი და მისი გარემოცვის წევრები ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რისთვისაც დაკავებული თანამდებობიდან ათავისუფლებენ. ნუთუ საქმე მხოლოდ სამხედროსთვის დამახასიათებელ პირდაპირობაშია, რომელსაც ზურგს, „Rolling Stone"-ის ჟურნალისტის — მაიკლ ჰასტინგსის გადმოცემით, ზურგს ჭარბი ალკოჰოლი უმაგრებდა?

ამ თემაზე ხუმრობა დიდხანს შეიძლება, თუმცა თემა უაღრესად სერიოზულია: **ამ ადამიანების ხელში ავღანეთში გაგზავნილი ჩვენი ჯარისკაცების ბედია. ამიტომ სრული უფლება გვაქვს, ვიცოდეთ, არიან თუ არა ამერიკელი სარდლები საკმარისად ადეკვატურები და აქვთ თუ არა აზრთა თანხვედრა აშშ-ის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან.**

სამხედრო ისტორია ცხადყოფს, უარყოფითი პასუხი ამ კითხვებზე მკვეთრად ზრდის წარუმატებელი ოპერაციებისა და დიდი დანაკარგების ალბათობას.

**ბოლო კვარტალში „ISAF"-ის დანაკარგებმა ავღანეთში აშკარად იმატა: აპრილში — 33, მაისში — 51, ივნისის დასაწყისიდან 83 (Icasualties.org) გახდა; იზრდება დანაკარგები ავღანური სამთავრობო ძალების რიგებშიც. გაეროს მონაცემებით, ტერორისტული აქტიურობა ბოლო 4 თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 94%-ით გაიზარდა. ასე რომ, ალბათ, ძალიან ცხადად უნდა გავარკვიოთ, ვის ჩავაბარეთ ჩვენი სამხედროები და საერთოდ რას აკეთებენ ისინი ავღანეთში.**

იქნებ, მაკკრისტალმა იგრძნო საკუთარი მდგომარეობის უპერსპექტივობა და, უბრალოდ, სიტუაციას გაეცალა, რაც მოახერხა კიდეც სკანდალური ინტერვიუს მეშვეობით? ამ შემთხვევაში პასუხი ორი მიმართულებით უნდა ვეძიოთ: ა) რამდენად მყარი იყო თავად სტენლი მაკკრისტალის პოზიციები აშშ-ის სამხედრო პოლიტიკურ ისტებლიშმენტში; ბ) რამდენად წარმატებულია სტრატეგია, რომელსაც აშშ ავღანეთში მიმართავს.

ცა მაკკრისტალის თავზე ჯერ კიდევ თებერვალ-მარტის ოპერაციების შემდეგ მოიღრუბლა. მედიას მოჰყავდა ამონარიდები პენტაგონში მომზადებული მოხსენებიდან, რომელიც საკმაოდ სკეპტიკური ჩანდა: **„წინსვლამ მარჯას რაიონში და ჰილმენდის სხვა რაიონებში მოიტანა მხოლოდ ნაწილობრივი წარმატება მეამბოხეთა განდევნაში გამაგრებული პოზიციებიდან"; „თალიბების სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა, მათ შეაფერხეს სახელმწიფო ხელისუფლების გავრცელება და გამყარება".** იმ სტრატეგიის არსი, რომლითაც მაკკრისტალი ხელმძღვანელობდა, მდგომარეობდა უსაფრთხოების ზონების შექმნასა და გაფართოებაში, სადაც ავღანეთის ხელისუფლება ამერიკული დახმარების მეშვეობით ადგილობრივ მოსახლეობას თავისკენ მოიზიდავდა. **„პირველი, რასაც თქვენ ნახავთ,** — ამბობდა მაკკრისტალი, — **იქნება ჰილმენდსა და ყანდაგარში უსაფრთხოების ზონის შექმნა, რომელშიც ეკონომიკური რესურსების 85% შევა" („Inter Press Service); „თუ ჩვენ შევძლებთ, დავიცვათ მოსახლეობის 85% და მოვახდინოთ მათი იზოლირება მეამბოხეებისგან, მათ ძალიან გაუჭირდებათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა" („Financial Times").** ამ მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდა, უპირველესად, კარზაის კორუმპირებული ხელისუფლების უძლურების გამო, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ თალიბებისგან თითქოს და გაწმენდილ ტერიტორიებზე უსაფრთხოების სათანადო რეჟიმის დამყარება ვერ მოხერხდა.

ზოგადად კი, პენტაგონის სტრატეგიას, რომლის გატა-

# ამერიკული ფლოტი ბათუმში შერცხვა

**ამერიკული ფრეგატის „John L. Hall"-ის მეთაური ჰერმან ფაეფლი (Herman Pfaeffle) თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამის მიზეზი ბათუმის პორტში 16 აპრილს მომხდარი ინციდენტი გახდა.**

ფრეგატი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში 14 აპრილს შემოვიდა; ჯერ ფოთის ნავსადგურში, შემდეგ კი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ოფიციალური ინფორმაციის თანახმად,

**„16 აპრილს აშშ-ის გემი „John L. Hall"-ი ბათუმის ნავსადგურში შევიდა. დახვედრის ცერემონიალი ქ. ბათუმის ნავსადგურში გაიმართა. ხომალდზე ორი ქვეყნის სანაპირო დაცვის თანამშრომელთა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები ჩატარდა. ტრენინგი გემის ჩაუძირაობისა და ხანძრის ლოკალიზების ხერხებს მოიცავს".**

ტრენინგი, ალბათ, მეტისმეტად პრაქტიკული გამოდგა, რადგან საამაყო ბიოგრაფიის მქონე ამერიკული ხომალდი პირსს შეეჯახა, გეგონება, სამარცხვინო ბუქსირი იყოს, რომელსაც მთვრალი ბოცმანი მართავს.

**„მე-6 ფლოტის სარდალმა, ვიცე-ადმირალმა ჰარი ჰარისმა, გადააყენა ჰერმან ფაეფლი, რადგან მისი, როგორც მეთაურის, შესაძლებლობების რწმენა დაკარგა",** — განაცხადა ფლოტის სპოუკსმენმა, ლეიტენანტ-კომანდერმა მარკ უოლტონმა („Navy Times"). გამოცემა ფაეფლის გადაყენების მიზეზს ასახელებს — **„პირსთან შეჯახებისთვის"** და დასძენს, რომ ხომალდი და ადამიანები, **„ბათუმში 16 აპრილს მომხდარი** ▶



რებასაც მაკკრისტალი ცდილობდა, სკანდალური პუბლიკაცია „Rolling Stone"-ში შემდეგნაირად (საკმაოდ ზუსტად) ახასიათებს:

**„მისი მიზანია არა მხოლოდ ჯარების გაგზავნა მოწინააღმდეგის განადგურების მიზნით, არამედ სწრაფვა იმისკენ, რომ სამხედროებმა იცხოვრონ ერთ ტერიტორიაზე მკვიდრ მოსახლეობასთან და ნელა გარდაქმნან, ნულიდან შექმნან ეროვნული მთავრობა. ამ პროცესს მისი ყველაზე დიდი თაყვანისმცემლები ძალიან გაწელილად, წლებზე თუ არა, ათწლეულებზე გათვლილად მიიჩნევენ. ეს თეორია ცვლის არმიას, ზრდის მის ძალაუფლებას, მოიცავს ომის წარმოების დიპლომატიურ და პოლიტიკურ ასპექტებს; წარმოიდგინეთ „მწვანე ბერეტები" შეიარაღებული „მშვიდობის კორპუსის" როლში. 2006-ში, მას შემდეგ, რაც ეს თეორია გენერალმა პეტრეუსმა ერაყში გამოსცადა, მას მიმდევრები გამოუჩნდნენ: სახელმწიფო მოღვაწეები, ჟურნალისტები, სამხედრო და სამოქალაქო პირები. მათ ჩათვალეს, რომ ეს დოქტრინა შეიძლება ავღანეთში პრობლემების იდეალურ გადაწყვეტად იქცეს".**

თავი დავანებოთ იმას, რომ ავღანეთი ერაყი არ არის და ყურადღება სხვა გარემოებას მივაქციოთ. ხომ არ არის ყოველივე ეს გზა ოპერაციის გაწელვისკენ, უზარმაზარი საბიუჯეტო სახსრებისკენ პენტაგონისთვის და აშშ-ის პოლიტიკაზე მისი გავლენის ზრდისკენ? **ჯარების გამოყვანა, რომელიც 2011 წლის ივლისისთვის იგეგმებოდა, ამ შემთხვევაში სათუო ხდება, რაც ბარაკ ობამას პოზიციებს ძირს უთხრის. მაკკრისტალის გათავისუფლების შემდეგ ობამამ თქვა: „აშშ-ისა და ნატოს სტრატეგია ავღანეთში არ შეიცვლება". ახალ სარდლად დევიდ პეტრეუსი დაინიშნა.**

**ცნობისთვის:** მას ზოგიერთი ექსპერტი რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ შესაძლო კანდიდატად განიხილავს. ამ კონტექსტში ვიღაცას შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ მაკკრისტალის ისტორია ერთი „დიდი შეთქმულების" ნაწილია, რომელიც აშშ-ის სამხედრო უწყების შიგნით ჩამოყალიბდა და პოლიტიკური მხარდაჭერა ობამას მოწინააღმდეგეებში ჰპოვა, რადგან მოვლენათა ასეთი განვითარება, ერთის მხრივ, გზას უხსნის პენტაგონს საკუთარი გავლენის გაზრდისკენ, ხოლო, მეორეს მხრივ, ძირს უთხრის ბარაკ ობამას რეიტინგს და მას შორეულ ავღანეთში მიმდინარე პროცესებზე კიდევ უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის. თუმცა ბარაკ ობამა ამ შემთხვევაში მანევრში შეზღუდული ჩანს, რადგან ალტერნატიული სტრატეგია, უბრალოდ, არ აქვს; ავღანეთთან, „იმპერიების სასაფლაოსთან" მიმართებაში ასე ხდება ხოლმე.

**შესაძლოა, სტენლი მაკკრისტალი გაიწირა, როგორც ავღანეთში დღემდე წარუმატებელი სტრატეგიის განსახიერება, იმისთვის, რომ თავად სტრატეგია ხელუხლებელი დარჩეს. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს, საკუთარი ნებით, სათანადო სამომავლო წინადადების პასუხად გააკეთა.**

რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჩვეულებრივი ჯარისკაცები ამ, ერთი შეხედვით „მშვიდობისმოყვარე", სტრატეგიის ფარგლებში? ორი მაგალითი „Rolling Stone"-ის პუბლიკაციიდან: **1) „ერთმა ჯარისკაცმა მაჩვენა ახალი ინსტრუქციების სია, რომელიც მის ქვედანაყოფს მისცეს: „მოახდინეთ მხოლოდ იმ ადგილების პატრულირება, სადაც დარწმუნებულნი ხართ, რომ არ მოგიწევთ არავის მოკვლა და მხოლოდ თავს დაიცავთ";** უფრო დიდი სისულელის გამოგონება, რომელიც, საბოლოო ჯამში, პირად შემადგენლობას უდიდეს საფრთხეში ჩააგდებს, ალბათ, შეუძლებელია; **2) ჯარისკაცები მოითხოვდნენ, რომ დაენგრიათ მათი დისლოკაციის ადგილის სიახლოვეს მდებარე მიტოვებული სახლი, რომელშიც, მათი თქმით, „ცხოვრება უკვე შეუძლებელია";** სახლს თალიბები იყენებდნენ. მათ უპასუხეს, რომ მაკკრისტალმა სახლების დანგრევა აკრძალა. ჟურნალისტის ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე იმ სახლთან დაიღუპა 23 წლის ლეიტენანტი მაიკლ ინგრემი, მესამე 25-კაციანი ქვედანაყოფიდან.

ნეტავ, რას აკეთებენ ამ გაუგებრობის შუაგულში ჩვენი ჯარისკაცები?

**◀ ინციდენტის შედეგად არ დაზიანებულან".** მომხდარის მიუხედავად, ფრეგატმა მისიის გაგრძელება შეძლო, თუმცა, ცხადია, ინციდენტი რეაგირების გარეშე ვერ დარჩებოდა.

საზღვაო ტრადიციების თანახმად, ვიზიტი უცხო ქვეყნის პორტში განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებაა. მეზღვაურები ასეთ დროს ცდილობენ, მანევრები განსაკუთრებული მონდომებით შეასრულონ; ყოველივე ამის გათვალისწინებით, პირსთან შეჯახება უცხო ქვეყნის პორტში ერთმნიშვნელოვნად სირცხვილსა და თავის მოჭრას ნიშნავს. **„ჩვენ სამხედრო-საზღვაო ძალებში მეთაურობის საკითხს სერიოზულად ვუდგებით",** — აღნიშნა უოლტონმა" („Navy Times"); მისი ინფორმაციით, „John L. Hall"-ის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად ლეიტენანტ-კომანდერი მაიკლ ბრენდი დაინიშნა. ყოფილ მეთაურს ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება დაეკისრა. ხომალდი, რომლის ბორტზეც 17 ოფიცერი და 198 მეზღვაურია, გასულ კვირას აფრიკის დასავლეთ ნაპირებთან იმყოფებოდა.

ფაეფლი სამხედრო-საზღვაო ძალებში 1983 წლიდანაა, „John L. Hall"-ი არცთუ დიდი ხნის წინათ, ამა წლის მარტში, ჩაიბარა.

**საინტერესოა, რომ ინფორმაცია ბათუმში მომხდარი ინციდენტის შესახებ ქართულ ოფიციალურ წყაროებს აპრილში არ გაუვრცელებიათ. შესაძლოა, იმიტომ, რომ ის წინააღმდეგობაში მოდის ჩვენში ფართოდ გავრცელებულ მითთან აშშ-ის შეიარაღებული ძალების არნახული პროფესიონალიზმის შესახებ. არადა, რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ამერიკელებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და სულელური შეცდომები საკმარისზე მეტი მოსდით.**

**დიმიტრი მონიავა**

# ოპერაცია 911

**ყველამ იცის, რომ ამერიკა დიდი შესაძლებლობებისა და განვითარებული დემოკრატიის ქვეყანაა. მთელ მსოფლიოში ზოლიან-ვარსკვლავებიანი დროშა თავისუფლებისა და უფლებების სიმბოლოდ მიიჩნევა. „ძია სემი" მყისიერად რეაგირებს, როცა სადმე აშშ-ის თუნდაც ერთი მოქალაქის უფლება ირღვევა. თუმცა მედალს მუდამ ორი მხარე აქვს, რომელზეც თავად ამერიკელები ენაზე კბილის დაჭერას ამჯობინებენ.**



არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა პოლიტიკური და ეკონომიკური გამორჩენის მიზნით, თეთრი სახლი მზად იყო, გაეწირა თავისი მოქალაქეები. ასე მაგალითად, 1898 წელს ამერიკის ხელისუფლებამ არ დაინდო ჯავშნოსან „მეინის" 260 მეზღვაური, რათა კუბაში ინტერვენციის საბაბი გამოენახა. 1916 წელს ხელისუფლებამ თითიც არ გაანძრია იმისათვის, რომ კოლუმბუსზე პანჩო ვილის თავდასხმა აღეკვეთა და რევოლუციის ალში გახვეულ მექსიკაში ჯარების შეყვანის გამართლებაც მოახერხა. პერლ-ჰარბორის იერიშის შესახებაც წინასწარ იცოდნენ, მაგრამ არც ამის თავიდან ასარიდებლად მოუმოქმედებიათ რამე, სამაგიეროდ, წყნარი ოკეანის რეგიონში ომის გაჩაღებისთვის უდავო საბაბი მიიღეს.

XX საუკუნის შუა ხანებში ბირთვულ იარაღს ისინი თავიანთ სამხედროებზე ცდიდნენ და დაზარალებულთაგან სარჩელებს ახლაც არ იღებენ. **იმავე ხანებში გამოცადა ცსს-მ თავის მოქალაქეებზე მასობრივად ჰალუცინოგენები, ნარკოტიკები, ელექტროშოკი და კურარეს შხამი საიდუმლო პროგრამების — „ბლუ ბერდ"-ის, „ქესთიგეით"-ის, „მკ-ულტრა"-ს, „არტიშოკი"-სა და სხვათა ჩარჩოებში.**

ხოლო ფლორიდაში ბაქტეოროლოგიურ იარაღად ყივანახველის ბაცილის გამოყენების წარმატებული ექსპერიმენტი ჩატარდა და იმ ფაქტს, რომ ცდების შედეგად ამერიკელი ბავშვები დაიღუპნენ, არავინ შეუწუხებია. 1978 წელს სპეცსამსახურებმა გაიანაში 900-ზე მეტი ამერიკელი მოქალაქის ლიკვიდირება მარტო იმიტომ მოახდინეს, რომ მათთვის სსრკ-ში გადასახლების საშუალება არ მიეცათ.

1984 წელს პენტაგონი ნიკარაგუაში პიდაპირ სამხედრო შეჭრას გეგმავდა და წინასწარ გათვალა ამერიკული ჯარების დანაკარგი — 4.8 ათასი მოკლული და 18.6 ათასი დაჭრილი. ულტრამემარჯვენეები ამერიკის მთავრობაში არა მარტო ზეწოლას ახდენდნენ პრეზიდენტზე, არამედ მისი განადგურებაც შეეძლოთ. სწორედ მათი წყალობით მოკლეს პრეზიდენტი კენედი. მკვლელობის მიზეზი კი, მათი აზრით, უხვად ჰქონდათ: კუბაში შეჭრაზე უარის თქმა, ვიეტნამიდან ჯარების გამოყვანის განზრახვა, დაპირება, რომ ცსს-ს პირისაგან მიწისა აღგვიდა, სსრკ-სთან დაძაბულობის განმუხტვის სურვილი. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ორგანიზაციის გაუქმებით გაიფანტა „მსოფლიო კომუნიზმის საფრთხე" და თვალნათელი შეიქნა პენტაგონისა და აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გადამეტებული მფლანგველობა. „აღმოსავლეთის ბლოკის" კრახთან ერთად გაქრა დაბრკოლებაც მთელ მსოფლიოში აშშ-ის პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობის დამყარებისათვის.

**თუმცა 2001 წლის 11 სექტემბრის ოპერაციის შედეგად აშშ-ს კვლავ გამოუჩნდა ტოტალური მსოფლიო მტერი.** ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა და მრეწველობამ თავისი არსებობა და განვითარება გაამართლეს, ხოლო თეთრ სახლს კანონიერი საფუძველი გამოუჩნდა ამერიკის იმპერიის პერიფერიად მთელი დედამიწის გადასაქცევად. პენტაგონისა და სპეცსამსახურების ხელმძღვანელობამ ამერიკის ადმინისტრაცია აიძულა, სამხედრო საშუალებებით მსოფლიო იმპერია შეექმნა, პლანეტაზე ომები გაეჩაღებინა, გაენადგურებინა „ანტიამერიკული" და „ანტიქრისტიანული" ოპოზიცია ყველგან, მათ შორის, აშშ-ის ტერიტორიაზეც.

საგარეო პოლიტიკაში ასეც მოხდა: **მსოფლიოსთვის იმის დაუმტკიცებლად, რომ 11 სექტემბერის ტერაქტი მუსლიმანმა ბოევიკებმა მოაწყვეს, აშშ-მა სრულმასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია განახორციელა ავღანეთში და თალიბების რეჟიმი დაამხო. შემდეგ, ასევე ყოველგვარი მტკიცებულების წარმოუდგენლად, იმის თაობაზე, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმი მხარს უჭერდა ისლამურ ტერორიზმს ან მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა, ერაყში შეიჭრა და მისთვის არასასურველი ხელისუფლება დაამხო.**



ზემონათქვამის ფონზე შევეცადოთ იმის გარკვევას, თუ რა მოხდა სინამდვილეში ამერიკაში 2001 წლის 11 სექტემბერს. მოვლენები, რომლებსაც მთელი მსოფლიო რეალური დროის რეჟიმში ადევნებდა თვალს, თვალის დახამხამებაში ვითარდებოდა. მოსკოვის დროით 16.57 საათზე „რია-ნოვოსტიმ" გადმოსცა: „ნიუ იორკში № 1 ცათამბჯენს თვითმფრინავი შეეტაკა. შენობაში ხანძარი გაჩნდა". შემდგომ საინფორმაციო სააგენტოები ერთმანეთს ასწრებდნენ ახალ-ახალი ცნობების გადმოცემას: 17.06 საათზე მეორე თვითმფრინავი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მეორე ცათამბჯენს შეეჯახა. 17.33 საათზე ინგლისის ტელევიზიამ, გფბ-ს ცნობებზე დაყრდნობით, გადმოსცა, რომ თვითმფრინავები, რომლებმაც იერიში მიიტანეს შენობებზე, ავიაკომპანია „იუნაითედ ეარლაინსს" ეკუთვნოდა და მგზავრებიანად გაიტაცეს ტერორისტებმა. 17.34 საათზე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ნიუ იორკში მომხდარს „ნაციონალური ტრაგედია" უწოდა, რომელიც, მისი თქმით, აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგი იყო. 17.46 საათზე „პენტაგონის შენობასთან აფეთქება მოხდა, შენობა შავ კვამლშია გახვეული" — გადმოსცა „რია-ნოვოსტიმ", ხოლო 17.48 საათზე — „ამჟამად მიმდინარეობს თეთრი სახლისა და პენტაგონის პერსონალის ევაკუაცია", — განაცხადა „სქაი-ნიუსმა."

17.54 საათზე „რია-ნოვოსტიმ" გადმოსცა: „აშშ-მა საჰაერო სივრცის ჩაკეტვის შესახებ განაცხადა. ყველა თვითმფრინავი, რომელიც აშშ-ის საჰაერო სივრცეში იმყოფება, დაუყოვნებლივ უნდა დაეშვას მიწაზე". 18.05 საათზე ნიუ იორკში დაიხურა საფონდო ბირჟა და ალყა შემოერტყა მთელ მანჰეტენს. 18.05 საათზე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთი კოშკი, რომელსაც თვითმფრინავი შეეჯახა, მთლიანად ჩამოინგრა, 18.06 საათზე აშშ-ის ყველა აეროპორტი დაიკეტა. 18.08 საათზე სავაჭრო ცენტრის სამხრეთ კოშკის ნაწილი მეორე აფეთქებისგან ჩამოინგრა...

მთელი საათის განმავლობაში საინფორმაციო სააგენტოები იუწყებოდნენ, რომ „არაბმა ტერორისტებმა" ხელში ჩაიგდეს 8-დან 14-მდე სამგზავრო თვითმფრინავი.

სინამდვილეში, **ოპერაცია 911-ის დაწყების წინ ჰაერში მყოფი ოთხი „ბოინგის" პილოტებმა ბრძანება მიიღეს, გეზი სასწრაფოდ აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სამხედრო-საჰაერო ძალების საიდუმლო ბაზისკენ აეღოთ. ამასთან, ისინი სამოქალაქო რადარების ეკრანებიდან გაუჩინარდნენ, რადგან მათი ამომცნობი სისტემები გამორთეს. ამ ლაინერთა ნაცვლად, ცაში დისტანციურად მართვადი ცარიელი თვითმფრინავები გამოჩნდნენ, რომელთა ამოცანაც „გატაცებული" ბოინგების როლის შესრულება და სავაჭრო ცენტრზე იერიშის მიტანა იყო...**

ამ ვერსიის დასტურია ის ფაქტიც, რომ მოყვარული მფრინავები ასეთი სიზუსტით ვერ მოხვდებოდნენ ტყუპი შენობების შუაში... „ბოინგ-767"-ის ფრთაშლა 47 მ-ია, კოშკის სიგანე კი 63 მეტრი. საკმარისი იყო რამდენიმე მეტრით გადახრა, რომ პილოტები იძულებული შეიქნებოდნენ, მეორე წრეზე წასულიყვნენ, რაც ქალაქის პირობებში არარეალურია. ამასთან, საგულისხმოა, რომ **საათში 700 კმ-ის სიჩქარისა და ლაინერის წონის (115 ტონა) გათვალისწინებით, კურსის კორექტირებისთვის მფრინავებს 0.3 წამი ჰქონდათ. მიზანში ზუსტად მოსახვედრად ერთადერთი საშუალება არსებობს — რადიოშუქურით მოძრაობა.** თუ ცათამბჯენებზე წინდაწინ დაყენდებოდა რადიოშუქურები, თვითმფრინავები მათზე ავტომატურად „გავიდოდნენ", თანაც ისე, რომ მათი პილოტირებაც არ იქნებოდა საჭირო. ცნობილია, რომ საფრენი აპარატების მიწიდან მართვის ამგვარი ტექნოლოგია „გლობალ ჰოუქი" აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებაშია.

**როგორც შემდეგ გაირკვა, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობებზე მართლაც იყო რადიოშუქურები, რომლებიც იერიშამდე მცირე ხნით ადრე ჩაირთო.**

ამასობაში 4 სამოქალაქო ლაინერი სამხედრო-საჰაერო ბაზაზე დაეშვა, მგზავრები და ეკიპაჟი (სულ 232 კაცი) რეისი UA-93-ის ბორტზე აიყვანეს და თვითმფრინავი აფრინდა. მერე მოხდა ტერორისტების მიერ მისი გატაცების ინსცენირება, რის შემდეგაც ბოინგი პენსილვანიის ცაში დაიღუპა...

**მოამზადა**
**ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჩარლზ ტეილორი — პირსისხლიანი დიქტატორ-კანიბალი

**რამდენიმე წლის წინათ თანამედროვეობის ერთ-ერთ უსასტიკეს დიქტატორად აღიარებული ლიბერიის ექსპრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი საერთაშორისო მართლმსაჯულებას გადაეცა. მას ბრალად ედება 1989-2003 წლებში ლიბერიასა და სიერა-ლეონეში სამხედრო და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულები, „ალ-ქაიდას" მხარდაჭერა, ნარკოტიკებითა და ალმასებით უკანონო ვაჭრობა, მცირეწლოვანი ბავშვების ჯარისკაცებად გამოყენება.**





ტეილორი მონროვიაში

სასამართლო სხდომა არაერთხელ გადაიდო ტეილორის გამოუცხადებლობისა და დაცვის მხარის მრავალრიცხოვანი შუამდგომლობის გამო. ბრალდების ერთ-ერთი მოწმე სუპერმოდელი ნაომი კემპბელიც უნდა ყოფილიყო, რომელსაც თურმე დიქტატორმა დაუმუშავებელი ალმასი აჩუქა.

**ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მონაცემებით, ლიბერიაში საკონცენტრაციო ბანაკებიც არსებობდა. ასევე, ეჭვობენ, რომ 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში ამერიკის საელჩოების ამფეთქებელი ტერორისტი-კამიკაძეები ლიბერიის დიქტატორის მიერ კონტროლირებად სამხედრო ბანაკებში ემზადებოდნენ. ტრიბუნალის მთავარმა პროკურორმა ლიბერიის ექსპრეზიდენტს სერბების — რადკო მლადიჩისა და რადოვან კარაჯიჩის დარი სამხედრო დამნაშავე უწოდა.**

გათავისუფლებული მონების გვარის წარმომადგენელი, ადგილობრივი მოსამართლის ვაჟი ჩარლზ მაკარტურ ჰენკეი ტეილორი 1948 წელს დაიბადა ლიბერიის დედაქალაქის მახლობლად. ეკონომიკური განათლება ბენტლის კოლეჯში (მასაჩუსეტსის შტატი) მიიღო, აქვს მაგისტრის ხარისხი. 1980 წელს საზოგადოებრივი სამუშაოების ადმინისტრაციის უფროსი გახდა, ხოლო **1983 წელს მილიონი დოლარის დატაცებაში დაადანაშაულეს, რის გამოც ამერიკაში გაიქცა, სადაც მასაჩუსეტსის ციხეში ჩასვეს.** იქ ერთი წელიწადი დაჰყო და სამშობლოში ექსტრადიციის წინ ლიბიაში გაიქცა, იქაურებმა დახმარება აღმოუჩინეს ლიბერიის ნაციონალურ-პატრიოტული ფრონტის ჩამოყალიბებაში, რომლის სათავეში ყოფნისასაც ტეილორმა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი გააჩაღა ლიბერიაში და ხელი შეუწყო სამოქალაქო ომის გაღვივებას სიერა-ლეონეში. ომის შედეგად ის ხელისუფლების სათავეში მოვიდა და ლიბერიის პრეზიდენტი გახდა. მიიჩნევა, რომ **ამ პოსტზე იგი თავის ფინანსურ აქტივებს წელიწადში 100 მლნ დოლარით ზრდიდა.**

1998 წელს ვრცელდებოდა ინფორმაციები ტეილორის მთავრობის მიერ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ რეპრესიული ზომების გამოყენების შესახებ, ხოლო სექტემბერში მონროვიაში შეიარაღებულმა დაპირისპირებამ იფეთქა სამთავრობო ჯარებსა და მეამბოხეთა სამხედრო ფორმირებებს შორის, ამან კი სათავე დაუდო მორიგ სამხედრო კონფლიქტს. ახალი სამოქალაქო ომი ლიბერიაში 1999 წელს დაიწყო, როცა მეამბოხეთა გუნდი ქვეყნის ჩრდილოეთით გამოჩნდა. მათ ტეილორის რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა წამოიწყეს და მის ჯარებს უკან დახევა აიძულეს. მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მოჯანყეებს გვინეა და სიერა-ლეონე აფინანსებდა. საპასუხოდ, განამ, ნიგერიამ და რეგიონის სხვა ქვეყნებმა ტეილორი სიერა-ლეონეში მეამბოხეების მხარდაჭერაში დაადანაშაულეს.

2003 წლის დასაწყისისთვის მეამბოხეები უკვე ლიბერიის ჩრდილოეთ რაიონებს აკონტროლებდნენ. ამასობაში, ქვეყნის სამხრეთით მოჯანყეთა მეორე ჯგუფი გამოჩნდა. ზაფხულისთვის ტეილორის მთავრობა მხოლოდ დედაქალაქსა და ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს აკონტროლებდა.



ტეილორი სასამართლო პროცესზე, 2009 წ.

**ივნისში გაერომ, სამხედრო დანაშაულების ჩადენის ბრალდებით, ტეილორის დაპატიმრების ორდერი გასცა. გაერო ირწმუნებოდა, რომ ტეილორმა შექმნა და მხარი დაუჭირა მეამბოხეთა გაერთიანებულ რევოლუციურ ფრონტს სიერა-ლეონეში. პროკურორმა დიქტატორი ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას" წევრთა მფარველობაშიც დაადანაშაულა.**

ბრალდებები ჩარლზ ტეილორს განაში მისი ოფიციალური ვიზიტისას წაუყენეს.

2003 წლის 17 ივნისს განაში გაერთიანებული ლიბერიელების და ლიბერიის დემოკრატიული მოძრაობის მოჯანყე ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის ხელი მოეწერა ომის შეწყვეტის პირობებს. ივარაუდებოდა, რომ **ტეილორი რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგებოდა, ხოლო ხელისუფლების სადავეები დროებით მთავრობას გადაეცემოდა, რომელიც საყოველთაო არჩევნებს მოამზადებდა და ჩაატარებდა.** ჩარლზ ტეილორმა განაცხადა, რომ მზად იყო, დაეტოვებინა პრეზიდენტის პოსტი და ლიბერიის საზღვრები. ნიგერიის შემოთავაზებასაც კი დათანხმდა მისთვის თავშესაფრის მიცემის შესახებ. ოღონდ იმ პირობით, რომ ამას მხოლოდ საერთაშორისო ძალების შემოსვლის შემდეგ მოიმოქმედებდა. მაგრამ მეამბოხეებმა მოითხოვეს, რომ დიქტატორს ქვეყანა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა და მოვლენების დასაჩქარებლად მონროვიაზე იერიში მიიტანეს. 26 ივნისს მოჯანყეები დედაქალაქს მიადგნენ, მათი მოწინავე რაზმები ქალაქიდან 2 კმ-ში იმყოფებოდნენ. დედაქალაქისთვის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა.

**2003 წლის 10 აგვისტოს ნაციონალური ტელევიზიის ეთერში ლიბერიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მეორე დღეს გადადგებოდა და მკაცრად გააკრიტიკა აშშ.** დროებითი მთავრობის შექმნამდე ტეილორმა თავის მემკვიდრედ ვიცე-პრეზიდენტი მოზეს ბლა დატოვა და პოლიტიკური დევნილის სტატუსით ნიგერიას შეაფარა თავი.

**2006 წლის 28 მარტს ლიბერიის ექსპრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი ნიგერიაში მდებარე თავისი ვილიდან გაუჩინარდა. წინა დღეს კი ნიგერიის ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ ყოფილ დიქტატორს საერთაშორისო მართლმსაჯულებას გადასცემდა...**

2008 წლის 7 იანვარს, ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ, ლიბერიის ყოფილი დიქტატორის სასამართლო პროცესი განახლდა და გამოიძახეს ბრალდების მხარის პირველი მოწმე, ალმასების საერთაშორისო ექსპერტი.

2009 წლის ივლისში სპეციალურმა ტრიბუნალმა, რომელიც გაეროს ეგიდით მუშაობდა ჰააგაში, ბრალდების მხარის გამოსვლებისა და განცხადებების ერთწლიანი ციკლის შემდეგ, დაცვის მხარის მოსმენა დაიწყო.

ლიბერიის ყოფილმა დიქტატორმა კი, რომელიც თავს კვლავ ქვეყნის 21-ე პრეზიდენტს უწოდებდა, კატეგორიულად უარყო მისთვის წაყენებული 11-ვე ბრალდება სამხედრო დანაშაულების შესახებ. იგი მშვიდად იძლეოდა პირველ ჩვენებას, რაღაცებს ინიშნავდა უბის წიგნაკში და ადვოკატებს მითითებებს აძლევდა.

**„მე 14 შვილი და შვილიშვილი მყავს და კაცობრიობა მიყვარს. — განაცხადა ტეილორმა სასამართლოზე, — მთელი ცხოვრება მართლმსაჯულებისა და თანასწორობის დაცვას შევალიე. ჩემს წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს უარვყოფ, ისინი თავიდან ბოლომდე სიცრუეა!"**

მან დასძინა, რომ ომის შემდგომ ლიბერიაში წესრიგის დამყარებას ლამობდა, ამდენად, ფიზიკურად ვერ მიიღებდა მონაწილეობას სიერა-ლეონეში გაჩაღებულ სისხლისღვრაში. **„მხოლოდ ზეკაცს შეუძლია ერთდროულად ლიბერიაც მართოს და მეზობელი ქვეყანაც დაანგრიოს. სხვაგვარად ეს შეუძლებელია!"** — განაცხადა ყოფილმა დიქტატორმა.

ჩარლზ ტეილორი მხოლოდ მაშინ გამოვიდა წყობილებიდან, როცა მოწმე ჯოზეფ მარზახმა სიერა-ლეონეში, ლიბერიასა და გვინეაში მრავალრიცხოვანი მკვლელობის, გაუპატიურებისა და წამების ფაქტების მოყოლა დაიწყო, რომლებსაც, მისი თქმით, ტეილორის ბრძანებით სჩადიოდა. **თუმცა განსაკუთრებით დაწვრილებით მარზახმა კანიბალიზმის აქტების შესახებ ილაპარაკა. მოწმის ჩვენებით, იგი მოკლულ მტრებს ჭამდა, რომელთა შორის ნიგერიის სამშვიდობო კონტინგენტის სამხედრო მოსამსახურენიც იყვნენ.**

მარზახის ჩვენების მოსმენისას ყოფილ დიქტატორს სახეზე ზიზღი გამოესახა. მოწმე კი „როგოს" საიდუმლო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კანიბალურ რიტუალებზე ლაპარაკობდა. მისივე თქმით, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჩარლზ ტეილორი იყო.

**ერთ-ერთი რიტუალისას, რომელიც მონროვიის მახლობლად, პლაჟზე გაიმართა, მონაწილეებმა ცოცხლად დამარხეს ფეხმძიმე ქალი,** ხოლო ცოცხალი ცხვარი ნაწილებად დაგლიჯეს. ტეილორის ადვოკატის კითხვაზე მარზახმა მიუგო, რომ არაფერს ნანობს, რადგან თავისი „ფიურერის" — ტეილორის ბრძანებით მოქმედებდა.

„როგოს" სახელწოდებით დასავლეთ აფრიკაში მთელი რიგი საიდუმლო ორგანიზაციები არსებობს, რომლის წევრობის უფლებაც მხოლოდ მამაკაცებს აქვთ. ეს საიდუმლო კავშირები პოლიტიკური და რელიგიური ცხოვრების ყველა ასპექტში მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებს. ამ რეგიონში „როგო" საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ცენტრალური ინსტიტუტი იყო. ლიბერიაში „როგო" წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის მცდელობას, კოლონისტები და მათი სახელმწიფოები ურთიერთობათა ადგილობრივ სისტემაში ჩაერთო. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ **„როგოს„ სიმბოლიკა ბევრი რამით შავკანიან მოსახლეთა, ე. წ. ამერიკელ ლიბერიელთა შორის გავრცელებულ მასონურ სიმბოლიკასა და რიტუალებს წააგავს.** 1950-იან წლებში ლიბერია „როგოს„ გამოყენებას ეთნიკურ ჯგუფებზე თავისი ბატონობის გასავრცელებლად ლამობდა. ეს მცდელობები კი იმით დასრულდა, რომ ლიბერიის პრეზიდენტი შეთავსებით „როგოს" ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელიცაა. ამ რეგიონში ომის წარმოებისა და საბრძოლო სტრატეგიების შემუშავებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საიდუმლო ორგანიზაციების სხვაგვარი ფორმა, რომელშიც მხოლოდ „როგოს" რჩეული წევრები დაიშვებოდნენ. ზოგიერთი ცნობით, ისინი მაგიური კანიბალიზმის პრაქტიკას ეწეოდნენ თავიანთ სამხედრო ცერემონიებში. ამის შესახებ შვეიცარიული გამოცემა NZZ წერს...

ამ კვირას სასამართლომ ჩარლზ ტეილორის დაცვის მხარის მე-18 მოწმე, სიერა-ლეონეს მკვიდრი ბიზნესლედი ისლათუ კალონი დაკითხა, რომელმაც განაცხადა, რომ, მიუხედავად ტეილორის მიმართ არალოიალური განწყობისა, ვერ დაადასტურებს, რომ ყოფილი დიქტატორი მხარს უჭერდა მეამბოხეთა გაერთიანებულ რევოლუციურ ფრონტს სიერა-ლეონეში.

სასამართლო პროცესი გრძელდება.



ჩარლზ ტეილორი: თავის ქალები დიზაინის შემადგენელი ნაწილია



8 წლის ლიბერიელი ჯარისკაცი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მოლა ომარი — ტერორის მეფის ავღანური პრელუდია


მოლა ომარი

**დღეს მსოფლიოში ყველაზე ოდიოზურ ფიგურებად მოლა მუჰამედ ომარი და უსამა ბინ ლადენი მიიჩნევიან, რადიკალური ისლამის მიმდევრები კი მათ თაყვანს სცემენ. საგულისხმოა, რომ მოლა ომარის შესახებ მსოფლიომ თითქმის არაფერი იცის. მისი დაბადების ზუსტი თარიღიც კი არაა ცნობილი. დაწყებითი მუსლიმანური განათლება მან ადგილობრივ მედრესეში მიიღო. ხელისუფლების სათავეში თალიბები მოლა ომარმა მოიყვანა და ამ ორგანიზაციას დღემდე ხელმძღვანელობს. გაცილებით მეტია ცნობილი უსამა ბინ ლადენზე, თუმცა მისი ცხოვრებაც, ბოლო წლებია, იდუმალების საბურველშია გახვეული. აშშ-მა, დოქტორ ფრანკენშტეინის მსგავსად, თავად შექმნა ბინ ლადენისა და მოლა ომარისგან მონსტრები.**


მოლა ომარი პრეზიდენტ რეიგანის რეზიდენციაში

ერთი ვერსიით, მოლა მუჰამედ ომარი 1959 წელს ყანდაგარში, სოფელ ნაუდაში დაიბადა. მას ოთხი ცოლი და ოთხი შვილი ჰყავს: ორი ვაჟი და ორი ქალი. სხვა ცნობით კი იგი 5 ვაჟის მამაა. 1999 წელს ერთი ქალიშვილი ბომბის აფეთქებისას დაეღუპა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ავღანეთის ომის დაწყებისას მოლა ომარი პაკისტანს ორკვირიანი ვიზიტით ეწვია ჩვეულებრივი მოჯაჰედი მეომრის სახით. ამბობენ, რომ ერთხელ **ბრძოლის ველზე მძიმედ დაიჭრა თვალში და მან საკუთარი ხელით ამოითხარა თვალი და უპეც გაიკერაო.** სხვა ვერსიით, თვალი ქირურგმა ამოუღო პეშევარის საავადმყოფოში.

როგორც ავღანეთის ფაქტობრივი მმართველის, მაღალი სტატუსისა და ძებნილი ტერორისტების სიაში განსაკუთრებული ადგილის მიუხედავად, ცნობები მოლა ომარის გარეგნობის შესახებ ერთობ წინააღმდეგობრივია.

**არ არსებობს მისი არც ერთი ფოტო და ოფიციალური პორტრეტი, რომლითაც მისი პიროვნების იდენტიფიცირება იქნებოდა შესაძლებელი (არსებობს მხოლოდ ძალზე ბუნდოვანი ფოტოები). იგი პირადად არასდროს შეხვედრია ჟურნალისტებს და არც პირდაპირი ინტერვიუ მიუცია.**

მოლა ომარის უიშვიათესი აუდიომიმართვები ან ინტერნეტში გამოჩნდება, ან საერთაშორისო სააგენტოებს ფაქსით ეგზავნება. მცირერიცხოვანი თვითმხილველები, ვისაც მუჰამედ ომარი საკუთარი თვალით უნახავს, ამბობენ, რომ თალიბების ლიდერი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს: საშუალოზე ოდნავ მაღალია, დამახინჯებული სახითა და გრძელი ხშირი შავი წვერით, თავს შავი ჩალმა უმშვენებს, ტანთ კი პუშტუნების ტრადიციული სამოსი აცვია.

თალიბების რეჟიმის დამხობამდე მიიჩნეოდა, რომ უსამა ბინ ლადენი და მოლა ომარი ნათესავები იყვნენ: **თითქოსდა მოლას ერთ-ერთი ცოლი ბინ ლადენის ერთადერთი ქალიშვილი იყო.** ომარის ყოფილმა მძღოლმა მუჰამედ კარი საჰიბმა 2002 წელს კატეგორიულად უარყო ეს ხმები და განაცხადა, მოლა მეოთხედ მხოლოდ იმიტომ დაქორწინდა, უსამასთან დანათესავება და მის ქალიშვილზე ქორწინება თავიდან რომ აერიდებინაო. თავისი მმართველობის ხანაში მუჰამედ ომარს თითქმის არასდროს დაუტოვებია რეზიდენცია ყანდაგარში, რომელიც იმ წლებში თალიბების რეჟიმის არაოფიციალურ დედაქალაქად იქცა, ხოლო ქაბულში იგი სულ ოთხჯერ ჩავიდა.

**ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოსვლის შემდეგ, 1989-1994 წლებში, მოლა ომარი დასავლეთ ყანდაგარში, მაივანდის ოლქის ერთ-ერთი პატარა სოფლის მეჩეთის იმამი გახდა. 1992 წლის აპრილში, მოჯაჰედების მიერ ქაბულის აღების შემდეგ, იგი ქვეყანაში დატრიალებული ქაოსის მომსწრე იყო. ავღანეთს პრაქტიკულად მრავალრიცხოვანი საველე მეთაურები მართავდნენ. ხალხი დაუცველი იყო მკვლელობების, ძარცვის, ძალადობისა და გამოძალვისგან.**

1994 წლის ივნისში თალიბანი ჩაისახა. ამ მოძრაობის სწრაფი განვითარება რეგიონში სრული უკანონობის ფონზე მიმდინარეობდა. თალიბებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს ერთ-ერთ პროვინციაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ. ორი გოგონა ავღანურმა ბანდამ გაიტაცა და გააუპატიურა, შემდეგ კი მხეცურად მოკლა. სასოწარკვეთილი ხალხი ზომების მიღებას ითხოვდა. მაშინ **მოლა ომარი სათავეში ჩაუდგა თალიბების პატარა რაზმს, გაემართა საზღვრისკენ, სადაც იმ დროს ბანდიტები იმყოფებოდნენ, რამდენიმე მათგანი განაიარაღა და მოკლა.** ამის შემდეგ თალიბები ბანდიტების რისხვად და ჩაგრული ხალხის დამცველებად შერაცხეს და მათაც წესრიგის დამყარება დაიწყეს ყველა პროვინციაში, რითაც ავღანელების დიდი სიმპათია მოიპოვეს. პაკისტანის სემინარიებში, ბელუჯისტანსა და ყარაჩში ურიცხვი მიმდევარიც შეიძინეს.

1994 წლის ოქტომბერში მოლა ომარი ამირად, ანუ თალიბანის მოძრაობის ლიდერად დანიშნეს. თალიბების მოძრაობა იმდენად გაძლიერდა, რომ მათ ავღანეთის მეორე უდიდესი ქალაქი ყანდაგარი აიღეს. 1995 წლის დასაწყისში კი ახალგაზრდა ბოევიკებმა, მოლა ომარის ხელმძღვანელობით, ჩრდილოეთ ავღანეთი დაიპყრეს და რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ ქაბულიც აიღეს. მანამდე მცირე ხნით ადრე **მუჰამედ ომარი ყანდაგარში თავის მომხრეებს მეჩეთზე გადმომდგარი, მოციქულ მუჰამედის სამოსში გამოწყობილი წარუდგა და ჯიჰადი გამოაცხადა.**

1996 წელს ქალაქ ყანდაგარში შეიკრიბა შურა (განსაკუთრებული პრინციპით მოწყობილი სახელმწიფო საბჭო), რომელშიც 1500-მდე რელიგიური მოღვაწე მონაწილეობდა და მოლა ომარი „ამირ-ულმომინად", ანუ „ერთგულთა მეთაურად" აირჩიეს. ამ დროისათვის თალიბები ავღანეთის ტერიტორიის 90 პროცენტს აკონტროლებდნენ.

**თალიბანის მოძრაობა ავღანეთში დაიწყო, მაგრამ ბენაზირ ბჰუტოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ თალიბების წარმატება პაკისტანის პოლიტიკურ გაძლიერებასაც გამოიწვევდა. შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალი ნასირულაჰ ბაბური მათ „ჩემს შვილებს" ეძახდა, თუმცა მოგვიანებით, როცა ეს „შვილები" გაურჩდნენ, ბენაზირ ბჰუტოს მთავრობამ მათთან ყოველგვარი კავშირი უგულებელყო. უნდა ითქვას, რომ განვითარების ადრეულ სტადიაზე თალიბები დახმარებისთვის პაკისტანის მთავრობას არც მიმართავდნენ.**

**თავდაპირველად აშშ თალიბების მოძრაობას იწონებდა — ამერიკელები იმედოვნებდნენ, რომ ისინი ქვეყანაში მშვიდობასა და სტაბილურობას დაამყარებდნენ. მოგვიანებით, როცა ეს ილუზია დაიმსხვრა, ამერიკამ დისტანცირება მოახდინა თალიბანისგან.** საუდის არაბეთისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების მთავრობები ასევე ეხმარებოდნენ მოძრაობას, თუმცა ამის აფიშირებას არ ახდენდნენ. თალიბები ხშირად არღვევდნენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს ავღანეთში, მაგრამ ამას ისლამის თავისებური ინტერპრეტაციით ხსნიდნენ, რასაც ბევრი მუსლიმანი კატეგორიულად უგულებელყოფდა. იყო შემთხვევა, როცა პაკისტანის საფეხბურთო გუნდის მოთამაშეები თალიბების მთავრობამ იმის გამო დააპატიმრა, რომ მათ თამაშის დროს შორტები ეცვათ. „თალიბანმა" ასევე აუკრძალა გოგონებს სკოლაში სიარული, ხოლო ქალებს — სახლიდან გამოსვლა. ერთხელ თალიბებმა ირანელები ხომალდის კონტეინერში ჩაკეტეს, შიმშილით სული ამოჰხადეს, გადარჩენილები კი დახვრიტეს.

1996 წლის მაისში ავღანეთის ქალაქ ჯელალაბადში უსამა ბინ ლადენი ჩავიდა. აქეთ მოემართებოდნენ არაბები სხვადასხვა ქვეყნიდან, ავღანურ ჯიჰადში მონაწილეობის მისაღებად. ყველა მათგანი მხარს უჭერდა თალიბებს.

1998 წლის 19 სექტემბერს ყანდაგარში პაკისტანის სადაზვერვო სამსახურის გენერალური დირექტორისა და საუდის არაბეთის პრინცის, თურქი ალ-ფაისულას შეხვერდა გაიმართა მოლა ომართან. მანამდე მცირე ხნით ადრე „ალ-ქაიდამ" კენიასა და ტანზანიაში ამერიკის საელჩოების აფეთქება მოაწყო, ვერ მოახერხა ამერიკის საკონსულოს აფეთქება ჯიდაში. პრინცმა მოლა ომარს ამ ტერაქტებთან უსამა ბინ ლადენის კავშირისა და მისი სამომავლო გეგმების შესახებ ამცნო. ასევე შეახსენა, რომ სამი თვით ადრე **თალიბები საუდის არაბეთს შეჰპირდნენ, რომ უსამა ბინ ლადენს ავღანეთიდან გააძევებდნენ და საუდის არაბეთის ხელისუფლებას გადასცემდნენ, მაგრამ დანაპირები არ შეუსრულებიათ.** პრინცმა მოლა ომარს ისიც შეახსენა, რომ „ალ-ქაიდას" ლიდერმა სიტყვა მისცა თალიბებს, ავღანეთში ყოფნისას ტერორისტულ აქტებში მონაწილეობას არ მივიღებო და დანაპირები 1998 წელს ჰოსტში (ავღანეთი) გამართულ პრესკონფერენციაზე დაარღვია, როცა აშკარად მოუწოდა ტერორისა და არეულობის მოწყობისკენ საუდის არაბეთში.

მოლა ომარმა პასუხად განაცხადა, რომ არავის არაფერს დაჰპირებია და დაიჩივლა, რომ თალიბების მთავრობა დიდი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა, რის გამოც საუდის არაბეთისგან დახმარებას მოელოდა და არა პრეტენზიებს. პრინცმა მოთმინება დაკარგა და ომარს მისთვის შეურაცხმყოფელი ბრალდებები წაუყენა, რაც ძალიან არ მოეწონათ „თალიბების" მეთაურსა და მის მცველებს. მოლა ომარმა იქაურობა მცველთან ერთად დატოვა, რამდენიმე წუთში უკან მთლიანად გალუმპული დაბრუნდა და პრინცს განუცხადა: **„დასამშვიდებლად თავზე ცივ წყალს ვისხამდი. ჩემი სტუმარი რომ არ იყოთ, სასტიკად გაგისწორდებოდით!"**

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ თალიბების რეჟიმი ავღანეთში ნატოს მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შედეგად დაემხო. მოლა ომარი მიიმალა. სამი თვის განმავლობაში სამხედრო ექსპერტები, პოლიტიკოსები და მედია სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდნენ იმის თაობაზე, თუ სად და როგორ გაუჩინარდა ავღანეთის ფაქტობრივი ლიდერი. 2002 წელს „ნიუსუიქისთვის" მიცემულ ინტერვიუში მისმა ყოფილმა მძღოლმა კარი საჰიბმა განაცხადა, რომ ომარი ბოლო დღემდე მშობლიურ ყანდაგარში დარჩა და მხოლოდ ამერიკული ქვედანაყოფების შემოსვლის წინა დღეს დაყაბულდა უსაფრთხო ადგილას გადასვლაზე.

**რეზიდენცია მან რიქშით დატოვა, შემდეგ ჩვეულებრივ საბარგო მანქანაში გადაჯდა და უცნობი მიმართულებით გაუჩინარდა. საჰიბის ვარაუდით, რამდენიმე დღე ომარმა იატაკქვეშეთში დაჰყო, სანამ საზღვარგარეთ, ერთგულ მეგობრებთან თავის შეფარებას შეძლებდა.**

დღეს მოლა ომარის სავარაუდო ადგილსამყოფლად პაკისტანის ერთ-ერთი ძნელად მისადგომი მთიანი რაიონია მიჩნეული. მასზე, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტზე, საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.


თალიბანის მართლმსაჯულება

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# დავით ბადრიძის შვილი

**„ძალიან გთხოვთ, ჩემი ისტორია სიტყვა-სიტყვით დაბეჭდოთ, ვინაიდან მისი ზუსტი თარგმანი „ნიუ იორკ ტაიმსის“ რედაქციას გავუგზავნე. ჩემი მეგობრები მის გამოქვეყნებას შემოდგომისთვის მპირდებიან. ფიქრობენ, რომ ეს ქუთაისური აფიორა ჰოლივუდის ბევრი რეჟისორისთვის ანდა იგივე ტელესერიალის შემქმნელებისთვის შთაგონების წყარი გახდება“, — ეს სიტყვები მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერლის, დავით ბადრიძის ქალიშვილს — ირმა ბარბაშინას ეკუთვნის. ბარბაშინა მისი მეუღლის გვარია, 1960-იანი წლებიდან იგი მოსკოვში ცხოვრობს, არის აკადემიკოსი, ექიმი-ფტიზიატრი. დღეს მოსკოვში ერთ-ერთ დიდ ჰოსპიტალს უდგას სათავეში. ის, რაც მას თავის მშობლიურ ქალაქში შეემთხვა, როგორც თავად აცხადებს — რა თაღლითობის მსხვერპლიც აღმოჩნდა, ამის ანალოგი მსოფლიოში არსად მოიძებნება.**



**ირმა ბარბაშინა:**

— 1997 წელს დედაჩემისთვის შევიძინე ორსართულიანი სახლი ქუთაისში, გრიშაშვილის ქ. №31-ში, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა — საცხოვრებელი და კომერციული ფართისგან. 2000 წელს დედა გარდაიცვალა. 5 წელი საქართველოში არ ჩამოვსულვარ, 2005 წელს კი გადავწყვიტე სახლის კომერციული ფართი გამექირავებინა, ამ მიზნით სახლის წინა მხარეს, მინაზე გამოვაკარი განცხადება. სხვებთან ერთად განცხადებას გამოეხმაურა გვერდზე მდებარე აფთიაქის აფთიაქარი ნინო აბზიანიძე მეგობართან ერთად. ქირა ეძვირათ, მაგრამ ვუთხარი, რომ სახლი შეიძლება გავყიდო და ფართი ისევ საძებნელი გაგიხდებათ-მეთქი. სახლის გაყიდვის პერსპექტივის შესახებ რომ გაიგეს, ორივე სართული დაათვალიერეს. ნინო აბზიანიძეს სახლი ძალიან მოეწონა და საღამოს მეუღლესთან ერთად მესტუმრა. ასე გავიცანი მერაბ ბიბილეიშვილი. მან თავი ფსიქოტროპული აფთიაქის მენეჯერად წარმომიდგინა.

**წინდაწინ მინდა დავძინო, რომ აუდიტმა ჩემი სახლი 280 000 დოლარად შეაფასა, ხოლო კომერციული ფართი ცალკე — 150 000 დოლარად, რაზეც არსებობს ოფიციალური დოკუმენტი. სახლი შედგებოდა 9 ოთახისგან — 5 საძინებლისაგან, 2 სასტუმრო დარბაზისაგან, დიდი სამზარეულო-სასადილოსაგან, რომლებიც გაწყობილი მქონდა გარნიტურული ავეჯით, ბროლის ჭაღებით, ბელგიური ხალიჩებით, 3 დივან-ტახტითა და 10 მოჩუქურთმებული სავარძლით. ცოლ-ქმარმა მითხრეს, ამ სახლის შესაძენი ფული არ გვაქვს, მაგრამ 3 სახლის პატრონები ვართ, სამივეს გავყიდით და ამ სახლს მაინც ვიყიდითო. შემომთავაზეს 150 000 დოლარი. მე ვუპასუხე — ახლავე რომ მომცეთ 150 000 დოლარი, გადაგიფორმებთ-მეთქი. არაო, ასე უცებ 150 000 აშშ დოლარს ვერ შევაგროვებთ, გადაგიხდით „ბე“-ს სახით 50 000 დოლარს, შემდეგ კი ყოველთვიურად — 4 000 დოლარსო.**

ამ საუბრის შემდეგ გადაწყვეტილება არ მიმიღია. დავკეტე ქუთაისის სახლი და გავემგზავრე თბილისში, მეორე დღეს მოსკოვში მივფრინავდი.

თბილისში ჩასულს მეორე დილითვე მესტუმრნენ მერაბი და ნინო. მითხრეს „მთელი ღამე არ გვეძინა და ამიტომ ჩამოვედით დილაადრიან. თხოვნა გვაქვს, ქუთაისის სახლის გასაღები უნდა გვანდოთ, რომ მშობლებს დავათვალიერებინოთო“. ჩემთვის უცხო ადამიანებისთვის სახლის გასაღების მიცემა არ მინდოდა. ბიბილეიშვილმა დამარწმუნა, რომ მის პატიოსნებაში ეჭვი არ უნდა შემპარვოდა, რომ მთელი ქუთაისი იცნობდა, როგორც პატიოსან იურისტსა და ეკონომისტს. შემპირდა სახლს რომ ანახებდა მშობლებს, გასაღებს იმ დღესვე გადასცემდა ჩემთვის სანდო პიროვნებას. ამ დროს შემოვიდა ჩემი კარის მეზობელი ლიზა, რომლისთვისაც მონაყოლი მქონდა, რომ გავიცანი ისეთი მყიდველები რომლებსაც ფული არ ჰქონდათ და იმდენს წუწუნებდნენ, რომ თავი მომაბეზრეს. დიდი სურვილი მქონდა, მალე გამცლოდნენ. ლიზას გაუკვირდა, 300 ათასად შეფასებულ სახლზე 150 000-ად როგორ დათანხმდიო. ლიზამ მიწინასწარმეტყველა, აბა, ნახე თუ არ მოგადგნენო. ამიტომ ლიზას რომ გავაცანი ქუთაისელი მყიდველები, სიცილი აუტყდა. ლიზამ ბიბილეიშვილებთან გასაუბრების შემდეგ გამოთქვა აზრი, წესიერი ხალხი ჩანს და ათხოვე გასაღები. თუ ნამდვილად არიან მყიდველები, დათვალიერების შემდეგ გაგაგებინებენ — ყიდულობენ თუ არაო. ამ პირობით მივეცი ბიბილეიშვილს პირველი სართულის გასაღები. მეორე სართულის გასაღები სად ინახებოდა, არ მითქვამს.

**— რა მოხდა მას შემდეგ, რაც თქვენს სახლში შევიდნენ?**

— დედაჩემის მომვლელი ყოველთვის ანიავებდა ჩემი სახლის პირველ სართულს. მოსკოვიდან დავრეკე დეკემბრის ბოლოს და შევეკითხე, თუ გაანიავა სახლი. მეგონა, რომ ბიბილეიშვილმა შეპირებისამებრ გასაღები ჩემს ახლობელს გიორგი გიორგობიანის გადასცა. მეზობლისგან გავიგე, რომ ღამ-ღამობით ჩემს სახლში შუქი ენთო. სასწრაფოდ ჩამოვფრინდი მოსკოვიდან ქუთაისში, ჩემს სახლში მივედი. იქ ბიბილეიშვილების ოჯახი დამხვდა შესახლებული. ნინო აბზიანიძე არ ელოდა ჩემს დანახვას. მოვითხოვე გასაღების დაბრუნება, ამ დროს შიგნიდან გაიღო კარები და პირგაბადრულმა ხანში შესულმა ქალბატონმა დამიძახა: „ეს თქვენ ბრძანდებით ირმა?“ გაოგნებულმა ვიკითხე „თქვენ ვინლა ხართ, ქალბატონო, და აქ რა გინდათ-მეთქი“? მიპასუხა: „მე ნინოს დედა ვარ, მაყვალა მქვია. რა გაგიკვირდა, გენაცვალე, გასაღები ხომ მიეცით, ბინა რომ მშობლებისთვის ეჩვენებინათ, მოგვეწონებოდა თუ არა, რა ჭირს ამ სახლს მოუწონებელი, ამიტომაც დავრჩით აქ საცხოვრებლადო“.

**როდესაც შევედი სახლში, დავინახე ოთახის ერთი კუთხეში ჭერამდე ერთმანეთზე შეწყობილი იყო წამლის ყუთები. ყველაფერი შეეცვალათ — სამზარეულო, რომელიც დედისთვის იყო საცხოვრებელიც და სასტუმრო-სასადილოც, ვერ ვიცანი. მეორე სართულზე, ჩემს საძინებელში პირადი ნივთები გამქრალიყო, უჯრაში სადაც ფულს ვინახავდი, 1750 ლარის მაგივრად, ქალის ჰიგიენური საფენები იდო. როგორც ჩანს, ბინაში შესულებმა შერლოკ ჰოლმსისეული ყნოსვით, უჯრების გადაქექვით, მიაგნეს მეორე სართულის გასაღებს და, რადგანაც სინდისთან მწყრალად ყოფილან, ხელის შემშლელი კი არავინ ჰყავდათ, მეორე სართულიც დაიკავეს.**

შემდგომში სასამართლოზე ბიბილეიშვილი ამბობს, ჩემი ნივთები თურმე მის გემოვნებაში არ მოთავსდა და გადაყარეო, გარდაცვლილი დედაჩემის ნივთები თვითნებურად გაიტანეს ავტოსადგომში. დედისეული ვერცხლის დანაჩანგალი და მზითევში გამოტანებული ანტიკვარი ასევე მიითვისეს. ჩემი მოძრავი ქონების ნაწილი გაყიდეს, ხოლო რაც მოეწონათ, გადაიტანეს თავიანთ სახლში — ისიანის ქ.№15-ში. წაიღეს ოთხი დასახელების ავეჯი, მოიგონეს, რომ დამპალი იყო და გადავყარეთო, ბელგიური ხალიჩები, დივან-ტახტი მოჩუქურთმებული სავარძლებით, „როჯერსის“ კედლის ხუთი სექცია გააქრეს. სამი წელი უფასოდ იცხოვრეს ჩემს სახლში, იყენებდნენ სტუმრების სალონად. ეს ყველაფერი მერე გახდა ჩემთვის ცნობილი, მაშინ კი, პირველად რომ დავდექი ფაქტის წინაშე, მათ სასწრაფოდ მოვთხოვე ჩემი სახლის დაცლა. ამაზე ბიბილეიშვილმა მითხრა, ჩვენი გაგდება არ გამოგივა, ხალხს ჰგონია, რომ სახლი უკვე ვიყიდეთო. მითხრა, რომ გასაღების მიცემამდე ჩვენს საუბარს ზეპირი გარიგება ჰქვიაო. რა გინდა, ორ დღეში მოგიტან შეპირებისამებრ 50 000 დოლარს „ბე“-ს სახით, დანარჩენ 100 000 დოლარს კი გადავიხდი ყოველ თვე... 5 ათასი დოლარის ოდენობით ,ვაითუ ვერ შევძლო და ტყუილი რომ არ გამომივიდეს, 4 000 დოლარს გადაგიხდიო.

მე დავრეკე მოსკოვში მეუღლესთან და ვუთხარი, რომ ჩვენს სახლში უკვე ცხოვრობდნენ ძალით შეჭრილები. მეუღლემ მითხრა, ნუ ნერვიულებ, თუ მყიდველები არიან, ფულის მიღებაზე დაუწერე ხელწერილი და, სანამ არ დაფარავს თანხას, მანამდე არ გადაუფორმოო. მაგრამ ბიბილეიშვილმა 50 000 დოლარი არ მომიტანა, მირჩევნია ბანკის ანგარიშზე ჩავრიცხოო. ამიტომ, მე რწმუნებულება მივეცი ჩემს ახლობელს — გიორგი გიორგობიანს და ხელწერილში ჩავწერე როგორც მთელი სახლის შემადგენლობის მოძრავი ქონება, ასევე მის სახელზე შეტანილი 50 000 დოლარი თიბისი ბანკში. ხელწერილი დაწერილი იყო ნინო აბზიანიძის დედის კარნახით. ამის შემდეგ არც იანვარში, არც მარტში, არც აპრილში ბიბილეიშვილს არაფერი შეუტანია ბანკში. შეიტანა მხოლოდ 2006 წლის თებერვლის ბოლოს 30 000 დოლარი, ე.ი. მეორედაც მომატყუა, შემდგომში კი ყველა საჩივრებში წერს, რომ იანვარშივე შეიტანა გიორგობიანის ანგარიშზე 50 000 დოლარი, რაც საბუთებით არ დასტურდება.

მაისში ვითარების გასარკვევად ისევ ჩავედი ქუთაისში; ბიბილეიშვილმა ბოდიში მომიხადა — ფულის დაგვიანების მიზეზად დაასახელა აფთიაქში შექმნილი პრობლემები. მაისისთვის მას შეტანილი უნდა ჰქონოდა 36 000 დოლარი, სინამდვილეში კი შეიტანა 3200 დოლარი, ანუ 2005 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის თებერვლამდე მან ნაცვლად 102 000 დოლარისა შეიტანა 49 000 დოლარი. საბოლოოდ, სახლის სასყიდელ თანხას რომ ვერ მისტუმრებდა, ფულის საშოვნელად ჩემივე სახლი ბანკში ჩადო იპოთეკით. მიუხედავად იმისა, რომ იპოთეკით დატვირთვის დროს მე საქართველოში ვიმყოფებოდი, ჩემთვის არაფერი უთქვამს.

გაყალბება შემდეგნაირად მოხდა: საკუთრების დამამტკიცებელი საბუთის საჯარო რეესტრში გასატარებლად ბიბილეიშვილმა მიმართა თავის მეგობარს ემზარ კუტალაძეს, რომელსაც ქუთაისში აქვს „საჯარო რეესტრის ავტორიზებული მომხმარებლის“ სააგენტო, სადაც უფროსად მუშაობს მისი სიდედრი, თვითონ კი მოადგილის როლშია. ხელთ მაქვს გაცემული საბუთი ქუთაისის სს-ის უფროსის მ. ხიმშიაშვილის მიერ, სადაც წერია: „მოქალაქე გია გიორგობიანი, მცხოვრები გრიშაშვილის №31-ში ტ: 899228427 (ეს ნომერი გიორგობიანის არასოდეს ყოფილა) განცხადება: გთხოვთ სკ-ის თანახმად, მოახდინოთ საჯარო რეესტრში მიწისა და უძრავი ქონების რეგისტრაცია გრიშაშვილის №31-ში და დადგენილი წესით გასცეთ რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი. 150 ლარის ქვითარი გადახდილია ემზარ კუტალაძის მიერ, განმცხადებელი გიორგი გიორგობიანი, განცხადების თარიღი 19.02.07“, ანუ ბიბილეიშვილმა გააყალბა ჩემი მარწმუნებლის, გიორგობიანის ხელმოწერა და სახლი დატვირთა იპოთეკით.

**მოვითხოვე კალიგრაფიული ექსპერტიზა, სულ ტყუილად. გაყალბებული საბუთების წყალობით, ნოტარიუსმა ხიმშიაშვილმა გააფორმა იპოთეკის ხელშეკრულება, რითაც შეცდომაში შეიყვანა საქართველოს ბანკი. 2007 წლის 22 თებერვალს საქართველოს ბანკსა და მერაბ ბიბილეიშვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება 100 000 აშშ დოლარზე, მაგრამ მსესხებელზე გასცეს მხოლოდ 60 000 აშშ დოლარი, სესხის უზრუნველსაყოფად კი დაიტვირთა ჩემი საცხოვრებელი სახლი. ამის შემდეგ, ბიბილეიშვილმა ჩემს ანგარიშზე 60 ათასის მაგივრად 40 000 აშშ დოლარი გადარიცხა, დანარჩენით ახალი ავტომობილი იყიდა და კაფე „ნიკალაში“ შეიტანა წილი. იმ დროისთვის ჩემს სახლში უკვე 25 თვე ცხოვრობდა. შემდგომში საქართველოს ბანკმა ამაზე ბოდიშის წერილი გამომიგზავნა, არ ვიცოდი, საბუთები რომ გაყალბებული იყოო. მაგრამ ჩემი სახლის გამოხსნა მაინც მე მომიწია.**

2008 წლის 26 ივნისს დავფარე ბიბილეიშვილის მიერ თაღლითურად აღებული თანხა 46 454 დოლარის ოდენობით, აქედან 6 454 დოლარი ჩემი ფულის დამატებით, რაც პროცენტულად დაირიცხა, ანუ მე გავუსტუმრე ბიბილეიშვილის ვალები, ამით ჩემი სახლი გამოვიხსენი უკანონო იპოთეკისგან. ასეთი თაღლითობის შემდეგ, იმის მაგიერ, რომ ბიბილეიშვილს ჩემთვის ბოდიში მოეხადა და მადლობა ეთქვა, ციხეში რომ არ ამოვაყოფინე თავი, პირიქით, სასამართლოში შეიტანა სარჩელი.

**— ბიბილეიშვილმა ინტერვიუზე უარი განაცხადა. თქვა, რომ ის არის დაზარალებული, ბარბაშინამ დაგვაძალა სახლის ყიდვა, მოგვანდომებინა და გვითხრა, რომ ფულის გადახდას დაგაცდითო, შემდეგში ყველაფერი უარყო და ჩვენი სახლიდან გამოსახლება სცადა, ვისაც აინტერესებს, გამოძიების მასალები საქმეში დევსო.**

— სასაცილოა. იგი იმასაც აცხადებს, თითქოს მე მეთქვას, რომ სახლი მარტო თქვენ უნდა მოგყიდოთო. ბიბილეიშვილები 6 თვით ადრე გავაფრთხილე, სახლი დაეცალათ; მოვითხოვე ჩემი უძრავი ქონების უკან დაბრუნება, პირვანდელ მდგომარეობაში, როგორშიც შესახლდნენ, ჩემი სახლიდან გატანილი უძვირფასესი ავეჯის, ტექნიკისა და დედაჩემის ხატის დაბრუნება.

**ბიბილეიშვილმა მისი ფინანსური მდგომარეობის დასარეგულირებლად დამისახელა დასაბრუნებელი თანხა 122 000 დოლარი. მითხრა, შენს ძმას მივეცი 33 750 დოლარი სახლის რემონტისთვისო (სასამართლოზე კი დამტკიცდა 5 000 ლარიც არ ჰქონდა მიცემული), შენს დას — 8 000 დოლარი. ჩემი რწმუნებულის ანგარიშზე შეტანილი ჰქონია 49 000 დოლარი და ჩემს ანგარიშზე ცალკე — 40 000 დოლარი. ეს ყველაფერი მე დავიჯერე და დავეთანხმე 122 000 დოლარის დაბრუნებაზე.**

სახლის დაცლის თაობაზე მითხრა, პრობლემა არ არისო, შემპირდა, ჩემს უძრავ ქონებასაც, რასაც მე ვითხოვდი, უკლებლივ დააბრუნებდა. დამპატიჟეს მეორე დღეს სადილზე. დათქმულ დროს მივედი ჩემს სიძესთან ერთად. თურმე დამონტაჟებული ჰქონიათ ვიდეოკამერა. ჩემი სიძე ბიბილეიშვილმა მეორე სართულზე აიყვანა, მე კი დამტოვეს ნინო აბზიანიძესთან ერთად. ნინომ დამიწყო საუბარი. როგორც შემდეგში გაირკვა, დაფიქსირება უნდოდათ, რომ მე ვუთხარი გაძლევთ 122 000 აშშ დოლარს-მეთქი. რათა ეს ჩანაწერი ნივთმტკიცებად სასამართლოზე გამოეყენებინათ. პროკურატურის „ძმაბიჭებმა“ დააწერინეს ბიბილეიშვილს საჩივარი, ბარბაშინამ თაღლითურად გამომართვა დიდი ოდენობის თანხა — 122 000 დოლარი, რომელიც მიითვისა, სახლიდანაც მაგდებს და მის მიერ აღიარებულ უსაფუძვლოდ მიღებულ თანხასაც არ მიბრუნებსო. ამ საჩივარს დაურთეს ვიდეოჩანაწერი. ამის შემდეგ ბიბილეიშვილი დაზარალებულად სცნეს და აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. როდესაც გავიგე, რომ ბიბილეიშვილმა საჩივარში თაღლითი მიწოდა, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და ამის შემდეგ გაიმართა ორთაბრძოლა. ბიბილეიშვილი უარყოფდა, მე თუ თქვენ თაღლითი გიწოდეთ, ამომკარი ფეხი და გამაგდე გარეთო.

**— რით დამთავრდა ეს დავა?**

— უზენაეს სასამართლოში მოსამართლემ ჩვენი მორიგება მოინდომა. რაც ბიბილეიშვილს ჩემი რწმუნებულის — გიორგობიანის ანგარიშზე თანხა ჰქონდა შეტანილი, მთხოვა, დამებრუნებინა 3 000 აშშ დოლარის დამატებით. ამიხსნა, რომ ჩემი მოთხოვნა ზარალის შესა-

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თაღლითურ მახეში გაება



ხებ, რაც ბიბილეიშვილმა მომაყენა, არის სისხლის სამართლის საქმე. მორიგებაში შედიოდა ჩემი რწმუნებულის ანგარიშზე შეტანილი 30 თვის მანძილზე 49 000 აშშ დოლარის დაბრუნება, მაშინ, როცა ბიბილეიშვილს ჩემი სახლიდან გატანილი ჰქონდა 200 000 აშშ დოლარის უძრავი ქონება.

**დავუჯერე მოსამართლეს და 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, 23 ოქტომბერს ბიბილეიშვილს ნოტარიუს გზირიშვილის თანდასწრებით მივეცი 63 000 აშშ დოლარი, რაზეც დაწერა კიდეც ბიბილეიშვილმა დამატებით ხელწერილში, „ბარბაშინასთან პრეტენზია არ გამაჩნიაო“. თუ ბიბილეიშვილს ჰქონდა დამატებითი პრეტენზია ხარაბაძესთან პირგასამტეხლოზე 20 000 აშშ დოლარის ოდენობით, რატომ უზენაეს სასამართლოში არ წამოაყენა ეს საკითხი?!**

**— ხარაბაძე ვინ არის და ამ საქმესთან რა კავშირშია?**

— თეიმურაზ ხარაბაძე არის მერაბ ბიბილეიშვილის მეგობარი, ხოლო მის ცოლს, ნინო გელაზანიას ვიცნობ როგორც ცრუ მოწმეს. თეიმურაზ ხარაბაძემ ბიბილეიშვილთან ერთად გამოაცხო მორიგი თაღლითობა. კერძოდ, როდესაც პოლიციამ იძულებით გაასახლა ბიბილეიშვილი ჩემი სახლიდან, ორმა მეგობარმა შეადგინა გეგმა, როგორ წაერთმიათ ჩემთვის ფული. მოილაპარაკეს. თითქოს ხარაბაძეს უნდა მიეყიდა ბიბილეიშვილისთვის სახლი 70 000 აშშ დოლარად. ამისთვის ბიბილეიშვილმა მისცა „ბე“-ს სახით 5 ათასი დოლარი. მაგრამ, ამ დროს თურმე მე დავუგვიანე 63 ათასი დოლარის მიცემა (რაც ტყუილია, მესამე დღესვე ჩავურიცხე), რის გამოც ხარაბაძეს ვერ გადაუხადა სრული თანხა და იმან პირგასამტეხლო მოსთხოვა 20 ათასი დოლარი. ამ 20 ათასი დოლარის გადახდა მე დამაკისრა ბიბილეიშვილმა და აპელაციაში სარჩელი შეიტანა ჩემი სახლის მეორედ დაყადაღებაზე. თუმცა ეს სარჩელი მალევე უკან გაიტანა, რადგან თავიანთი შეთითხნილის თვითონვე შეეშინდათ.

მანამდე კი ასეთი რამ მოიფიქრა, ოღონდ სასამართლო მორიგებამდე: დეტექტივ-გამომძიებელმა გაგა ბაზაძემ მომიტანა საბუთები მერაბ ბიბილეიშვილის საბანკო ანგარიშზე 75 000 დოლარის ჩასარიცხად, თან აგიტაციას მიწევდა, მოიშორე ეს თავხედი, ვიცი, რომ არ ეკუთვნის, მაგრამ მიეცი და დაივიწყე ეს უსიამოვნო ისტორიაო. ფული მედო ჩემი რწმუნებულის ანგარიშზე. დაველოდე ჩემი ადვოკატის მოსვლას, რომელსაც გაფრთხილებული ვყავდი, ბიბილეიშვილთან არანაირი საქმე არ მეწარმოებინა. ჩემმა ადვოკატმა გადაამოწმა ანგარიშის ნომერი და აღმოჩნდა, რომ ანგარიში ეკუთვნოდა მერაბ ბიბილეიშვილის შვილს, ასევე მერაბ ბიბილეიშვილს, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა სახლის ყიდვასთან. ე.ი. თუ გადავრიცხავდით შვილის ანგარიშზე სასურველ თანხას, ამ თანხას მიიღებდა უმცროსი მერაბ ბიბილეიშვილი, ჩემს სახლზე უკანონოდ დადებული ყადაღა მოუხსნელი დარჩებოდა.

ამჟამად მორიგი სასამართლო პროცესის მოლოდინში ვარ, 2010 წელს მერაბ ბიბილეიშვილმა ხელახლა შეიტანა სარჩელი ხარაბაძის პირგასამტეხლოს თაობაზე. ამ ამბავს ვერასოდეს გავიგებდი, შემთხვევის წყალობით რომ არ გამოაშკარავებულიყო. როცა ამის თაობაზე სასამართლოში მივედი, იქ მითხრეს გრიშაშვილის №31-ში გავაგზავნეთ წარმომადგენელი შეტყობინების გადმოსაცემად, მაგრამ სახლი დაკეტილი დაგვხვდაო. მითხრეს თბილისის მისამართზეც გავაგზავნეთო, მაგრამ იქაც არაფერი მომსვლია. ვვარაუდობ, რომ ბიბილეიშვილს მიზნად ჰქონდა პროცესის გასაიდუმლოება, რათა მე არ მცოდნოდა ახალი სარჩელის შესახებ. პროცესი ჩემ გარეშე ჩატარდებოდა და სახლსაც ჩემ გარეშე გამიყიდიდნენ.

**— თქვენ ჩვენება მიეცით გამომძიებელს მოპარული კოლიეს თაობაზე?**

— ბიბილეიშვილს ბრალს ვდებ არა მარტო ჩემი ავეჯისა და მოძრავი ქონების მითვისებაში, არამედ ძვირფასი ყელსაბამის დაკარგვის ისტორიასაც მას ვუკავშირებ.

**2006 წლის სექტემბერში ჩამოვედი საქართველოში. თან ჩამოვიტანე ბრილიანტებითა და ზურმუხტებით მოოჭვილი ძვირფასი კოლიე, 45 000 აშშ დოლარის ღირებულების. მინდოდა კოლიეს სამ ნაწილად დაშლა. ბიბილეიშვილმა „ბავშვთა სამყაროსთან“ არსებული საოქრომჭედლო მიმასწავლა. იუველირმა ყელსაბამი დამიშალა და გამაფრთხილა, ეს ქუთაისია, ყელზე ნუ ატარებ, მოიხსენი და დამალე ხელჩანთაშიო. მეც ასე მოვიქეცი.**

გარეთ ჩემი ძმა მელოდებოდა, მანქანაში, რემონტს აკეთებდა და მისთვის პლასტიკატის მილები უნდა მეყიდა. ოქრომჭედლიდან წავედით „სანტექნიკის“ მაღაზიაში, მაღაზიიდან რომ გამოვედით და ჩავჯექით მანქანაში, ცოტა მანძილი გავიარეთ და წინა საბურავი დაეშვა. ერთი წუთით გადმოვედი ავტომობილიდან — საბურავი გაჭრილი აღმოჩნდა. წავედით დაზიანებული საბურავის გასაკეთებლად ვულკანიზაციაში. როდესაც საბურავის შეკეთების თანხა უნდა გადამეხადა, ჩემი ხელჩანთა არ აღმოჩნდა მანქანის სალონში. გამოვიძახეთ პოლიცია, შედგა აქტი. ამ საქმეზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დამქანცველი სამსაათიანი დაკითხვების შემდეგ, დავბრუნდი სახლში.

ბიბილეიშვილმა მოპარული ხელჩანთის ისტორია რომ გაიგო, მითხრა — „პოლიცია რომ არ გამოგეძახა, ხელჩანთას მოვატანინებდი იმ ქურდებს, ვინც მოიპარაო“. მე შევეხვეწე, თუკი რაიმე შანსი არსებობს ხელჩანთის მონახვის, დამეხმარე-მეთქი, დავრჩი უსაბუთოდ, უფულოდ და ძვირფასეულობის გარეშე. ბიბილეიშვილი შემპირდა, ვნახავ „ზასტავაზე“ ნაცნობ ავტორიტეტს და ვეცდები, ხელჩანთა მოვატანინოო. მესამე დილით, როდესაც მოსკოვს ველაპარაკებოდი საბუთების აღდგენაზე, ბიბილეიშვილი შემოვიდა გამარჯვებული სახით, მარჯვენა მკლავზე ჩემი ხელჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. სიხარულისგან ავტირდი — ჩემთან ერთად ტიროდნენ ნინო აბზიანიძე, ნინო გელაზანია და სხვები, რომლებიც მერაბ ბიბილეიშვილს შემოჰყვნენ.

**ჩავიხედე ხელჩანთაში და დავინახე ცარიელი კოლოფი, დაზიანებული სამედიცინო აპარატი, ჩემი საბუთები. მეტი შიგ არაფერი ეწყო — არც კოლიე და არც „ნოკია 0088“. ბიბილეიშვილს ვთხოვე, თქვენმა ნაცნობმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა იქნებ ტელეფონი მაინც დამიბრუნოს-მეთქი, რაზეც მიპასუხა, ტელეფონი ძვირადღირებულია და ბაქოში ექნებათ გატანილიო. გაბრაზებულმა ვკითხე, რა ჰქვია იმ კანონიერ ქურდს, ამდენი ძვირფასეულობა რომ ჩაიგდო ხელში, ტელეფონი მაინც დაებრუნებიათქო. გაბრაზებულმა ბიბილეიშვილმა მომახალა, მისი სახელი რად გინდა, დაჭერას თუ ფიქრობ, ამ აპარატის დაბრუნებაში ფული გადამახდევინეს, უძვირფასესი კოლიე კიდევ, არც მასე ყოფილა საქმე, იმავე ღამეს გადაუდნიათ იუველირთან შენი კოლიე და დარჩენილა ორი კილო ვერცხლის ჯართიო. თუ ფიქრობ დაჭერას, მაგაზე ნუ შეიწუხებ თავს, მე ვალდებული ვარ, დაჭერილები გამოვიყვანო ციხიდან. ამის შანსიც მაქვს და საშუალებაცო.**

შემდგომში ამის თაობაზე გამომძიებელს მივეცი ჩვენება. ბიბილეიშვილმა მისაყვედურა: „წავიკითხე შენი ჩვენება, გამომძიებელმა ყველაფერი იცის დეტალებში, რა მოხდა, რატომ გააკეთე ესო, რა გეწყინაო. მე ვუთხარი, რომ ეჭვი მაქვს, ხელჩანთის დაკარგვა თქვენი ჩარევის გარეშე არ მომხდარა-მეთქი. ბიბილეიშვილმა ამაზე მიპასუხა, „ვირო მადლიო“.

**ბიბილეიშვილი ცხოვრობდა ჩემს სახლში, იყენებდა ჩემს უძრავ-მოძრავ ქონებას, მესაკუთრის თანხმობის გარეშე სახლი დატვირთა იპოთეკით, აიღო კრედიტი დიდი ოდენობით, სახლის შესასყიდ თანხას კი არ იხდიდა. მესაკუთრის ხელშეკრულების გარეშე სახლის კომერციულ ნაწილში გახსნა მაღაზია. აგრეთვე, იყენებდა სახლს აფთიაქის საწყობად. ყოველივე ამის შემდეგ, დაუდგენელმა პირებმა ავტომანქანიდან ამომაცალეს ხელჩანთა, რომელიც ბიბილეიშვილმა დამიბრუნა.**

სიცრუითა და დაუსაბუთებლად პროკურორმა გივი შენგელიამ და დეტექტივ-გამომძიებელმა გაგა ბაზაძემ აღძრა შუამდგომლობა ჩემი უძრავი ქონების დაყადაღებისთვის, 2008 წელს მოსამართლე მაკა გორგოძემ პროკურორ გივი შენგელიას შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილა და სახლი არ დამიყადაღა. მაგრამ პატიოსანი და სამართლიანი მოსამართლე მაკა გორგოძის მსგავსი სხვები არ აღმოჩნდნენ. შემდეგ მოსამართლე ციცინო კიკნაძემ, სამართლებრივი გამოძიების გარეშე, ჩემი კუთვნილი უძრავი ქონება (300 000 დოლარად შეფასებული) ბიბილეიშვილის სარჩელის უზრუნველსაყოფად, 2010 წელს 20 000 დოლარად დააყადაღა.

მოსამართლე ციცინო კიკნაძე ერუდირებული, გამოცდილი მოსამართლეა და კარგად ესმის თაღლითურად გაყალბებული საბუთებით ბანკიდან გამოტანილი ჩემი სახლის გარანტიით აღებული 60 000 აშშ დოლარის პროცენტების გადახდა მე არ მევალებოდა; ისიც იცის, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების საფუძველზე ბიბილეიშვილი ჩემი სახლიდან გამოასახლეს. ბიბილეიშვილმა და აბზიანიძემ უდიდესი ზარალი მიაყენეს ჩემს კუთვნილ სახლში არსებულ ქონებას, ეს ზარალი დღემდე იზრდება.

**ჩემი საჩივრის საფუძველზე გენერალური პროკურატურის ინსპექციამ წერილობით შემატყობინა, რომ ქუთაისის პროკურორები გოგიტა გოგლიჩიძე და პროკურორი გივი შენგელია დისციპლინარულად დასჯილები არიან საქმის არაჯეროვნად მიკერძოებით შესრულებისთვის, მაგრამ ამით მაინც არაფერი შეცვლილა. დღესდღეობით სასამართლო პროცესის მოლოდინში ვარ. მერაბ ბიბილეიშვილი წერს, რომ გიული ბარბაშინა რუსეთის მოქალაქეაო. მან ისიც არ იცის, რომ, დიდი ხანია, საქართველოს მოქალაქეც გახლავარ.**

**— როგორც ვიცი, საჩივარი დაწერეთ ფინანსთა და ჯანდაცვის სამინისტროებში?**

— გრიშაშვილის ქ.№31-ში ფსიქოტროპული აფთიაქი ეკუთვნის „მერკური 90“-ის მეპატრონეს ბესარიონ სურმავას, რომლის თქმითაც, ბიბილეიშვილი და ნინო აბზიანიძე მისი თანამშრომლები იყვნენ. როდესაც ფსიქოტროპული აფთიაქი ჩემი განცხადების შემდეგ შეამოწმა ფინანსთა სამინისტრომ, ბიბილეიშვილი უცებ მოაშორეს — გაათავისუფლეს თანამდებობიდან. სურმავას საერთო ნაცნობის წყალობით, გავიგე, რომ მან აფთიაქის ფართი მიაქირავა ნინო გელაზანიას, ადრე ამავე აფთიაქის თანამშრომელს. დღეს გელაზანია-ხარაბაძე ითვლება გაქირავებული აფთიაქის მეპატრონედ, ხოლო ნინო აბზიანიძე კი აფთიაქარად. კვლავ დაწყვილდა ორი ნინო — გელაზანია და აბზიანიძე და შესანიშნავი ტანდემი შეხმატკბილებულად განაგრძობს ფსიქოტროპულ აფთიაქში მუშაობას.

**ფულის აღების წყურვილით შეპყრობილი ცოლქმარი არ თაკილობენ ფსიქოტროპული აფთიაქის ბოროტად გამოყენებასაც. ცნობილია, რომ ბიბილეიშვილი ფსიქოტროპული ავადმყოფების მფარველია. არიან ადამიანები, რომლებიც ადანაშაულებენ ნინო აბზიანიძეს და მათივე თანამშრომელს ნინო გელაზანიას ფსიქოტროპული წამლის „ზოლომაქსის“ სპეკულირებაში. ამიტომ მე განცხადება დავწერე ჯანდაცვის სამინისტროში 2010 წლის 14 მაისს და ჩემი მოთხოვნით ფსიქოტროპული აფთიაქის მუშაობა სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა. ჯანდაცვის კომისიამ „მერკური 90“-ის აფთიაქში დააფიქსირა ვადაგასული, საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე წამლები.**

კომისიამ ასევე დააფიქსირა სათანადო ნებართვის გარეშე უკანონო ფარმაცევტული საქმიანობისა და სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინების გარეშე ფარმაცევტული პროდუქტების საბითუმო რეალიზაციის განხორციელების, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების მიღებისა და გაცემის რეალიზების ფაქტები. ამასთან დაკავშირებით შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი და ეს ოქმი გადაგზავნილია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

**ირმა ბარბაშინას ბრალდებაზე მერაბ ბიბილეიშვილმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა. იგი დაგვთანხმდა შეხვედრაზე, მაგრამ მხოლოდ შემდეგი სიტყვებით შემოიფარგლა:**

„ჩემს ადვოკატთან შეთანხმებით, არ ვაპირებ პასუხი გავცე იმ ბრალდებებზე, რასაც ეს ქალბატონი მიყენებს და რაც არის ყოვლად უსაფუძვლო. ამჟამად არა ქალბატონი ბარბაშინა, არამედ მე ვარ დაზარალებული. სწორედ მან დაგვაძალა თავისი სახლის ყიდვა, მოგვანდომებინა და გვითხრა, რომ ფულის გადახდას დაგაცდითო. შემდეგში ყველაფერი უარყო და ჩვენი სახლიდან გამოსახლება სცადა. ვისაც აინტერესებს, გამოძიების მასალები საქმეში დევს და ყველაფერი იქ წერია; მათ შორის მოწმეთა და თვითმხილველთა ჩვენებები, ასევე ვიდეოჩანაწერი. ამაზე მეტის თქმას არ ვაპირებ პრესასთან“.

**საქმის მასალები ამ ეტაპზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში დევს. კომიტეტის წევრის — დიმიტრი ლორთქიფანიძის სახელზე შესული განცხადება მთავარი პროკურორისგან პასუხს ელის.**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის თანამოადგილე:**

— ირმა ბარბაშინა არის მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერლის, ლირიული ტენორის დათიკო ბადრიძის ქალიშვილი, ექიმი-ფტიზიატრი და კარდიოლოგი, ამავე დროს აკადემიკოსი. იგი გახლავთ რუსეთის ფედერაციის აკადემიის ნამდვილი წევრი. მას საქართველოში, კერძოდ ქუთაისში ჰქონდა ძალიან დიდი უძრავი ქონება. მოხდა ისე, რომ იგი აღმოჩნდა თაღლითური ქმედების მსხვერპლი. ჩვენთან ეს ქალბატონი შემოვიდა განცხადებით. ის ისტორია, რომელიც მე მისგან მოვისმინე, გამოძიების მასალები, რომელსაც გავეცანი, ნამდვილად მაძლევს საბაბს, ვივარაუდო, რომ ქალბატონი ირმა ბარბაშინა არის თაღლითური ქმედების მსხვერპლი და, სამწუხაროა, რომ დღემდე საქართველოს პროკურატურა არ იჩენს სათანადო პასუხისმგებლობას ამ საკითხის საბოლოოდ გასარკვევად. შესაბამისად, საპროცესო ხელმძღვანელობა მოცემულ გამოძიებაზე ჭიანურდება ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო.

**— რის გაკეთება შეუძლია თქვენს კომიტეტს ამ შემთხვევაში?**

— ქალბატონი ირმა ბარბაშინა შემოვიდა ჩემთან განცხადებით და, მასში მითითებული გარემოების გათვალისწინებით, ჩვენი კომიტეტიდან პირადად ჩემი სახელით მთავარი პროკურორის სახელზე გაიგზავნა წერილი და პასუხს ველოდები.

ესაუბრა
**თამარ ქევხიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# მართალი ლიპარიტი

**როგორც იქნა, მდინარე ყარაბულახის მარცხენა სანაპიროზე გადავედით... ჩვენი მეგზური, დმანისის გარემოს დაცვის უფროსი ლერი ჩხვიმიანი, რომელიც აქ უკვე ყველა მდინარეს, მთასა და ტყეს იცნობს, მოულოდნელად მარცხნივ გადახვევას გვთავაზობს — დასავლეთით მიმავალი ორი გზით მუსის ციხეს, თამარის ფუნდუკს, გატეხილ საყდარსა და ერთ-ორ სხვა ეკლესიასაც მივადგებითო. მცირე თათბირის შემდეგ ამ შემოთავაზებას უარვყოფთ — დრო მცირე გვაქვს, მთავარი ეკლესიები კი ველისპირიდან იწყება და ამიტომ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებას არ ეღალატება.**



ველისპირის „წმ. დემეტრე“

სოფელი **ველისპირი** არც ვახუშტი ბატონიშვილსა და არც ივანე ჯავახიშვილს არ აქვს აღნიშნული რუკებზე. იგი, ალბათ, ძველი ზაულისტანია, რომელიც გომარეთის დიდი ველის დასაწყისშია და მოგვიანებით ამიტომაც გადარქმევია სახელი. სოფელში არსებული ორი ეკლესიიდან ერთ-ერთი 1888 წელსაა აშენებული მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებში აქ ჩამოსახლებული პონტოელი ბერძნების მიერ. მათი ნაწილი დღესაც ცხოვრობს ველისპირში, სადაც ბოლო დროს სვანეთიდან მოსული მოახალშენეებიც გამოჩნდნენ და ხევსურეთიდან მოსული ერთი წიკლაურიც.

**მეორე, გალავანშემორტყმული ეკლესია, რომელიც ჩვენს წინაპრებს უშენებიათ და ველისპირის ცენტრშია, VIII-IX საუკუნეებისაა. ეს წმიდა დემეტრეს სახელობის გრძელი, დარბაზული ეკლესიაა (12,3X6,5 მ), რომელიც დასავლეთით კიდევ უფრო დაგრძელებულია გვიან მიდგმული საქალებოთი. ასევე გვიანდელია მთავარ ნაგებობაზე სამხრეთიდან მიდგმული ერთობ პრიმიტიული კარიბჭე. სავარაუდოა, რომ ტაძრის სახურავის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში აღმართული XIX საუკუნის სამრეკლო ბერძენთა „შემოქმედებაა“. ეს 1888 წლამდე უნდა მომხდარიყო, სანამ ისინი თავიანთ საყდარს ააგებდნენ.**

VIII-IX საუკუნეების ტაძარს შვერილი აფსიდი აქვს, ნაგებია ოდნავ პირმოსწორებული სხვადასხვა ფერის ყორექვით, მაგრამ წყობის თარაზულობა ყველგან შენარჩუნებულია. საყდარს, აღდგენის მიუხედავად, შემონახული აქვს სოსანისფერ ქვაში გამოჭრილი, სამკაულებიანი და თაღ-კბილანიანი ლავგარდანი... სამრეკლოდან მარჯვნივ ლავგარდანის ერთ-ერთ მონაკვეთში ამოკოდილია ძნელად გასარკვევი ქართული ასომთავრული წარწერა. ძირითად დარბაზში შესასვლელი ერთადერთი სამხრეთის კარი არქიტრავულია, ხოლო კამარათა თაღები შეუმჩნევლად შეისრული. საკურთხეველი ამჟამად ხის კანკელითაა გამოყოფილი (შეიძლება ესეც ბერძნების ნახელავია), ხოლო იქვე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე, საყდრის ბავრაყებია აყუდებული. როგორც ჩანს, ეკლესიას ერთ დროს მარცვლეულის ბეღლად იყენებდნენ, რადგან შიგნით კირის სქელი ფენითაა შეთეთრებული.

მომდევნო ორი სოფელი ისტორიულ გომარეთამდე **განახლება** და **სარკინეთია,** მაგრამ, ველისპირისა არ იყოს, ეს სახელებიც გვიან შერქმეულია. განახლებას სულ რამდენიმე წლის წინათ თურქმანული ამბრალო ერქვა, სარკინეთს კი დემურბულახი, თუმცა ვახუშტი ბატონიშვილი არც ასეთ სოფელს იცნობდა აქ. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამბრალო გათათრებულ ბერძენთა დარქმეული სახელია. რაც შეეხება სარკინეთს, ეს ჩვენ მიერ შერქმეული სახელია ამ სოფლისათვის, მაგრამ რატომ მოხდა ასე, გაურკვეველია. სარკინე ძველად სულ სხვა სოფელს ერქვა ბურტაკეტში, რომელიც მუხის ციხესთან არსებობდა. საფიქრალია, რომ ამჟამინდელი სოფლების განახლება — ამბრალოს და სარკინეთის ძველი სახელები დიდი და მცირე **ურცევანი** უნდა ყოფილიყო.


განახლების „ელიაობა“ და მისი წარწერა

მოსახლეობისაგან სანახევროდ დაცლილ განახლებაში ორი ეკლესიაა: ერთი მთაზე და ერთიც ქვევით. საინტერესოა სწორედ ეს უკანასკნელი, რომელიც სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში, შემოკავებულ მაღალ ბორცვზე დგას. ტაძარი სიგრძეში 10,5 მეტრია, სიგანეში — 8,3 მეტრი, მაგრამ, გარდა ამისა, სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე აქვს გვიანდელი მინაშენიც. ტაძარი წმიდა ელიას სახელზე ყოფილა ნაკურთხი, რადგან მას დღემდე შემორჩა სახელწოდება „ელიობა“. იგი ნაგებია სხვადასხვა ზომის ასე თუ ისე ნორმალურად გათლილი მუქი რუხი ტუფის ქვით. თუ წითელ ქვაში გამოყვანილ აღმოსავლეთ სარკმლის წყვილ გრეხილლილვიან საპირეს არ ჩავთვლით, ტაძარს სხვა რაიმე სამკაული გარედან არ აქვს, თუმცა ერთი უცნაური ქვა მაინც გვხვდება სამხრეთ ფასადზე ლავგარდანის ქვევით. ეს ქვა, ისევე როგორც მთელი კედელი, თეთრად არის გადაღებილი და ძნელი გასარკვევია, რასთან გვაქვს საქმე — წმიდა ელიას გამოსახულებიან სტელასთან თუ გვიანდელი რესტავრატორების მიერ გამოყენებულ საფლავის ქვასთან. ქვა დიდი არაა... ყოველივე ეს ნამდვილად მეორეხარისხოვანია ამ ტაძრისათვის, რადგან იგი უიშვიათეს ლაპიდარულ წარწერას ინახავს.

**მთავარ დარბაზში შესასვლელი კარის ბალავარზე ჩინებულადაა შემორჩენილი დიდი გრაფემებით ამოკოდილი ასომთავრული წარწერა: „ქორონიკონი იყო სმიბ (ე.ი. 1032 წ.) ქ. მოწყალებითა ღმრთისაითა მე თეოდორე ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა საყდრისა. ადიდენ ღმერთმან ბაგრატ მეფისა სალოცველად და შემდგომად ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა. დაიდენ ესე ოდეს შეიპყრა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავმა ამირაი“. აქვე არის ერთი წარწერიანი ქვაც, რომლის ტექსტში კიდევ ერთხელ გვახსენებს თავს ვინმე თევდორე — ქტიტორი ან ხუროთმოძღვარი.**

თქმა არ უნდა, პირველ წარწერას გაცილებით წონადი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის. ბაგრატ მეფე ბაგრატ IV-ა, თბილისის ამირა ჯაფარ ალის ძეა, ხოლო ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი — ლიპარიტ IV ბაღვაში. მაშინდელ საქართველოში უმთავრესი ძალაუფლება ორი ადამიანის ხელში იყო ყმაწვილი მეფის ბაგრატ IV-ის დედის — მარიამის (სომეხთა სამეფო სახლის წარმომადგენლის) და რეგენტის — ლიპარიტ IV-ს, რომელიც, ივანე აბაზას ძესთან ერთად, განაგებდა ქვეყნის საქმეებს. სწორედ განახლების „ელიოზის“ ეკლესიის წარწერით დადგინდა თარიღი, თუ როდის შეიპყრო ლიპარიტ IV-მ თბილისის ამირა და როდის წაართვა ერთი ციხეც. მაგრამ მოხდა ისე, რომ სხვა დიდებულებისა (და, ალბათ, დიდი რჩევითაც, ბაგრატ IV-მ შეპყრობილი ამირა გაათავისუფლა და თბილისში დაუბრუნა. 3 წლის შემდეგ ლიპარიტ IV-ს ინიციატივით, ბაგრატ IV-მ კახთა მეფის ლაშქართან ერთად ალყა შემოარტყა თბილისს და ის-ის იყო უნდა აეღო, რომ მოულოდნელად ალყა მოხსნა (ალბათ, ისევ ვინმე დიდებულების რჩევით) და თბილისს ხელი არ ახლო. სწორედ ამ დროიდან მოხდა განხეთქილება ბაგრატიონებსა და ბაღვაშებს შორის. როგორც ჩანს, სამეფო სახლი, თბილისის აღებითა და საამიროს შემოერთებით, ბაღვაშთა გვარის შემდგომ გაძლიერებას ჭვრეტდა, რომელსაც ისედაც არ აკლდა ძალაუფლება და ბიზანტიის კართან სიახლოვე. გარდა ამისა, გაძლიერებული ლიპარიტი ნაადრევად აღმოფხვრიდა საქართველოს ტერიტორიიდან ტაშირ-ძორაგერტის სომხურ სამეფოს, რომელიც თრიალეთ-ზურტაკეტს ემეზობლებოდა სწორედ. ჩანს, ესეც ვიღაცას არ აძლევდა ხელს. ასეა თუ ისე, ამ ორ კონკრეტულ შემთხვევაში, ლიპარიტ IV-ს პოზიცია უფრო მყარი და გამართლებულია. მოხდა ისე, რომ თბილისის საამიროს გათავისუფლებამ ერთი საუკუნით გადაივადა.

აი, ასეთ საინტერესო და მძიმე ისტორიულ მოვლენას გვახსენებს ზურტაკეტის ეს ერთი ეკლესიაც კი.

განახლებიდან **სარკინეთში** გადავდივართ, სადაც ასევე ორი ეკლესიაა. ერთი სოფლის ქვედა უბანშია, მეორე მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზედა უბანში.


სარკინეთის წმ. ბასილის ეკლესია დიდი პოსტამენტით და ვერძის ქანდაკებით

პირველი ეკლესიისათვის იქ მცხოვრებ ბერძნებს „ედიქილისა“ (შვიდთა ეკლესია) შეურქმევიათ, ახლა კი გომარეთის მიდამოებში მცხოვრები ქართველობა „წმიდა გიორგით“ მოიხსენიებს. ტაძარი, რომელიც გვიანი შუასაუკუნეებისაა, ორი ერთმანეთზე მიდგმული ნაგებობისგან შედგება — თავად საყდრისაგან და მასზე ჩრდილოეთიდან მიდგმული სამსართულიანი კოშკისაგან. კოშკის პირველი სართული ბუხრიანი სენაკია, მეორე სართული — სამლოცველო, მესამე სართული — სამრეკლო. კომპლექსი ნაშენია სხვადასხვა ფერის ყორექვით, წყობა ქაოტურია. სამხრეთის კარის წინ, ტაძართან, ქვის უნაგირიანი ბედაურია.

**მეორე ეკლესია გაცილებით მნიშვნელოვანია. იგი ნაშენია უხეშად დამუშავებული ადგილობრივი კლდის ქვით, მაგრამ წყობა განუხრელად თარაზულია.**

**ტაძარი, რომელიც აღმოსავლეთით შვერილი აფსიდით სრულდება, ხოლო სამხრეთით, მთელ სიგრძეზე, მინაშენს იერთებს, ყორე-ბაღვანშია მოთავსებული. იგი სიგრძეში 16,6 მეტრია, სიგანეში (უმინაშენოდ) — 7,5. ტაძარი ნათდება 5 ვიწრო სარკმლით, რომელთაგან 3 სამხრეთ კედელშია გაჭრილი და, საპირეების ნაცვლად, სინგურით არის არშიაშემოვლებული.**

ერთ-ერთ სარკემლს არშიად მზის სხივები აქვს მიხატული. ტაძრის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა მისი ულამაზესი თაღ-კბილანებიანი ლავგარდანი ორმაგი არშიებით. ასეთი ლავგარდანი IX საუკუნის დასაწყისამდე იყო გავრცელებული, მერე აღარ გვხვდება. საყდარში მოხვედრა სამხრეთის მინაშენიდან შეიძლება, რომლის კართან პატარა, მაგრამ ძალიან ორიგინალური ქვის ჭედილაა, რომელსაც კისერზე ჯინჯილები აქვს შემოვლებული, ხოლო ფერზე დონინჯშემოყრილი მოყმეა გამოქანდაკებული. შიგნით ტაძრის კამარა სამ თაღს უკავია, რომლებიც ძლიერი, ორსაფეხურიანი პილასტრების მარტივი კაპიტელებიდან გადადის. საკურთხეველში დგას უძველესი ტრაპეზის ქვა ე. წ. ბოლნური ჯვრით.

**ტაძარს მხოლოდ ერთი, ძალიან მოკლე ასომთავრული წარწერა აქვს დასავლეთის ფრონტონში არსებული წითელი ჯვრის ფრთებქვეშ.**

**ხუროთმოძღვრული ნიშნებით სარკინეთის ეს ტაძარი, რომელიც წმიდა ბასილის სახელობისაა, VIII საუკუნის ნაგებობა უნდა იყოს.**

ძალიან ძნელი დასათარიღებელია გალავნის გარეთ, ტაძრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ათიოდ მეტრში აღმართული მცირე ნაგებობა, რომელსაც, კვარცხლბეკის ფუნქციას თუ ასრულებდა, მაშინ ძალიან დიდი ეთქმის. უზარმაზარი თლილი ქვიშაქვის ლოდებით აყვანილი, 2 მეტრამდე სიმაღლისა და 1 მეტრი სიფართის ნაგებობის ზედა რეგისტრში ჩასმულ სამ სამკაულიან ფილას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომელიც გვიანდელი შეკეთების კვალი უფრო უნდა იყოს, კვარცხლბეკი ძალიან ძველი, საყდარზე ადრინდელიც შეიძლება გამოდგეს. იოლი შესაძლებელია, რომ მასზე დიდი ქვაჯვარი იყო აღმართული.

ერთი სიტყვით, წმიდა ბასილის საყდარი იმდენად საინტერესო გამოდგა, რომ სარკინეთიდან გომართში ამაღლებული განწყობილებით გადავდივართ.

**ბელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გენერალი პეტრე ბაგრატიონი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19-23



**დადგა 26 აგვისტო — ბოროდინოს ბრძოლის დღე. „მზე დიდებულად ამოდიოდა, ქრებოდა გრძელი ჩრდილები. ნამი ჯერ კიდევ ბრწყინავდა მინდორველებზე, რომლებიც რამდენიმე საათის შემდეგ სისხლით შეიღება. დიდი ხანია, რაც ჩვენს ბანაკში განთიადის საყვირი გაისმა. ჯარები სიჩუმეში ელოდნენ საშინელ ხოცვა-ჟლეტას. ყველას ბრძოლა სწყუროდა, მტერს გაბოროტებით შესცქეროდნენ და არავინ არ ფიქრობდა მოსალოდნელ საფრთხეზე, სიკვდილზე. ამინდი მშვენიერი იდგა, რაც უფრო აძლიერებდა მტერთან შებმის წყურვილს“, — ასე აღწერს ბოროდინოს დილასა და რუს მებრძოლთა საბრძოლო განწყობას ომის მონაწილე ნ. მურავიოვი.**

ბრძოლა, რომელსაც ბადალი არ აქვს ომების ისტორიაში, დაიწყო 26 აგვისტოს დილის 5 საათზე გენერალ დელზონის დივიზიის იერიშებით სოფელ ბოროდინოზე. თითქმის ერთდროულად გაჩაღდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა რუსების მარცხენა ფლანგზე, რომელიც შედარებით სუსტად იყო გამაგრებული და მეომართა რაოდენობაც ნაკლები ჰყავდა. სწორედ ამიტომ მისი დაცვა გენერალ ბაგრატიონს მიენდო.

**თანამედროვეთა და ომის მონაწილეთა ერთსულოვანი მოწმობით, ფრანგების ძირითადი დარტყმა ბაგრატიონისაკენ იყო მიმართული. ამას არც ნაპოლეონი უარყოფდა. თავდაპირველად ფლეშებს დავუს და ნეის კორპუსები უტევდნენ. მათ მხარს უჭერდა 130 ქვემეხისაგან შემდგარი საარტილერიო ნაწილები. მაგრამ ფლეშებიდან ბაგრატიონის განდევნის ყველა ცდა ამაო გამოდგა. მოწინააღმდეგის დანაკარგი საგრძნობლად იზრდებოდა. მარშალმა დავუმ კონტუზია მიიღო. მიუხედავად ამისა, ფრანგები უფრო მეტი გააფთრებით უტევდნენ, თუმცა ნიშანიც კი არ ჩანდა იმისა, რომ რუსები წინააღმდეგობას შეწყვეტდნენ.**

დილის 7 საათისათვის სამმა კორპუსმა საუკეთესო ფრანგი მარშლების — დავუს, ნეისა და მიურატის მეთაურობით დაიწყო ბაგრატიონის ფლეშების ახალი იერიში. ქვემეხების რიცხვი 130-დან 150-მდე გაიზარდა. ბაგრატიონის წინაშე იდგა ურთულესი ამოცანა, მტრის უკუგდება და პოზიციის შენარჩუნება. განსაცდელის ჟამს პეტრე ბაგრატიონი არასდროს ჰკარგავდა სულიერ სიმშვიდეს და წონასწორობას. იგი ახლაც აუღელვებლად ელოდა ბრძოლას. მისი ჯარისკაცები და ოფიცრები, გამხნევებულნი მეთაურის ვაჟკაცური სიმშვიდით, ასევე აუღელვებლად ელოდნენ მოახლოებულ განსაცდელს და მზად იყვნენ, დაეცვათ სამშობლო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ბაგრატიონი სულ მალე დარწმუნდა მტრის რიცხობრივ უპირატესობაში და ბრძოლაში ჩააბა სათადარიგო ნაწილები. „ერთ პუნქტში ამხელა ძალების თავმოყრა სასტიკ სისხლისღვრას მოასწავებდა“, — წერს ამ ოპერაციის მონაწილე პოლკოვნიკი ტოლი. მართლაც, შეტაკებამ საშინელი ხასიათი მიიღო. რუსების არტილერიამ ძლიერი ცეცხლი დაუშინა მოწინააღმდეგეს, რომელიც მედგრად მიიწევდა წინ. ერთხანს ბედმა თითქოს ფრანგებს გაუღიმა — მარშალი ნეი ორი პოლკით ფლეშში შეიჭრა, ხოლო სხვა ნაწილებმა მარჯვენა ფლეში დაიკავეს. სასტიკ ხელჩართულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა გენერალი ვორონცოვი, ხოლო მისი დივიზიისაგან თითქმის აღარაფერი დარჩა. ამის გამო შუა ფლეშიც დაეცა. „ჩემი წინააღმდეგობა არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო, მაგრამ ის მხოლოდ დივიზიის განადგურების შემდეგ შეწყდა“, — წერდა მოგვიანებით გენერალი ვორონცოვი.

9 საათზე ბაგრატიონმა ბრძანება გასცა, დაებრუნებინათ ფლეშები. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა გენერალ ნევეროვსკის დივიზიას დაეკისრა. რადგანაც დივიზიისაგან თითქმის არაფერი დარჩა, იგი სხვა ნაწილებით გააძლიერეს. დივიზიამ მედგრად შეუტია მტერს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ნეისა და დავუს დასახმარებლად მიურატმა თავისი კავალერია დაძრა, რომელმაც მალე პირი იბრუნა, ხოლო თვით მარშალი კინაღამ ტყვედ ჩავარდა. ფლეშები ფრანგებისაგან გაიწმინდა.

ფრანგები, რომლებიც ასეთ შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, იძულებულნი გახდნენ, მიემართათ ნაპოლეონისათვის და დახმარება ეთხოვათ. ბონაპარტე საშინლად უკმაყოფილო იყო თავისი საუკეთესო სარდლების წარუმატებელი მოქმედებით, მაგრამ მაინც მიაშველა მათ ერთი დივიზია. ახლა უკვე სიმაგრეების დამცველთა წინააღმდეგ მტრის 400 ქვემეხი ამოქმედდა. ამ კრიტიკულ მომენტში ბაგრატიონმა გადაწყვიტა, თავად გადასულიყო შეტევაზე. „რუსები გასაოცარი სიმამაცით იწევდნენ წინ, — წერდა ფრანგი გენერალი პალე, — გაშლილ ველზე არტილერია და კავალერისტები მათ საგრძნობ ზიანს აყენებდნენ, მაგრამ... ისინი უკანასკნელ ძალებს იკრებდნენ და ისევ მედგრად გვიტევდნენ“.

**ნაპოლეონი, რა თქმა უნდა, მზად იყო ბაგრატიონის შეუპოვარი წინააღმდეგობისათვის, მაგრამ იმას წამითაც ვერ წარმოედგინა, რომ ამ წინააღმდეგობას შეეძლო, ლეგენდარული ხასიათი მიეღო.**

ფრანგების შეუპოვრობით არანაკლებ გაკვირვებული იყო ბაგრატიონიც. იგი ნათლად ხედავდა მათ გმირობას, ხედავდა, რომ მათ ვერც ხიშტი და ვერც ცეცხლი ვერ აჩერებდა. სწორედ ამ დროს წამოიძახა მან „ბრავო“ ფრანგების 57-ე სახაზო პოლკის პატივსაცემად, რომელსაც თითქოს დაევიწყებინა სიკვდილის შიში და შეუჩერებლივ მიიწევდა წინ.

**ამ ბრძოლაში ბაგრატიონი დაიჭრა. ჭრილობა, როგორც ცნობილია, საბედისწერო გამოდგა. იგი არ ამხელდა ამ ამბავს, რადგანაც იცოდა, რომ მას შეეძლო არევ-დარევა გამოეწვია მებრძოლთა რიგებში. საუბედუროდ, ასეც მოხდა. „ხაზს მოედო საშინელი ამბავი მეორე მთავარსარდლის დაღუპვის შესახებ და ჯარისკაცებმა ხელები დაუშვეს“, — იგონებს თედორე გლინკა. საშინელი ტკივილებისაგან შეწუხებული, ძალაგამოლეული, გაფითრებული ბაგრატიონი უნაგირიდან ვარდებოდა, მაგრამ ბრძოლის ველს არ ტოვებდა და ჩურჩულით იძლეოდა ბრძანებებს. მას უნდოდა გარკვეულიყო ბრძოლის ბედში, რომელიც უფრო და უფრო სათუო ხდებოდა.**

ბოლოს და ბოლოს დაჭრილი სარდალი მაინც გაიყვანეს ბრძოლის ველიდან, რომელსაც იგი არასდროს აღარ დაბრუნებია. იგი გარდაიცვალა 47 წლის ასაკში 1812 წლის 24 სექტემბერს ვლადიმირის გუბერნიის სოფელ სიმიში.

„ავადმყოფობის განმავლობაში, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, დღისით და ღამით მომაკვდავის საწოლთან ვიმყოფებოდი. ჭრილობისაგან საშინელ ტკივილებს გრძნობდა, აწუხებდა მძიმე შეტევები, მიუხედავად ამისა, ერთხელაც არ დაუჩივლია თავის ხვედრსა და ტანჯვაზე, რომელსაც იგი გმირულად იტანდა, სიკვდილს ისეთივე სიმშვიდით ხვდებოდა, როგორც ხვდებოდა მას ყოველთვის ბრძოლის ველზე“, — იგონებს ბაგრატიონის სიცოცხლის უკანასკნელ საათებს მეორე არმიის ექიმი განგარტი.

* * *

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი — პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი სუვოროვისა და კუტუზოვის გვერდით სამართლიანად ითვლებოდა თვალსაჩინო ფიგურად სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. მისი სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსი ხალხის სამხედრო დიდებასთან. 30 წლის განმავლობაში პეტრე ბაგრატიონი თავდადებით იცავდა რუსეთის დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას, მიწა-წყალს. უმაღლესი სარდლობა ბაგრატიონს აგზავნიდა ბრძოლების ყველაზე საშიშ უბნებზე, იქ სადაც გამარჯვების მოპოვება ძალიან საეჭვო, თითქმის შეუძლებელი იყო. ბაგრატიონი ყოველთვის ამართლებდა მასთან დაკავშირებულ იმედებს. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულა არაერთი ოპერაცია, რომელთა განხორციელება შეუძლებლად ითვლებოდა.

ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია, განვიხილოთ ბაგრატიონის მხედართმთავრული თვისებები, რომელთა წყალობით იგი გახდა შესანიშნავი სარდალი.

მშობლების მოკრძალებულმა მატერიალურმა მდგომარეობამ არ მისცა საშუალება მომავალ გენერალს, მიეღო საჭირო სამხედრო-თეორიული განათლება. ამას, სხვათაშორის, ხშირად ხაზს უსვამდნენ მისი მტრებიც და მეგობრებიც. დენის დავიდოვი, ბაგრატიონის ადიუტანტი 5 წლის მანძილზე, მისი დიდი თაყვანისმცემელი, იძულებული იყო აღენიშნა, რომ პეტრე ივანეს ძე „ნაკლებად გათვითცნობიერებული იყო სამხედრო მეცნიერების წესებში“. ამასვე აღნიშნავდა ბაგრატიონის თანამებრძოლი და მეგობარი გენერალი ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი.

მაგრამ ბაგრატიონს გავლილი ჰქონდა დიდი რუსი მხედართმთავრის სუვოროვის მდიდარი პრაქტიკული სკოლა. მან შესანიშნავად შეითვისა მისი „გამარჯვების მეცნიერება“, რამაც ძალიან შეუწყო ხელი, გამხდარიყო გამოჩენილი სარდალი. ბაგრატიონი წლების მანძილზე მსახურობდა სუვოროვის უშუალო ხელმძღვანელობით, შეისწავლა და შეისისხლხორცა თავისი მასწავლებლის საუკეთესო მხედართმთავრული თვისებები, რომლებიც მისი ლეგენდარული მამაცობის მასაზრდოებელი წყარო იყო.

სუვოროვმა „გამარჯვების მეცნიერების“ არსი შემდეგ სიტყვაში გამოხატა: „თვალზომა, სისწრაფე, შეტევა“, რაც ნიშნავდა: „როგორ დაბანაკდე, როგორ იარო მწყობრში, როგორ სდიო და ურტყა მოწინააღმდეგეს“. სუვოროვი აღნიშნავდა, რომ თვალზომა აუცილებელია იმისთვის, რომ „შეარჩიო ადგილი“, განსაზღვრო მოწინააღმდეგის ძალა და გამოიცნო მისი ჩანაფიქრი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სარდალს უნდა შესწევდეს უნარი, ერთი შეხედვით შეარჩიოს ხელსაყრელი პოზიცია, მიახლოებით მაინც დაადგინოს მოწინააღმდეგის რიცხვი და ძალა, დაადგინოს ბრძოლის დრო და ადგილი, გაერკვეს შექმნილ ვითარებაში და მიიღოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.

ერთ-ერთ წერილში შვილისადმი სუვოროვი თვალზომის შეფასებისას აღნიშნავდა, რომ „მხოლოდ ამ ერთს ძალუძს გაგხადოს გამოჩენილი მხედართმთავარი“.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეშვიდე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ყველაზე საზარელი ცხოველები



**კბილხანჯალა,** რომელსაც ზოგიერთ ენაზე „კაციჭამია თევზს“ უწოდებენ, საკმაოდ საზარლად გამოიყურება. ის ოკეანის სიღრმეებში ბინადრობს და უხეში ქაცვითაა დაფარული, ოთხი გრძელი, სწორი კბილი აქვს, რომლებიც ლურსმნებს მოგვაგონებს. როცა კბილხანჯალა ყბას ხურავს, ქვედა კბილები თევზის ტვინის ორივე მხარეს მოთავსებულ სპეციალურ „შალითაში“ თავსდება, რათა ის არ დააზიანოს. მონსტრის გარეგნობის მიუხედავად, ეს თევზი სულ 15 სმ სიგრძისაა, დიდი თავითა და მოკლე ტანით. მართალია, 5 ათასი მეტრის სიღრმეში საკბილო არც ისე მრავლად მოიპოვება, მაგრამ კბილხანჯალა გამოკვებას მაინც ახერხებს და ბასრი კბილებით მსხვერპლს წამებში ფლეთს.



**აიე-აიე** მადაგასკარზე ცხოვრობს სახლის ელფს დობის წააგავს წიგნიდან „ჰარი პოტერი“. ბუნებამ ამ პრიმატს მღრღნელივით კბილები და გრძელი შუა თითი უწყალობა, რომლის მეშვეობითაც იგი კოდალასავით მოიპოვებს საკვებს. ის მსოფლიოში ყველაზე დიდი ღამის პრიმატია, რომელიც ტყეებში ცხოვრობს. აიე-აიეს ციყვივით ფუმფულა კუდი და მძივივით მრგვალი თვალები აქვს. ჩვეულებრივ, ის თხილით, ჭუპრებით, ნექტარით, ხილითა და სოკოებით იკვებება. უძველესი მალაგაიური ლეგენდის მიხედვით, აიე-აიე სიკვდილის სიმბოლოა და ადამიანი, რომელიც მას ტყეში წააწყდება, გარდაუვალი სიკვდილისთვისაა განწირული.

**„თევზი-დრაკონი“,** ანუ იდიაკანტი გრძელი, მოქნილი თევზია, რომელიც წყალქვეშ 2 ათასი მ-ის სიღრმეში ბინადრობს. ეს თევზი სქესობრივი დიმორფიზმის უმაღლესი ხარისხის მაგალითს წარმოადგენს. მდედრები სიგრძით 40 სმ-ს აღწევენ, აქვთ პატარა თვალები და გრძელი კბილები, რომლითაც სხვა თევზებს იჭერენ. ამრები სულ 5 სმ სიგრძისანი არიან, კბილები და ნიკაპქვეშა ულვაში არ აქვთ. იდიაკანტის ჭუპრის თვალები გრძელ ღეროებზე კიდია, რომლებიც თევზის ზრდის შესაბამისად მოკლდება და თვალებიც, ბოლოს და ბოლოს, ბუდეში თავსდება.



**„თევზი-ალქაჯი“,** ანუ მიქსინა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო თევზია და ყველაზე ლორწოვანი არსება. მისი სხეულის ორივე მხარეზე განთავსებული ფორები დიდი რაოდენობით წებოვან ლორწოს გამოჰყოფს, რისი მეშვეობითაც მიქსინა იმ მკვდარი თევზის სხეულიდან ამოძრომას ახერხებს, რომლის შესასანსლადაც შეძვრა. „თევზი-ალქაჯი“ ერთადერთი თევზია, რომელსაც დაცემინების უნარი აქვს. მიქსინები ჩრდილოეთ ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაში ბინადრობენ და ჯგუფურად დაცურავენ.





**ვამპირი ღამურები** ნამდვილად არსებობენ. ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში მათი სამი სახეობაა გავრცელებული. ვამპირების ფრთაშლა 20 სმ-ია, ხოლო სხეულით ადამიანის ცერა თითზე ოდნავ მოზრდილები არიან. მათი ძირითადი საკვები ფრინველების, რქოსანი საქონლის, ცხენებისა და ღორების სისხლია. ბასრი ეშვებით ისინი მძინარე ცხოველის კანს სერავენ და ნერწყვის წყალობით, რომელიც სისხლს შედედების საშუალებას არ აძლევს, სიმაძღრემდე იკვებებიან. ამასთან, მათი ნერწყვი ჭრილობას აუტკივარებს და მსხვერპლს არ ეღვიძება. თუ ვამპირი რეგულარულად არ მიიღებს სისხლის საჭირო დოზას, ორგანიზმი გამოეფიტება და 2-3 დღეში მოკვდება.



**გიგანტური კალმარი** უზარმაზარია — ზოგიერთი ცნობით, სიგრძით 20 მ-საც აღწევს. სხეულში ამონიუმის ქლორიდის შემცველობის წყალობით ის ჩინებულად ჩერდება წყლის ზედაპირზე, იკვებება თევზებითა და სხვა კალმარებით. მეზღვაურები ამბობენ, რომ გიგანტურ კალმარებს ნებისმიერი ხომალდის ჩაძირვა შეუძლიათ.

**ანაკონდას** ტამილზე „ანაიკოლრას“ უწოდებენ, რაც „სპილოს მკვლელს“ ნიშნავს. პირველი ესპანელი ახალმოსახლენი ამ გველს „მატატოროს“, ანუ „ხარის მკვლელს“ ეძახდნენ. ანაკონდა მსოფლიოში ყველაზე მძიმე გველია (250 კგ-მდე იწონის). თვალები და ნესტოები თხემზე აქვს განთავსებული, რისი წყალობითაც ანაკონდას სუნთქვა და თავდასხმის ობიექტის დანახვა შეუძლია. ეს გველი იმდენად ღონიერია, რომ ნიანგებსაც კი ერევა.



არც ერთ ცხოველს მსოფლიოში ყბებისა და სხეულის ისეთი პროპორციები არ აქვს, როგორიც **ტასმანიურ ეშმაკს.** თავისი ძლიერი ყბებით მას იოლად შეუძლია დიდი ძვლების გადაკვნეტა. ტასმანიური ეშმაკები ნამდვილ ლხინს აწყობენ — 12-მდე ცხოველი ერთად იკრიბება და ისე მიირთმევს, ამასთან, აქტიურად ურთიერთობენ ერთმანეთთან. მეცნიერებმა 11 სხვადასხვა პოზა და 8 ბგერა გამოარჩიეს, რომელთა მეშვეობითაც ეშმაკები საუბრობენ. ამჟამად ტასმანიური ეშმაკი მხოლოდ ავსტრალიის კუნძულ ტასმანიაზეა, თუმცა ოდესღაც ავსტრალიის მატერიკზეც ბინადრობდა.



## ყველაზე ძვირადღირებული კანფეტები



**შვეიცარიულმა კომპანიამ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კანფეტები გამოუშვა, მათი შესაფუთი საკვებად ვარგისია, რომლის შემადგენლობაშიც ოქრო შედის.** ორკანფეტიანი ნაკრები 37 დოლარი ღირს, ხოლო 8-კანფეტიანის ფასი 100 დოლარია. კომპანიის ხელმძღვანელების თქმით, ოქრო საკვებად ვარგისი ნივთიერებაა, რადგან ხელს არ უშლის მონელების პროცესს და ჰიპოალერგენული თვისებებით ხასიათდება.

## ყველაზე გრძელი ძეხვი



**ხორვატიის ქალაქ ვინკოვიჩში 530 მ სიგრძის ძეხვი დაამზადეს. პროდუქტის მომზადებას 400 კგ ღორის ხორცი, 10 კგ მარილი, 2.5 კგ საკმაზი და 3.5 კგ ნიორი დასჭირდა. ძეხვი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, გრილში შეწვეს.**

## უძველესი პატარა სახელმწიფო



**სან-მარინოს რესპუბლიკა მსოფლიოში უძველესი პატარა სახელმწიფოა, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა 16 საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნა.**

გადმოცემით, რესპუბლიკა 301 წელს დააარსა დალმატინელმა ქვისმთლელმა მარინომ ტიტანოს მთის წვერზე (750 მ ზღვის დონიდან), სადაც ის კერპთაყვანისმცემელ იმპერატორ დოკლეტიანეს ემალებოდა. მარინო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანი იყო, რომელსაც დევნიდნენ და რომელიც სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხეს. დროთა განმავლობაში მთაზე 3 მიუდგომელი ციხესიმაგრე აიგო, შემდეგ კი ქალაქი სან-მარინოც გაშენდა. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ეს ქალაქი არავის დაუპყრია.

ნაპოლეონმაც კი, რომელიც იტალიის დასალაშქრა მიეშურებოდა, ამ პატარა და თავისუფლებისმოყვარე ხალხის სიამაყით აღფრთოვანებულმა, განაცხადა: „სან-მარინო უნდა შენარჩუნდეს, როგორც თავისუფლების მაგალითი!“ აი რატომაა, რომ სან-მარინოს გერბზე სამი ციხესიმაგრეა გამოსახული და ლათინურად აწერია სიტყვა „თავისუფლება“. სან-მარინოს საპარლამენტო რესპუბლიკას ხელისუფლების ყველა ატრიბუტი აქვს: გერბი, დროშა, 60 დეპუტატისგან შემდგარი დიდი გენერალური საბჭო, არმია, ჟანდარმერია, მუნიციპალური პოლიცია და მეარბალეტეების კორპუსი. ყოველწლიურად მას მილიონობით ტურისტი სტუმრობს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე დახურული ადგილები



**ვატიკანის არქივები**

**თავად არქივების არსებობა, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, საიდუმლოს არ წარმოადგენს.** ამასთან, შეგიძლიათ მოითხოვოთ ნებისმიერი დოკუმენტი, მაგრამ ზუსტად უნდა მიუთითოთ, რომლის ხილვა გსურთ. თუმცა არქივში, სადაც სტელაჟების სიგრძე 84 კმ-ს შეადგენს და დაცულია 35.000 საიდუმლო დოკუმენტი, არასდროს არავის უშვებენ!

**ზონა 51**




**ზონა 51 აშშ-ში, ნევადის შტატის სამხრეთ ნაწილში, ლას-ვეგასიდან 133 კმ-ში მდებარე სამხედრო ბაზის ფსევდონიმია.** გრუმის ტბის პირას კი დიდი დახურული სამხედრო აეროდრომია, სადაც ექსპერიმენტული თვითმფრინავებისა და შეიარაღებათა სისტემების გამოცდა მიმდინარეობს. ეს ბაზა, რომლის არსებობას თავად აშშ-ის მთავრობა უხალისოდ აღიარებს, იდუმალების საბურველითაა მოცული. ამბობენ, რომ იქ ამოს საკვლევი ცენტრია განთავსებული.



**სამხედრო ბაზა RAF MENTWITH HILL**

**RAF Menwith Hill-ი ბრიტანეთის სამხედრო ბაზაა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ჯაშუშთა გლობალურ ქსელ Echelon-თან. მის ტერიტორიაზე განთავსებულია დიდი საჰაერო თანამგზავრული სისტემა, სარაკეტო თავდასხმის გამაფრთხილებელი სისტემა, რომელიც მსოფლიოში მონიტორინგის უდიდეს ელექტრონულ სადგურად მიიჩნევა.**

Echelon-ის ქსელი ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირისა და მოკავშირეების აღმოსავლეთი ბლოკის სამხედრო და დიპლომატიური საქმიანობის სამეთვალყურეოდ შეიქმნა 1960-იანი წლების დასაწყისში. ახლა კი ის პოლიტიკური და დიპლომატიური დაზვერვის საქმიანობას ადევნებს თვალს. ასევე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სატელეფონო ზარებსა და რადიოკავშირს ფილტრავს.

**მოსკოვის მეტრო-2**

**სისტემა, სავარაუდოდ, სტალინის ეპოქაში აიგო კოდური სახელწოდებით D-6.** რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახური, ისევე, როგორც მოსკოვის მეტროპოლიტენის ადმინისტრაცია, არც უარყოფს და არც ადასტურებს მეტრო-2-ის არსებობას. გავრცელებული ხმებით, მეტროს ხაზი აერთიანებს კრემლს, ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის შტაბბინას, აეროპორტ ვნუკოვო-2-ს, რამენკის მიწისქვეშა ქალაქსა და ნაციონალური მნიშვნელობის სხვა ადგილებს.



**ისეს დიდი ტაძარი**

**მზის ღმერთის, ამატერასისთვის მიძღვნილი ისეს ტაძარი იაპონიის ერთ-ერთ უდიდეს სიწმინდედ მიიჩნევა.** იგი ყოველ 20 წელიწადში ერთხელ ინგრევა და შენდება, სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობის იდეის მიხედვით. ტაძარი იმ ადგილების ნუსხაშია, რომელშიც ვერასდროს მოხვდებით, რადგან ადამიანი, რომელიც იქ შედის, ქურუმად მიიჩნევა და აუცილებლად იაპონიის საიმპერატორო ოჯახის წევრი უნდა იყოს.



## უდიდესი მაკეტი



**ფრედერიკ და გერიტ ბრაუნები ბავშვობაში მატარებლობანას თამაშობდნენ, როცა გაიზარდნენ, მსოფლიოში ყველაზე დიდი სათამაშო რკინიგზის მაკეტი ააგეს, რომელსაც 4 ტონა ფოლადი დასჭირდა და 1150 კვ/მ ფართობი უკავია.** სამუშაოს 500 ათასი საათი მოანდომეს. რკინიგზის საერთო ღირებულებამ 16 მლნ დოლარი შეადგინა. მოდელი 700 მატარებელს, 10.000-ზე მეტ ვაგონსა და ლოკომოტივს, 900 სემაფორს, 4000 მანქანასა და 160 ათას ადამიანის ფიგურას ითვლის, რომელთაგან თითოეული ინდივიდუალურადაა შესრულებული. მაკეტზე განთავსებულია რამდენიმე რეგიონი: ამერიკა, შვეიცარია, სკანდინავია, Gგერმანია და ავსტრიის ალპები. მთლიანად რკინიგზა 2014 წლისთვის დასრულდება და მისი ფართობი 1800 კვ/მ იქნება. თუმცა ძმები ბრაუნები დიდებით ტკბობას არ აპირებენ — უკვე 4 წლის შემდეგ მინიატურული მატარებლები საფრანგეთის ალპებს გადაკვეთენ, ჯერ ლონდონსა და ლივერპულამდე, შემდეგ კი ციმბირსა და შორეულ ჩინეთამდეც მიაღწევენ.

## უდიდესი ხალიჩა



**მსოფლიოს უდიდესი ხალიჩა ირანის მოქალაქეებმა ხელით მოქსოვეს.** სამუშაოს 1.200 ფეიქარი ასრულებდა. 5.625 კვ/მ-იანი (საფეხბურთო მოედანზე დიდი) ჭრელი ხალიჩა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, მეჩეთისთვის შეიქმნა. მის მოქსოვას 38 ტონა ბამბა და შალი დასჭირდა. ხალიჩა 5.8 მლნ დოლარადაა შეფასებული.

# ყველაზე დიდი ხელოვნური რიფი

**„პალმა“ მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელოვნური რიფია, რომელიც ადამიანმა შექმნა, პალაუს, სამხრეთ აფრიკის, ბელიზის, წითელი ზღვის, მალდივის, კაიმანის კუნძულებისა და ბალის რიფების მსგავსად. ზღვის ფსკერის ცვლილებებმა წყალქვეშა ფლორისა და ფაუნის ცვლილებები გამოიწვია. ახლა იქ რიფების ბინადარნი ცხოვრობენ.**

კუნძული სამი ნაწილისგან შედგება: პალმის ღეროს, ტოტებისა და გარშემო 11 მ-იანი წყალსაჭრელისგან, რომელიც კუნძულს ზღვის მხრიდან იცავს.

პროექტის მიხედვით, „პალმა“ ნამდვილ სამოთხედ იქცევა ტურისტებისათვის, მწვანეში ჩაფლული ოტელებითა და ვილებით. კუნძულის ზედა ნაწილი ზღვაში ღრმად შეჭრილი 17 „ტოტი-კუნძულისგან“ შედგება. მათზე დაახლოებით 2000 ვილას ააგებენ. „პალმის“ ღეროზე 2-3 ათასი აპარტამენტი გაჩნდება, ხოლო წყალჭრილზე 22 კურორტი განთავსდება.

„პალმის“ ქვედა ნაწილი კონტინენტს სამასმეტრიანი ხიდით დაუკავშირდება.

აქვე იგება რკინიგზა, რომელიც საათში ერთხელ 2-3 ათას კაცს კუნძულზე ჩამოიყვანს ან აქედან წაიყვანს.





# ყველაზე გრძელი კიდული ხიდი

**კიდულ ხიდებს შორის ყველაზე გრძელი რიო-ანტირიოს ხიდია საბერძნეთში. ხიდი ორ ქალაქს — რიოსა და ანტირიოს აკავშირებს და მისი სიგრძე 2882 მ-ია. მისი ოფიციალური სახელწოდებაა ხარილაოს ტრიკოუპისი.** 2004 წელს ათენში ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ხიდის ექსპლუატაციაში გაშვებას 630 მლნ ევრო დასჭირდა და ხარჯების უმეტესი ნაწილი ევროკავშირმა გაიღო.

პირველებმა მასზე სპორტსმენებმა გაიარეს, რომლებსაც ოლიმპიური ცეცხლი მიჰქონდათ.

**მეორე დღეს ხიდზე გავლა ფასიანი გახდა — 10.5 ევრო ავტომანქანებისა და 1.7 ევრო — მოტოციკლეტებისთვის.**

ხიდი გენიალურ საინჟინრო გადაწყვეტილებად ითვლება, რადგან წყლის სიღრმე აქ 65 მ-ს აღწევს და აუცილებელი იყო ისეთი სამშენებლო მასალების გამოყენება, რომლებიც მაღალ სეისმურ აქტივობასა და ცუნამის გაუძლებდა.

29 ივნისი — 6 ივლისი, 2010 წელი. №24 (67)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იღბლიანი ქარწაღებული



**უნგრეთში ძლიერმა ქარიშხალმა ძაღლი გაიტაცა. საბრალო ცხოველი თავისი სახლიდან 32 კილომეტრის დაშორებით იპოვეს და პატრონს დაუბრუნეს.**

სოფელ გესტერედში მცხოვრები 57 წლის აგნეს ტომასის თქმით, ქარიშხლის ამოვარდნისას ძაღლი თავის ჯიხურში იჯდა და ჯაჭვით იყო დაბმული. ქარმა ის ჯიხურიან-ჯაჭვიანად წაიღო. როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნავენ, ამ სიძლიერის ქარიშხალი აქამდე არასდროს უნახავთ. ძაღლი სტიქიის ერთადერთი მსხვერპლი არ იყო, სახლების დიდ ნაწილს სახურავები აღარ შერჩა. რაც შეეხება იღბლიან ქარწაღებულს, ის თავისი ქოხისა და ჯაჭვის გარეშე იპოვეს. ცხოველი რამდენიმე საათის განმავლობაში კანკალებდა, მაგრამ გადარჩა და პატრონს დაუბრუნდა. მომხდარის გამო მას ახლა ახალი სახელი — იღბლიანი შეარქვეს.

# დრაკულას ნათესავი ვამპირი



**ბრიტანელი მსახიობი რობერტ პატინსონი, რომელმაც გახმაურებულ ფილმ „ბინდის“ ორ ნაწილში ვამპირის როლი შეასრულა, ვლად III-ის, მეტსახელად დრაკულას, და ამავე სახელწოდების რომანის მთავარი გმირის პროტოტიპის შორეული ნათესავი აღმოჩნდა.** პატინსონის გენეალოგიის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ის დრაკულასთან ბრიტანეთის სამეფო ოჯახის მეშვეობითაა დაკავშირებული. მსახიობი ბრიტანეთის პრინცების — ჰარისა და უილიამის შორეული ნათესავია, ისინი კი, თავის მხრივ, XV საუკუნეში მცხოვრები რუმინელი თავადის შთამომავლებად ითვლებიან.

გენეალოგიის სპეციალისტის — ანასტასია ტაილერის მტკიცებით, მან და მისმა კოლეგებმა „ყოველგვარი მაგიისა და მისტიკის“ გარეშეც იოლად აღმოაჩინეს პატინსონის კავშირი მეფეებთან და ვამპირებთან. ეს კი მის ისტორიას ისეთსავე ზებუნებრივს ხდის, როგორიც მისი ეკრანული გმირის ამბავია.

# ესროლე... პირდაპირ ფეხებში!



**მთლად ფეხებში არა, მაგრამ ოდნავ ზემოთ, დუნდულებში სროლა ავსტრალიელთათვის მშვენიერი გასართობი აღმოჩნდა.** 34 წლის ორმა მამაკაცმა ჯერ მშვენივრად მოილხინა, ლუდით ისიამოვნა, შემდეგ კი გადაწყვიტა, ექსპერიმენტი ჩაეტარებინა, ვინაიდან მათ, დიდი ხანია, აინტერესებდათ, რამდენად მტკივნეულია ტყვიით მიყენებული ჭრილობა, გადაწყვიტეს, ერთმანეთისთვის დუნდულები დაეხვრიტათ. ექსპერიმენტმა წარმატებით ჩაიარა — მომხდარიდან ორი დღის შემდეგ ორივე საავადმყოფოს საოპერაციო მაგიდაზე იწვა და დუნდულებიდან ტყვიების ამოღების ოპერაციას იკეთებდა. ვინაიდან მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, გამოკეთების შემდეგ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ.

# წაგებული ომიდან წასვლის ვაჟკაცობა

**აშშ უკვე აღარ იმარჯვებს ომებში. ავღანეთში ჩვენი მომქანცველი და დაუსრულებელი ომიდან კარგი ამბები, დიდი ხანია, აღარ ისმის. ოდესღაც ჩვენს იქ შეჭრას რაღაც ღირსეული მიზეზებიც ჰქონდა, მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო. ახლა მხოლოდ ტრაგიკულ ფორმალობებს ვიცავთ და ყოველგვარი რეალური სტრატეგიისა და სასიკეთო დასასრულის რაიმე პერსპექტივის გარეშე აქა-იქ ვახორციელებთ დარტყმებს.**

ეს ომიც აღარაა. ჩვენ, უბრალოდ, დაძაბული და დაბალანაზღაურებადი ჯარები გადაგვყავს საომარი მოქმედებების ერთი ზონიდან მეორეში.

**წლის დასაწყისში გვარწმუნებდნენ, რომ ავღანეთში, როგორც იქნა, მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება, რომ ქვეყნის სამხრეთით მდებარე მარჟაში ამერიკელი, ბრიტანელი და ავღანელი სამხედროების მიერ ხორციელდება მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია, რომლის მიზანიც, ავღანეთში ამერიკელი სარდლის გენერალ სტენლი მაკარტნის მტკიცებით, ქალაქიდან თალიბების განდევნა და ხალხის მოსაწონი ხელისუფლების დაყენება იყო.**

ამ ტრიუმფს მეზობელ პროვინცია ყანდაგარში უფრო მასშტაბური სამხედრო ინიციატივა უნდა მოჰყოლოდა. ოპერაციის შედეგად ქვეყნის სამხრეთი მთლიანად უნდა გათავისუფლებულიყო თალიბებისგან და ზაფხულის დასასრულამდე მჭიდროდ დასახლებული სამხრეთ პროვინციები ცენტრალური ხელისუფლების ეფექტურ კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა. ამის შემდეგ კი ობამას მიერ ჯარების გაყვანის დაწყებისთვის დათქმულ ვადამდე — 2011 წლის ივლისამდე — კიდევ ერთი წელი რჩებოდა.

მაგრამ, დაივიწყეთ ეს ყველაფერი. სარდლებს იმის დამტკიცებაც კი არ შეუძლიათ, რომ მარჟაში რაიმე წარმატებას მიაღწიეს. რაც შეეხება ყანდაგარს, სიტყვა „შეტევაც“ კი არ გამოიყენება იმ სამხედრო ოპერაციების აღსაწერად, რომლებიც ამ პროვინციაში მიმდინარეობს.

**ის, რაც ავღანეთში ხდება, მხოლოდ ტრაგიკული კი არა, სამარცხვინოცაა. ამერიკულმა ჯარმა შესაძლოა კიდევ იომოს, მაგრამ მის მოკავშირეებად შერაცხული ავღანური ჯარი თითსაც არ გაანძრევს. წარმოუდგენლად კორუმპირებული და არაკომპეტენტური პრეზიდენტი ყარზაი უკიდურესად არაპოპულარულიცაა. ბოლო დროს კი ამ ომში აშშ-ის გამარჯვების იმედი მასაც დაეკარგა და ნელ-ნელა თალიბებთან დამეგობრებას ცდილობს.**

**არ არსებობს მოქმედების ერთიანი გეგმა, რეალური სტრატეგია ან სამიზნეები, რომელთა მიხედვითაც ამერიკა საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა. ეს არის მხოლოდ უაზრო ხოცვა-ჟლეტა თვიდან თვემდე და წლიდან წლამდე. 18 წლის ბიჭები, რომლებიც ახლა ყველაზე ხშირად ეწირებიან ამ ომს, მხოლოდ 9-10 წლისანი იყვნენ, როდესაც 2001-ში პენტაგონს თავს დაესხნენ.**

ამერიკელები საერთოდ გამოეთიშნენ ამ ომს და მასზე ფიქრიც კი აღარ სურთ. მათ მხოლოდ ის უნდათ, რომ არ გაუზარდონ გადასახადები და ამ ომის ხარჯები არ გადაახდევინონ.

**ავღანეთში გამარჯვების არც მაღალჩინოსან ამერიკელებს სჯერათ. მათ არც ის იციან, როგორ დაასრულონ ეს ომი.**

დამატებით 30 ათასი სამხედროს გაგზავნისას პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა: **„როგორც თქვენი მთავარსარდალი, ვალდებული ვარ, გაგგზავნოთ იმ მისიის შესასრულებლად, რომელიც მკვეთრადაა განსაზღვრული და რომელიც ღირსია თქვენი მსახურებისა“.**



ეს მკვეთრად განსაზღვრული მისია ჯერაც არ განხორციელებულა.

**საბოლოო ჯამში, ავღანეთის კატასტროფაში, რომელმაც უკვე ათასზე მეტი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა, საზოგადოებაა დამნაშავე. თუ ამერიკელებს, როგორც ხალხს, არ ყოფნით ვაჟკაცობა იბრძოლონ და შეეწირონ, არ შეუძლიათ სერიოზულად დაფიქრდნენ ომზე და აიძულონ ლიდერები, პასუხი აგონ მის მიმდინარეობაზე, თუ მისთვის სახსრების გაღებაც კი არ ნებავთ, იმისთვის მაინც უნდა ეყოთ ვაჟკაცობა, რომ ავღანეთიდან ჯარი გაიყვანონ.**

*The New York Times*

# ქმედუნარიანობა ამერიკულად,
## ანუ სტაბილური ქვეყნების რეიტინგის სიურპრიზები

**ომების გამომწვევი მიზეზებისა და პირობების შემსწავლელმა ამერიკულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „მსოფლიო ფონდი“ და ჟურნალმა „Foreign Policy“ „ქმედუუნარო ქვეყნების“ ახალი გლობალური ინდექსი გამოაქვეყნეს. უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკელები საკუთარ თავს არ ღალატობენ — უმთავრეს ღირებულებებად დემოკრატია და ადამიანთა უფლებების დაცვა რჩება. თუმცა ინდექსის განსაზღვრის კრიტერიუმები გაცილებით მეტია. „ქმედუუნაროთა“ სიაში საპატიო პირველი ადგილი, უკვე მესამე წელია, სომალს უკავია. ქვეყანაში გრძელდება სამოქალაქო ომი, მასმედიის მთავარი თემები კი ლამის დაისაკუთრეს სომალელმა მეკობრეებმა. „ქმედუუნაროთა“ პირველ ათეულში არიან ჩადი, სუდანი, ზიმბაბვე, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, გვინეა და პაკისტანი. ვაშინგტონმა პირველი ათეული არც ავღანეთსა და ერაყს დაამადლა.**

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 31 | Rep. of the Congo | 8.7 | 7.7 | 6.3 | 6.4 | 8.1 | 7.8 | 9.1 | 8.6 | 7.7 | 7.6 |
| 32 | Iran | 6.4 | 8.3 | 8.1 | 7.1 | 7.3 | 5.5 | 9.0 | 5.9 | 9.4 | 8.9 |
| 33 | Liberia | 8.4 | 8.2 | 6.3 | 6.7 | 8.3 | 8.0 | 7.1 | 8.5 | 6.5 | 6.7 |
| 34 | Lebanon | 6.8 | 8.9 | 9.0 | 7.0 | 7.2 | 6.1 | 7.3 | 6.0 | 6.8 | 8.9 |
| 35 | Burkina Faso | 9.3 | 6.2 | 5.9 | 6.6 | 8.8 | 8.0 | 7.7 | 8.8 | 6.6 | 7.3 |
| 36 | Uzbekistan | 7.7 | 5.1 | 7.4 | 6.6 | 8.5 | 7.0 | 8.5 | 6.4 | 9.3 | 8.8 |
| 37 | GEORGIA | 6.2 | 7.8 | 8.4 | 5.8 | 7.2 | 6.5 | 9.0 | 6.4 | 7.3 | 8.0 |
| 38 | Tajikistan | 8.0 | 6.2 | 6.9 | 6.3 | 7.1 | 7.5 | 8.9 | 7.3 | 8.7 | 7.3 |
| 39 | Mauritania | 8.5 | 6.4 | 8.0 | 5.2 | 6.8 | 7.7 | 7.5 | 8.3 | 7.3 | 7.9 |
| 40 | Laos | 7.9 | 5.9 | 6.8 | 6.7 | 5.8 | 7.3 | 8.3 | 8.1 | 8.7 | 7.4 |
| 40 | Rwanda | 9.1 | 7.0 | 8.5 | 7.0 | 7.2 | 7.0 | 7.5 | 7.4 | 7.5 | 5.0 |
| 40 | Cambodia | 8.0 | 5.3 | 6.9 | 7.9 | 7.1 | 7.7 | 8.7 | 8.3 | 7.7 | 6.4 |
| 43 | Solomon Islands | 8.3 | 4.8 | 7.0 | 5.4 | 7.9 | 8.0 | 8.1 | 8.2 | 6.8 | 7.0 |
| 44 | Equatorial Guinea | 8.4 | 2.3 | 6.8 | 7.4 | 8.8 | 4.7 | 9.6 | 8.4 | 9.4 | 8.4 |
| 45 | Kyrgyzstan | 7.8 | 5.2 | 7.4 | 7.3 | 7.9 | 7.9 | 8.4 | 6.3 | 7.6 | 7.6 |

**უნდა აღინიშნოს, რომ რეიტინგის პირველი 37 ქვეყანა „წითელ“ ზონაშია მოხვედრილი და განსაკუთრებული რისკის კატეგორიას განეკუთვნება. კრიტიკულ ზღვარზე მყოფი ქვეყნების „წითელი სიის“ ბოლო პუნქტი საქართველოა. ყირგიზეთი, თავისი ბოლოდროინდელი არეულობების მიუხედავად, 45-ე ადგილზე მოხვდა.**

შედარებით სტაბილურთა კატეგორიაში აღმოჩნდნენ სკანდინავიის ქვეყნები — ნორვეგია, ფინეთი და შვედეთი 177-175 ადგილებს ინაწილებენ. მსოფლიო კრიზისით დაზარალებულმა ისლანდიამ ქმედუნარიანობა და 165-ე ადგილი შეინარჩუნა.

შარშანდელთან შედარებით დაწინაურდა რუსეთი და 71-ედან მე-80 ადგილზე გადაინაცვლა. სიაში მას 79-ე ადგილზე განთავსებული ინდოეთი ესაზღვრება, ჩინეთი 62-ზეა. ყაზახეთსა და უკრაინას ქმედუნარიანობის მხრივ გაცილებით უკეთ ჰქონიათ საქმე, ისინი, შესაბამისად, 103-ე და 109-ე ადგილებზე მოხვდნენ.

**ამერიკელებს თვითკრიტიკულობას ნამდვილად ვერ დავწამებთ, მათ თავიანთი ქვეყანა 158-ე ადგილზე დააყენეს, როგორც ჩანს, ფინანსური კრიზისი, სოციალ-ეკონომიკური პრობლემები და საერთაშორისო პოზიციების დასუსტება აშშ-ის ქმედუნარიანობას ვერაფერს დააკლებს.**

**რეიტინგის უმთავრესი სიურპრიზი ის იყო, რომ კრიზისთან უიმედოდ მებრძოლი ლატვია და საბერძნეთი 135-ე და 147-ე ადგილებზე აღმოჩნდნენ. როგორც ჩანს, დემოკრატიული იდეებით შეპყრობილი ამერიკელები ისეთ წვრილმანებს, როგორიც ბიუჯეტის დეფიციტი და საგარეო ვალებია, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ.**

არადა, რეიტინგი იმთავითვე უამრავი კრიტერიუმის — დემოგრაფიული მონაცემების, ქვეყნიდან ლტოლვილთა რაოდენობის, ეკონომიკური უთანასწორობის, კრიმინოგენული ვითარების, მთავრობის დელიგიტიმიზაციის, უშიშროების სამსახურების გავლენისა და სხვათა გათვალისწინებით განისაზღვრებოდა. მთლიანობაში ეს ინდექსი განსაზღვრავს ხელისუფლების შესაძლებლობას, აკონტროლოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა როგორც ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების, ასევე ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ქვეყნის შიდა კონფლიქტებისა და სხვა ყველა შესაძლო თვალსაზრისით. საინტერესოა, ვისთვის შეადგინეს ამერიკელებმა ეს რეიტინგი, თუ ქვეყნების ზემოთ მოყვანილი განლაგების მიზეზები აბსოლუტურად გაუგებრად რჩება და არანაირად არ გამომდინარეობს რეიტინგის შედგენის პრინციპებისა და მსოფლიოში შექმნილი რეალური სურათის თანხვედრიდან.

*inline.ru*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შოკური ეკონომია და გერმანიის შოკისმომგვრელი პერსპექტივები

**გერმანიის ხელისუფლების დანახარჯების შეზღუდვის მაშტაბური პროგრამის მიხედვით, 2014 წლამდე ქვეყანამ 80 მილიარდი ევრო უნდა დაზოგოს. დაიზოგება, ძირითადად, მოსახლეობის ისედაც ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების ხარჯზე, მდიდრებს კი ეკონომია არ შეეხებათ. ოპოზიციამ და პროფკავშირებმა უკვე განაცხადეს, რომ ყველანაირად შეეცდებიან, წინ აღუდგნენ ხელისუფლებას.**



სახსრების ეკონომიის გრანდიოზული გეგმა სახელმწიფო ვალის შეზღუდვის კანონის შესაბამისად შეიმუშავეს. კანონი 2009 წელს გერმანიის კონსტიტუციაში ჩართეს და ძალაში 2011 წლიდან შედის. მისი მთავარი მიზანი ფედერალური და მიწების ბიუჯეტების იმგვარად ფორმირებაა, რომ ახალი ვალების აღება საჭირო აღარ გახდეს. გამონაკლისი მხოლოდ ბუნებრივი კატასტროფების ან ღრმა რეცესიის შემთხვევაში დაიშვება. გეგმის მიხედვით, ბიუჯეტში კრედიტების ხარჯზე დაფინანსებული წილი საერთო შიდა პროდუქტის 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს, სახელმწიფოს ვალი კი — საერთო შიდა პროდუქტის 60%-ს. მხოლოდ 2011 წელს სახელმწიფო დანახარჯები 11,2 მილიარდი ევროთი შემცირდება. მთავარია, ვის ხარჯზე?

**„Spiegel"-მა ეკონომიისთვის შემუშავებული სახელმწიფო პროგრამის გაანალიზების საფუძველზე დაასკვნა, რომ შედეგად დაზარალდებიან უმუშევრები, ოჯახები, ბუნდესვერი, ავიამგზავრები, სახელმწიფო სექტორის თანამშრომლები და გერმანიის რკინიგზა. სამაგიეროდ, მოიგებენ მეცნიერები, მდიდარი მოქალაქეები, ენერგეტიკული კონცერნები, საავადმყოფოების სადაზღვევო სალაროები და ფინანსური ინსტიტუტები.**

სოციალური დახმარებების შემცირებით 30 მილიარდი ევრო დაიზოგება, რაც დაგეგმილი ეკონომიის თანხის მესამედზე მეტია. დროებითი დახმარებების გაუქმებით წელიწადში 1,3 მილიარდი ევრო რჩება ბიუჯეტში; გაუქმდება დანამატები საპენსიო დაზღვევებზეც; საცხოვრებელის დახმარებას ჩამოეჭრება გათბობის დანამატი და წელიწადში ბიუჯეტს 100-მილიონიანი შვება მიეცემა. ბავშვის აღზრდის დანამატის გაუქმებით, 2014 წლამდე 400 მილიონი დაიზოგება. შემცირდება სადეკრეტო შვებულების ანაზღაურების პროცენტიც, რაც ხაზინას წელიწადში კიდევ 200 მილიონს მოუტანს.

**2014 წლამდე სახელმწიფო საბიუჯეტო სამსახურებში 10-დან 15 ათასამდე თანამშრომლის შემცირებას გეგმავს. ჩინოვნიკებს აღარ ექნებათ საშობაო დანამატი, რაც, ფაქტობრივად, მათი ხელფასების 2,5%-ით შემცირებას ნიშნავს. მხოლოდ 2011 წელს ამაზე 2,3 მილიარდი ევრო უნდა დახარჯულიყო. სერიოზული შემცირება ელის ბუნდესვერს — ახლანდელი 250 ათასი სამხედროდან 150 ათასი დარჩება. 2013 წლიდან თავდაცვის უწყებას ბიუჯეტი ყოველწლიურად 2 მილიარდი ევროთი შეუმცირდება.**

მეორეს მხრივ, ბიუჯეტის შესავსებად ახალი გადასახადები წესდება. მაგალითად, ავიარეისების ეკოლოგიური ბაჟი ბიუჯეტს წელიწადში მილიარდ ევროს მოუტანს. რკინიგზა ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრის საქმეში ყოველწლიური 500-მილიონიანი დივიდენდის შეტანით ჩაერთვება.

**მიუხედავად მთავრობის დიდი სურვილისა, ვეღარ გაიზარდა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ახლა წელიწადში 52 ათას ევროზე მეტი შემოსავლის მქონე მოქალაქეებისთვის 42%-ს შეადგენს. ვერ გაიზარდა „მდიდრების გადასახადიც" — წლიური 250 ათასი ევროდან შემოსავალის მქონე პირთათვის ის კვლავ 45% იქნება, ანუ მდიდრების და შეძლებულების მდგომარეობა, ფაქტობრივად, არ იცვლება. მაგრამ ბიუჯეტის დეფიციტის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას ისინიც მიიღებენ. მაგალითად, გადაიხდიან ტრანსაქციების გადასახადს. ფინანსური სექტორი ოთხი წლის მანძილზე ბიუჯეტის გადასარჩენად 2 მილიარდს გაიღებს, დახმარებებით მცხოვრები ღატაკები კი — 30 მილიარდს. ენერგეტიკული კონცერნები თავიანთი კოლოსალური შემოსავლებიდან 2014 წლამდე ბიუჯეტს მხოლოდ 9,2 მილიარდს შესწირავენ ბირთვულ საწვავზე გადასახადის სახით.**

ამ ყველაფრის გამო გერმანიის ხელისუფლებას სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს საფუძვლების ნგრევაში სდებენ ბრალს. მერკელს, ფაქტობრივად, ვერ უშველა იმ განცხადებამ, რომ მეცნიერებისა და განათლების სფეროებს ხელს არავინ ახლებს.

**შედეგად, გერმანიას ახლა ბიუჯეტის დეფიციტზე გაცილებით რთულად მოსაგვარებელი სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების მწვავე პერიოდი ელის. როგორც ცნობილი ფინანსისტი და ინვესტორი ჯორჯ სოროსი აცხადებს, გერმანიის ახალი გეგმა ევროკავშირსა და ერთიანი ევროპული ვალუტის ზონას კოლაფსს უქადის. „გერმანიის პოლიტიკა ევროპისთვის საფრთხეს წარმოადგენს; მან შესაძლოა ევროკავშირი, როგორც პროექტი, გაანადგუროს", — განაცხადა მან. მისივე აზრით, ამჟამად ბერლინი თავის ევროპელ მეზობლებს დეფლაციაში ითრევს, ეს დეფლაცია კი მრავალწლიან სტაგნაციაში გადაიზრდება. წარმოების შეჩერება ნაციონალიზმს, სოციალურ მღელვარებასა და ქსენოფობიას გააღვივებს. ევროპის უდიდეს ეკონომიკასა და დემოკრატიის მედროშეს შიდა კონფლიქტები და სერიოზული რყევები გარანტირებული აქვს.**

ძველი ხუმრობის თანახმად, თუ ბანკის 100 დოლარი გმართებთ და არ გაქვთ, ეს თქვენი პრობლემაა, მაგრამ, თუ მილიონი გმართებთ და არ გაქვთ, ეს ბანკის პრობლემაა. ესპანეთის, საბერძნეთის, პორტუგალიისა და ირლანდიის გამო მას 465-მილიარდიანი დანაკარგები ელის. გერმანიის ფინანსურმა რეგულატორმა უკვე დაითვალა, რომ მხოლოდ შარშან გერმანულ ბანკებს აშშ-ის უიმედო იპოთეკურ კრედიტებსა და ევროპის ვალებში დაბანდებული 1 ტრილიონის ჩამოწერა შეეძლოთ.

**გერმანიის ხელისუფლებას ყველაზე მეტად ბანკების იმ სტრეს-ტესტების გამოქვეყნებისა ეშინია, რომელთაც ასე დაჟინებით ითხოვს აშშ. „Deutsche Bank"-ის გენერალური დირექტორი იოზეფ აკერმანი თვლის, რომ ძალზე სარისკოა ბანკების ამჟამინდელი მდგომარეობის გახმაურება და იმის გაცხადება, რომ მათ სახელმწიფოს მხრიდან მყარი თანადგომა არ აქვთ. ეს კაპიტალის „გაქცევას" გამოიწვევს. ახლა გერმანიაში კერძო ანაბრების საერთო თანხა 59 მილიარდს აღწევს და ამ თანხის გარკვეული ნაწილის უფრო საიმედოდ დაბანდების საკითხი უკვე განიხილება.**

გერმანელები ძალიან გააბრაზა ევროკავშირის „უმაქნისი" წევრების დახმარების პროგრამაზე მათი ხელისუფლების თანხმობამ. დაძაბულობა მერკელის კოალიციურ მთავრობასაც არ აკლია, მაგრამ, როგორც ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, გერმანიამ საკუთარი ნებით გაყო თავი ყულფში. მან მთლიანად აქცია ზურგი შიდა მოთხოვნილებებს და ექსპორტზე გადაერთო. გერმანულ პროდუქტს საბერძნეთი, ესპანეთი, ირლანდია და პორტუგალია კრედიტით ყიდულობდნენ. ვინ ან როდის გადაიხდის ამ კრედიტებს, არავინ იცის. გერმანია კი კვლავაც განაგრძობს მათ კრედიტირებას იმ იმედით, რომ ოდესმე თავის ფულს უკან დაიბრუნებს. საკმარისია, ამ ქვეყნებიდან რომელიმემ დეფოლტი გამოაცხადოს, რომ მისი კუთვნილი ფული ჰაერში აორთქლდება. გერმანია თანდათან ხვდება, რომ არც ისე მდიდარია, როგორც თავად ეგონა; თანდათან ამას დანარჩენი მსოფლიოც ხვდება.

*imperiya.by*



## 150 წლის ბრიტანული პორტფელი



**ბრიტანეთის პარლამენტი, როგორც იქნა, შეელია თავის ერთ-ერთ ისტორიულ სიმბოლოს — წითელ პორტფელს, რომლითაც 150 წლის მანძილზე შეჰქონდათ თემთა პალატაში ბიუჯეტის შესახებ მთავრობის მოხსენების ტექსტი.**

ეს პორტფელი პირველად სახელგანთქმულმა პოლიტიკოსმა, ოთხგზის პრემიერმა უილიამ გლადსტონმა 1860 წელს გამოიყენა. მას შემდეგ მას იყენებდა ბრიტანეთის ხაზინის უკლებლივ ყველა კანცლერი, გარდა გორდონ ბრაუნისა, რომელიც ტონი ბლერის პრემიერობისას 10 წლის მანძილზე მუშაობდა ხსენებულ თანამდებობაზე. ბრაუნმა მაშინ ახალი პორტფელი შეუკვეთა.

პორტფელის ხმარებიდან ამოღება ბრიტანეთის სახელმწიფო არქივმა მოითხოვა. ვინაიდან სამუზეუმო ექსპონატად გამწესებული ნივთი უკვე ცუდ მდგომარეობაშია, მას მინისტრებს აღარ გამოაყენებინებენ. მაგრამ ხაზინის ახლანდელმა კანცლერმა ჯორჯ ოსბორნმა განაცხადა, რომ არ სურს, გახდეს პირველი უკანასკნელი 150 წლის მანძილზე, ვისაც სახელგანთქმული საბიუჯეტო პორტფელი ხელში არ სჭერია. არქივმა მას ნება დართო, ერთადერთხელ გამოიყენოს პორტფელი.

## დედამიწელი უცხოპლანეტელები



**ბულგარელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ უცხოპლანეტელები დედამიწაზე, ჩვენ შორის ცხოვრობენ და მასპინძლებთან კავშირებიც აქვთ. ამჟამად ეს მეცნიერები ცდილობენ, გაშიფრონ ურთულესი სიმბოლოების სისტემით დაწერილი ტექსტი, რომელშიც სტუმრები მათთვის დასმულ 30 კითხვაზე იძლევიან პასუხს.**

ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ლაჩეზარ ფილიპოვი ადასტურებს, რომ ამგვარი სამეცნიერო სამუშაოები ნამდვილად მიმდინარეობს. მისივე თქმით, მეცნიერები მთელ დედამიწაზე მიმოფანტულ 150-მდე წრეს შეისწავლიან. სწორედ ეს წრეებია დასმულ კითხვებზე უცხოპლანეტელთა პასუხები. ფილიპოვის განცხადებით, უცხოპლანეტელები ჩვენ შორის ცხოვრობენ და მუდმივ დაკვირვებებს აწარმოებენ ჩვენზე. მათ ჩვენი დახმარება სურთ, მაგრამ ჩვენ იმდენად განვითარებულნი არ ვართ, რომ მივხვდეთ, რაში გვეხმარებიან და მათთან უშუალო კონტაქტის დამყარება მოვახერხოთ.

## უშარვლო პილოტის ავსტრალიური სასჯელი



**ამერიკული ავიაკომპანიის პილოტი რიო-დე-ჟანეიროს საერთაშორისო აეროპორტში უხამსი საქციელის გამო დააპატიმრეს. შემოწმების დროს უსაფრთხოების სამსახურის თხოვნაზე, მოეხსნა ქამარი და გაეხადა ფეხსაცმელი, 49 წლის მაიკლ სლინამ ჯერ ბევრი იცინა, შემდეგ კი მოულოდნელად შარვალი კოჭებამდე ჩაიძრო.**

ამერიკული იუმორი დაუფასებელი დარჩა — საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი დააკავეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს და უფლება მისცეს, მშობლიურ ვაშინგტონში დაბრუნებულიყო. სამაგიეროდ, ბრაზილიაში მორიგი ვიზიტისას მას აუცილებლად მოუწევს სასამართლოში შევლა. გათავისუფლების პირობა ასეთი იყო.

# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru








**თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, წერეთლის №1, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ (საბითუმო ცენტრი)**



# მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



## გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**














ნუგზარ ფოფხაძე და არმაზ სანებლიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელერადიოცენტრის ყოფილი უფროსი, დიდი პროფესიონალი და საქმის შესანიშნავი ორგანიზატორი, კეთილშობილი პიროვნება და მეგობარი

**გივი ბენდუქიძე**

და გულითადად უსამძიმრებენ მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.


საქართველო ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net